

ბესარიონ ჯორბენაძე

# ენა და კულტურა

თბილისი  
1997

რედაქტორი — გიორგი ვოგოლაშვილი

სარედაქციო საგამომცემლო საბჭო: გ.ბურჭულაძე,  
ც.კვანტალიანი, მ.კიკონიშვილი, მ.კობიაშვილი,  
რ.ლანდია, ნ.ლოლაძე (სწავლული მდივანი),  
რ.ჭურდაძე, მ.ჭურდიანი, ნ.ჭუმბურიძე.

\*\*\*

1980 წელს პროფესორმა ბესარიონ ჯორბენაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრას წარუდგინა პროგრამა კურსისა „ენა და კულტურა“ და იმავე წელს წაკითხულ იქნა ლექციების კურსი ამ საგანში ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების II კურსის სტუდენტებისათვის.

1982 წელს ავტორი დასაბუთებას წარუდგენს კათედრას და ითხოვს ამ კურსის დამკვიდრებას ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე (ამ დასაბუთებას ავტორისეული წინასიტყვაობის მაგივრად ვურთავთ წიგნს).

ბ.ჯორბენაძის პირად არქივში დაცულია სალექციო კურსის — „ენა და კულტურა“ — საკმაოდ ვრცელი კონსპექტის ხელნაწერი, 2 საშუალო სისქის რვეული („ბლოკნოტი“), რაც რა თქმა უნდა, არ ივარაუდებოდა გამოსაქვეყნებლად...

1991-1992 წლებში საქართველოს რადიოს თანამშრომლის მწერალ თამაზ ხმალაძისა და წიგნის რედაქტორის ინიციატივით მომზადდა გადაცემათა ციკლი „ენა და კულტურა“: ეთერში გავიდა 6 გადაცემა. ამჟამად ჩვენს ხელთაა ამ გადაცემათა სრული ტექსტი... საუბედუროდ, ავტორს არ დასცალდა ამ უაღრესად საინტერესო პრობლემის მონოგრაფიული დამუშავება.

„ბ.ჯორბენაძის საზოგადოებამ“ (შეიქმნა 1993 წლის დეკემბერში) გადაწყვიტა სალექციო ჩანაწერებისა (კონსპექტების) და რადიოგადაცემათა ტექსტის გამთლიანება. ძირითად ტექსტად სალექციო კონსპექტი იქნა მიჩნეული, კურსის პროგრამის შესაბამისად აქ თითქმის ყველა საკითხია წარმოდგენილი რადიოგადაცემათა ტექსტი თითქმის მთლიანად იქნა გამოყენებული, როგორც პუბლიკაციისათვის უფრო მზა ტექსტი; თუმცა, ისიც ცხადია, რომ ზეპირი გამოსვლისათვის გამიზნულ ტექსტსაც არ გამოაქვეყნებდა ავტორი სერიოზული გადაამუშავებისა და შევსების გარეშე. ეს შევსება კონსპექტებიდან მოხდა. ასე, რომ ტექსტი გამთლიანდა. მაგრამ სტილურად არაერთგვაროვანი გამოვიდა: ერთი მხრივ, სამუშაო კონსპექტი და, მეორე მხრივ, რადიოგადაცემის ტექსტი.

ფიქრობთ. ამ სახითაც ბ.ჯორბენაძის „ენა და კულტურა“ მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ქართული ენათმეცნიერებისათვის და, საერთოდ, ქართული კულტურისათვის.

გამზადებული ხელნაწერი ვულდასმით წაიკითხეს და შენიშვნები მოგვაწოდეს შ.აფრიდონიძემ და ლ.გეგუჩაძემ...

არსებული ხელნაწერების — კონსპექტისა და რადიოგადაცემათა ტექსტის — შეჯერება, ნაშრომის გამთლიანების შრომატევადი სამუშაო იტვირთა მანანა კობაიძემ.

ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ წიგნის გამოცემაში, ვინც მხარში ამოგვიდგა — მადლობა.

გ. გოგოლაშვილი



# ავტორისეული წინასიტყვაობის მაგიერ

დასაბუთება

სალექციო კურსისა „ენა და კულტურა“

სალექციო კურსი „ენა და კულტურა“ იკითხება თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსზე კვირაში 2 საათი (ორივე სემესტრის მანძილზე, სულ 70 საათი).

ამ სალექციო კურსის შემოღება განპირობებულია რამდენიმე მომენტით:

1. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ენას საზოგადოების ფორმირებისა და განვითარებისათვის. ენა ერის კულტურის პროდუქტიცაა და მისი შემდგომი განვითარების საფუძველიც (სტიმულიც). ენისა და ეროვნული კულტურის ურთიერთმიმართებით უძველესი პერიოდიდან იყვნენ დაინტერესებული ფილოსოფოსები და ენათმეცნიერები. ამ თვალსაზრისით მდიდარი ლიტერატურა მოგვეპოვება, რომელიც, სპეციალური კურსის უქონლობის გამო, სრულიად უცნობი რჩებოდა ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის. სალექციო კურსი „ენა და კულტურა“ გარკვეულად ავსებს ამ ხარვეზს. სტუდენტები ეცნობიან ძველი ინდოელი, ჩინელი, ბერძენი, დასავლეთევროპელი, ამერიკელი, საბჭოთა ფილოსოფოსებისა და ენათმეცნიერების თვალსაზრისს ენისა და ერის, ენისა და საზოგადოების, ენისა და აზროვნების და, საერთოდ, ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების შესახებ.

2. ბოლო ხანებში ჩამოყალიბდა ენათმეცნიერების ერთ-ერთი ახალი დარგი სოციოლინგვისტიკა. ამ მხრივ მეტად ინტენსიური მუშაობაა აშშ-ში. ევროპის ქვეყნებში, საბჭოთა კავშირში — მოსკოვსა და ლენინგრადში. გამოქვეყნდა რამდენიმე საინტერესო მონოგრაფია. თანამედროვე ფილოლოგიისათვის აუცილებელია სოციოლინგვისტიკის საფუძვლების ცოდნა. სასურველია ამთავითვე დაედოს საფუძველი სტუდენტების დაინტერესებას სოციოლინგვისტიკის პრობლემატიკით და მსურველების სპეციალურ მომზადებას ამ პროფილით. დარგი პერსპექტიულია და აუცილებელიც ქართული ენათმეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. სალექციო კურსი „ენა და კულტურა“ ითვალისწინებს სოციოლინგვისტიკის საფუძვლების დაწვრილებით ვაცნობას.

3. თანამედროვე საზოგადოებაში მწვავედ დგას ბილინგვიზმის პრობლემა. იგი უკვე პოლიტიკის საკითხადაც იქცა. თანამედროვე ახალგაზრდას, მით უმეტეს ფილოლოგს, უნდა ჰქონდეს მართებული შეხედულება ამ ერთ-ერთ აქტუალურ საკითხზე. სალექციო კურსში „ენა და კულტურა“ საგანგებოდ არის გამახვილებული ყურადღება ბილინგვიზმთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ბილინგვიზმის წარმოშობის პირობებსა და, აქედან გამომდინარე, მის შედეგებზე. განსაკუთრებით საშურია ბილინგვიზმის პრობლემის მართებული წარმოჩენა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებისათვის, რადგან საქართველოში ბილინგვიზმი საუკუნეთა მანძილზე მოქმედებდა. ისტორიულად ეს პრობლემა სტიქიურად წყდებოდა. ამჟერად არავინ დაობს ამ პრობლემის ღრმა მეცნიერული დამუშავების აუცილებლობაზე. კურსი „ენა და კულტურა“ ითვალისწინებს ამ პრობლემას როგორც ერთ-ერთ ძირითადს.

4. საზოგადოებაში მოქცევის ეთიკეტს კარგა ხანია სპეციალური ყურადღება ექცევა. ამ მხრივ აუცილებელია ენობრივი ეთიკეტის ვათვალისწინებაც. ევფემიზმი და ტაბუ სტიქიურად გამომუშავებული ენობრივი ეთიკეტია. სალექციო კურსი „ენა და კულტურა“ სავანგებო ყურადღებას უთმობს ენობრივი ეთიკეტის მეცნიერული ვააზრების საკითხს.

5. ენაში უკუფენილია ერის ისტორია. ამ საკითხს სავანგებო ყურადღება ქართულ სინამდვილეში პირველად ივანე ჭავჭავაძის მიერ მიექცია. მანვე გააანალიზა ამ თვალსაზრისით ფასეული მრავალი ფორმა. ამ მხრივ შემდეგაც ბევრი რამ ვაკეთდა, მაგრამ აჲ იყო შესაძლებლობა სტუდენტებისათვის სისტემებრ მიგვეწოდებინა ეს ცნობები. კურსი „ენა და კულტურა“ ითვალისწინებს ამ აუცილებლობას და იმავდროულად სახავს ამ თვალსაზრისით კვლევა-ძიების შემდგომი ვანვრძობის პერსპექტივას.

6. კურსში „ენა და კულტურა“ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტებისათვის თანამედროვე ენობრივი პოლიტიკის ვაცნობას, მის მართებულ ვაგებას, ქართული სალიტერატურო ენის შემდგომი ვანვითარების პრობლემებს.

საანალიზო მასალა მთლიანად ქართული ენიდანაა აღებული. ვარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვა ავტორთა კონცეფციები ვანიხილება.

სალექციო კურსის „ენა და კულტურა“ პროგრამას ვაცნობილია თსუ ახალი ქართული ენის კათედრა. „ენა და კულტურა“ უკვე ერთი წელია იკითხება ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ვანყოფილების II კურსზე ყველა სპეციალიზაციის სტუდენტებისათვის, კვირაში 2 საათი ორივე სემესტრის

მანძილზე (სულ 10 საათი). კურსი მთავრდება ჩათვლით II სემესტრის ბოლოს.

ყოველივე ზემოხსენებული შესაძლებლობას გვაძლევს აღვირათ შეამდგომლობა ამ კურსის დამკვიდრების შესახებ ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი ბ.ჯორბენაძე

1982 წლის 24 აპრილი.

„პირველითგან იყო სიტყუად და სიტყუად იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუად იგი“. იოვანეს სახარების პირველივე ფრაზა ენის, მეტყველების განსაკუთრებულ ღირებულებაზე მიგვანიშნებს. სიტყვა როგორც შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის, სიტყვა როგორც ღვთიურობასთან ადამიანის მიახლების ერთადერთი გამომხატველი, სიტყვა როგორც ღვთის ნების გამოცხადების ერთადერთი საშუალება.

ენისადმი ასეთ დამოკიდებულებას თავისი საფუძველი აქვს. სამყაროს შეცნობა ადამიანს მხოლოდ ენით შეუძლია. ენა იმავდროულად პიროვნების სოციალური და ეროვნული ვინაობის გამომხატველია.

გამოყოფენ ენის ოთხ ძირითად ფუნქციას:

ა) საკომუნიკაციოს — ენა არის ადამიანთა ურთიერთობის საშუალება და, ამდენად, საზოგადოების ჩამოყალიბებისა და არსებობის ერთ-ერთი ძირითადი პირობა;

ბ) ექსპრესიულს — ენით გამოიხატება ადამიანის სულიერი სამყარო;

გ) მაკონსტრუირებელს — ენა არის აზრის ფორმირების, ხორცშესხმის საშუალება;

დ) მათემატიკურებელს — ენაშია დაუნჯებული ეროვნული კულტურისა და კაცობრიობის მიერ შექმნილ ცივილიზაციათა ყველა მონაპოვარი.

ანუ: ენა არის ის, რაც ადამიანს ქმნის ადამიანად.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ენამ შექმნა ადამიანი. ბიოლოგიური სამყაროს სხვა წარმომადგენლებთან ადამიანს აერთიანებს თანდაყოლილი რეფლექსები და ინტუიცია. ის, რომ მას შეუძლია თავისი არსებობისათვის ბრძოლაში მოიხმაროს თავისივე ცხოვრებისეული გამოცდილება, განასხვავებს კი ის, რომ ადამიანს უნარი აქვს გამოიყენოს სხვათა (მათ შორის — დიდი ხნის წინათ გარდასულთა) მიერ მოპოვებული ცოდნა. ამის საშუალებას კი მას მხოლოდ ენა აძლევს. ანუ: კაცობრიობის განვითარების უწყვეტობას ენა (უკეთ: ენაში დაუნჯებული ცოდნა) განაპირობებს.

და ერთიც: ადამიანს, გარდა ცოდნისა და გამოცდილებისა, ახასიათებს რწმენაც. რწმენა სულიერი მისწრაფებაა, ინტუიციურად შეიმეცნოს ის, რასაც აზროვნება ვერ სწვდება. და ამ ღრმად

შინაგანი, ცნობიერისა და ქვეცნობიერის ზღვარზე არსებული სწრაფვის გაცხადებაც ენით ხდება.

ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი ენის წარმოშობის შესახებ.

კაცობრიობას ეს საკითხი უძველესი ხანიდან აინტერესებდა: როგორ წარმოიშვა ენა, რომელი ენა „გაჩნდა“ პირველად, რომელი იყო პირველი სიტყვა...

**§ 1. ენის მნიშვნელობა ადამიანთა საზოგადოებისათვის ადრევე იყო შენიშნული.**

ეს აზრი თავისებურად აისახა ძველ აღმოსავლურ ფილოსოფიაში (შემდეგ შემოაღწია ევროპაშიც).

**ძველი ინდოეთი:** ცნება „ბრაჰმანი“ შეიცავდა ენობრივ ასპექტსაც და ამ ასპექტში განიყოფებოდა ორ სახეობად: მატერიალურ სიტყვად (შაბდაბრაჰმან) და ტრანსცენდენტურ სიტყვად (პარაბრაჰმან).

**ძველი ინდოელი გრამატიკოსი ბჰარტრიჭარი:** „სიტყვა, მეტყველება (ვაჩ) ყველა მეცნიერების, ხელოვნებისა და ხელობის საფუძვლად დევს. ყოველი საგანი ძალით წარმოიქმნება და განმასხვავებელ ნიშან-თვისებას (თავისთავადობას) იძენს“.

ენის წარმოშობის, კერძოდ, სიტყვების შექმნის შესახებ მეცნიერული პრინციპები ჭერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში ჩამოყალიბდა. ესაა საკმაოდ ცნობილი ფიუსეი და თესეი თეორიები, პირველი გულისხმობს, რომ ნებისმიერ საგანს სახელწოდება თავისი ბუნების მიხედვით აქვს მიღებული. მეორე თეორიის მიხედვით, პირიქით, ურთიერთმიმართება საგანსა და მის აღმნიშვნელ სახელს შორის პირობითია. შეთანხმების საფუძველზეა შექმნილი. ფიუსეი-თეორია სათავეს იღებს სოკრატესა და პლატონის ფილოსოფიაში, თესეი-თეორიის პრინციპები ჩამოყალიბებულია არისტოტელეს ნააზრევში. ეს პრობლემა დღესაც დგას, თუმცა ენობრივი ნიშნის პირობითობის თეორია თითქოს უფრო გავრცელებულია (განსაკუთრებით ენის, როგორც სემიოტიკური სისტემის, განხილვის დროს). მიუხედავად ამისა, აზრი იმის შესახებ, რომ საგანს სახელი თავისი ბუნების შესაბამისად აქვს შერქმეული, სულ უფრო მეტ დასაბუთებას პოულობს ამ ბოლო ხანებში, რაც, რასაკვირველია, არ გამოირიყნავს გარკვეული პირობითობის ფაქტორსაც.

**§ 2. ასე მოხვდა ენის პრობლემა ფილოსოფიაში.** ეს საკითხი ცალკე და სპეციალურ განხილვას მოითხოვს.

ამ მხრივ უთუოდ არსებითი მნიშვნელობის დებულებებია

ჩამოყალიბებული არისტოტელეს, ი.კანტის, ჰეგელის თხზულებებში.

ამ პრობლემას ეხებოდნენ მარქსიზმის კლასიკოსები.

მაგრამ სპეციფიკურ-ენათმეცნიერული განხილვა მოცემულია ვილჰელმ ჰუმბოლდტის კონცეფციაში.

მისი ძირითადი დებულებებია:

ა) ენა არის მსოფლზედგა;

ბ) ენა არის ერის სულის უშუალო გამოხატულება.

გ) ახალი ენის დაუფლება ახალი მსოფლზედგის შექმნაა.

ვილჰელმ ჰუმბოლდტის კონცეფციამ ბიძგი მისცა ენის რაობის კვლევას მისი (ენის) აზროვნებასთან, ცნობიერებასთან, კულტურასთან მიმართებით.

ეს პრობლემა მრავალი ენათმეცნიერის ნაშრომში დაისვა.

სპეციალურად ეხებოდნენ მას ფსიქოლოგიზმის წარმომადგენლები.

XIX საუკუნეში მთელი მიმართულება წარმოიშვა:

ა) ეთნოფსიქოლოგია - ხალხთა ფსიქოლოგია.

ფსიქოლოგები: ვ.ვუნდტი, მ.ლაცარიუსი

ენათმეცნიერი: კ.შტაინთალი.

მათი ორგანო იყო: „ხალხთა ფსიქოლოგია და ენათმეცნიერება“.

ბ) ინდივიდუალისტური ფსიქოლოგია.

ენათმეცნიერები: კ.პაული, ბ.დელბრიუგი, კ.ბრუგმანი,

კ.ოსტპოფი, მ.ბრეალი.

ბირგელის დებულებაა: ფსიქოლოგიური ცოდნა უნდა მოვიპოვოთ ენის ფაქტებიდან, რამეთუ ენაში უკუფენილია ხალხთა „ფსიქიკური შემოქმედება“.

მეორის დებულება საპირისპიროა: ფსიქოლოგიის მონაცემები უნდა გამოვიყენოთ ენობრივი მოვლენების ასახსნელად.

ეს იყო, ასე ვთქვათ, ზოგადი დებულებები, რომელთაც ეფუძნებოდა ენათმეცნიერული კვლევა-ძიება. ამ კვლევა-ძიებას ამდენად აინტერესებდა ხალხის კულტურა, რამდენადაც კულტურაც აისახება ფსიქიკაში.

XX საუკუნეში ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებით დაინტერესებამ სპეციალური მიმართულებანი წარმოშვა ენათმეცნიერებაში:

ი.ტრირისა და ლ.გაისგერბერის კონცეფცია გერმანიაში.

ე.სეპირისა და ბ.ჟორფის კონცეფცია ამერიკაში.

ამერიკაშივე ჩამოყალიბდა სოციოლინგვისტიკა, რომლისთვის-

საც ენისა და კულტურის ურთიერთმიმართება ერთ-ერთი ძირითადი საკითხთაგანია.

აღაშიანის მსოფლხედვა დამოკიდებულია იმ ენაზე, რომელსაც იგი ფლობს. იმის გამო, რომ ენათა სტრუქტურები განსხვავებულია, განსხვავებული იქნება (უნდა იყოს!) მათი მსოფლხედვაც.

აი, ეს არის განმსაზღვრელი დებულება ზემოხსენებული კონცეფციებისათვის.

არსებითი ბრინციები, რომელსაც ემყარება ეს დებულება:

მატერიალური სამყარო ყველა ენისათვის ერთი და იგივეა. ე.ი. ის, რაც უნდა აისახოს, ერთი და იგივეა, მაგრამ წაირვევარია მისი ასახვა: სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად ასახავს ერთსა და იმავეს.

აქ უპირველესად ივარაუდება ენობრივი ფორმა. ამიტომაც აღნიშნავდა ვ.კუმბოლდტი — ენას ქმნის მისი ფორმა (უკეთ — ვარეგანი და შინაგანი ფორმების ერთობლიობა).

მაგრამ იმავდროულად აუცილებლად იგულისხმება ენობრივი მნიშვნელობაც, რადგან ფორმას ქმნის მნიშვნელობა, ამ უკანასკნელზე კი, თავის მხრივ, უკუგაგლენას ახდენს ფორმა.

**შენიშვნა:** ენობრივი მნიშვნელობა არ შეიძლება გაუტოლოთ ცნებას (რაც ძალიან ხშირად ხდება). ცნების საფუძველზე ხდება ენობრივი მნიშვნელობის ჩამოყალიბება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი იდენტურნი არიან. ცნება „ქმა“ ქართულისათვის და სვანურისათვის ერთი და იგივეა, მაგრამ ენობრივი მნიშვნელობა განასხვავებს მას:

ქმა	მუხზე
	ჯგმილ

სხვაგვარია ენობრივი ასახვის პოზიცია: განსხვავდება „ქმა ქმისთვის“ და „ქმა ღისთვის“.

აფხაზურში „მამა“ აღინიშნება როგორც „საბ“, „ბაბ“, „დაბ“, „ლაბ“. ანუ: „მამაჩემი, მამაშენი — ვაჟისა, ქალისა“ ან „მამამისი — ვაჟისა, ქალისა“; ე.ი. აუცილებლად „ვილაცის მამა“. ზოგადი მნიშვნელობა მამისა გამოიხატება „აბ“ ფუძით, მაგრამ საქმე ისაა, რომ აფხაზურში ასეთი „წმინდა“ სახით მისი გამოყენება



შეუძლებელია. იგი აუცილებლად უნდა შეუღლებულ იქნეს კონკრეტულ მნიშვნელობასთან: ვისი მამა? ჩემი. შენი. მისი: იმავდროულად: ვინ ვარ მე (ან: ვინ ხარ შენ. ვინ არის ის) — ვაჟი თუ ქალი — ყველაფერი ეს ასახული უნდა იყოს ამ სახელწოდებაში. ეს კი ნიშნავს, რომ აფხაზური ენის მსოფლალქმით „მამა თავისთავად“ (ანუ: „მამა“ ვინმესთან მიმართების გარეშე) არ არსებობს. ანალოგიური ვითარებაა სვანურში „ძმისა“ და „ღის“ აღნიშვნისას. „ძმა“ იმის მიხედვით, მას ძმა ასახელებს, თუ და, იქნება „მუხზე“ („ძმა ძმისთვის“) ან „ჯგმილ“ („ძმა ღისთვის“). ასევე „და“ იქნება „დაჩვირ“ („და ძმისთვის“) ან „უდილ“ („და ღისთვის“). ასე რომ, განსხვავება აშკარაა და არსებითი ხასიათისაა. რა თქმა უნდა, აფხაზისათვის ზოგადი ცნება „მამისა“ სავსებით გასაგებია, მაგრამ აფხაზურის „ენობრივი სინამდვილე“ ავალდებულებს მას ყველა კერძო შემთხვევისათვის დააკონკრეტოს ეს ზოგადი ცნება.

ასევე არსებობს ცნება „წუხილისა“. მაგრამ ენობრივი მნიშვნელობის მიხედვით ეს ცნება ნაირგვარად რეალიზდება ქართულსა და რუსულში :

აწუხებს	беспокоит
წუხდება	беспокоится
წუხს	

**ლოც-ავ-ს** და **ო-ლოც-ებ-ა** — ორივე „ლოცვის“ ცნებას გამოხატავს, მაგრამ ენობრივი მნიშვნელობა აშკარად ნაირგვარია.

\* \* \*

თუ ზემოხსენებულს გავითვალისწინებთ, მართლაც, უეჭველი ჩანს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად ასახავს ერთსა და იმავეს.

<sup>1</sup> იხ. ქვემოთ, §40 (გვ. 113-116) (რედ.).

§ 3. რა არის მიზეზი იმისა, რომ ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ენის მიერ სხვადასხვანაირად აისახება?

ენა უშუალოდ არის შეპირობებული აზროვნებით.

~~აზროვნება ქმნის კულტურას.~~

ორთავეს უკუგაგლენა აქვს: კულტურას აზროვნებაზე, აზროვნებას — ენაზე.

მაშასადამე, იქმნება თავისებური წრე („ჯადოსნური წრე“) — კულტურა — ენა — კულტურა, გაშუალებული აზროვნებით. ამ წრეშია მოქცეული ადამიანის ცნობიერება.

მართლაც, კულტურის გარკვეულმა დონემ შეაპირობა ის ხედვა, რომელმაც წარმოქმნა სიტყვა „ცისარტყელა“. შემდეგ კი უკვე ენა განაპირობებს იმას, რომ მისი მფლობელი სწორედ ამ კუთხით: ამ თვალსაზრისით ხედავს ბუნების ამ მოვლენას. X

ასევე: კულტურის გარკვეული დონე განაპირობებს მოკრძალებას მიცვალებულისადმი. ეს მოკრძალება იწვევს იმას, რომ იკრძალება მისი პირდაპირი ხსენება. შედეგი: „ტახტი“ — ცხედარი დღეს აღნიშნავს მიცვალებულს. (ძველი მნიშვნელობით ეს სიტყვა შემორჩენილია ფორმაში „თანამეცხედრე“)¹.

„კუბო“ ნიშნავდა ტახტრევანს, ევფემისტურად — მიცვალებულის ჩასასვენებელ ყუთს. ახლა იგი აღარ გაიგება როგორც ევფემისტური და მას სულ უფრო დაჟინებით ცვლის სიტყვა „ჭურჭელი“.

§ 4. ლ. ვაისგერბერი: ენა ახდენს სამყაროს ვერბალიზაციას და ამის შედეგად განაპირობებს ადამიანების თვალთახედვას სამყაროზე.

ამის საფუძველზე ხერხდება საინტერესო თვალსაზრისის შემუშავება.

X სამყაროში საგანი და მოქმედება ერთ მთლიანს წარმოადგენენ: საგანი-მოვლენა (შდრ. ა.აინშტაინისეული დრო-სივრცე). მართლაც, ბორბალი და მისი სტატუსი — გაჩერება ან ბრუნვა, ცხოველი და მისი სტატუსი — დგომა ან მოძრაობა (და ა.შ.) რეალურად დაუნაწევრებელია. ესაა ერთობლიობა საგანი-პროცესი, ისინი არ არსებობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. მით უფრო ეს. ითქმის ფერზე, გემოზე, რაოდენობაზე (ე.ი. ატრიბუციაზე). წითელი ვაშლი, მჟაგე ვაშლი, სამი ვაშლი... წითელი და

¹ იხ. ქვემოთ, გვ. 38<sup>ბ</sup> (რედ.).

**გაშლი** (ან: **მუჯვე** და **გაშლი**, **ორი** და **გაშლი**) არ არსებობს ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. **წითელი** (ყვითელი, მწვანე...) ყოველთვის რალაცის შინაგანი თვისებაა. მისგან გამოუცალკევებელი.

მაგრამ რადგან არსებობს **წითელი**, **ყვითელი**, **მწვანე** ფერის **გაშლი**, ერთი მხრივ. ხოლო **წითელი ყვავილი**, **ფოთოლი**, **მიწა**, მეორე მხრივ. ენაში შეიქმნა შესაძლებლობა ატრიბუტიკისა და საგნის დანაწევრებისა: დაუნაწევრებელი გახდა დანაწევრებული.

ასე დანაწევრდა ენაში ერთიანი **საგანი-მოქმედება**, **ატრიბუტი-საგანი**. ეს იყო **პირველი საფეხური**. ყველაზე მარტივი საფეხური მატერიალური სამყაროს **ენობრივ ფაქტად** გადაქცევისა.

შემდეგ წარმოიქმნება უკვე **წმინდა ენობრივი** მოვლენები: **სიწითლე**, **სიკეთე**... ეს არის აბსტრაქცირება იმისა. რაც რეალურად ცალკე. გამონაწევრებულად არ არსებობს.

ბოლო საფეხურია მეტაფორული აზროვნება — ენაში იქმნება სრულიად განსხვავებული სამყარო.

[ა-შავ-ებ-ს — „შავად აქცევს“ → დანაშაულს ჩადის. თვით „დანაშაული“ ← და-ნა-შავ-ულ-ი].

[ა-წითლ-ებ-ს — „წითლად აქცევს“ → „არცხვენს“].

ქართ. „**დღესასწაული**“ — სასწაულის დღე.

რუს. „**праздник**“ — უქმე, არასამუშაო დღე.

**ამრიგად**, ენა ანაწევრებს გარესამყაროში განუყოფელ ერთიანობაში არსებულ მოვლენებს. ეს უკვე ნიშნავს ანალიზს. ეს ნიშნავს: ენა სამყაროს ანალიზის შედეგია. ენა აზროვნების შედეგია. ენა მეორადია, ცნობიერება — პირველადი. **ენა არა მხოლოდ ასახავს**, არამედ **აფასებს კიდევ**. ამიტომაც ენა **კოლექტიური სუბიექტივიზმის** შედეგია. **სამყაროს შეცნობას ადამიანი ენის საშუალებით იწყებს**. ამით იგი იმთავითვე ეზიარება სუბიექტურ თვალსაზრისს. ენა გავლენას ახდენს მის აზროვნებაზე მაშინაც, როცა მას მიზნად აქვს დასახული მაქსიმალური ობიექტურობით წარმოაჩინოს აზროვნებისეული მოვლენები. **ცნობილი ფაქტია**: არისტოტელე ქმნიდა აზროვნების ზოგად კანონებს (ლოგიკას) და შედეგად მიიღო ფილოსოფოსის პოზიციიდან შექმნილი გრამატიკა თავისი მშობლიური ენისა. ✕

**მაუთნერი:** „არისტოტელეს ლოგიკა სხვა არაფერია. თუ არა ბერძნული ენის ერთი საინტერესო თვალსაზრისით განხილვა. არისტოტელეს სასაუბრო ენა ჩინური ან დაკოტა-ენა რომ ყოფილიყო. ის იძულებული იქნებოდა შეექმნა სრულებით სხვა ლოგიკა“ (Mauthner, 'Beitrage zu einer Kritik der Sprache', Stuttgart-Berlin, 1902, Bd. III, S.4);

მოგვყავს არნ.ჩიქობავას მიხედვით: „...ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა...“. წელიწდეული, 1923-4, გვ. 49.

ამავე საკითხზე იხ. **ე.ბენგენისტი**.

**აზროვნებისა და ენის მჭიდრო ურთიერთობის შედეგად** ისიც, ენათმეცნიერებას დღემდე რომ უჭირს ლოგიკის კატეგორიებისგან თავის დაღწევა.

**§ 5. ფრანც ბოასმა** (რომელიც ამერიკელ აბორიგენტა ეთნიკურ სტრუქტურას იკვლევდა) წამოაყენა დებულება, რომლის თანახმადაც „წმინდა ლინგვისტური კვლევა არის განუყოფელი ნაწილი მსოფლიოს ხალხთა ფსიქოლოგიის შესწავლისა...“.

სწორედ ამ გზას დაადგა ამერიკელი ენათმეცნიერი **ედუარდ სეპირი**. აი, მისი სიტყვები:

„ხალხები ცხოვრობენ არა მხოლოდ საგანთა ობიექტურ სამყაროში და არა მხოლოდ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სამყაროში. როგორც ეს ჩვეულებრივ მიაჩნიათ, ისინი (ხალხები) გარკვეულწილ განიცდიან იმ კონკრეტული ენის ზეგავლენას, რომელიც წარმოადგენს მოცემულ საზოგადოებაში ურთიერთობის საშუალებას. მცდარია ის ვარაუდი, თითქოს ჩვენ შეგვიძლია სრულად გავიცნობიეროთ სინამდვილე ენის დახმარების გარეშე... „რეალური სამყარო“ (მნიშვნელოვნად) გაუცნობიერებლად აიგება ხოლმე მოცემული ჯგუფის ენობრივი ნორმების საფუძველზე... ჩვენ ვხედავთ, ვკვების და აღვიქვამთ ასე ან სხვაგვარად ამა თუ იმ მოვლენებს არსებითად იმის წყალობით, რომ ჩვენი საზოგადოების ენობრივი ნორმები ვარაუდობენ გამოხატვის მოცემულ ფორმას“.

თუ **ე.სეპირისათვის** ეს პრობლემა მრავალთაგან ერთ-ერთი იყო, იგი ძირითადი ვახდა **ბენჯამენ ლი უორფისათვის**.

**უორფმა** მთელი თეორია შექმნა ენისა და აზროვნების, ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებაზე.

ეს თეორია ცნობილია **სეპირ-უორფის თეორიის** სახელწოდებით.

**ენა განსაზღვრავს ჩვენს მოქცევას** (resp. აზროვნებას).

ესაა ძირითადი დებულება ამ თეორიისა.

[აქედან: ამერიკელი სოციოლინგვისტები ასე განსაზღვრავენ ენას: ენა არის საზოგადოებრივი მოქცევის ფორმა].

**ბ. უორფი:** სამყაროს ნიუტონისეული კონცეფცია იქნებოდა სულ სხვაგვარი იმ შემთხვევაში, ნიუტონის მშობლიური ენა ინგლისური რომ არ ყოფილიყო.

როგორც ვხედავთ, სამივე შემთხვევაში: —

ა) ჰუმბოლდტთან,

ბ) ვაისგერბერთან.

გ) სეპირ-უორფთან —

ამოსავალი, საყრდენი თვალსაზრისი ერთია:

აზროვნება ვლინდება ენობრივი ფორმით. ზოლო რადგანაც ენობრივი ფორმები (ენობრივი სტრუქტურები) შესაძლოა მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. განსხვავებულია სხვადასხვა ხალხთა აზროვნების ნორმები.

**ენებში ვლინდება სხვადასხვა მსოფლხედვა. ✕**

**ეს ეხება არა იმდენად ლექსიკას (თუმცა ლექსიკა აქ ერთ-ერთ არსებით როლს ასრულებს), რამდენადაც თვით გრამატიკულ წყობას, სტრუქტურას.**

**რამდენიმე ნიმუში:**

ა) ინვერსია გრძნობა-აღქმის ზმნებთან ქართველურ ენებში, მაშინ, როცა ევროპული ენები ამ დროს ძირითადად პირდაპირ წყობას ინარჩუნებენ:

მას	უყვარს	შდრ.:	რჩ	любит
	სიტლს			ненавидит
	მიაჩნია			предполагает
	აქვს			имеет
	ჰყავს			

ბ) დაყოფა ვინ და რა ჯგუფებად მაშინ, როცა სხვა ენებში განიყოფება სულიერი და უსულო.

გ) დაყოფა ჰყავს და აქვს სემანტიკად; შდრ.: имеет брата || книгу.

დ) დროების ნაირგვარი სისტემა სემიტურ და ინდოევროპულ ენებში — სემიტურში არსებითად გვაქვს ასპექტი: სრული და უსრული. (ეს ივარაუდება კონკრეტულად არაბული ენის მიმართ)

ე) სახელობითი და ერგატივი სუბიექტის ბრუნვად მაშინ, როცა სხვა ენებში სუბიექტი მხოლოდ სახელობითით გადმოიცემა... და სხვა მრავალი.

§ 6. ენისა და კულტურის პრობლემა დვას საფრანგეთში, ინგლისში, იაპონიაში...

სწორედ ა.მეიეს სახელს უკავშირდება რიგი მოსაზრებებისა ენისა და აზროვნების (აქედან: ენისა და კულტურის) ურთიერთობის შესახებ. ამ რიგისაა. მაგალითად, ახსნა-განმარტება გრამატიკული სქესების წარმომავლობასთან დაკავშირებით:

**მზე, ღღე, ცეცხლი** — მამრ. სქესისაა.

**მთვარე, ღამე, წყალი** — მდედრობითისა.

[მღრ. ქართულში: **მზე დედაა ჩემი...**].

ავსტრიაში — **ჰ. შუხარდტი**, „საგნები და სიტყვები“. ავტორი კონკრეტული ენების მასალაზე იძლევა საინტერესო განზოგადობებს ენისა და აზროვნების, ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების თაობაზე.

§ 7. ენის სტრუქტურის კვლევის ახალი მეთოდების ძიებამ კარგა ხანია შეასუსტა (მაგრამ არ შეუწყვეტია!) ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხების კვლევა.

ბოლო ხანებში ეს პრობლემა საგანგებო დაინტერესების ობიექტი გახდა.

§ 8. ენისა და აზროვნების, ენისა და კულტურის საკითხი თავისებური კუთხით დაისვა ნ.მარის კონცეფციაში. ესაა „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“ და ამჯერად ჩვენთვის საინტერესო „პალეონტოლოგიური მეთოდი“.

**ბეგრი მნიშვნელოვანი მიგნებაა, უთუოდ საინტერესო მახალაღ.**

არსებითად კი პრინციპი მექანიცისტური იყო.

ლამის ყოველ ენობრივ მოვლენას ნ.მარი სოციალური ყოფის მომენტებს უკავშირებდა.

შეუძლებელია იგივეობის ნიშნის დასმა ენასა და სოციალურ ყოფას შორის.

ამ გაიგივებამ „უცნაური“ შედეგი გამოიღო ერთ პერიოდში.

**ბუჟინის, დოსტოვესკის, ტოლსტოის** ენა ბურჟუაზიულ-ფეოდალურ-პატრიარქალურ ენად იქნა გამოცხადებული.

**უნდა შეიქმნას ახალი, პროლეტარული ენაო.**

რა თქმა უნდა, ამ ცდას არავითარი შედეგი არ გამოუღია.

§ 9. ვულგარიზაციის რეციდივები ახლაც გვხვდება.

აი, რას წერს, მაგალითად, **ნ. ჩემოდანოვი**:

„სტრუქტურულ-ტიპოლოგიური განსხვავებების მიუხედავად, საბჭოთა კავშირში არსებული ყველა ენა შინაარსობრივი პლანის თვალსაზრისით ქმნის მთლიანობას, რომლითაც გამოიხატება საბჭოთა ხალხის იდეოლოგიისა და ცხოვრების წესის ერთიანობა“.  
(Новое в лингвистике, VII, 1975 გვ. 23).

რა თქმა უნდა, ასეთი „საბუთიანობით“ ჭეშმარიტი მეცნიერული დებულება ვერ ჩამოყალიბდება.

§ 10. **სერიოზული ცდები** — სოციოლინგვისტიკა.

ენა მრავალი თვალსაზრისით შეისწავლებოდა.

ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ეს თვალსაზრისი დაიყვანება სამ ძირითად ასპექტზე;

ა) ენა თავისთავად. ე.ი. ენის იმანენტური ფორმობრივი და სემანტიკური სისტემებისა და სტრუქტურების შესწავლა;

ბ) ენა როგორც მხატვრულ სახეთა შექმნის საშუალება (resp. ენის შესწავლა პოეტური ლოგიკის თვალსაზრისით);

გ) ენა როგორც ერის კულტურის შემადგენელი ელემენტი.  
ან: ენა როგორც ერის კულტურის (resp. მსოფლხედვის) მაუწყებელი.

სწორედ მესამე თვალსაზრისიდან ამოსვლით დანახული ენა არის სოციოლინგვისტიკის საგანი.

თითოეული ზემოხსენებული საკითხი კვლევის სპეციფიკური თვალსაზრისის გამომუშავებას ვარაუდობს,

§ 11. **სოციოლინგვისტიკის ძირითადი პრობლემები.**

სოციოლინგვისტიკისადმი (განსაკუთრებული) მეცნიერული მიდგომის დასაწყისი - XX საუკუნის 50-იანი წლები. დამოუკიდებელ დარგად ყალიბდება აშშ-ში. 60-იანი წლებიდან ინტერესი ძლიერდება ევროპაში.

სოციოლინგვისტიკის პრობლემებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა XI საერთაშორისო ენათმეცნიერულ კონგრესზე (1972, ბოლონიაში); 1974 წელს ტორონტოში ჩატარდა მსოფლიო სოციოლინგვისტური კონგრესი.

ამჟამად არავინ დავობს იმის თაობაზე, რომ სოციოლინგვისტიკა ენათმეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი დარგია.

## სოციოლინგვისტიკის ზოგადი პრობლემები:

- ა) ენის სოციალური და პროფესიული დიფერენციაცია.
- ბ) ბილინგვიზმისა (და პოლილინგვიზმის) საკითხები
- გ) ენობრივი სიტუაციის ტიპოლოგია
- დ) ეროვნული, სალიტერატურო და საერთაშორისო ენები
- ე) ურბანიზაცია და ენა
- ვ) მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და ენა (-მეცნიერების ენა)..

## § 12. ტერმინისათვის „სოციოლინგვისტიკა“.

ენას, ისევე როგორც ნებისმიერ მოვლენას, ორგვარი რაობა მოეპოვება.

ერთია მისი შინაგანი, იმანენტური რაობა, შეპირობებული მისი ფორმობრივი და სემანტიკური სისტემებითა და სტრუქტურებით.

მეორეა ენის დანიშნულებითი, გამოყენებითი რაობა...

ენის არსებული განმარტებანი:

- ა) „ენა არის ურთიერთობის (კომუნიკაციის) საშუალება“.  
აქ ენა არსებითად განმარტებულია მისი (სოციალური) დანიშნულების მიხედვით.
- ბ) „ენა არის აზროვნების იარაღი, საშუალება“.  
აქაც ენა თავისი დანიშნულების, მოხმარების თვალსაზრისითაა განმარტებული.
- გ) „ენა არის ფსიქიკური სტატუსის უშუალო გამომხატველი“.

აქ არის ცდა ენის წარმომქმელ მექანიზმში წვდომისა. მაგრამ აქ მთავარია ფსიქოლოგია და არა ენათმეცნიერება.

დ) „ენა არის ნიშანთა სისტემა“.

\*) ისტორია (არისტოტელე-ლოკი-კანტი-ჰეგელი...)

\*) არის თუ არა ნიშანთა სისტემა?

ლოგიკისთვის — კი!

ენათმეცნიერებისათვის — არა!...

მით უფრო სოციოლინგვისტიკისათვის — არა!

მართალია, ნიშანთა სისტემიდან ამოსვლით განსაზღვრავდნენ თვით:

ა) კულტურას.

ბ) ეთნოგრაფიას.

გ) მხატვრულ ლიტერატურას (და, საერთოდ, ხელოვნებას).



**კონკრეტული ცდების მაგალითები:**

**ლევი-სტროსი** — კულტურა და ეთნოგრაფია. რიტუალი-ნიშანი გარკვეული მსოფლგაგებისა

**ვ.ივანოვი** — კინოფილმები.

**ნიშანთა სისტემა** — კოსმოპოლიტიზმის გამოვლინებაა.

ერთი და იმავე აზრის გადმოცემა შესაძლებელია ქართული, რუსული, ინგლისური, ჩინური... ენებით, მორაზეს ანბანით, საზღვაო სადროშო სისტემით...

უნდა განსხვავდეს დონეები.

**ჯვარი** — აფთიაქის მაუწყებელი — ნიშანია, მაგრამ ასეთი ნიშნები ენას ვერ შექმნიან.

**ქართული ენა** ნიშანია ზოგადად ცნებისთვის. მაგრამ არა ენობრივი მნიშვნელობისათვის.

**თანაც: ენა** ფასდება შეგნებით, როგორც ეროვნული მეობის გამოვლინება...

**ტერმინისათვის:**

**სოციოლინგვისტიკა** — სოციოლოგიური ლინგვისტიკა.

ენათმეცნიერების ამ დარგის ძირითადი მიზანი, ამოსავალი დებულებანი და კვლევის მეთოდები **სოციოლოგიასთან** პოულობენ შემხებ წერტილებს.

**ლინგვისტური სოციოლოგია** — ეს უკვე სოციოლოგიის დარგია.

„**სოციოლინგვისტიკა**“ პირველად გვხვდება პ.კარისტან (1952 წელს). თუმცა ცნება „სოციოლოგიური ენათმეცნიერება“ უფრო ადრეც არსებობდა (1929 წელს ეს ტერმინი გამოიყენა ე.პოლივანოვმა).

**რ.იაკობსონი** [იყენებდა ტერმინს] — „ენის სოციოლოგია“. (ენათმეცნიერების დარგად ამ ტერმინის გამოყენება მოუხერხებელია).

### **§ 13. ბილინგვიზმის პრობლემა.**

**ბილინგვიზმი ნიშნავს ორი ენის ერთდროულ ფლობასა და გამოყენებას** კომუნიკაციის მიზნით. ამასთან მათი გამოყენება ხდება სხვადასხვა საზოგადოებრივ გარემოში.

საქართველოს ისტორია ისე აეწყო, რომ ბილინგვიზმი ყოველთვის იყო ჩვენი ცხოვრების თანმდევი მოვლენა.

ქართულ-ირანული

ქართულ-ბერძნული

ქართულ-არაბული  
ქართულ-თურქული  
ქართულ-რუსული.

ამგვარმა ურთიერთობამ საბოლოოდ უთუოდ გაამდიდრა ქართული ენა და იმავდროულად თვითშენარჩუნებისათვის საჭირო იმუნიტეტი გამოუმუშავა მას.

**ბილინგვიზმის შედეგები** განსაკუთრებით ნათლად და მკვეთრად (თანაც ყველაზე ადრე) ვლინდება ლექსიკაში.

ორი გზა ბილინგვიზმის პირობებში ლექსიკის გამდიდრებისა:

ა) **სესხება** (ბალი, ჯაბანი, ქარხანა, ფაბრიკა...);

ბ) **კალკირება** (წარმოდგენა „представление“. თანამგზავრი „спутник“. თვითმფრინავი „самолет“ და ა.შ.).\*

**ფორმათა გაქართულება:** ლურსმანი (არაბ. „მუსმარ“), რიკ-რიკა (რუს. „выкрик“), სწრაფილები (რუს. „стропила“), პწყალა (ლათ. „scala“), უთოს||ოთუს ძვირი (თურქ. „ოთუს ბირ“ - ძალიან ძვირი), აფთიაქი (რუს. „аптека“), ფოსტა (რუს. „почта“) და ა.შ.

აქედან სალიტერატურო ენამ ზოგი მიიღო. ზოგიც უკუაგდო.

**საგანგებო შემთხვევები:**

ბილინგვიზმის ცვლა ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა ფორმითა და მნიშვნელობით ამკვიდრებს ენაში:

ქართულ-არაბული: **კოშკი**.

ქართულ-რუსული (ფრანგულის მეშვეობით): **კიოსკი**.

ბილინგვიზმის შედეგები თანდათანობით ენის ფონემატურ და გრამატიკულ სტრუქტურებშიც აღწევს.

**ამ მხრივ ნიშანდობლივია:**

**ლ და ლ'** ფონემების პარალელური ხმარება ზოგიერთ ნასესხებ სიტყვაში: **ბალტო** და **ბალ'ტო**, **რევოლუცია** და **რე-ვოლ'უცია** (რევოლმუცია — რევოლიუცია). რა თქმა უნდა, **ლ'** ქართულში ფონემად არ ქცეულა (შდრ. რუსული: „улица“ და „улица“). მაგრამ ეს ფაქტი საინტერესოა გამოთქმის (წარმოთქმის) სესხების თვალსაზრისით.

შესაძლებლად მიიჩნევა ფონემების სესხებაც.

ა.შანიძე ვარაუდობს, რომ ჯ ფონემა არაბულიდან ისესხა ქართულმა (ასევე სპარსულიდან, თურქულიდან, სომხურიდან...): ჯაბა-

ნი, ჯავრი, ჯანაბა, ჯარა, ჯარი, ჯარიმა, ჯაშუში, ჯეირანი, ჯუბა, უჯ-  
რა, ბეჭითი, მაჯა...

სხვა შემთხვევაში ჯ ფონეტიკური ცვლილების შედეგია:

ღიაკეული → დეკეული: მეგრ.: ჯაკელი

ღიაკონია → ჯაკონია

ღიომიღე → ჯომიღავა...

სხვა ენებთან ურთიერთობა საშუალებას იძლევა ენის შინაგანი  
პოტენციის ამოძრავებისა.

ქართულში ამის ნიმუშებიც გვაქვს.

1 **თურქობითი** არსებითად პერფექტია. გარდამავალი ზმნები-  
სათვის იგი ორგანული წესით იწარმოება: **და-მ-ი-წერ-ი-ა,**  
**გა-მ-ი-გონ-ი-ა, მ-ი-ნახ-ავ-ს**

პერფექტი ევროპულ ენებში აღწერთად იწარმოება:

I have written...

ამ პრინციპითაა იგი ნაწარმოები ძველ ბერძნულშიც.

ძველ ბერძნულთან ურთიერთობამ შესაძლებელი გახდა ქარ-  
თულშიც პერფექტის ანალოგიური წარმოება:

დაწერილი მაქვს - დამიწერია

გაგონილი მაქვს - გამიგონია

ნანახი მაქვს - მინახავს

აღწერთი ფორმის ფორმულა:

**ნამყო დროის ვნებით მიმღეობა + რელატ. მეშველი ზმნა**

ესაა სწორედ: „წარსულში შესრულებული მოქმედების შედეგი  
აწმყოში“.

ამ ტიპის წარმოება სავსებით ორგანული აღმოჩნდა ქართული-  
სათვის და ამიტომაც ფართოდ გავრცელდა ორიგინალურ ძეგლებ-  
შიც, **შეაღწია დიალექტებშიც კი.**

✠ § 14. რა თქმა უნდა, ბილინგვიზმს მარტოოდენ კეთილისმყო-  
ფელი შედეგები არ მოაქვს ენისათვის<sup>1</sup>. ქართულმა ბევრი შე-  
მღვრევა განიცადა, უმართებულოდ ხდებოდა სიტყვათა სესხება,  
რაც იწვევდა ბარბარიზმების მომრავლებას. ამის ნიმუშებია „სტო-  
ლი“, „პოლი“, „პატალოკი“, „სუმკა“... რომელთაც მხატვრული ლი-  
ტერატურის ენაშიც კი შეაღწიეს.

სხვათა შორის, ენამ ამ შემთხვევაშიც სცადა მაქსიმალური და-  
ტვირთვა მიეცა ამ ფორმებისათვის: ერთმანეთს დაუპირისპირა

<sup>1</sup> იხ. § 27.

„ხტლო“ (სასადილო მაგიდა) და „მაგიდა“ (ტაბლა). „ბივა“ (ბოთლებში ჩამოსხმული, ქარხნული წესით მომზადებული ლუდი) და „ლუდი“ (შინ მოხარშოული ლუდი).

განსაკუთრებით ნაგვიანდებოდა ენა XV-XVIII საუკუნეებში (ირანულ-თურქული გავლენა) და XIX საუკუნეში (რუსული გავლენა) [ნიმუშები სიგელ-გუჯრებიდან]. X

XVIII საუკუნიდან ქართულ ენაში ფაქტობრივ ყალიბდება თავისებური „ზედილექტი“ — თბილისური ქართული, შეზავებული აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული, სომხური...) ლექსიკით, ფრაზეოლოგიით, ხშირად სინტაქსური კონსტრუქციებითაც და მორფოლოგიური ყალიბებითაც კი. ბაზისი ამ ქალაქური ქართულისა ქართლურ-კახურია, მაგრამ იმავდროულად მისგან საკმაოდ განსხვავებულიცაა. ეს მეტყველება, შეიძლება ითქვას, თითქმის არ ასახულა იმ ხანის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, რადგან ქართველი მწერლები ძირითადად ინარჩუნებდნენ ძველქართულ ლიტერატურულ ტრადიციებს. ამიტომაც თბილისური მეტყველების თავისებურებებზე გარკვეულ წარმოდგენას უწინარეს ყოვლისა იმ პერიოდის სიგელ-გუჯრები, ნასყიდობის ხელწერილები, თამასუქები და სხვა მისთანა დოკუმენტები თუ შეგვიქმნის.

თვალის ერთი გადავლებითაც ხელშესახებად წარმოჩნდება თბილისური მეტყველების ევოლუცია.

1752 წლის 2 ივლისის გასამყრელო:

„...გავიყარენით ჩვენ, უმიკანთ სტეფანას შვილებმა, ოსეფამ და გიორგამ...“ (გვ. 248).

XIX საუკუნეში ანალოგიურ დოკუმენტაციაში უკვე რუსიციზმების მოჭარბება შეინიშნება...

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ პერიოდის თბილისური მეტყველება გლობალურად ამ სახისა იყო და მთლიანად ამგვარ ტენდენციას ექვემდებარებოდა.

იმავე ხანებში საკმაოდ ხშირად გვხვდება კლასიკური ქართულის ნორმების შესაბამისად დაწერილი სიგელ-გუჯრებიც, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს დახვეწილი ქართული შედარებით მცირერიცხოვან მწიგნობართა პრივილეგიას წარმოადგენდა და თბილისის ლინგვისტურ სახეს მაინც ნაირგვარი დიალექტებისა და ჟარგონების სიუხვე განსაზღვრავდა.

ამის კვალობაზე, <sup>ს</sup>უცნობრივი კრიზისი ყველაზე უფრო თბილისურ მეტყველებას დაეტყო, რადგან ქართული ენის კილოებს შინაგანი პოტენცია უღვევად ჰქონდათ და, მართალია, სტიქიურად, მაგ-

რამ მაინც ბუნებრივი გზით ვითარდებოდნენ.

სწორედ ცოცხალი კილოების ტენდენციების შესისხლხორცება გადაარჩენდა თბილისურ ქართულს სრული გადაგვარებისაგან.

ეს პროცესი XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო თერგდალეულთა მესვეურობით. X

ეს ის პერიოდია, როცა თბილისურ მეტყველებაში ინტენსიურად დაიწყო შემოსვლა ქართული ენის დიალექტებისათვის დამახასიათებელმა მოვლენებმა. თბილისურმა ქართულმა ახალი საყრდენი პოვა თავისი განვითარებისათვის და თანდათანობით დათმო ძველი გეზი, რომელიც, როგორც ეგზოტიკური ფენომენი, ძველი თბილისის უბნებსლა (კალა-უბანი, ხარფუხი, ავლაბარი) შემორჩა მხოლოდ.

რასაკვირველია, არ იქნებოდა სწორი, თბილისური ქართულის იმდროინდელი თავისებურება მარტოოდენ აშუღური პოეზიის, ამ აღმოსავლური წარმოშობის ფენომენის, მომძლავრებით აგვეხსნა. პოეტები თბილისს არც ადრე აკლდა, თანაც იყო მთელი ათწლეულები, როცა თბილისი არაქართველი მმართველების ხელში იყო, მაგრამ ამას რაიმე მკვეთრი ზეგავლენა თბილისურ ქართულზე არ მოუხდენია (ყოველ შემთხვევაში, არსებული დოკუმენტებით ეს არ ჩანს). X

ქალაქური მეტყველების თავისებურებანი უშუალოდაა დაკავშირებული თბილისის ინდუსტრიალიზაციის პროცესთან ხელოსნობის, ვაჭრობის ინტენსიურ განვითარებასთან. ქალაქში თავს იყრიდა საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიული მხარის წარმომადგენლობა, მრავლად იყო არაქართველი მოსახლეობაც. მახლობელი თუ შორეული ქვეყნიებიდან მოსულ ვაჭრებსა და ხელოსნებს უზვად შემოჰქონდათ უცხოური ტერმინოლოგია. სხვაობამ გარკვეულად გრამატიკულ სტრუქტურებშიც იჩინა თავი.

X სოფლურმა (გლეხურმა) მეტყველებამ, რომელიც ძირითადად თბილისის მახლობელი სოფლებიდან შემოდიოდა, და ქალაქურმა (ხელოსნურმა) მეტყველებამ მოგვცა თავისებური სინთეზი, რომელსაც ძირს საკუთრივ ქართული წარმონაქმნი უმაგრებდა, ხოლო იერი აზიური ქალაქისათვის დამახასიათებელი ჰქონდა. X

X ქართული რომანტიზმის ეპოქიდან ისახება თბილისის ევროპეიზაციის ტენდენცია, რაც თავისებურ გამოძახილს პოულობს თბილისურ მეტყველებაშიც, თუმცა მასში ჯერ კიდევ ჭარბობს აღმოსავლური ყაიდის საწყისები.

ქართული დიალექტური საწყისებისაკენ თბილისური მეტყველების მობრუნება და, იმავდროულად, განუხრელი ევროპეიზაციის

ტენდენცია სათავეს XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს. სწორედ ამ მიმართულებამ განსაზღვრა ახალი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბება.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენამ, სალიტერატურო ენის სკოლებში, პრესაში, დაწესებულებებშიც გავრცელებამ შეზღუდა განუქითხავი სესხების პროცესი. X

§ 15. ბი- და პოლილინგვიზმი განსაკუთრებით იჩენს თავს ურბანიზაციის პერიოდში. ქალაქში სხვადასხვაენოვანი საზოგადოებრივი ჯგუფების თავმოყრა ხდება.

ამ შემთხვევაში ენათა ზემოქმედება და, გარკვეულად, წინააღმდეგობაც განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს.

სტაბილური განვითარების პირობებში თანდათან ხდება ურთიერთშეგუება...

ი.გრიშაშვილი წერს: „არავინ უნდა შეშინდეს ქართული ენის სიკრელით. უხსოვარ დროთაგან მიღებულ ლექსიკურ მასალას ვერ შეუძლიან დაამახინჯოს ენა, რომლის სილამაზეც ჩვენ უნდა ვეძებოთ მის საერთო აგებულებაში, მის საერთო ბუნებაში, მის საერთო სინტაქსში“ (ი.გრიშაშვილი, თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, 1985, გვ. 143).

პოეტი განაგრძობს: „მაგონდება ალ.სარაჯიშვილის პატარა, მოხდენილი წერილი: „წმინდა ქართული“ (ფილოლოგიური ტრაქტატი).

ვინ არ ჩივის ეხლა ქართული ენის წახდენას. წავიდა, აღარ ისმის წმინდა ქართული...“ ავტორი (ალ.სარაჯიშვილი) გადმოგვცემს ვილაც ვაჭრის ნაამბობს:

„ერთს მანუფაქტურის მალაზიაში შევიდა ჩვენი პრისტავი და საროჩკები იკითხა.

— რა საროჩკები გნებავთო. — ჰკითხა კუპეწმა, — პალატნიანი თუ შოლკოვი?

— მე ნეყნად გაზრდილი არა ვარ, სიტეცზედაც საღლასნი ვარო. ჩამოიღო პრიკაშნიკმა პოლკიდან ერთი პაჩკა საროჩკა და დაუწყო პრილაგვაზედ.

პრისტავმა გადაარჩია ოთხი საროჩკა სხვადასხვა ფერისა: ლილოვი, გალუბოვი, კარიჩნოვი და სირენევი. ბუმაგაში გაახვევინა და ჩაიღო ვეშჩებით გატენილს საკვოიაჟში...”

ალ. სარაჯიშვილი განაგრძობს: „ჯავრი მომდიოდა: ნუთუ რუსთაველის ენა ისეთი ღარიბი ყოფილა, რომ ერთი უბრალო ამბის

თქმა ვერ მოგვიხერხებია, თუ რუსული სიტყვები არ ჩავურთეთ? ავიღე და ვაჭრის ნაამბობი გადმოვაქართულე... აი, რა გამოვიდა:

ერთს ფარჩეულობის დუქანში შევიდა ჩვენი ბოქაული და პერანგები იკითხა.

— რა პერანგები გნებავთ. — ჰკითხა ვაჭარმა — ტილოსი თუ აბრეშუმისა?

— მე აზიზად არა ვარ გაზრდილი, ჩითისას ვიყაბულე.

ჩამოიღო ნოქარმა ყაფაზიდან ერთი დასტა პერანგი და დაუწყო დაზგაზე.

ბოქაულმა გაარჩია ოთხი პერანგი სხვადასხვა ფერისა: სოსანი, ლაყვარდი, მიხაკისა და იასამნის ფერისა. ქალაქში გაახვევინა და ჩაიღო ბარგით გატენილს ხურჯინში..."

ეს ხომ წმინდა ქართულია, ვთქვი ჩემს გულში... მაგრამ ვაი შენს მტერს, მე რომ მომივიდა..."

რატომ?! რა მოხდა?!

საქმე ისაა, რომ ყველა გადმოქართულეებული სიტყვა „სულ თათრული, სპარსული, არაბული, სომხური და ლათინური გამოდგა!"

მართლაც, ფარჩა, დუქანი, ბოქაული, პერანგი, ვაჭარი, ტილო, აბრეშუმი, აზიზი, ჩითი, ყაბული, ნოქარი, ყაფაზი, დასტა, სოსანი, ლაყვარდი, მიხაკი, იასამანი, ქალაქი, ბარგი, ხურჯინი — ყველა ეს სიტყვა სხვადასხვა ენიდან არის ნასესხები ქართულში.

„დაე, გაიხაროს ჩვენმა მტერმა, რომელსაც ჰვონია, ვითომც ენის სიწმინდე თავისებური სიტყვებია და არა თავისებური სინტაქსი" (ალ.სარაჯიშვილი, წმინდა ქართული, „ნიშადური", 1907, №14)<sup>1</sup>.

§ 16. ბილინგვიზმის პირობებში ზოგი ეროვნება ნებაყოფლობით გადადის მეორე ენაზე.

ზოგჯერ „უცნაური" ვითარება იქმნება:

საქართველოში მცხოვრები უდიელები ქართულ ენაზე გადავიდნენ.

აზერბაიჯანში მცხოვრებნი — აზერბაიჯანულზე.

უდიური ურთიერთობის ენად დარჩა „ქართველი" და „აზერბაიჯანელი" უდიელებისათვის.

<sup>1</sup> ი.გრიშაშვილი, „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოქეა, თხზულებანი 5 ტომად. ტ. III, 1985, გვ. 143-145.

## § 17. ბილინგვიზმის უცნაურობანი:

რუსულ-ალეუტური:

здорово "здоро'ва" — тулума (Проблемы двуязычия и многоязычия, М., 1972, с. 8).

მიზეზი ალეუტური ენის თავისებური ფონემატური სტრუქტურაა: აქ არაა **ზ, დ**, შემდეგ: ხდება ო:უ, რ:ლ, ვ:მ...

ამგვარმა ცვლილებამ არსებითად სულ სხვა სიტყვა მოგვცა.  
станция — თურქ. асансия...

[ბერძნული ალექსანდრე — არაბ. ექსანდრ → ისკანდერ: ალ გაგებულ იქნა ართრონად].

## § 18. ბილინგვიზმის პირობები:

ა) ბილინგვიზმი შესაძლოა იყოს ძალით თავსმოხვეული.

**მაგალითი:** რომის იმპერიაში იყო განსაკუთრებული კანონი, რომ იმპერატორის ნაცვალთა დადგენილებანი, სასამართლოს განჩინებანი გამოქვეყნებულყო მხოლოდ ლათინურ ენაზე. ყოველი თხოვნა სენატში მიიღებოდა მხოლოდ ლათინურად.

მოქალაქეობის უფლებას იღებდნენ მხოლოდ. ის კერძო პირები ან მთელი ოლქის მოსახლეობა, რომლებიც აცხადებდნენ თანხმობას დამორჩილებოდნენ რომის სახელმწიფოს კანონმდებლობას, რომაულ ადათ-წესებს და საკუთარ ენად აცხადებდნენ ლათინურ ენას.

ანალოგიურ ძალდატანებას მიმართავდა არაბეთის ხალიფატიც. ამავე გზას ადგა რუსეთის იმპერიაც.

რუსეთის იმპერიაში უკიდურესად იზღუდებოდა სწავლა-განათლების მიღება მშობლიურ ენაზე. იმ შემთხვევაში, როცა იძულებული იყვნენ, გაეხსნათ სკოლები, სადაც სწავლა მშობლიურ ენაზე ხდებოდა, ყველაფერი იქითკენ იყო მიმართული, რომ ამგვარ სკოლადამთავრებულები არსებითად გაუნათლებლები დარჩენილიყვნენ. იქმნებოდა ხელოვნური ბარიერი.

აი, ამონარიდი თურქესტანის გენერალ-გუბერნატორის **კაუფ-მანის** წერილიდან: „ჩვენი ადგილობრივი სკოლები ამჟამად არ ქმნიან რაიმე საშიშროებას: ისინი მხოლოდ აკმაყოფილებენ ბავშვებს ადგილობრივი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის და არა მხოლოდ არ აძლევენ მათ რაიმე პოლიტიკურ განათლებას, არამედ ზოგადკულტურულ განვითარებასაც კი“ (Развитие национально-русского двуязычия, М., 1976, с. 6).

ბ) ბილინგვიზმი შეიძლება იყოს ნებაყოფლობითიც:



- a) როცა მეორე ენას ირჩევენ, როგორც საზოგადოების სხვა წევრთაგან გამოცალკეების საშუალებას.  
**ახეთი იყო:** გერმანული ენა დანიელი არისტოკრატიისათვის, ფრანგული — რუსი არისტოკრატიისათვის, რუსული — ქართველი არისტოკრატებისათვის.
- b) ენა ხდება რელიგიური იარაღი:  
**ღვთისმსახურთათვის:** ლათინური — კათოლიკური ეკლესიისათვის, გრაბარი (ძველი სომხური) — სომხური გრიგორიანული ეკლესიისათვის, არაბული — მუსულმან ღვთისმეტყველთათვის.
- c) ენა — კასტობრივი განსხვავების საშუალება:  
 კუნძულ **იაგაზე:** საზოგადოებრივად უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი პიროვნება დაბლა მდგომს მიმართავს **ნიოკო-ენაზე**, ის კი პასუხობს **კრომო-ენაზე**. ანალოგიური ვითარებაა ძველ ინდურ დრამებში: მამაკაცები **ლაპარაკობენ სანსკრიტზე**, ქალები პასუხობენ პრაკრიტებზე (ხალხურ კილოებზე).  
**სანსკრიტი** არის ღმერთების, მეფეების, თავადების, ბრაჰმანების, სახელმწიფო მოღვაწეების, კარისკაცების... აგრეთვე, ნაწილობრივ, განსაკუთრებული რელიგიური დანიშნულების ქალების ენა.  
**პრაკრიტი** — დაბალი კასტის მამაკაცები; ხელოსნების, მეთევზეების, მებაბანოების, პოლიციელების... ენაა.
- d) პოლიტიკური და მეცნიერული ურთიერთობის ენა:  
 ლათინური — ევროპაში... მსოფლიოში (ბიოლოგების, მედიკოსების...)  
**სანსკრიტი** — ინდოეთში.  
**არაბული და სპანსრული** — ახლო და შუა აღმოსავლეთში...  
 ასეთი ურთიერთობის ენა იყოს **ფრანგული**.  
 ახლა სულ უფრო ვრცელდება **ინგლისური**.

§ 19. ბილინგვიზმის იძულებითი და შეფარული დანერგვა.

იძულებითი დანერგვის ნიმუშებია არაბული, ლათინური, რუსული ენების ძალდატანებითი გავრცელება აბსოლუტური მონარქიის პირობებში.

შეფარული დანერგვის შემთხვევებში ხდება ე.წ. „მეცნიერული დასაბუთება“ ამა თუ იმ ენის პრიორიტეტისა.

**„საბუთები“:**

ა) შეუძლებელია მეცნიერების ყველა დარგის განვითარება „ადგილობრივ ენებზე“.

ბ) შეზღუდულია მეცნიერული ინფორმაციის მიღება და გადაცემა.

.....  
გამოთვლილია, რომ ერი, რომელიც ნებაყოფლობითა თუ ძალდატანებით უარს იტყვის შექმნას სამეცნიერო ლიტერატურა მშობლიურ ენაზე, ყოველწლიურად გონებრივი განვითარებით ათი წლით ჩამორჩება იმ ერებს, რომელთა ენებზეც ასეთი ლიტერატურა იქმნება.

ასე რომ, ეს საკითხი მწვავე ეროვნული საკითხია.

წინააღმდეგი უნდა ვიყოთ იმგვარი ბილინგვიზმისა, რომელსაც შეფარულად მოაქვს მეორე ენა ე.წ. „მშობლიურ ენად“. ✕

§ 20. ორი ენის აბსოლუტურად ერთნაირად ცოდნა შეუძლებელია. ადამიანი ენის საშუალებით აზროვნებს; ე.ი. ენა არის აზროვნების ფორმა. შეუძლებელია „ერთ აზროვნებას“ ორი ფორმა ჰქონდეს.

საკითხი ძალიან რთულია და არ შეიძლება მისი პრიმიტიული თვალსაზრისით გადაწყვეტა.

§ 21. ბი- და პოლილინგვიზმის „თავიდან აცილების“ საშუალებანი საქართველოში.

**ფარნაოზ მეფის ხანა:**

„ქართლის ცხოვრება“:

„ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ („ქართლის ცხოვრება“, I, 1955, გვ. 26).

რასაკვირველია, ქართული ენის (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ენის) ხელოვნურად თავზე მოხვევა შეუძლებელი იქნებოდა. ამ აქტისათვის უთუოდ უნდა არსებულიყო ხელშემწყობი პირობები. აშკარაა, რომ ამ პერიოდში ქართლში (და, კერძოდ, მცხეთაში) ქართველები უმეტესობა უნდა ყოფილიყო, და თუ „არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ ქართულისა“, ეს უკვე იმაზე მიგვითითებს, რომ სამეფო კარის ენა ქართული იყო უთუოდ. სამეფო კარის ენა კი არსებითად სახელმწიფო ენა იყო. აქედან — დასკვნა: ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნე-

ებში ქართლის სამეფოში ქართული ენა არსებითად სახელმწიფო ენას წარმოადგენდა. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ენებზე ლაპარაკი მაშინვე აიკრძალა ("შეუძლებელიცა!"). მაგრამ აშკარაა ქართული ენის პრიმატი ამ პერიოდიდან.

თავისთავად ღირსსაცნობია ის ფაქტიც, რომ ჩვენი წინაპრები, ოფიციალური პირები, ისტორიკოსები ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევდნენ ენის ფაქტორს და არსებითი, სასიცოცხლო ღირებულების მქონედ მიიჩნევდნენ მას.

როგორც ზემოთ ითქვა, ბილინგვიზმი (და ხშირად პოლილინგვიზმიც) ჩვეულებრივი ფაქტი იყო ჩვენი ცხოვრებისა, მაგრამ იმთავითვე მიექცა ყურადღება ქართლში (მერე — საქართველოში) ქართული ენის სავსებით განსაკუთრებულ მდგომარეობას და შესაბამისი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანიც იქნა დასახული ამ იდეის ხორცშესახშმელად.

ქართული ენის სახელმწიფო ენად დამკვიდრების ტენდენციის გამოვლინებაა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დამოწმებული ადგილიც: ქართლად ის ქვეყანა იხსენიება (ითვლება). სადაც ოფიციალური ღვთისმსახურება ქართულ ენაზე ხდება („ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი ადგსრულების“ (ჩვენი საუნჯე, 1960, I, გვ. 186). ესაა ოფიციალური ენობრივი პოლიტიკის გამოხატვა საისტორიო თხზულებაში.

ოდნავი შეჭირვებაც კი, რომელიც ქართულ ენას შეზღებოდა, მაშინვე იწვევდა რეაქციას. ამის ნიმუშია X საუკუნის ჰიმნოგრაფის **იოანე-ზოსიმეს** ცნობილი ხოტბა ქართული ენისა. განსაკუთრებით კი ერთი ადგილი ამ ნაწარმოებიდან: „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად, რადთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა... და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲდა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა...“ (ჩვენი საუნჯე, I, გვ. 457-458).

ამრიგად, საქართველოში საუკუნეთა მანძილზე არსებობდა მართებული ტრადიცია მშობლიური ენის დაცვისა და ბილინგვიზმის პოლიტიკისა.

მშობლიური ენის შენარჩუნების საკითხი და მასთან დაკავშირებით ბილინგვიზმის პრობლემაც განსაკუთრებით მწვავედ დაისვა XIX საუკუნეში. აქ უკვე ჩამოყალიბდა მთელი თეორიული დებულებები, თუ რა მნიშვნელობა აქვს ენას ერისათვის. ამ მხრივ სრული-

ად განსაკუთრებულია ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილისა და მათი თანამებრძოლების ღვაწლი.

თვით რუსეთშიც იყვნენ მეცნიერები და პედაგოგები, რომლებიც შეგნებულად უდგებოდნენ ამ საკითხს. უპირველეს ყოვლისა ცნობილი პედაგოგი უშინსკი უნდა დავასახელოთ. მისი დებულებები ხშირად გამოუყენებია იაკობ გოგებაშვილს როგორც თეორიულ ნაწარმოებებში, ასევე პრაქტიკული მოღვაწეობის დროსაც.

(XIX საუკუნის 60-იანი წლები. NB ცალკე მაქვს!)<sup>1</sup>.

§ 22. ენათა ურთიერთობა. საქართველოს საუკუნეთა მანძილზე მრავალ ნაირგვაროვან სახელმწიფოსთან უხდებოდა მჭიდრო ურთიერთობა. ბუნებრივია, რომ ამან საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქართულ ენაზეც. იგულისხმებდა ლექსიკაც და გრამატიკული წყობაც.

რასაკვირველია, გრამატიკული წყობა ნაკლებმშელწევადია სხვა ენათა გავლენის თვალსაზრისით, მაგრამ გარკვეულ ზეგავლენას იგი უთუოდ ექვემდებარება.

ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ამოვიდეთ ენის პოტენციიდან.

ენის ყველა შესაძლებლობა ერთდროულად არ რეალიზდება. პოტენციის გამოვლენის სხვადასხვა შესაძლებლობაა. ერთ-ერთია — სხვა ენასთან კონტაქტი და „ანგარიშის გაწევა“ ამ სხვა ენის სტრუქტურისათვის.

↗ გონივრული დამოკიდებულების შემთხვევაში სხვა ენებთან ურთიერთობას მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლია. ამგვარი კონტაქტები ბიძგის მიმცემია ენის შინაგანი პოტენციის გამოსავლინებლად — ეს ეხება როგორც ამა თუ იმ ლექსემის სემანტიკური სფეროს გაფართოებას (მაგალითად, „გახლეჩა“ ფორმა გამოყენებულ იქნა ტერმინად: „ატომის გახლეჩა“), აგრეთვე მორფოლოგიური ინვენტარის გადააზრებასა და სინტაქსური კონსტრუქციების გამრავალფეროვნებას.

სწორედ ამგვარმა კონტაქტებმა განაპირობა ქართულში ზოგი გრამატიკული ფორმის იმგვარი გადააზრიანება, რომელიც მხოლოდ დადებითად წაადგა მის გამომსახველობით უნარს.

**ნიმუშები:** 1. მასდარული კონსტრუქციები.

ა) დაჯდა წერად

<sup>1</sup> 60-იანელთა მოღვაწეობის შესახებ ბ.კორბენაძის ნააზრევი იხ. მის წიგნებში: ქართული დიალექტოლოგია I, 1989, გვ. 152-170; ბალავარი მწერლობისა, 1987, გვ. 38-64 (რედ.).

ბ) უბრაძანა შენებად → უბრაძანა ააშენოს

2. მოდალური ელემენტების წარმოქმნა

სხვა ენათა ინფინიტიური კონსტრუქციების გავლენით ჩამოყალიბდა ქართულში სპეციფიკური ზმნური ფორმათშეხაქება, რომლითაც გამოიხატება ვალდებულებითი კილო: უნდა გავაკეთო, საჭიროა გავაკეთო, აუცილებელია გავაკეთო. ამათგან პირველი („უნდა გავაკეთო“) მორფოლოგიზებულიცაა და „უნდა“ არსებითად მორფემის როლს ასრულებს.

**უნდა გავაკეთო**

**უნდა ზმნის ორი ასპექტი**  
(„მინდა“ და „საჭიროა, აუცილებელია“).

3. აღწერითი პერფექტი:

გამიკეთებია - გაკეთებული მაქვს

გამიგონია - გაგონილი მაქვს

(ამ ფორმათა სტრუქტურული ანალიზი)<sup>1</sup>.

4. სემანტიკური გადასვლები:

ახასიათებს ის მას — ახასიათებს მას (ზნე)

„ახასიათებს“ მოქმედებითი გვარის ზმნაა („მასწავლებელი თავის მოწაფეს დადებითად ახასიათებს“). მაგრამ ახლებური გააზრების შედეგად მას სხვა გრამატიკული მნიშვნელობაც დაურჩა — სათანადო კონტექსტში შეუძლია თვისობაც გამოხატოს („ამ მოწაფეს კარგი ზნე ახასიათებს“). ორივე ეს კონსტრუქცია და მათი საშუალებით გამოხატული მნიშვნელობებიც სავსებით ბუნებრივია ქართულისათვის, თუმცა ამათგან პირველი უძველესია, ხოლო მეორე ენის განვითარების უფრო გვიანდელ საფეხურზე იჩენს თავს.

5. ზმნისწინთა მნიშვნელობის ცვლა:

მაგალითად, ახლებური შინაარსით დაიტვირთა გან- ზმნისწინი: გან-სახლება (შდრ. რუსული: *расселять*) ნიშნავს ამა თუ იმ ტერიტორიაზე ხალხის მასობრივად დასახლებას. ამის საპირისპიროდ, გა-სახლება გაძევების, გაყრის მნიშვნელობას გამოხატავს (რუსული: *выселять, ссылать*). ახალ ქართულში — განქორწინება - „развод“

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, § 13 (რედ.).

ძველ ქართულში ნიშნავდა: დაქორწინებას, გა-  
თხოვებას. Д.Чантуришвили... сб. Русский язык  
в нац. республиках союза, М., 1980, с. 84).

6. სიტყვის ფორმის შეცვლა:

არდადაგი → არდადაგები

შდრ.: каникулы... X

ამახთან დაკავშირებით: ქართული ენის ლინგვისტური სახე.

ა) ძირეული ენის ელემენტები: იაკობ შვა ისააჲ

1 და II პირის ფორმებში უბრუნველი ნაცვალსახელებია.

მაგრამ: ეს მოჩვენებითია.

ძირეული ენებისაგან განსხვავება: ქართულში ზმნა წარმარ-  
თავს კონსტრუქციას:

შენ დამხატე მე

შენ დაგხატე მე

მიუხედავად იმისა, რომ სახელები უბრუნველია, ზმნა განას-  
ხვავებს სემანტიკურად სუბიექტსა და ობიექტს.

(თანაც: ზმნაში ობიექტური პირია მხოლოდ წარმოდგენილი).

— პრინციპისათვის იხ.: იბერიულ-კავკასიური ენები.

ბ) აგლუტინაცია — ძირითადი პრინციპი: თითოეულ ფორ-  
მანტს — თავისი ფუნქცია:

წიგნ - ებ ი

ფუძე მრ.რიცხ. ბრუნვის ნიშანი

შდრ.: книга - и

ფუძე [მრ.რიცხ.+ბრუნვა]

ზმნა: ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს

თითოეულ ფორმანტს თავთავისი სემანტიკა აქვს (ზოგან —  
ისტორიული)

გ) ფლექსია:

ა) წიგნ-თ-ა

ბ) წერ-ენ

(მრ.რიცხ.+ S<sub>3</sub>)

გ) ღრეკ-ს — ღრიკ-ა

მიუთითებენ, რომ ორი ძლიერი ენობრივი ნაკადია შერწყმული  
ქართულში:

ა) კავკასიური

ბ) ინდოევროპული

1. კავკასიური თეორია უკავშირდება ივ.ჭავჭავაძის შვილის სახელს<sup>1</sup>

ა) ვაჟი	ბ) ნეზი	გ) ბავში
ვა(ვი	(ნერბვა)	ბალანა
ვარძი  ვერძი		ბახალა
		ბარტყი
		ბალლი
		ბალვი და სხვა.

გამოყოფენ კლასკატეგორიის (ი.ჭავჭავაძის შვილის მიხედვით — სქესის) ნიშნებს: ვ-, ნ-, ბ-ა-...

2. ინდოევროპული (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი)<sup>2</sup>.

ა) სონანტთა სისტემა

ენათა დონე:	$\left\{ \begin{array}{l} \text{ძალ-ლ-ი} \\ \text{ჯოლ-ორ-ი} \end{array} \right.$	თაფ-ლ-ი	$\left\{ \begin{array}{l} \text{ე. ი. ლ} \\ \text{რ} \end{array} \right.$
		თოფ-ურ-ი	

დიალექტთა დონე:	$\left\{ \begin{array}{l} \text{ჩირდილ-ი} \\ \text{ჩრდილ-ი} \\ \text{ჩდილ-ი} \end{array} \right.$	კლდ-ე	$\left\{ \begin{array}{l} \text{რ} \\ \text{ქ} \\ \text{ლ} \end{array} \right.$	
		ჩრდილ-ი		ქილდ-ე
		ჩდილ-ი		კალდ-ო

ბრინციბი იგივეა, რაც ინდოევროპულ ენებში.  
prst v!k და მისთ.

ბ) აბლაუტი:

ღრ-ეკ-

ე.ბენვენისტის თეორია

ღერ-კ

pr-ek x per-k

აგებულია ლარინგალურ თეორიაზე.

წმინდა ფონეტიკური მოვლენააო — არის ასეთი ახსნის ცდაც.

რაა მიზეზი ამ ორი ნაკადის არსებობისა —

ენის შინაგანი ბუნება თუ სხვა ენის ზეგავლენა?

მცდარია თვით საკითხის ამგვარი დასმა.

ქართული ენა გამოდის კონგლომერატი და არა მთლიანი სისტემა.

<sup>1</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937.

<sup>2</sup> თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965

არ უნდა ამოვიღეთ სხვა ენის ბუნებიდან.

ქართულს სჭირდება იმანენტური ახსნა.

ყველაფერი ზემოხსენებული არის ქართული ენის შინაგანი პოტენციის გამოვლენა. ამ გამოვლენაზე კი მართლაც შეეძლო ნა-ირგვარი გავლენა მოეხდინა სხვადასხვა ენებთან ურთიერთობას — ამოძრავდა სხვადასხვა „შრე“.

*რედაქციის შენიშვნა: აქ ხელნაწერში მინდორზე არის მინაწერი. მოგვყავს ეს მინაწერი მთლიანად.*

**მინაწერი:**

**ქართული ენის მორფოლოგიური სტრუქტურისათვის**

- ა) ფუძეგაორკეცება: ლაწლაწ - ი, ჩახჩუხ - ი
- ბ) გახმოვანების ცვლა: ლეწ - ხ ლაწ - ან - ი
- გ) ფომანტები: ლაწ - ან - ი...

- გიზგიზ - ი            - ა - გზ - ნ - ებ - ს
- ძაგძაგ - ებ - ს        - ძგ - ერ - ს
- ბუტბუტ - ებ - ს      - ე - ბუტ - ებ - ა

- I { ყავ (ჰყავ) — ყევ (მოვ - ყევ)  
 { ძარ — ძერ  
 { თარ — თერ

- II { ქარი — გაქერ  
 { ძალა — შესძელ  
 { გვაში — გვემს  
 { ცხარე — დასცხერ
- III { ჰარ — ჰერ  
 { ცარ — ცერ  
 { ცავ — ცევ  
 { ლა - გავ - ა — ნა - გევ - ი

- IV { კარ — კერ (შევკარ — შევკერბით)  
 { მივაწვადე — მივსწვედ  
 { ღავწან — ღავპწენ  
 { ვალ — ველ (უ - ვ - ი - ს)

**ალღკენები:**

- გან-ვემს — გო-ნომსი    ქლარ - უნ - ი  
 გა-წყერ            გო-ჰყორ-ი  
 გან-ტეფ            გო-ტუბ-ი ||    გო-ტიბ-ი  
 გაჰ-ქერ            ქორ-უ        (ჰან.)        —        „გაცივდა, გაქარდა“



აღადგენს: კამ, წყარ, ტაფ, ქარ ფუფებს.

დაპირისპირება ფორმანტებში

ს-ძლევ-ს — უ-ძლ-ავ-ს ძელ ძალ

ა-თრ-ევ-ს — ს-თრ-ავ-ს თერ : თარ

ფორმანტთა სიმეტრია

ა- — -ა

ლა- — -ალ

ლი- — -ილ (ლი-ჩვირ-ი...)

მა- — -ამ

ლი- — -ილ (ლი-ქო-ი, ლი-ჩვი)

ნი- — -ინ (ნი,კაპი — ლოდ-ინ-ი, გლიჯ-ინ-ი)

ლო- — -ოლ (ლო-პერ-ი, რბ-ოლ-ა)

რ- — -რ (რ-წმენ-ა, მა-რ-წუხ-ი... მ-წუხ-რ-ი...)

ს- — -ს (ს-კლ-ა — ,კ(კ-ს)

ვანაწილების პრინციპი.

.....

სქემა:

-ა	ე-	-ი
-ალ	-ელ	-ილ
-ამ	-ემ	-იმ
-ან	-ენ	-ინ...

სონანტები — ხშულები — სპირანტები

-ნ

-ღ

-ს

განუბნევიეს

განუბნევიედ

განუბნევიენ

პირის ნიშნები და ბრუნვის ნიშნები:

{ -ს	{ -ს	{ -ივ		
{ -ეს			{ -ის	{ -ავ
{ -ნ			{ -ით	
{ -ენ			{ -დ	
{ -ან				

{ -ან(წელ — ან)

{ -ინ(გუშ — ინ)

წარმოშობით ერთი და იგივე ჩანს (!)

§ 23. რა ენებთან იგარაუდება ისტორიულად ქართული ენის ურთიერთობა?

ა) წინა აზიის ენები.

პირველად ამ საკითხის მეცნიერული დამუშავება სცადა ნ.მარ-  
შა.

ნ.მარს ბევრი საინტერესო დაკვირვება აქვს ამ მხრივ.

თავდაპირველად (1908 წ.) ნ.მარი მიიჩნევდა, რომ ქართული ენა მონათესავეა სემიტურისა. მას ყველა ძირეული ქართული სიტყვა დაჰყავდა **სამთანხმოვნთან** ფუძემდგ (რაც ნიშანდობლივია სემიტური ენებისათვის). შემდეგ მან ეს აზრი შეიცვალა.

წინა აზიის უძველეს ენებთან ქართული ენის კავშირის შესახებ სპეციალური დაკვირვებები აქვს **ივ.ჭავჭავაძის** შვილს.

**რა ტომები ემეზობლებოდნენ ქართველებს?**

1. სუმერები (||შუმერები)...
2. ჰურები (შუამდინარეთში)...
3. კახიტები
4. ხეთები...
5. ლუგვილები...

6. ხათები (ანუ პროტოხეთები)

7. მუშკები (მესხები?)

ამ ურთიერთობის კვალს ეძებენ:

- ა) საზოგადო ლექსიკაში,
- ბ) ტოპონიმებში (განსაკუთრებით!)
- გ) ანთროპონიმებში
- დ) გრამატიკულ წყობაში...

ყველაზე უფრო ყურადღებას იქცევს ქართველთა სატომო სახელები:

შდრ.: ქარ-თ

ნარ-თ ნართ(თ)ზან, შდრ.: ალანზან → ალაზან(ი)

პარ-თ

ამით თითქოს ერთიანდება საკმაოდ ვრცელი ზოლი: **ჩრდილო კავკასია — ამიერკავკასია — წინა აზია.**

მაგრამ სახელთა ერთგვარობა არ ნიშნავს მის მატარებელთა ერთ წარმოშობას.

\* \* \*

ბ) **ხმელთაშუა ზღვის აუზის ენები.**

აქ ძირითადი ყურადღება ექცევა ქართულის მიმართებას შემდეგ ენებთან:

1. აწ გადაშენებულ ძირეულ ენებთან, რომლებიც გავრცელებული იყო მცირე აზიაში, საბერძნეთში, პირენეისა და აპენინის ნახევარკუნძულებზე.

2. ეტრუსკულ ენასთან.

3. ბასკურ ენასთან.

ეს საკითხებიც თავდაპირველად ნ.მარის ყურადღების ცენტრში მოექცა.

**მაგრამ ხანამ ამ საკითხებზე ყურადღებას გაგაშახვილებთ, საჭიროა შეგეხოთ პრობლემას ქართველთა პირვანდელი საცხოვრისის შესახებ.**

### § 24. ცნობილია ივანე ჯავახიშვილის თეორია:

✗ ქართველები თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე გვიან მოსულნი არიან.

სხვათა შორის, ამ თეორიას თავისი წანამძღვარი აქვს ლეგენდის სახით. და ეს ლეგენდა ემყარება ენობრივ მონაცემებს.

/ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძეს აქვს შენიშნული:

...„განა ამისთანა სიტყვები, რომელიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობელნი არიან, მაგალითებრ: „წყალობა, მოწყალე, შემოწყალე, მოწყალეა“. აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყალობა“ ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომია“... (ი.ჭავჭავაძე, თხზ. ტ. IV, 1955, გვ. 91-92). ✗

სხვაგან ილია უფრო მკვეთრად და კონკრეტულად გამოთქვამს თავის მოსაზრებას ქართველთა პირველი საცხოვრისის შესახებ:

„რომ კაბადოკიაში ოდესღაც მართლა ქართველები მკვიდრებულან. ამას იგი გარემოებაც ამტკიცებს, რომ დღესაც იმ ადგილებს, მდინარეებს და მთებს, საცა კაბადოკია იყო, ქართული სახელები შერჩენიათ“. და მოჰყავს ჩუბინაშვილის, კიპერტის, ვივიენ სენ-მარტენის, ტესიეს, პაჭი ოლმას მაგალითები, კერძოდ, თიანეთი, ჩხოროში, თავია, თამარმე, ორგუბე, სარმურსახლი, ჰიჭაკიხ-მთა, ჩხატალი, გომიში, ჭალა, ქიზიყი და სხვა მრავალი (ი.ჭავჭავაძე, „ქვათა ლაღი...“ თხზ. ტ. VIII, 1957, გვ. 177-8).

რასაკვირველია, მეცნიერულად დასაბუთებული აქ ცოტა რამ არის. ბევრი რამ დამყარებულია ოდენ ფონეტიკურ (გარეგ-

ნულ) მსგავსებაზე<sup>1</sup>. მაგრამ თვით აზრი იმის შესახებ, რომ ქართველების თავდაპირველი საცხოვრისი თანამედროვე საქართველოს ტერიტორიის სამხრეთით მდებარეობდა, მეცნიერებისათვის საინტერესო აღმოჩნდა.

**ამ აზრის მეცნიერული დასაბუთება სცადა ივ.ჭავჭავაძე-გილმა.**

რას ემყარებოდა ივ.ჭავჭავაძე-გილი?

**უბიწველეს ყოვლისა, ენობრივ მონაცემს!**

მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დამოწმებული ბევრი ტოპონიმის ახსნა ჩრდილოკავკასიური ენების საშუალებით ხერხდებოდა.

ამ ფაქტზე ყურადღება გაამახვილა ს.ჩანაშიამაც (იხ. მისი: ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში, შრომები, ტ. III, 1959).

**რა ტოპონიმებია დასახელებული?**

**ფშა || ფშანი** (საბა: **ფშა** — „მდინარისგან წყარო მუნვე ახლო გამოდენილი“. **ფშა-ნ-ი** — მრავალი წყარო).

---

<sup>1</sup> ტოპონიმთა თუ პატრონიმთა მსგავსება ზოგჯერ სრულიად შემთხვევითია და ოდენ ფონეტიკურ ბერადობას ემყარება.

ამის გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა კუროზული ვარაუდებიც კი წარმოქმნას. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში ისტორიულად ცნობილი იყო მხარე და ციხე-ქალაქი **ხუნან**. ვახუშტი ბატონიშვილი ასეთ ცნობას გვაწვდის: „და არს საერისთო ხუნანისა: ... გარდაბანი, სომხითი, ბერდუჯის მდინარე, ტაშირი და ბამბაკი“. ხუნანი მრავლობითობის უძველესი -ნ სუფიქსით ნაწარმოები ფორმა ჩანს: ხუნანი (ზედმიწვენი: ხუნ-ებ-ი), შდრ.: ხუნ-ეგ-ი (სოფელი ხარაგაულის რაიონში, მდ.ძირულას ხეობაში), სადაც -ევე გამოიყოფა (ა.შანიძის განმარტებით, ასევე მრავლობითობის სუფიქსი, ფონეტიკური ვარიანტი ამჟამად გავრცელებული -ებ სუფიქსისა). გურიაში (სოფ. ჩიბათში, ლანჩხუთის რაიონში) დასტურდება მიკროტოპონიმი **ჭიჭახუნა** (უბნის სახელწოდებაა), რომელიც ასევე შეიცავს ხუნა ფუძეს (.ჭიჭა კი მეგრული ჰიჭე „პატარა“ ფორმის ფონეტიკური ნაირსახეობა ჩანს).

და აი, ასეთი ისტორიისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სრული ანალოგების მქონე გეოგრაფიული სახელწოდება ზოგმა მოყვარულმა ტოპონიმისტმა დაუჯავშირა ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციას, რომელსაც **ხუნან** ეწოდება და საკმაოდ შორსმდებარე დასკვნაც გააკეთა ჩინელებისა და ქართველების უშუალო ისტორიული კონტაქტების შესახებ.

რა თქმა უნდა, ამგვარ ვარაუდებს არც სინამდვილესთან და არც კემპარტ მეცნიერულ კვლევასთან საერთო არაფერი აქვს.

შდრ. ფშატალა — თოვლნარევი წყალი.

✕ ივ.ჭავჭავაძის იხსენებს ზმნას „ფშვა“ — სუნის (სულის) გამოღება. გამოცემა (ივ.ჭავჭავაძის, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, 1950, გვ. 34-36).

ძვ.ქართულში: „შუმინგა“ - სუნთქვა

იხ. აგრეთვე: ფშვინ-გ-ა (დღესაც ცოცხალი სიტყვაა).

ხგან.: ლი-ფშირ-ე — შობა, გამრავლება.

აი, აქ უთუოდ გაგვახსენდება:

სუფსა — მდინარე გურიისში (აქედან: დაბის სახელიცაა). ივანე-რაულდება: სურ-ფსა, სადაც სურ- უკავშირდება ტომონიმს სურ-ებ-ი: -ებ მიიჩნევა მრავლობითობის ფორმანტად (ს.ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 118) .

რალაა მეორე ელემენტი — „ფსა“?

(ბსი||ფსი||ფსგ) ყაბარდოულად ეწოდება „წყალს“.

ერთი და იგივე ძირი: ფსგ ყაბარდოულად ნიშნავს „წყალს, მდინარეს...“

ფსე — „სულს, სულიერებას, ცხოველურ ძალას“ (ივ.ჭავჭავაძის იხსენებს, იქვე, გვ. 35).

აი, აქ ხდება საინტერესო დაკავშირება.

უძველესი რწმენა — სიცოცხლე უკავშირდება წყალს.

ძველ მითოლოგიაში ეს კავშირი აშკარადაა წარმოჩენილი.

ძველი ჩინეთი: ძველად იყო ქაოხი.

შემდეგ ჩნდება ციური სული ცზიუდლინი.

თავდაპირველად იგი იყო მდინარის ხული.

(Юань Кэ, Мифы древнего Китая, М., 1965, с.35).

მას უკავშირდება მითი მდინარე ხუანხეს წარმოშობის შესახებ: ხუანხეს ელობებოდა კლდე ხუაშანი. ცზიუდლინმა გააპო კლდე და მდინარეს გზა მისცა.

ეს თქმულება ზუსტ ანალოგიას პოულობს ძველ აღთქმაში დადასტურებულ მოსეს თქმულებასთან: მან კვერთხი დაჰკრა კლდეს

---

<sup>1</sup> სურ- ელემენტი დამოწმებულია შემდეგ სახელებში: ხურ-ამ-ი (→ ზურაბი) ლეგენდა

ხევ-ხურ-ეთ-ი

შდრ.: სურ-ი

მეგრ. შური-ი (-სული, სუნთქვა, სუნი)

და წყურვილი მოუკლა ხალხს.

**შუმერი:** „მთელი ქვეყნიერება მხოლოდ ზღვა იყო“.

წყალი ორბუნებოვანია: მლაშე წყალი — თიამათი — მდედრია, მტენარი — აპსუ — მამრი (**ზ.კიკნაძე**, შუამდინარული მითოლოგია, 1979, გვ. 62-63).

**ეგვიპტე:** ყველაფრის საწყისია ქაოსური მორევი.

**ხაბერძნეთი:** ჰომეროსთან კოსმიური მდინარე ოკეანოსი მიჩნეულია ღმერთებისა და, საერთოდ, ყველაფრის საწყისად.

**ძველი აღთქმა:** წიგნი დაბადებისა: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცად და ქუეყანად. ხოლო ქუეყანად იყო უხილავ და განუმზადებელ და ბნელი ზედა უფსკრულთა. და ხული ღმრთისად იქცეოდა ზედა წყალთა... და თქუა ღმერთმა: „იქმენინ სამყარო შორის წყლისა და იყავნ განმყოფელ შორის წყლისა და წყლისა. და იქმნა ეგრეთ. და განყო ღმერთმან შორის წყლისა, რომელი იყო ქუეშე კერძო სამყაროდსა და შორის წყლისა ზედა კერძო სამყაროდსა“ (**მუხლი 1-2, 6-7**).

აქაც, როგორც ვხედავთ, ყველაფერი წყალთანაა დაკავშირებული. სიმბტომურია ეს გამოთქმაც: „და ხული ღმრთისად იქცეოდა ზედა წყალთა“. აქ შეფარულადაა წარმოდგენილი ხულისა და წყლის ერთობა — ორსახეობა ერთისა.

(შემთხვევითი არაა ამის გამო, რომ წყალი, როგორც საწყისი, ფილოსოფიურ მოძღვრებებშიც აისახა.

ძველი ბერძენი (**მცირეაზიელი**!) ფილოსოფოსი — თალესი — საწყისად თვლიდა წყალს — ზღვას ( *ὕδωρ* ).

აი, ეს აზრი, ეს მითი აისახა კავკასიელი ხალხების აზროვნებაში, რაც ზოგიერთ შემთხვევაში აისახა ენაშიც. ამის ნიმუშია ყაბარდოული ფხე „სული“ და ფხე „წყალი“.

ესაა ენისა და კულტურის ურთიერთობის ერთი ნათელი ნიმუშთაგანი.

წყალთან დაკავშირებული წარმართული რიტუალები საქართველოში:

- 1) წმინდა ილორის დღესასწაულზე ზღვიდან ამოდის ხარი.
- 2) ლაზარობა.
- 3) ყვენობა — მთავრდება ნეფე-დედოფლის წყალში გადაყრით.

სწორედ ამას უნდა უკავშირდებოდეს ილიას მიერ ნახსენები წყალ-ი → წყალ-ობ-ა (ხა-წყალ-ი — „ვისაც წყალი სჭირდება“, მო-წყალ-ე — „ვინც წყალს ფლობს“...).

გავიხსენოთ ქართული ზღაპრების ერთი ხიუჟეტი: გველ-ვეშაპი წყალს დაჰპატრონებია. წყლისთვის მსხვერპლად ითხოვს ცოცხალ ადამიანს, ანუ: ადამიანის ხულში ცვლის წყალს.

ყველაფერი ეს არის მითოლოგიური ტრანსფორმაცია ადრეულ კოსმოსური წარმოდგენებისა.

შემდეგ, დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიში დამოწმებულია -ყვა ელემენტი: მალთა-ყვა.

ეგ -ყვა უკავშირდება ადიღეურ -ყვა'ს — ღელე, ხევი.

(-ყვა — „ძე“ გვარებში: ინგორო-ყვა, თალა-კვა-ძე, ჰანუ-ყვა-ძე, რო-ყვა და მისთ.).

შემდეგ: არგვეთში ბჟინეგო. იხსნება ჩერქეზულის საშუალებით: ნიორი (თეთრი ხახვი).

ზანა: ნართ. ზან-ი — ნართების წყალი (||მდინარე). (ალანზანი → ალაზანი) ზანა მდინარის სახელად დამოწმებულია დასავლეთ საქართველოში.

გათვალისწინებულ იქნა -ხ-ი დაბოლოებიანი სახელები (კოლ-ხ-ეთ--ი, ტაო-ხ-ი...).

ასეთი დაბოლოებით სახელები მრავლად გვხვდება მცირე აზიაში, ურარტუსა და საქართველოში. ამიტომ: მონათესავე ქართველური და სკვითურ-სარმატული (აფხაზურ-ადიღეური და ნახურ-დალესტნური) ტომები თავის გვიანდელ ადგილსამყოფელში შეიძლება მოხვედრილიყვნენ მხოლოდ სამხრეთიდან (ივ.ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მანკობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, 1950, გვ. 250). ეს მიგრაცია უნდა დასრულებულიყო ჩვ.წ.-მდე VII საუკუნეში.

ეს იყო ქართველური ტომების პირველი დიდი მიგრაცია (პირველი — ისტორიაში დამოწმებული).

მეორე — უკვე ჩვენი წ.აღ.-ის VII საუკუნეში მოხდა. დაკავშირებულია არაბობასთან. ქართლის მკვიდრნი გადასახლდნენ მცირე აზიასა (ტაო-კლარჯეთი) და დასავლეთ საქართველოში. აქარა, გურია, იმერეთი — ასე წარმოიქმნა. ადრე ეს ტერიტორია ეკავა მეგრულ-ჰანურ ტომებს, რაზედაც ასევე ტოპონიმი მიგვანიშნებს.

ზანური (კოლხური, მეგრულ-ჰანური) ფენა დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიში: ჭიხაიში (-ციხისი), მუხური (-კუთხე), ჭუმათი (-საძმო, თუ ღვთაების სახელი — ჭუმაშხაში („ოთხშაბათი“) რომ გვაქვს.

<sup>1</sup> ვ.ნოზაძის დებულებანი (წყლის კულტის შესახებ).

სწორედ გეოგრაფიული სახელწოდებების ანალიზის საფუძველზე უტყუარად არის დამტკიცებული, რომ დასავლეთ საქართველოში ამჟამინდელი იმერეთის, ლეჩხუმის, რაჭის, გურიის, აჭარის ფარგლებში საკმაოდ ვრცელ მონაკვეთებზე მეგრულ-ჭანები, ხოლო რაჭისა და ლეჩხუმის ტერიტორიის ერთ ნაწილზე სვანები სახლობდნენ. ამაზე მიაინიშნებენ ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა: ოჩხამური, ჭუმათი, ჭიხაიში, მუხური, აგრეთვე: ლაილაში, ლასური-აში, წუდილაში, ლახარჩვალი, უცხანდერი და სხვანი.

იგ.ჯავახიშვილის თვალსაზრისს დაუპირისპირდა ს.ჯანაშიას მოსაზრება: ქართველების თავდაპირველ საცხოვრისს საქართველოს თანამედროვე ტერიტორია წარმოადგენდა. ს.ჯანაშიამ უარყო თვალსაზრისი ქართველების მიგრაციის შესახებ. ამ ვარაუდის მიხედვით, დაახლოებით 6.000 წლის წინათ წინა აზიისა და სამხრეთ ევროპის უზარმაზარ ტერიტორიაზე (კავკასიაში, მცირე აზიაში, ბალკანეთის, აპენინისა და პირენეის ნახევარკუნძულებზე) ერთი მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ. მათი საცხოვრისი თანდათან იზღუდებოდა. ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დასაწყისი საუკუნეებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა კულტურის ორი წრე — აღმოსავლური და დასავლური. მას შემდეგ, რაც ძვ.წ. აღ-ის VI საუკუნისათვის განადგურდა ურარტუს სახელმწიფო, სახელმწიფოებრივმა ცენტრებმა ჩრდილოეთისაკენ გადმოინაცვლეს. აქ ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოები: **კოლხეთი და იბერია.**

ამან დასვა საკითხი უძველესი ხალხების პირინეის იბერების, ეტრუსკების, პელაზგების, შუმერების, ხეთების, სუბარების (ხურიტების), მუშქების, თაბალების, ქართველების, სხვა კავკასიელი ხალხების გენეტიკური ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ე.ი. საქართველო დაუკავშირდა: **ჩრდილოეთით — კავკასიელ ტომებს, სამხრეთით — წინააზიურ ტომებს, დასავლეთით — ხმელთაშუა ზღვის აუზის უძველეს ხალხებს.**

ს.ჯანაშიას კონცეფციის საფუძველი გახდა „XIX ს. დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში პოპულარული იდეა ქართველთა მონათესაობის შესახებ ძველი აღმოსავლეთის მთელ რიგ ხალხებთან“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970, გვ. 327).

\* \* \*

ამჟამად, ზოგიერთი მეცნიერის მიხედვით, პრობლემატურადაა მიჩნეული არა მხოლოდ გენეტიკური კავშირი ქართველებისა წინა



აზიის ძველ ხალხებთან, არამედ მთის კავკასიელ ხალხებთანაც კი.

ზოგი მკვლევრის თვალსაზრისით კი, პირიქით, გენეტიკური კავშირი უფრო ვრცელ რეგიონსაც მოიცავს.

\* \* \*

ამჯერად ჩვენ ეს კავშირი ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით გვანტერესებს.

ა) რომელ კულტურებს განეკუთვნებოდა ქართველი ხალხი ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

ბ) რა აისახა ამ თვალსაზრისით ქართულ ენაში?

რასაკვირველია, ცალკეული სიტყვების სესხება ვერ გაარკვევს რომელიმე კულტურისადმი მიკუთვნების საკითხს.

უძველესი რწმენა, ასახული თვით ენობრივ მსოფლხედვაში — აი, რა გვანტერესებს ჩვენ ამჯერად.

**იმ რიგისა, ყაბარდოულმა რომ დაამოწმა: ფხე და ფხგ (წყალი და სული).** X

## § 25. რა არის საჭირო ამისთვის?

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა უძველესი, საერთო-ქართველური მონაცემის გამოკვლევა **ლექსიკისა და გრამატიკის** დონეზე. ამიტომაც **ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების** კვლევა უშუალოდ ემყარება ენის, როგორც იმანენტური მონაცემის, კვლევის შედეგებს.

ამ თვალსაზრისით ბევრი ფასეული რამ მოგვეპოვება ქართულის შესახებ არსებულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

მეტ-ნაკლებად წარმოჩენილია უძველესი ქართველური გრამატიკული სისტემა, დადგენილია უძველესი ლექსიკა (**ანწლ-ი, ვაშლ-ი, მარწყვ-ი... არჩვ-ი, დათვ-ი, კვერნა, თხა...**).

ნებისმიერი ამჟამად არსებული ენა ხანგრძლივი ისტორიის მქონეა. ამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იგი გამოიყენებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმაციის პირობებში.

ყოველი საზოგადოებრივი ფორმაცია უშუალო ზეგავლენას ახდენს ცნობიერებაზე. ივლისსხმება: ყოველი საზოგადოებრივი ფორმაცია განსაზღვრავს აზროვნების ტიპს, ყაიდას. აი, სწორედ ეს აისახება შესაბამისად ენაში. ამდენად, ენისა და საზოგადოებრივი ფორმაციის ურთიერთობა გაშუალებულია ცნობიერებით: ენაში მხოლოდ ის მოვლენები აისახება, რომლებიც ცნობიერების გზით შეაღწევენ მასში, ანუ: რომლებიც გაცნობიერებული არიან. გაცნო-

ბიერება კი ყოველთვის გარკვეულ შეფასებას გულისხმობს. ამიტომ არც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა უშუალო დანაშრევის სახით იქნება წარმოდგენილი ენაში, მისი ენობრივი გამოხატვა ყოველთვის გარკვეული გააზრების შედეგია. ეს კი ნიშნავს, რომ არსებობს „ენობრივი რეალიზმი“, როგორც ამა თუ იმ ისტორიული ფორმაციის შესაბამისი საზოგადოებრივი ცნობიერების გამოხატულება. ამიტომაც, როცა ვლაპარაკობთ ამა თუ იმ ეპოქისათვის ნიშანდობლივი რეალიების ენობრივ გამოხატულებაზე, უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ცნობიერების ენობრივი ხორცშესხმა იგულისხმება. საზოგადოებრივი ცნობიერება კი არსებითად სხვა არა არის რა, თუ არა ამა თუ იმ საზოგადოების გაცნობიერებული სულიერი სამყარო.

აქვე შევნიშნავთ: ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ენაში ყველაფერი მხოლოდ ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმაციისათვის დამახასიათებელი რეალიებით იყოს შეპირობებული. პირიქით, ეს მხოლოდ დანაშრევია იმაზე, რაც ენის არსს შეადგენს და რაც შეიძლება განისაზღვროს, როგორც მითოსური აზროვნების გამოვლინება. რა თქმა უნდა, „მითოსური აზროვნება“ აქ ძალიან ფართო გაგებით იგულისხმება. არსებითად ესაა გარესამყაროს კონკრეტულ მოვლენათა აღქმა სიმბოლური განზოგადებების სახით და მათი გარდაქმნა შესაბამის გამოხატულებებად.

„თუკი მითოსი თავის საზრისს ურიცხვი წარმოდგენებისა და სიმბოლოების მიღმა მალავს, ფილოსოფიის ამოცანა მისი გამჟღავნებაა“, — აღნიშნავდა ერნსტ კასირერი.

იგივე ითქმის იმ მეცნიერებათა შესახებაც, რომელთაც ენის შესწავლა დაუსახავთ მიზნად და უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ენათმეცნიერების შესახებ.

ამის კვალობაზე, ნებისმიერ ენაში პირობითად შეიძლება გამოიყოს ორი ფენა: მითოსური და ისტორიული. პირველი ასახავს სიმბოლოებად გარდაქმნილ გარესამყაროს, მეორე ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმაციისათვის დამახასიათებელ რეალიებს აქცევს ენობრივ სინამდვილედ.

ეს ორი ფენა არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი, სავსებით თავისთავადი მონაცემები. პირიქით, მათი მჭიდრო ურთიერთკავშირი, მეტიც — ურთიერთშეპირობებულობა — აშკარაა ენის ფუნქციონირების ყველა ეტაპზე და დონეზე.

შეგნიშნავთ, რომ ენის ფუნქციონირების ეტაპი საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ საფეხურს გულისხმობს, დონე — კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში არსებული სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენისათვის ნიშანდობლივ მსოფლხედვას — დაწყებულს ფილოსოფიური აბსტრაქციებით და დამთავრებულს ყოველდღიური ყოფითი რეალიებით.

ეს კი უფლებას გვაძლევს განვსაზღვროთ მითოსური აზროვნება, როგორც იდეოლოგიური ბაზისი ისტორიული მოვლენების აღსაქმელად და გასაცნობიერებლად.

ყველაფერი ეს გამოიხატება ენით და მხოლოდ ენით. ამიტომაც ამ თვალსაზრისით ენა უნდა განისაზღვროს როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა.

ამ ზოგადი მსჯელობის შემდეგ ისლა დაგვრჩენია, რომ შევეცადოთ კონკრეტული ნიმუშების საფუძველზე ავხსნათ ამა თუ იმ ისტორიული რეალიის ენობრივი წარმოსახვის მიზეზი და საფუძველი.

ცხოველთა სამყაროს სხვა წარმომადგენელთაგან განსხვავებით, ადამიანი არ არის დამოკიდებული მხოლოდდამხოლოდ მატერიალურ გარესამყაროზე, რასაც უფრო ხშირად ბუნებას უწოდებენ. ერნსტ კასირერი სწორედ ასე აყალიბებს ამ აზრს: „ადამიანი აღარ ცხოვრობს მხოლოდ ბუნებრივ სამყაროში“. იმანუილ კანტი აღნიშნავდა: „ძველი ხალხები უფრო ახლოს იყვნენ ბუნებასთან; ჩვენ ბუნებისაგან გვაშორებს ბევრი წვრილმანი, ყოველგვარი ზედმეტობანი და მონური ზადიანობა“. ამიტომაც იგი მეტ მშვენიერსა და ამაღლებულს ხედავდა უძველეს ხელოვნებაში, ზნე-ჩვეულებებსა და სახელმწიფოებრივ წყობაში.

მართალია, ძველი ადამიანი უფრო მეტად იყო ბუნების შვილი, ანუ: უფრო მეტად იყო დამოკიდებული უშუალოდ ბუნებაზე და ამიტომაც მისი აზროვნებისა და ცხოვრების ყაიდას უფრო მეტად განსაზღვრავდა ბუნებითი მოვლენები, მაგრამ კაცობრიობის სულიერი ამაღლება იმით გამოიხატა, რომ ადამიანის არსობის განმსაზღვრელი სულ უფრო მეტად ხდებოდა კულტურის მონაპოვარი, ანუ, ის, რაც თვით ადამიანის აზრისა და შემოქმედების ნაყოფი იყო: ენა, რწმენა და მატერიალური ფასეულობანი. ენა — როგორც ნააზრევის უზენაესი გამომხატველი, რწმენა — როგორც სამყაროს გაცნობიერებისა და სულიერი აღზევების საფუძველი, მატერიალური ფასეულობანი — როგორც შედეგი ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობისა, როგორც სულიერ მისწრაფებათა ხორცშესხმა.

ი.კანტი ამტკიცებდა: „ამა თუ იმ ხალხის სულიერი სამყარო ყველაზე უკეთ ამოიცნობა იმით, თუ რა არის მათში ზნეობრივი“. სულიერი სიძლიერის ნიშანი სიკეთეა („ძლიერი ადამიანი კეთილია“). აი, აქედან ამოსვლით უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ ხალხის, არამედ ყოველი ადამიანის ნააზრვეიც და ნამოქმედარიც. ეს კი ყველაზე უკეთ ხერხდება იმ ისტორიული გზისთვის თვალის გადევნებით, რომელიც ამა თუ იმ ერს გაუვლია.

განსაზღვრავდა რა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის მიზანს, არნ.ჩიქობავა შენიშნავდა: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მიზნად ისახავს შეისწავლოს იბერიულ-კავკასიური (პალეო-კავკასიური) ენები სათანადო ხალხთა კულტურისა და კულტურის ისტორიასთან კავშირში და იმ ენობრივ აზროვნებასა და აზროვნების ისტორიასთან კავშირში, რომელსაც ხორცი შეუსხამს ამ ენებში. შეისწავლო ენა, მისი აწმყო და წარსული კულტურასა და მის ისტორიასთან კავშირში, აზროვნების კატეგორიებსა და მათ განვითარებასთან კავშირში — ეს ნიშნავს, შეისწავლო ყველაზე არსებითი, ყველაზე ფასეული, რაც გვაქვს ენაში, როგორც საზოგადოებრივ მოვლენაში“.

პრობლემა, როგორც ვხედავთ, არსებითი ღირებულებისაა და მრავალი ასპექტის მომცველი.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემის ზოგადი სურათისა და იმავდროულად პერსპექტივის საჩვენებლად ქვემოთ მხოლოდ რამდენიმე მომენტს შევეხებით.

ისტორიული მოვლენების ახსნის ცდა ენაში დანაშრევი მონაცემების საშუალებით, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებული აღმოჩნდა ამა თუ იმ ხალხის წარმოშობისა და მისი თავდაპირველი საცხოვრისის გარკვევასთან.

ამგვარი ცდანი ქართულ პუბლიცისტურ თუ სამეცნიერო ლიტერატურაშიც მრავლად მოგვეპოვება...

მეორე პრობლემა, რომელსაც ენობრივი მონაცემების საფუძველზე ისტორიულ მოვლენათა კვლევა მოიცავს, გულისხმობს იმ გარემო-პირობების შეძლებისდაგვარად დადგენას, რომელშიც სხვადასხვა პერიოდში ცხოვრება უხდებოდა ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს.

ჩვეულებრივ, ამ მიზნით იკვლევენ გეოგრაფიული გარემოს, ფლორის, ფაუნის, შინამრეწველობის, სამეურნეო საქმიანობის ამსახველ ლექსიკას. ამ მხრივ საკმაოდ მდიდარ მასალას გვაწვდის ქართული ენა (და, საერთოდ, ქართველური ენები).

ქართული ენის უძველეს ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება ცხოველთა სახელები: **ხარი, ღორი, ფური, თხა, ცხვარი, ქათამი, ძაღლი...** ასევე: **მგელი, დათვი, მელა, კვერნა, არჩვი, შველი, მერცხალი...** ყველა ამ ფორმას ზუსტი შესატყვისები აქვს სხვა ქართველურ ენებში (მეგრულ-ჭანურსა და სვანურში). ეს ნიშნავს, რომ ცხოველთა სამყაროს ეს წარმომადგენლები იმთავითვე იყვნენ ცნობილი საქართველოში. ქართულ ნიადაგზეა წარმოქმნილი აგრეთვე სახელწოდებები: **ბელურა** (მდრ.: **ბელელი**), **ჭივჭავი, ჭინჭრაქა, გუგული...** **ორაგული, წვერა...**

სხვა ენებიდანაა ნასესხები: **ლომი, ვეფხი** → **ვეფხვი, ფოცხვერი, არწივი, ბულბული, ყანჩა** და სხვ.

ცხოველთა სახელწოდებებისგან განსხვავებით, სადაც მრავლად ვხვდებით ნასესხობებს, მცენარეთა სახელწოდებების აბსოლუტური უმრავლესობა ქართული წარმოშობისაა: **მსხალი, გაშლი, ანწლი, მარწყვი, თხილი, წიფელი, ტყემალი, წაბლი, ცაცხვი, წყავი** და მრავალი სხვა. ივარაუდება, რომ ამ შემთხვევებში მცენარეთა ენდემურ ჯიშებთან გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, ნასესხობანი აქაც დაჩნდება: **მუხა, აბზინდა, აკაცია, ბალბა, უნაბი** და სხვანი. აქ არ იგულისხმება ის მცენარეები, რომლებიც შემდეგ არის შემოსული საქართველოში თავის სახელწოდებიანად: **ლიმონი, ეგკალიპტი, ხოია** და მისთ. ზოგჯერ უცხო სახელები ჰქვიათ აშკარად უძველესი პერიოდიდან ჩვენთან გავრცელებულ მცენარეებსაც. და აი, აქ ერთი რამ არის საგულისხმო: განსხვავებით ცხოველთა სახელწოდებებისაგან, რომელთაც შედარებით იშვიათად მოეპოვებათ დიალექტური ნაირსახეობანი (**ლოქო** და **ღლაგი, კოდალა** და **ხეაკუნა** და მისთ.), მცენარეთა სახელები უმეტეს შემთხვევაში რამდენიმე დიალექტური ვარიანტით არის წარმოდგენილი. ეს ეხება საქართველოში გვიან შემოსულ მცენარეებსაც. მაგალითად, სოიას იმერეთში **ძაძახ** ან **უხარშავას** ეძახიან, რაჭაში — **ძაძა-ლობიოხ** და ა.შ. **ბალბა** ქართულად **ჩიტბურაა**, მესხურ-ჩავახურად **კორკოტინა**, გურულ-იმერულად **მოლოქი** ან **მოლოქა...** აკაციას **ეკლის ხეს** ან **ლობიოეკალას** უწოდებენ და ა.შ.

სამეურნეო დანიშნულების მქონე საგანთა უძველესი ქართველური სახელწოდებებია: **ბელელი, ბაგა, ბადე, საბძელი, ბოხელი, კვერი, ჭვევრი/ჭური, კეცი, შეშა, ნახშირი** და სხვ.

ქართველურ ენებში დაჩნდება სამეურნეო საქმიანობის აღმნიშვნელი უძველესი ზმნები: **ხნავს, თოხნის, თესავს, რგავს, აგზნებს** (ყეცხლს). **აგბობს** (ძველი ქართული ფორმაა. „ხარშავს“), **მკის,**

რთავს (ძაღვს) (← სთავს), თხრის, აგებს (სახლს), ფქვავს, რეცხავს, თიბს/თიბავს, ღებს/ღებავს, ქსოვს (შდრ.: ქსელი), ამყნობს, ჰედს/ჰედავს და სხვ.

ეს ძალზე მცირე, თვალის ერთი გადავლებით დაძებნილი ლექსიკაც გარკვეულ შთაბეჭდილებას შეგვიქმნის იმ გარემო-პირობებზე, რომელშიც ცხოვრება უხდებოდა საქართველოს უძველეს მკვიდრს, ზოგადად მაინც წარმოგვიჩენს იმ საქმიანობას, რომელსაც იგი ეწეოდა...

ამით კი შესაძლებლობა გვეძლევა ძირითად კონტურებში მაინც (თუ სრულად ვერა) წარმოვსახოთ კულტურის ის დონე, ჩვენს უშორეს წინაპარს რომ ჰქონდა.

განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ამ თვალსაზრისით ზოგი სიტყვის ეტიმოლოგია. საქმე ისაა, რომ სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ჩვეულებრივი მოვლენაა ენაში. ამის კვალობაზე, დღეს შეიძლება სულ სხვა მნიშვნელობით ვიყენებდეთ იმ სიტყვას, რომელიც ოდესღაც მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ცნებას გამოხატავდა.

ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა **წერა**. წერ-ფუძე დაჩნდება სიტყვებში **მწერო**, **წერაქვი**. რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ფუძის უძველესი ლექსიკური მნიშვნელობა არ უნდა ემთხვეოდეს ახლანდელს. და, მართლაც, როგორც ეს დამაჯერებლად იქნა გარკვეული, **წერ-** ისტორიულად „კვეთას, ჩხვლეტას, კრას“ აღნიშნავდა. ამის კვალობაზე, **მ-წერ-ი** თავდაპირველად ნიშნავდა: მ-ჩხვლეტ-ი, ანუ: მ-წერ-ი არის ის, ვინც ან რაც ჩხვლეტს, **წერაქვ-ი** ისაა, რაც კვეთს, კრის... თვით ზმნური ფუძე **წერ-** აღნიშნავდა რამეზე ამოკვეთას, ამოკრას, საიდანაც განვითარდა ახლანდელი მნიშვნელობა: „ასო-ნიშნებით გადმოსცემს რაიმე აზრს, შინაარსს; ქმნის, თხზავს წერილობით (ლექსს, მოთხრობას)“.

„**წამი**“ ამჟამად დროის უმცირეს ერთეულს აღნიშნავს, მაგრამ ისტორიულად იგი გამოხატავდა მნიშვნელობას „ძალიან მცირე, წვრილი რამ“, რაც ნაწილობრივ დღესაც დაჩნდება ფორმებში **წამწამ-ი** (ფუძეგაორკეცებით მიღებული სიტყვაა), ლერ-წამ-ი (← ლელ-წამ-ი, შდრ.: ლელ-იან-ი). ზემოხსენებული სიტყვის სემანტიკური ცვლა იმით არის საინტერესო, რომ აზროვნების უძველეს ტიპს წარმოგვიჩენს, როცა დროის მონაკვეთების აღქმა სივრცის აღმნიშვნელი ცნებებით ხდებოდა. ჩვენ დღესაც ვიყენებთ ამგვარ გამოთქმებს: **ორი ხათის წინ, ხამი ხათის შემდეგ** (შდრ.: **ორი კაცის წინ, ხამი ხახლის შემდეგ**), **ორი წლის მანძილზე** (შდრ.: **მანძილი ორ ხეს შორის**) და მისთ.

„ჯანა“ ნიშნავდა „მიწას, ადგილს“. შემდეგ მიიღო მნიშვნელობა: „სახნავ-სათესი მიწა, ადგილი“, აქედან კი: „მარცვლეულის ნათესი“. ძველი მნიშვნელობით იგი დაცულია სიტყვაში „ქვეჯანა“, რომელიც ზედმიწევნით „ქვემო მიწას, ადგილს“ ნიშნავს. აქედან კი, თავის მხრივ, განვითარდა მნიშვნელობა „მხარე → სახელმწიფო“ (შდრ. ქვე-სკნელ-ი, ზე-სკნელ-ი). შემდეგ კი, ზოგიერთ დიალექტში, მიიღო მნიშვნელობა „ბევრი, მრავალი“. მაგალითად, გურული რომ იტყვის, „ქვეყნის ხალხი იყო“, გულისხმობს „ბევრ, მრავალ ხალხს“.

ძველი და ახალი მნიშვნელობით სხვა სიტყვებიც თანაარსებობს ქართულში. ასეთია „ცხედარ-ი“. რომელიც ძველ ქართულში ნიშნავდა: „ტახტი, ლოჯინი, საკაცე“. ამ მნიშვნელობითაა იგი დამოწმებული ძველ წერილობით ძეგლებში, მათ შორის სახარებაშიც: „ალილე ცხედარი შენი და წარვედ“, ან: „რომელ იდვა ცხედარხა ზედა“ და სხვანი. შემდგომ ამ სიტყვამ მნიშვნელობა იცვალა და ამჟამად აღნიშნავს: „მკვდარი ადამიანის სხეული, გვამი“ („ცხედრის გაპატიოსნება“). სხვათა შორის, „ცხედარი“ და „გვამი“ ამჟამად სინონიმებია, ძველად „გვამსაც“ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა: „ხორცი, სხეული, ტანი, სული“ („დაიბანოს წყლითა ყოველი გუამი მისი || სხეული || ტანი მისი“). ორივე ამ სიტყვის ასეთი სემანტიკური ცვლა ტაბუირების შედეგია. იმავდროულად ძველი მნიშვნელობით ცხედარ-ი შემორჩა შედგენილ სიტყვას „თანამეცხედრე“, სიტყვასიტყვით: „თანამელოჯინე“, ანუ: „ის, ვინც ლოჯინში გიწევს“, იგივეა, რაც: „ცოლი“; შდრ.: „იგია თანამგზავრი ჩემის ცხოვრების, თანამეცხედრე“ (ვ.ბარნოვი).

ცნობილია, რომ ქართველთა ისტორიის, უძველესი ყოფის გამოსაკვლევად ქართული ენის ფაქტებს ხშირად იყენებდა ილია ჭავჭავაძე.

მაგალითად, „მიცვალება“, „მიცვალებული“, „გარდაცვალება“ სიტყვებს ილია იმ თვალსაზრისით დაუინტერესებია, რომ მათში დაჩნდება, „თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან“, კერძოდ, ქართველის რწმენით, სიკვდილი ნიშნავს „არა სრულიად გაარარებას, არამედ სხვა სახედ გადასვლას“.

სიტყვები „გათხოვება“, „მითხოვება“, ილიას დასკვნით, იმაზე მიგვანიშნებს, რომ „უწინდელი ქართველის ცოლის შერთვაში „თხოვებას“ რალაც ადგილი სჭერია. განა ეს სიტყვა არ ასურათებს პირველყოფილ ქართველს ცოლქმობის შესახებ“. რა თქმა უნდა, ამგვარი გააზრება ქორწინებისა, მხოლოდ ქართულში არ იჩენს თავს. მაგალითად, გამოთქმა „ხელი სთხოვა“, მრავალ ენაში არის დადას-

ტურებული, მაგრამ თავისთავად უთუოდ საყურადღებო ფაქტია ქართულშიც მისი არსებობა, რაც უთუოდ მიგვანიშნებს ადამიანის ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვანი რიტუალის თავისებურ გააზრებაზე.

ქრესტომათიულ ჭეშმარიტებად არის აღიარებული ილიასეული ანალიზი „დედა“ სიტყვისა, რომელიც შემადგენელ ელემენტად დაჩნდება ფორმებში **დედამიწა**, **დედაბოძი**, **დედაკაცი**, **დედაენა**, **დედაქალაქი**, **გუთნისდედა**...

განსაკუთრებით ხელშესახებად ისტორიული და ყოფითი რეალიები დაჩნდება ხატოვან გამოთქმებში<sup>1</sup>.

მაგრამ იმ დისციპლინისათვის, რომელსაც ეწოდება „ენა და კულტურა“, ეს ყველაფერი იქნება მხოლოდ მასალა.

**საჭიროა დამუშავდეს ამ მასალის კვლევის სპეციფიკური კრიტერიუმები და პრინციპები.**

§ 26. ამ თვალსაზრისით ფრიად ფასეული მონაცემებია წარმოდგენილი ივ.ჯავახიშვილის ნაშრომებში. ივ.ჯავახიშვილმა შეძლო (და ფრიად წარმატებითაც!) ერის ისტორიასა და კულტურასთან დაეკავშირებინა ამავე ერის დედაენის მასალა.

ერთი ნიმუში (**ფხვი|ფხვ**) ზემოთ უკვე იყო დასახელებული.

სხვა ნიმუშები მრავლადაა „**ქართველი ერის ისტორიაში**“. განსაკუთრებით მაშინ, როცა ქართველთა წარმართული პანთეონია განხილული.

### § 27. რა შედეგს იძლევა ენათა კონტაქტები?

ენათა კონტაქტებმა შეიძლება მოგვცეს დადებითი შედეგიც და უარყოფითიც<sup>2</sup>. უარყოფითი იმიტომ, რომ არ არის გამორიცხული ენის დანაგვიანება უსარგებლო ბარბარიზმებით. არც ხელოვნური, არასაჭირო კალკების შექმნაა გამორიცხული. მაგრამ დროთა განმავლობაში ენა ასრულებს თვითგანწმენდის მისიას. სხვათა შორის, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამ თვალსაზრისით პოლიტიკურ სიტუაციასაც: თუ ეროვნული სულისკვეთება სათანადოდაა წარმოჩენილი, მაშინ ენისადმი გონივრული დამოკიდებულებაც საცნაურია. ამის არა ერთი და ორი ფაქტია დამოწმებული ძველი ქართული ენის ძეგლებში.

დადებით შედეგში იგულისხმება: ა) **ენობრივო ფონდის გამდიდრება მართებული ხესხებით**; და ბ) **ენის შინაგანი პოტენციის ამოძრავება**.

<sup>1</sup> იხ. ქვემოთ, § 36, გვ. 82-85 (რედ.).

<sup>2</sup> იხ. § 14.



ამა თუ იმ ენიდან სიტყვათა სესხებისადმი მიდრეკილებით ვლინდება ერის სულიერი განწყობა.

ცნობილი ფაქტია, რომ სესხების თვალსაზრისით ერი სწორედ იმ ხალხის ენას ერიდება ინტუიციურად, ვისგანაც განიცდის ძალდატანებას.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ფაქტებს იძლევა ჩვენი ისტორია და სინამდვილე.

მუსულმანიზმის ძალმომრეობის ეპოქაში (VIII-XI საუკუნეები) ქართულ ენაში არსებითად არ არის დამოწმებული მასობრივი სესხება აღმოსავლური (სპარსული, არაბული) ენებიდან. მაგრამ აღმოსავლურ სიტყვებს ფართოდ გაეღო კარი მაშინ, როცა ძალმომრეობის საშიშროება აღარ იყო (XI-XII საუკუნეები). საერო ლიტერატურა არსებითად წილნაყარი აღმოჩნდა აღმოსავლურ ლიტერატურასთან.

მაშასადამე, თუ ეროვნული მეობა, ეროვნული სულისკვეთება სათანადო დონეზეა, მაშინ მტრად ნაუღლები ხალხის ენიდან სესხება მინიმუმამდეა შემცირებული.

მაგრამ, თუ მოდუნდა ეროვნული სულისკვეთება, მაშინ ენა უცხო სიტყვათა და ფორმათა აშკარა ძალმომრეობას განიცდის (იხ. XVI-XVIII საუკუნეების საქართველო)...

§ 28. ბუნებრივია, რომ ქართული არა მხოლოდ სესხულობდა სიტყვებს, არამედ გაასესხებდა კიდევ. დავასახელებ რამდენიმე ნიმუშს — ამ ორმხრივი ენობრივი კონტაქტების შედეგს.

ა) **ქართულ-ირანული ენობრივი კონტაქტი** ორმხრივ წარმართა: ჩრდილოეთითა და სამხრეთით.

**ჩრდილოეთით:** ოსური ენა.

**სამხრეთით:** ძველი სპარსული, საშუალო სპარსული ფორმები. აქვე ივარაუდება მიდიური წარმომავლობის ფორმებიც<sup>1</sup>.

**მიდიურად ივარაუდება:** ბაგინი (სამსხვერპლო, წარმართთა სალოცავი ტაძარი. შდრ.: ბაგინ-ეთ-ო), მოგუ-ო, განძ-ო, (ხ-)ბილენძ-ო, (შ)-ასპინძ-ელ-ო... საინტერესოა ამ უკანასკნელი სიტყვის ისტორია. მ-ასპინძ-ელ-ო ქართულად გაფორმებული სიტყვაა: მ - ელ კონფიქსია<sup>2</sup>. ფუძე ასპინძ ნასესხებად ივარაუდება

<sup>1</sup> შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან, I, 1966.

<sup>2</sup> მ - ელ ჩვეულებრივია მიმღობის მაწარმოებლად. რამდენადაა დასაშვები სახელის ფუძისგანაც აწარმოოს ახალი ფორმა? წარმომავლობის სახელები ძველ ქართულში სწორედ ასე იწარმოებოდა:

(მდიურიდან ან საშუალო-სპარსულიდან — პართულიდან): ფალა-  
ური: aspanj - „დასასვენებელი სახლი, სასტუმრო, თავშესაფარი”.  
ეს ფუძეა დაცული ტოპონიმში „ახპინძა”, საზოგადო სახელად კი  
ცალკე არ გამოიყენება, შემოგვრჩა **მასპინძელ**ში (→ დიალექტ.:  
**მაინძელ-ი**).

**ძველი სპარსული**: ვან-ი < \*vahana (< vah „ყოფნა, ცხოვრე-  
ბა”). **აგესტური**: „აგესტა” — ძველი ირანული (ზოროასტრიზმის)  
ლიტერატურული ძეგლი. შედგება 5 წიგნისგან. მოგვეპოვება მისი  
ქართული თარგმანიც (გ.ახვლედიანის): **ეშმა** < aešma „ავი, ბორო-  
ტი, ცოფიანი, მრისხანე”. **დროშა** < drašša.

**პართული**: აბჯარი < apaxar, ამბავი < hambava „მომხდარი  
ყოფილი”; **ჰამბავი** || **ამბავი** გაქართულდა: **მბობ-ა**; ამბოხი <  
hamboh „სიმრავლე, კრებული > არეულობა”, ბუნავი <  
bunak||bunag „სამყოფელი, საცხოვრებელი”, **ბან-ი** < bān „სახლი,  
სახურავი” > **ბანაკ-ი** „ლაშქრის სადგომი” (-აკ იმავე რიგისაა, რაც  
**მუშ-აკ-ი** ტიპის ფორმებში). **ზებური** „კეთილშობილი” (... აზნა-  
ურნი დიდ-დიდნი და **ზებურნი** დედანი... მოვიდეს” <(V)Sepurh  
„გვარის შვილი, სახლის შვილი”.

**საშუალო სპარსული**: **ალაკ-ი** < ārak||ālak „მხარე, გვერდი,  
მიმართულება”. **ბორცვ-ი** < burz „სიმაღლე, მწვერვალი”. **ბუნ-ება**  
< bun „საფუძველი, ძირითადი პრინციპი, საბაზი, ფესვი”<sup>1</sup>.

**ახალი სპარსული**: აივანი, ბალი, ვარჯიში, ზანგი, ზარი, ზეიმი,  
ზიანი, კოშკი (→ ფრანგულიდან რუსულის გზით: კიოსკი), ლაყ-  
ვარდი, მუქარა, მუშტი, ნაბადი, ნაზი, ნამი, ნამუსი, ნიანგი, პერან-  
გი, რაზმი, სევდა, სპილო, ტაშტი, ფოლადი, ქამარი, ქანი, ქარავა-  
ნი, ქარქაში, ქარხანა, ჩანგი, ჩანგალი, ძაბუნი, ქარმაგი, ხალი, ხა-  
ლიჩა, ხორთუმი, ხურმა, ჯადო, ჯავრი, ჯამი, ჯამბაზი, ჯანი, ჯილდო  
და სხვა.

ახლა მივხედოთ ჩრდილოეთ მხარეს.

**სკვითურ-ალანურ-ოსური**. **ა-ბუზ-ვ-ა** < abū zyn||abuzt „გა-  
ბერვა, გადიდება”. **დენ-ა||დნ-ობ-ა** < don „წყალი”, ძვ.ირანული:  
dan შდრ. მდინარე **დონ**ის სახელი. **ეწერ-ი** < xaxar (xag) „უდა-

მ-ეკატ-ელ-ი

მ-ეგრ-ელ-ი

მ-აჩაბ-ელ-ი


მ-არგვ-ელ-ი და სხვა.

**მ-ახპინძელ-ი** 'ახპინძელ'ს ნიშნავდა.

<sup>1</sup> მინდორზე არის მინაწერი: ბუნ-თურქ, ბუნ-აგ-ი.

ბური, უკაცრიელი" <æ-cæræg „უსიკოცხლო“ (ა უარყოფის ნაწილაკი, cæryn „სიკოცხლე“. თარ-||თერ- ინდოევროპული ფუძეა; ოსური: tærɪn/tærɪn „გარეკვა, გაგდება“.

ოსურიდან ჩანს შემოსული ქართულში სიტყვა **ლუდი** (ვ.აბაევი). თვით ოსურში უნდა შესულიყო გუთურიდან (მომთაბარეობისას უნდა შეხვედროდნენ ჩრდილო კავკასიაში):



**ქართულიდან ოსურში შესულად იგარაუდება:** ჭვარი, ქრისტე, ენკენისთვე, პარასკევი... ალუბალი, ქლიავი, კომში, ბია, ნესვი, კიტრი... კოკობი, კუჭი, პარკი, პიტნა, საფანტი, ფუტურო და სხვა.

\* \* \*

**ბ) ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტი.**

**აზერბაიჯანულიდან ქართულში შემოვიდა მომთაბარე მეცხო-**

ველეობასთან დაკავშირებული ლექსიკა: თოხლი, ყოჩი, იალალი, ბულა, ჩობანი, დოლი, კარაქი... აგრეთვე მეთევზეობასთან დაკავშირებული ლექსიკა: დოში, ქვირითი, ხიზილალა („წითელ-ჭრელი“); კერძების სახელწოდებანი: ტოლმა, ბულამა, ყაურმა, ჩიხირთმა, ბოზბაში...

მაგრამ **ქართულიდან** აზერბაიჯანულში შესული სიტყვები უკვე სულ სხვა სემანტიკურ ჯგუფებს განეკუთვნება: გუთანი, მარგილი, ხერხი, ჭიქა, საფერი...

**თურქულიდან** შემოსულად ივარაუდება: ბათქაში, ბაიყუში, ბოლაზი, ბოლმა, თეფში, ფარა, იარალი, იორლა, ლეში, ოთახი, ყაბალახი, ყაბახი, ყადალა, ყავარი, ყაჩალი, ჩაფარი, ჩოხა და სხვა.

### გ) ქართულ-არაბული ენობრივი კონტაქტი.

**არაბულიდან** ნასესხებად ივარაუდება: ბასრ-ი, ბელაური (-ბელუინური; < ბედავი || ბადავი „ბელუინებისა“), დახლი, ადლი, ამანათი, არაყი, ვეჟილი, ექიმი, ეშხი, ზამბახი, ზარალი, ზეთი, თამაში, თარიღი, მანძილი, მასალა, რუკა, საათი, ლალატი, შარვალი, ციფრი, ჭინკა, ხათრი, ხურჯინი, ჯაბანი, ჯარიმა, ჯიში...

### დ) ქართულ-ბერძნული ენობრივი კონტაქტი.

**ხაეკლესიო ტერმინოლოგია**: აიაზმა, ანგელოზი, დიაკონი, ეკლესია, ემბაზი, ეპისკოპოსი, კათალიკოსი, ლიტანია, მარტვილი, მონასტერი, ოლარი, პარაკლისი...

ბევრია ნასესხები ისეთი სიტყვაც, რომელიც არ უკავშირდება ხაეკლესიო ტერმინოლოგიას: ალოე, ანდამატი, ბარბაროსი, დისკო, ზეფირი, თეატრი, იადონი, ისტორია, კალამი, კანონი, კეისარი, კიტრი, კლიტე, ლექსი, ლიტრა, მარგალიტი, მელანი, მუმია, ნექტარი, პალატა, საბანი, სვინდისი, სტაფილო, ტაბლა, ფინიკი, ფასი, ქარაგმა, ქაფური...

### ე) ქართულ-რუსული ენობრივი კონტაქტი.

**რუსული გზით** (via rossica) ქართულში მრავალი ევროპული წარმომავლობის სიტყვა დამკვიდრდა: **აუდიტორია** (და არა: აუდიტორიუმი), რევოლუცია (და არა: რევოლუციო), პროფესია (და არა: პროფესიო) და სხვა.

ნაწილი — **სამეცნიერო ტერმინოლოგია** — უშუალოდ ევროპული ენებიდან იქნა გადმოღებული: **კალიუმ-ი, ნატრიუმ-ი... ბერმანსიგი...**

<sup>1</sup> მინდორზე არის მინაწერი: ბ.ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974, ს.წიქია (რედ.).

საკუთრივ რუსული სიტყვების უმეტესობა ქართულში ბარბარიზმების მდგომარეობაში დარჩა (სტოლი, პოლი, სუმკა...). მხოლოდ ნაწილმა გაიკაფა გზა სალიტერატურო ენაში (ისიც ხშირად „გაქართულებულია“): ფუთ-ი (пуд), ვერსი (верста), კაპიკი (копейка), სამოვარი; ბოლშევიკი, მენშევიკი, კულაკი (-ბობოლა)... უფრო ხშირია აბრევიატურის სესხება: ნეპ-ი (НЭП: Новая экономическая политика), უნივერსამი (Универсам самообслуживания).

\* \* \*

✦ **სხვადასხვა გზით სესხებას ზოგჯერ მოჰყვება** ერთი და იმავე სიტყვის ნაირგვარი ფონეტიკური ვარიანტით შემოღება (რომელსაც ზოგჯერ თან სდევს მნიშვნელობის ცვლა):

**სპარსული:** კოშკი → ფრანგულიდან რუსულის გზით: კიოხ-კი. („პატარა სახლი“)

**არაბული:** ამირბარი → რუსულის გზით: აღმირალი.

**თურქული:** კურტაკი → რუსულის გზით (ბარბარიზმი): კურტკა...

\* \* \*

ნასესხები სიტყვა ენის კუთვნილება ხდება და, ბუნებრივია, სიტყვათწარმოების ჩვეულებრივ წესებს ექვემდებარება:

**ბალ-ი** → ბალ-ებ-ი

ბალ-იან-ი

სა-ბალ-ე

უ-ბალ-ო და ა.შ.

უფრო იშვიათია შემთხვევები, როცა საკუთრივ ქართულ ნივთიერებაზე ხდება ორი სხვადასხვა ენიდან ნასესხები სიტყვის კომპოზიცია:

**ლუდ-ი** — ოსურიდან

**ხანა „სახლი“** — სპარსულიდან → **ლუდ-ხანა...**

ცალკე გამოიყოფა **ინტერნაციონალური სიტყვები**. ესაა ძირითადად ბერძნულიდან და ლათინურიდან (ნაწილობრივ — არაბულიდან) აღებული ფუძეებითა და აფიქსებით შედგენილი სიტყვები.

**ავტომობილი, ბიოგრაფია, ტრანსპორტი, პორტრეტი...**

ბევრ შემთხვევაში ესა თუ ის სიტყვა სულ სხვაგვარი გააზრებით არის ქართულში შემოსული, ვინემ ეს გამსესხებელ ენაშია. მა-

გალითად, „მელანოხ“ ბერძნულად „შავს“ ნიშნავს, ქართულში შავი ფერის საწერ სიტხეს ნიშნავდა, შემდეგ განზოგადდა და ახლა მელანი შავიც შეიძლება იყოს, იისფერიც, წითელიც და მწვანეც.

„ბახრა“ ქალაქია, სადაც სანიმუშო იარაღს ამზადებდნენ, ქართულმა ეს სიტყვა („ბახრი“) გამოიყენა კარგად გალესილი მჭრელი იარაღის ეპითეტად.

„ტაიქი“ ნიშნავს „ტაჯიკურს“, ქართულში კი ფეხმარდი (სახენის აღმნიშვნელია, შემდეგ კი სპორტულ იარაღსაც დაერქვა).

არცთუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა ნასესხები სიტყვა განდევნის ენაში უკვე არსებულ ლექსემას და მის ადგილს იკავებს. ნასესხებმა სიტყვამ „მუხამ“ შეცვალა ოდინდელი ქართული სახელწოდება ამ უძველესი ენდემური მცენარისა. მეგრულად „მუხას“ ეწოდება „ჰყონი“. კანონზომიერ ბგერათშესატყვისობის კვალობაზე მისი ქართული ეკვივალენტი \*„წყანი“ უნდა ყოფილიყო. არნ.ჩიქობავამ ივარაუდა: წყან-ფუძე დაცული უნდა იყოს გეოგრაფიულ სახელწოდებაში წყნ-ეთ-ი (←\*წყან-ეთ-ი), რაც მუხეთს; მუხნარს ნიშნავს: შდრ.: თელა → თელ-ეთ-ი და მისთ. ასე შეიცვალა ძველ ქართულში ფართოდ გავრცელებული სიტყვები „მტილი“, „წალკოტი“ აღმოსავლური ენებიდან ნასესხები სიტყვებით „ბოსტანი“, „ბალი“; ვისესხეთ წარმოებული ფორმაც: „ბალჩა“, რომელიც სიტყვა-სიტყვით „პატარა ბალს“ ნიშნავს. ასევე: ქართული „მოთხვა“ (აქედან: „სამოთხე“) შეიცვალა ნასესხები „სეირი“ ფუძისაგან ნაწარმოებმა სიტყვამ „სეირნობა“. ქართული წარმოების სიტყვა „სამსკუთალი“ შეიცვალა არაბული სიტყვით „მუსმარ“, რომელმაც ფონეტიკური გარდაქმნის გზით თანამედროვე „ლურსმანი“ მოგვცა. ამგვარ სიტყვათა უმეტესობა ზეპირი გზით არის შემოსული, რაზეც ორი რამ მიანიშნებს: ჭერ ერთი, იგი ცვლის უკვე არსებულს (წიგნური გზით სიტყვის შემოსვლისას ასეთი რამ ფრიად იშვიათია, რადგან მწიგნობარი შედარებით ადვილად არკვევს, რისი ეკვივალენტი აქვს მას დედაენაში, და რისი — არა, შედეგიც შესაბამისია); გარდა ამისა, ზეპირი გზით შემოსული სიტყვა ხშირად ფონეტიკურად იცვლება, რომ მსესხებელი ენის ბუნებას მოერგოს. ამის კვალობაზე, მაგალითად, „ლურსმანი“, მართალია, არაბული სიტყვის ფონეტიკური ცვლით არის მიღებული, მაგრამ არაბული აღარაფერი სცხია (არაბი ვერც კი „იცნობს“ მას), უკვე გაქართულებულია თავისი ფორმით.

თუ ენის ხერხემალი მტკიცეა, ხოლო მკვებავი ძარღვი — სისხლსავსე, ლექსიკური ნასესხობანი მისთვის არაერთარ საფრთხეს არ

წარმოადგენენ (რა თქმა უნდა, იგულისხმება საჭირო ნასესხობანი და არა უსარგებლო ან სულაც ზიანის მომტანი ბარბარიზმები).

\* \* \*

**ქართულიდან ზოგი სიტყვის გასესხება ხდებოდა.**

ა) **ოსური** დავასახელეთ.

ბ) **ბერძნულში** ივარაუდება: **მოლი**, **ასფოდელოხ...** (← ასფოთოლა).

გ) **განსაკუთრებით ბევრი აღმოჩნდა ქართულიდან ნახესხები რუსულში.** არსებობს სპეციალური ლექსიკონი-გამოკვლევა: Г.Голетиани, Грузинская лексика в русском языке, Тб., 1972.

ესაა: **ეთნიკური და ტოპონიმიკური ერთეულები:** **Амери**, **Джавახети**, **Картли** და სხვა.

ბ) **ეურძნის ჯიშები:** **Аладастури**, **Брола**, **Горула**, **Крахула** და სხვა.

გ) **მევენახეობასთან დაკავშირებული ლექსიკა:** **Даблари**, **Маглари**, **Талавери**, **Шекелва** და სხვა.

დ) **ხეხილის სახელწოდებანი:** **Горули** **синапи**, **Калос** **вашли**, **Картули** **саадео** და სხვა.

ე) **მარცვლეულის სახელები:** **Аджарули** (სიმინდის ჯიში), **Гоми** (ლომი), **Кахура** (ხორბლის ჯიში), **Мтис-симინდი** და სხვა.

ვ) **კერძების სახელები:** **Гадазелили**, **Гозინაკი**, **Када**, **Квери**, **Купати** და სხვა.

ზ) **მცენარეთა სახელები:** **Аспотела**, **Дзелква**, **Пиримზე** (სარველა მცენარეა) და სხვა.

თ) **მუსიკალური საკრავების სახელები:** **Барбити**, **Гудаствირი**, **Дайра**, **Доли** და სხვა.

ი) **სამოსის სახელები:** **Бандული**, **Каламანი**, **Лечаки**, **Мандили**, **Папанаки**, **Цриაпи** და სხვა.

კ) **საყოფაცხოვრებო ნივთების სახელები:** **Азарпешა**, **Апеური**, **Бага**, **Годორი**, **Доки**, **Канცი**, **Кидобანი**, **Квевრი**, **Матара** და სხვა.

ლ) **ნაშენობათა სახელები:** **Баки**, **Бегели**, **Гомури**, **Дедабодзи**, **Марანი**, **Сасიმინდე** და სხვა.

მ) **დღესასწაულთა სახელები:** **Бослоба**, **Кვირიკობა**, **Мамिताდი**, **Сакорცილო** და სხვა.

ნ) **აღამიანთა ხოციალური დიფერენციაციის აღმნიშვნელი სახელწოდებანი:** **Азнаური**, **Батონი**, **Кма**, **Мебегре**, **Хизანი** და სხვა.

აქ მხოლოდ მცირე მასალაა მოყვანილი.

ამ რიგის ფორმები ძირითადად ქართულიდან ნათარგმნ ლიტერატურაშია დამოწმებული. გვხვდება საქართველოს შესახებ შექმნილ თხზულებებშიც. მაგრამ ზოგი ფორმა ამის გარეშეც იხმარება რუსულში (Тамара და სხვ.).

§ 29. ნასესხები თუ გასესხებული მასალის ანალიზი ნაირგვარი თვალსაზრისით ხდება შესაძლებელი.

ჩვენ სპეციფიკური ინტერესი გვაქვს ამ მასალისადმი.

გვინტერესებს კულტურის თვალსაზრისით.

სწორედ აქედან ამოსვლით ხერხდება მრავალმხრივ საყურადღებო ჯგუფების გამოყოფა.

ერთი თვალის გადავლებით, ქართულში ნასესხები ლექსიკა ასე განლაგდება:

ა) **წარმართობასთან დაკავშირებული ლექსიკა** ძველი სპარსულიდანაა ნასესხები. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ წარმართული პერიოდის რელიგია ძველ სპარსელებსა და საქართველოს იდენტური ჰქონდა. არა, ქართული წარმართობის სპეციფიკა კარგადაა წარმოჩენილი და დასაბუთებული (ჩერ კიდევ ივ.ჯავახიშვილის მიერ). მაგრამ იმავდროულად ცნობილია ისიც, რომ საქართველოს გარკვეულ რეგიონებში სპარსული წარმართობაც იკიდებდა ფეხს, განსაკუთრებით სპარსული ორიენტაციის მაღალ ფეოდალურ წრეში. გარდა ამისა, ქართლის ისტორიიდან ცნობილია, რომ ზოგი კერპი, მცხეთაში სალოცავად არსებული, სპარსული მოდგმის ხალხის მიერ იყო შემოტანილი. აი, ერთი ცნობა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან: არან ქართლის მეფის ძის აზოღს მეთაურობით პირვანდელი სამშობლოდან ქართლში გადმოსახლებულებს „თანა ჰყუნადეს კერპნი ღმერთად **გაცი** და **გა(იშ)**“. ივ.ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ ესაა ორი უძველესი ქართული ღვთაება (ქართ. ერის ისტ. I, 1960, გვ. 98). შემდეგ ქართლის მეფეებს თავთავისი კერპები აღუმართავთ:

ფარნავაზს — არმაზის,  
საურმაგს — ადნინას,  
მირვანს — დანინას,  
ფარნაჯომს — ზადენისა.

ივ.ჯავახიშვილი თვლის, რომ ეს კერპები „ქართველთა თავდაპირველი წარმართობისათვის უცნობი და უცხო ღვთაებანი უნდა ყოფილიყვნენ“ (იქვე, გვ. 99).



**სხვა აზრი:** ყველა ეს ქართული წარმართობის კერებია.

მათ უპირისპირდებოდა ცეცხლთაყვანისმცემლობასთან დაკავშირებული ღვთაებები **ითრუშან** || **ითრუქან** → **ატრუშან** || **ატროშან**: („ქართლის ცხოვრება“) „ქალდეველთა ღმერთი **ითრუქან** და ჩუენი ესე ღმერთი **არშაზ** ყოვლადვე მტერ არიან“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 91-92).

**ხეთური:** Армас - მთვარე და მთვარე-ღმერთი.

(საქ.ისტ.ნარკვ. I, 1970, გვ. 667).

საერთოდ, წარმართობა ნაირგვარი მიმდინარეობისაა. თვით ერთი სახეობაც სხვადასხვა ქვეყანაში სხვაობდა. ქართული და სპარსული წარმართობის ბრძოლის კვალი ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებშიც ილანდება...

ასე რომ, ძველი სპარსული ლექსიკა, დაკავშირებული რელიგიასთან, ქართლში „სპარსული წარმართობის“ დამკვიდრების გამოძახილი ჩანს.

**წარმართობის დანერგვისათვის** — იხ. ქართლის ცხოვრება I, 1955, გვ. 144-145.

ბ) **ქრისტიანობასთან დაკავშირებული ლექსიკა** ძირითადად ბერძნულია. ცნობილია ქართულ წყაროებში დაცული ცნობა იმის თაობაზე, რომ მირიანმა ქართლის მოსანათლად საბერძნეთიდან დაიბარა ბერები. როგორც ჩანს, წირვაც ბერძნულად ხდებოდა თავდაპირველად. ქართულ ენაზე გადასვლა უფრო მოგვიანებით უნდა მომხდარიყო. მაგრამ რელიგიური ტერმინოლოგია ამის შემდეგაც უზვად დაესესხა ბერძნულს. ნიშანდობლივია ამ მხრივ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა: „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო **კურიელემონი ბერძნულად ითქუმის**, რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა-ყავ“, გინა თუ „უფალო, შეგვწყალებნ“. (ჩვენი საუნჯე, I, 1960, გვ. 186).

აქედან უკვე ჩანს, რომ თვით VIII-IX საუკუნეებშიც კი გარკვეული რიტუალი ქართულ ქრისტიანულ ეკლესიაში ბერძნულ ენაზე სრულდებოდა. ამიტომ არცაა გასაკვირი ქართულ ენაზე არსებულ ქრისტიანულ ლიტერატურაში სიჭარბე ბერძნიზმებისა როგორც ლექსიკაში, ასევე სინტაქსურ კონსტრუქციებში (კალკები). **მოინდომეს შეტიც:** მორფოლოგიური დაახლოება ქართული ენისსა ბერძნულთან: მღვდრობითი სქესისთვის შექმნეს ხელოვნური „მეფა“ (-ღედოფალი).

გ) საშუალო და ახალი სპარსულიდან უხვად შემოდის საყოფაცხოვრებო ლექსიკა, ხელოსნობის ტერმინოლოგია... მაგრამ არა საკულტო!

დ) თურქულიდან ძირითადად მესაქონლეობის ლექსიკა, კერძების სახელები... რა თქმა უნდა, ზოგი სხვაც, მაგრამ ხვედრითი წონა ზემოდასახელებულისა გაცილებით მეტია.

ე) რუსულიდან შემოდის საყოფაცხოვრებო, ადმინისტრაციული (ფოსტა...), ასევე პოლიტიკური ლექსიკა.

ესაა, ასე ვთქვათ, სესხების ძირითადი ტენდენციები, რაც სრულიად არ გამორიცხავს კერძო შემთხვევების სიმრავლეს.

\* \* \*

სიტყვათა სესხების თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ლიტერატურული ნაწარმოებების უანრული სპეციფიკის გათვალისწინებაც.

ა) რელიგიურ ნაწერებში აშკარად ჰკარბობს ბერძნიზმები.

ბ) აღმოსავლური წარმომავლობის ლექსიკა უხვადაა წარმოდგენილი ძველი ქართული საერო ლიტერატურის ძეგლებში. დამახასიათებელი ჩანს ზეპირი მეტყველებისთვისაც.

\* \* \*

ასეთია მოკლედ ენათა კონტაქტების შედეგები.

ენათა კონტაქტები თავის მხრივ კულტურათა კონტაქტებზე მიუთითებს და ამჭერად სწორედ ამითაა ჩვენთვის საინტერესო.

§ 30. **ახალხის რწმენა უშუალო გამოძახილს პოულობს მის ენაში.** ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან მასალას იძლევიან საანალიზოდ ისეთი ენობრივი მოვლენები, როგორებიცაა:

ა) ფიცილის ფორმულები და რეფრენები, ზოგი მყარი შესიტყვება,

ბ) ფრაზეოლოგიზმები და იდიომები,

გ) ევფემისტური გამოთქმანი,

დ) სიტყვის ტაბუ. >

თითოეული ამ ფაქტის ანალიზი საინტერესოა ენის ისტორიის, ენის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, ენის გრამატიკული წყობის თვალსაზრისით. ჩვენთვის ამჭერად ეს ფაქტი საინტერესოა ენის მიმართების თვალსაზრისით კულტურასთან.

§ 31. ქართულ ზეპირ მეტყველებაში საკმაოდ გავრცელებული გამოთქმაა „ჩემმა მზემ“. ამჭერად ეს გამოთქმა არაფრით იპყრობს

ყურადღებას, შესაძლოა, საჩოთიროდაც მიგვაჩნდეს. საქმე ისაა, რომ გამოთქმას გარკვეული **სოციალური მახასიათებელი** დაუკავშირდა: მას არ იხმარს ვინმე ოფიციალურ საზოგადოებაში, არ არის ეს გამოთქმა დამახასიათებელი, საერთოდ, ინტელიგენტი პიროვნებისათვის. მას უფრო ფამილარულ-ვულგარული ან სპეციფიკურ-კუთხური (ქართლური, კახური) იერი დაჰკრავს.

მაგრამ ამ გამოთქმას დიდი და საინტერესო ისტორია აქვს, დაკავშირებულია ქართველების უძველეს რწმენასთან.

ცნობილია, რომ ქართულ წარმართულ პანთეონში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ორ ღვთაებას:

მამა ღმერთს — მთვარეს,

დედა ღმერთს — მზეს<sup>1</sup>.

ეს გარკვეულად აისახა ღვთა სახელწოდებებშიც — თითოეულ ღვთა თავისი მფარველი მნათობი (resp. ღვთაება) ჰყავს:

**კვირა** — მზის ღვთა (უაშხა < ბუაშ ღლა)

**ორშაბათი** — მთვარის ღვთა (თუთაშხა)... და ა.შ. (ივ.ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 124).

**მზე** — ქალი ესაა ქართველების რწმენის გარკვეული სპეციფიკურობა. სხვათა შორის აქედან მოდის ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის მიერ მართებულად შენიშნული: **ღვდა-ბოძი, ღვდა-მიწა**... და სხვა. ამასვე უკავშირდება ქართველ მთიელებში ღვთაეც შემორჩენილი კულტი „ადგილის ღვთისა“.

და ასევე, როგორც თითოეულ თემსა და ოჯახს თავისი „ადგილის ღვთა“ ჰყავს, ასევე უნდა ჰყოლოდა თავისი მზე, თავისი ღვთაება, რომლის დაფიცება განსაკუთრებული დამაჯერებლობისა-

---

<sup>1</sup> მზე — ქალი (მზეთუნახავი, ე.ი. რამდენიმე მზე!

1) ბუა დია ჩქიმი,  
თუთა მუშა ჩქიმი,  
ხეჩია-ხეჩია მურიცხეფი —  
და ღო ჟიმა ჩქიმი.

მზე ღვდაა ჩემი,  
მთვარე — მამა ჩემი.  
მოციმციმე ვარსკვლავები —  
და დი ძმა ჩემი.

2) მეორე ხალხური ლექსი:

„მზე ძალიან გაჭაერღესა:

მე და გარ და ის ძმა არის“ (მთვარეზე ამბობს) ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960. გვ. 58-59.

3) „მზე დაწვა და მთვარე შობა, მზეგ შინ შემოდოი“.

თვის. უცოდველობისთვის იყო საჭირო.

ამასვე უნდა უკავშირდებოდეს გამოთქმა: „მე და ჩემმა ღმერთმა“.

ქრისტიანობა „ცენტრალიზებული“ (resp. ერთღმერთიანი) რელიგიაა. შეუძლებელია ხსენებული გამოთქმა ქრისტიანობის დროს წარმოქმნილიყო.

ამრიგად, ჩვენმა ენამ შემოინახა ჩვენივე უძველესი რწმენის ანარეკლი. ენას აღმოაჩნდა უტყუარი საბუთი ჩვენი უძველესი რელიგიური შეხედულებების აღსადგენად.

✕ **რწმენის ანარეკლია შემდეგი გამოთქმებიც:**

ღვთის ანაბარა,

ღვთის გარეგანი,

ღვთის გულისათვის,

ღვთის მონა

ღვთის პირიდან გადავარდნილი

ღვთის წინაშე

სული ღმერთს მიაბარა...

ღმერთმა უწყის...

აქ უკვე „ქრისტიანული ღმერთის“ რწმენაა ასახული.

სხვათა შორის ასევე „პოპულარულია“ ეშმაკიც:

ეშმაკის კერძი

ეშმაკის (II ჯოჯოხეთის) მაშხალა

ეშმაკის მუშა

ეშმაკის ფეხი

ეშმაკს არ სძინავს

ეშმაკს (წერას) აუტანია

ეშმაკს სული მიჰყიდა და სხვა.

**იაკობ ცურტაველი:** „... მოვიდა პიტიახში... ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა“... (ჩვენი საუნჯე, I, გვ. 19).

„ეშმაკი“ საალერსო ხდება — ცელქ ბავშვს „ეშმაკს“ ეძახიან.

**უცნაური დაპირისპირებანი:**

ძალიან ლამაზი ქალი „ღვთიური სილამაზის“ მქონედ მიაჩნით, მაგრამ ასეთსავე ქალზე შეიძლება თქვან: „უღვთოდ ლამაზია“.

აქ, როგორც ჩანს, ვლინდება მთქმელის პოზიცია.

პირველ შემთხვევაში სილამაზისადმი მოკრძალებაა მინიშნებული, მეორე შემთხვევაში — პირიქით: ქალის სილამაზე ღმერთსაც კი ავიწყებს ამის მთქმელს. ✕

ქართულ ენაში ორგვარი დამოკიდებულებაა **მგლისადმი**.

უპირველეს ყოვლისა ეს არის **უარყოფითი** დამოკიდებულება. ეს აისახა ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეულ პირველივე ძეგლში („წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“):

„და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა **მგელი იგი ტაძრად**... (ჩვენი საუნჯე, I, გვ. 17). **მგელი** — ვარსკენ პიტიახშის მეტაფორაა. ცნობილია ავტორის დამოკიდებულება ვარსკენისადმი და ამით ნათელი ხდება, თუ რა აზრს დებს სიტყვაში „**მგელი**“. თუ გავიხსენებთ მეორე ადგილს იმავე ნაწარმოებიდან („ვითარცა მკეცი მძვნვარძ ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი“ — **მკეცი და ცოფიც** ვარსკენის ეპითეტებია), აშკარა გახდება რაოდენ არასახარბიელო დახასიათება ეძლევა ამით ვარსკენს.

ე.ი. **მგელი** — ბოროტი, მხეცი, მტარვალი, პირსისხლიანი.

და იმავედროულად „**მგელი**“ ვაუკაცობისა და გულადობის სიმბოლოცაა ქართულში.

ვახტანგ გორგასალი ვარსკენის თანამედროვეა. ახლა ვნახოთ, როგორ ახასიათებს მას მემპტიანე: „ხოლო ვახტანგ მეფესა შეეექმნა ჩაბალახი ოქროსი და გამოესუა წინათ **მგელი** და უკუნათ ლომი... მიერიტგან ვერლარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი და ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქვან: „**ღურ აზ გორჯახალ**“, რომელ არს ესე: „მოერიდეთ თავსა მგლისასა“ და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ მეფესა **გორჯახალ**“ (ქართლის ცხოვრება I, 1955, გვ. 180).

აქ „**მგელი**“ უკვე აშკარად დადებით ემოციასთან არის დაკავშირებული (რა თქმა უნდა, ქართველთა მხრივ).

ან ცნობილი ხალხური ლექსი გავიხსენოთ:

„გაგვიძელ, ბერო მინდიავ,  
მუხლი მაიბი **მგლისაო!**“

ანდა: „კიდევაც დაიზრდებიან  
ალგეთს ლეკვები მგლისანი“...  
„... კაი ყმა, მგელი, არწივი  
არც ერთ არ გაიწურთნება“...

და აი, რა არის **ხაინტერესო**: ხუნძურში „**მგელი**“ საკები ეპითეტია:

ბაწ-შადინ ვუგო! — ძალიან კარგად არის  
სიტყვასიტყვით: მგელივით არის.

ბაწ-შადაუ ჩი — მგელივით კაცი

ბაწილაბ შამალ — მგლის ხასიათი

ბაწ-შიდინ ქვანალა — მგელივით ქამს...

ეს გამოთქმები მოწონებას, ქებას გამოხატავენ (არნ.ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, 1945, გვ. 176).

\* \* \*

ასევე ორგვარი ემოცია სდევს თან სიტყვას „გველი“:

გველივით გეხლიანი, გველივით მაცდური (ევას ლეგენდა)  
და იმავდროულად გველივით ბრძენი.

\* \* \*

X ქართულ სიმღერებს მრავლად მოეპოვება რეფრენები, რომლებს ერთაღერთი ფუნქციაა გარკვეული მუსიკალური რიტმის შექმნა:

„ღელი-ღელა“

„ო, რერო-რერო“

„ჰარი-ჰარალე, თარი-თარალე“ და სხვანი.

იმავდროულად ეს გამოთქმები დიდად საინტერესოა არიან როგორც ენობრივი, ასევე ერის ისტორიის თვალსაზრისით.

**ივ.ჭავჭავაძე** შვილი: აფროდიტეს სახელი ბაბილონურად დილ ყოფილა. ამას უკავშირდება ქართული „დილა“. ეს სიტყვა ჩანს რეფრენშიც, რომელიც ადრე რელიგიური საგალობელი უნდა ყოფილიყო: „ო, დილა!“ (ივ.ჭავჭავაძე შვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, 1950, გვ. 150).

**გ.მელიქი** შვილი: „თარი“ ურარტულად ნიშნავს „დიდს“, „არალე“ — მოსავლის ღვთაებაა; ე.ი. „თარი არალე“ - „დიდი არალე!“ „(3)არი არალე“ - მომეც, არალე... (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, 1971, გვ. 436). >

§ 32. ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ სიტყვის ტაბუ (აკრძალვა) და ევფემიზმი („გალამაზება“, „გაკეთილშობიანება“).

**კ.გამსახურდიას** აქვს ერთი ნოველა სახელწოდებით „ტაბუ“.

გავიხსენოთ ამ ნოველის ერთი მონაკვეთი:

„...შავჩოხიანს აკი გველს ეძახოდნენ ოდიშის მხარეში? ხომ ასეა, ნატი?“

ტუჩებზე ხელი მომაფარა:

„გაშინერს, მახა, გაშინერს“<sup>1</sup>.

ვაშინერს? ამ სიტყვის მნიშვნელობა ვერ მოვიგონე.

„შენ მეგრული დაგვიწყებია, მახა“. დაფიქრდა, ძირს დაიხედა.

„როგორ აგიხსნა? უხსენებელი, უთქმელი, პატომსქუა“.

„აა, ამას ტაბუ ჰქვია, ნატი“.

„ტაბუ რაღაა?“

„ტაბუ იგივეა, რაც ვაშინერს: უთქმელი, უხსენებელი“. დიაკონი ჩივის, რომ ჩვენს დროში სიტყვას ფასი დაეკარგა.

„ძველად ესმოდათ, რომ თქმა კმნაზე უფრო დიდია, რომ თქმას დიდი მორიდება უნდა, ხიტუვა ბევრ რამეს იწვევს, სიტყვა სულს იწვევს და სულიერს“.

გამაოცა მოხუცის სიტყვებმა. მართლაც, სიტყვა ძლიერ საფრთხილოა.

ყოველი საგნის სახელი ჩაფერფლილ ვულკანსა ჰგავს. მიჩქმალულია და იღუმალი მისი შინაგანი ძალა უამის მოღწევამდის. მაგრამ უთუოდ არსებობს ბედითი წუთი... და ეს მაშინ მოხდება, როცა მისი უჩინარი შინაარსი მიწის გულში დაგუბებული ცეცხლივით გადმოსქდება.

ჩვენ ხომ უცვლელი გვეგონია ჩვენი სული, ჩვენი სხეული დაბადებიდან სიკვდილამდის. ეს მოჩვენებითი უცვლელობაა. ჩვენ მუდმივ ფერისცვალებას განვიცდით და ამას უთუოდ საგნების ხსენება და შეხება იწვევს.

„ძველად ბეურ რამეზე იყო დადებული ის, რასაც შენ ტაბუს ეტყვი, მახარია“.

განაგრძობს ნატიე, თვალი გაუუსწორე, ვცდილობ ღრმად ჩავიხედო მის ჭრუტა თვალეში. დავეთანხმე ბერიკაცს. საგანთა შორის მრავალი რამ არსსენებისა და ღუმლის წიაღში უნდა დარჩეს. მეთქი სამარადჟამოდ“ (თხზულებათა რვატომეული, ტომი II, გვ. 96-97).

ამ ვრცელ ამონარიდში მხატვრულად არის ხორცშეხსნილი ტაბუს არსი და მიზანი. ტაბუ უშუალო გამოვლინებაა ამა თუ იმ ხალხის მსოფლხედვისა, ადამიანთა გარესამყაროსადმი დამოკიდებულებისა. იმავდროულად ტაბუ თავისებური გამოვლინებაა ე.წ. ფიზიო-თეორიისა, რომლის თანახმადაც საგანს სახელი მისი ბუნე-

<sup>1</sup> გაშინერს < შინუა „ხსენება“

ე.ი. გაშინერს — არსახსენებელი.

ბის შესაბამისად ჰქვია. ეს კი ნიშნავს, რომ. თუ არსებობს სახელი, არსებობს საგანიც. სხვაგვარად: სახელი ეკვივალენტია მის მიერ დასახელებული საგნისა. ამიტომაც არასასურველი საგნის სახელი იკრძალება, რათა თავიდან იქნას არიდებული თვით საგნის გამოხმობა.

რა თქმა უნდა, ეს ცრურწმენაა, მაგრამ ფსიქოლოგიურად გასაგებიც და იმავდროულად ფრიად საინტერესოც.

✕ **ფსიქოლოგიაში სახელდების პრინციპებს თავიდანვე ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება.**

აი, რამდენიმე ნიმუში ამგვარი კვლევისა.

ცდისპირს ეძლევა უაზრო ბგერათკომპლექსი. მაგალითად, klemn და ponsonly. ცდისპირი პირველს ახასიათებს როგორც „მკაცრ სიტყვას“, მეორეს — როგორც „ძვირ სიტყვას“ (ჯ.ინგლიშის ექსპერიმენტი. აბაინდურაშვილი, სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, თბ., 1971, გვ. 72).

დ.უზნაძემ სპეციალურად გამოიკვლია სახელდების ფსიქოლოგიური პრინციპები და დაასკვნა, რომ „სიტყვა შემთხვევით კი არ უკავშირდება ობიექტს, და, მაშასადამე, იგი შემთხვევით კი არ იღებს სახელწოდების ფუნქციას თავის თავზე, არამედ, ჩვეულებრივ, სიტყვისა და ობიექტის წარმოდგენათა მიმართების მონაცემ შესაფერისობას ემყარება, რომელშიც სიტყვისა და ობიექტის მნიშვნელობა ურთიერთს ხვდება“ (დ.უზნაძე, თხზ. I, 1956, გვ. 25).

ამას უკავშირდება ბგერათა სიმბოლიზმის პრობლემაც.

გავიხსენოთ ე.სეპირის მიერ ჩატარებული ერთი ცდა: ე.სეპირმა a და i ხმოვნების სიმბოლიზმის წარმოსაჩენად გამოიყენა ბგერათა კომპლექსები mal და mil. ცდისპირებმა mal დააკავშირეს ცნებასთან „დიდი“, mil — ცნებასთან „პატარა“. ე.სეპირმა დაასკვნა: a წარმოადგენს დიდის სიმბოლოს, i — პატარისას (აბაინდურაშვილი, იქვე, გვ. 220).

ანალოგიური კვლევის შედეგად იტალიელი ენათმეცნიერი ჯ.ბონფანტე დაასკვნის: „i იწვევს მცირე ზომის საგნებისა და არსებების წარმოდგენას, o და a — დიდი ზომისა, c — სრიალა საგნებისა ან მოქმედებისა“... და ბოლოს: „პოეტური ჰარმონიის, თვით პოეზიის საიდუმლო, ჩანს, ბგერისა და მნიშვნელობის იღუმალ კავშირში ძვეს“ (ჯ.ბონფანტე).

ცნობილია ისიც, რომ ზოგი პოეტი პრაქტიკულად ცდილობდა ამ თეორიის განხორციელებას (ხლებნიკოვი, ჩვენში — ს.ჩიქოვანი). ბუნებრივია, რომ ეს ცდები ვერავითარ შედეგს ვერ გამოიღებდა.



თუმცა ეს. რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს ენაში საერთოდ არ გვქონდეს ფონეტიკური სიმბოლოზმის გამოყენების ფაქტები. განსაკუთრებით ხშირად ფონეტიკური სიმბოლოზმი გამოყენებულია ე.წ. ბგერწერით სიტყვებში. X

დავიმოწმით რამდენიმე ფორმა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან:

**ჭაჭუანი** — ხმამალა უსიამოვნო ლაპარაკი; **ჭაჭლანი** — ხმამალა უკმაყოფილო კილოთი ლაპარაკი.

**ჭახანი** — გატენის, დაჯახების, თოფის გავარდნისა და მისთ. **მკვეთრი ხმა**.

**ჯახანი** — რისამე მირტყმის, რამეზე ხეთქების ხმა.

**ჩახანი** — რკინის რკინაზე მოხვედრების ხმა.

**ჭაფუნი** — სითხის მოძრაობის ხმა.

**ჩქაფუნი** — წყალში (სითხეში) ჩავარდნის ან წყლის (სითხის) სწრაფი მოძრაობის ხმა.

**ღაფუნი** — ტალღების ხეთქების ხმა.

და სხვა

საინტერესო სურათს გვიმოწმებს ამ თვალსაზრისით მეგრული:

ქოდა-ძვაძუ — დაჯდა, დაეცა დიდი, მძიმე რალაც.

ქოდა-წვაწუ — დაჯდა, დაეცა პატარა, მსუბუქი რალაც.

ან:

იგვიჩინანს — დიდი რალაც მსხვილად, დონდლოდ გამოიყურება.

იქვიჩინანს — აქოჩრილად გამოიყურება.

იკვიჭინანს — პარატა რალაც მკვეთრად გამოიყურება.

(იხ. ტ. გუდავა, ხმაბაძვის ერთი სახეობა მეგრულში, ენათმეცნ.

ინსტიტუტის XVI სამეცნ. სესიის თეზისები, 1958, გვ. 15).

საინტერესო პარალელიზმია ამ მხრივ ქართულსა და მეგრულში:

ძიძნის — ძვიძგონუნს

ციცქნის — ცქიცქონუნს

წიწქნის — წკიწკონუნს და ა.შ.

მაშასადამე, ენაში მართლაც გვქონია შემთხვევები, როცა მოვლენას, საგანს მისი ბუნების შესაბამისად ერქმევა სახელი. ცნობიერებაში ხდება ამ ფაქტის განზოგადება, შედეგად — **სახელისა და საგნის გაიგივება**.

სწორედ ამ ფსიქოლოგიურ ფაქტორთან არის დაკავშირებული ტაბუ.


არსებობს არა მხოლოდ სიტყვების, არამედ საგნების ტაბუც. ცნობილია ტაბუ ადამიანებზეც. ამის ფაქტია, მაგალითად, ქალის გაძევება სამრელოში (ან ბოსელში) მენსტრუაციისა და მშობიარობის დროს ფშავსა და ხევსურეთში. ანალოგიური ფაქტი სხვა ხალხებშიც არის დამოწმებული. ჯიშს ფრეზერი ამ მოვლენას განიხილავს ავსტრალიელი აბორიგენების მაგალითზე (Дж. Фрезеръ, Золотая ветвь, М., 1980, с. 237).

ტაბუს ფაქტია ისიც, რომ ომში წასვლის წინ მეომრები ქალს ერიდებოდნენ. სვანეთში დღემდე არის შემონახული რწმენა სანადიროდ წასვლის წინ ქალებისგან განრიდებისა.

ამ მოვლენას აქვს თავისი მიზეზი და საფუძველი. შეცდომაა ამის ახსნა მხოლოდ კულტურის დაბალი დონით.

აი, რას წერდა, მაგალითად, კ. გამსახურდია: „როცა შემოქმედებითი მუშაობით გართული ვარ, ქალთა სიახლოვეს გავურბივარ (გავეოციდი, როცა სვანმა მონადირეებმა მიამბეს ერთხელ: ჯიხვზე სანადიროდ წასვლის წინ მთელი კვირა ქალს არ მივეყარებითო). ამ დროს ვცდილობ საზოგადოებაში ყოფნას და ღვინის სმას თავი ავარიდო“ (რვატომეული, VI, გვ. 521).

**სისხლის ტაბუ:** არ ჰქმენ ხორცს, თუ სისხლისგან არ დაიწერიტა. ეს წესი დღემდე მოქმედებს ებრაელებში. მოვიტანთ ციტატს ლევიტელთა წიგნიდან: „ყოველი ესე სისხლი არა ჰჭამოთ ყოველსავე სამკვდრებელსა თქუენსა მფრინველისადათგან ვიდრე საცხოვართამდე. ყოველმან კაცმან, რომელმან ჰჭამოს სისხლი, წარწყმდეს სული იგი ერისაგან თვისისა“ (7, 26-27). ამ აკრძალვის მიზეზი ისაა, რომ მაშინდელი შეხედულებით, „სული ყოველისა კორციელისაჲ სისხლი თვისი არს“ (17, 13).

ტაბუს ერთ-ერთი სახეობაა საჭმელთა აკრძალვაც საერთოდ ან წლის გარკვეულ პერიოდში (მაგალითად, მუსულმანებს საერთოდ ეკრძალებათ ღორის ხორცის ჰჭამა; ქრისტიანებს ეკრძალებათ ხორცის ჰჭამა მარხვის პერიოდში და ა.შ.). ამის მიზეზიც უფრო ღრმაა, ვინემ მარტოოდენ ცრურწმენა. 

ამჯერად ჩვენ კონკრეტულად სიტყვის ტაბუ გვაინტერესებს.

სემანტიკის ორი დონე:

**სიღრმულზე** სახელი და ტაბუირებული ფორმა ერთი და იგივეა.

**ზედაპირულზე** — განსხვავებული: სახელი ეკვივალენტურია სავნისა. ტაბუირებული სახელწოდება მოლაპარაკის დამოკიდებულებას ასახავს.

საინტერესო ცნობას ვაწვდის თ.სახოკია თავისი სამურზაყანოში მოგზაურობის შესახებ: „დათვის აქ ორი სახელი ჰქვია: **თუნთი** და **უწუნდური** (უწმინდური). საზოგადოდ მავნებელ სულდგმულთ აქ ორნაირი სახელი ჰქვიათ: ერთი — ნამდვილი და მეორე — მოგონილი. ცდილობენ. ყოველთვის მოგონილი სახელი დაუძახონ ხოლმე ამგვარ სულდგმულთ. იმიტომ, რომ, — ამბობენ. — ნამდვილი სახელი რომ დაეუძახოთ. ეგონება — გვეძახიანო, მოვლენ და დაგვაზიანებენო. მგელს, დათვის, ტურას მეგრულად საერთოდ **უშინუ** (უხსენებელი) ჰქვია ე.ი. ისეთი არსებანი, რომელთა სახელის თქმა არ შეიძლებაო. **კერძოდ. დათვის... უწუნდური** (უწმინდური) და **ბურდღინა** (მობურტყული) ჰქვიათ. **მელას — მამჯამვალე** (ჩაქ-ჩაქით მოსიარულე) და **უქუ-უხაშუში მამკომალი** (უწვავუხარშავის მჭამელი). **ტურას — კვალი-ჭყელი** (კვალდაწყვეტილი) და **მოცქვაცქვალე** (ცუცუნა). **გველს — უჩაღართში** (შავლართიანი) და **თუდო გილესარგალუნი** (ძირს რომ დაეთრევა). **თავს — კუდელაში** (კუდიანი) და **კიბირმოქკადილი** (კბილმოქვედილი). **ჭიანჭველას — პუნმეტახილი** (წელმოტეხილი). თავსა და ჭიანჭველას გამოცვლილ სახელებს ქალები განსაკუთრებით მაშინ უძახიან, როცა აბრეშუმის ჭია უსხედთ და თანაც დაატანენ: ომ ველოშ ვიშო — ას მთის იქით... **ქორს — ჟიმალუ** (ზევით. ე.ი. ცაში მოსიარულე) ჰქვიათ. **ყვავს — დუდ-უჩა** (შავთავა), **მატლს** საზნაირ სახელს ეძახიან: **ოქიშიშ მაზიმალი** (ზურგის მზომელი). **თელი** (მთელი, ცოცხალი) და **შურდგმული** (სულდგმული)... **ქათმის ჭირს „იგანია“** ჰქვიათ მეგრულად. თუ ქათმებს დაერია. იტყვიან. ჩვენს ქათმებს „**უსახელე**“ (უსახელო) დაემართაო. ვარდა ამისა. თუ ნადირმა რამე ზიანი მოგაყენათ. ან აბრეშუმის ჭიას თავი და ჭიანჭველა დაეხვია. ანდა ქათმები და საქონელი ჭირმა გავიწყვიტათ. სხვის სახლში თქვენს ვაჭირვებას ვერ იტყვით. ვითომ, რაც თქვენ გადაგხდათ თავზე. ვისაც უთხარით. იმათ ვადაედებაო. თქვენი ლაპარაკის შემდეგ თუ რაიმე მოუვიდათ. იტყვიან (თქვენზე) — მხარით მოიტანა (მარცხი) და დამისგაო“ (მოგზაურობანი. თბ., 1950, გვ. 282).

სამეგრელოშივე (და სხვა კუთხეებშიც) აკრძალულია **ორშაბათობით** (მთვარის დღეს!) ოჯახიდან ვასვლა. მგზავრობა. ფრჩხილებისა ან თმის მოჭრა; არ შეიძლება ავადმყოფთან მიცვალებულის

ხსენება და სხვა (ს.მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 335).

✕ **ტაბუს ენობრივი მექანიზმი არსებითად გამოცანის ტიპისაა.**

**ტაბუ თავისებური გამოცანაა.** გასაგები მხოლოდ გარკვეული საზოგადოების წევრებისათვის.

**ტაბუს ფსიქოლოგიური საფუძველია** სიტყვის მაგიური ძალის რწმენა.

ტაბუმ შეიძლება შეცვალოს ნამდვილი სახელი: რუსული **медведь** წარმოშობით ტაბუა (-თაფლიქამია). ამჟამად კი ამ ცხოველის აღსანიშნი ერთადერთი ლიტერატურული ფორმა.

**ტაბუს ნიმუშები:**

ა) **საკუთარი სახელების ტაბუ.** ვანსაკუთრებით გავრცელებულია **აფხაზეთში, სამეგრელოსა და ხევსურეთში.** ✕

აფხაზეთში ქალებს აკრძალული აქვთ მამამთილის სახელის ხსენება. აფხაზი ქალი ისეთ სიტყვასაც არ ხმარობს, რომელიც თუნდაც ერთი მარცვლით ჩამოჰკავს მისი მამამთილის სახელს. მაგალითად, ერთი აფხაზი ქალი არ ხმარობდა სიტყვას **აკაკან** „აკაკალი“, რადგან იგი შეიცავს მარცვალს **კან**, რომელიც მისი მამამთილის სახელი იყო. სამეგრელოში (სამურზაყანოში, ვალში) ერთი მეგრელი ქალი „გიტარას“ ნაცვლად ამბობდა „ტარას“, რადგან მის მამამთილს „ვიგო“ ერქვა.

ხევსურეთში გავრცელებულია მრავალსახელიანობა.

ყოველ ხევსურს ჰქონდა **ნათლობის სახელი** და **ხატის სახელი.**

**შემდეგ:** როცა ბავშვი ანჩხლობს, იტყვიან: მიცვალებულის სული აწუხებსო. სახელად ამ მიცვალებულის სახელს არქმევენ. გარდა ამისა, რძალი მაზლს სახელს უცვლის. ბიცოლაც — ძმისწულს (თუ მისი ქმრის მოსახელია). ასე რომ, ერთ კაცს რამდენიმე სახელი ჰქვია. **მაგალითად,** მღვდლისა — პეტრე, სულისა — დავითი, რძლისა — ხირჩლა, ხატისა — გიორგი, დედისძმის ცოლისა — ბეწიკუა (ს.მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 191-193)

ყველაფერი ეს ხდება იმის გამო, რომ სახელს მაგიური ძალა მიეწერება. ესაა სურვილი — „დაუმალონ“ პიროვნება მავნე სულს.

სახელის დაფარვა („სახელიში ფულუა“) სამეგრელოშიც იყო გავრცელებული. მაგალითად, ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელით არასდროს მიმართავდნენ.

<sup>1</sup> იხ. კ.კორჭანელი, ეფემიზმები და სიტყვის ტაბუ, თბ., 1977.

<sup>2</sup> შდრ. ესპანური სახელები.

თუშეთში ცოლი ქმარს ასე უხმობს: ეგე კაცო.

ამავე რიგისა ჩანს წარმოშობით: იმანო.

ბ) ღმერთის სახელის ტაბუ. „ღმერთს“ ხშირად ცვლიდნენ სახელებით: „უფალი“ (ის, ვინც მფლობელია, ვინც ფლობს) „მამა-ზეციერი“, „შემოქმედი“, „ზენაარსი“, „ყოვლისშემძლე“, „არსთაგამრიგე“, „უზენაესი მსაჯული“ და სხვა.

გ) ეშმაკის სახელის ტაბუ. შიში, მისი მოვლინების თავიდან არიდება განაპირობებს ეშმაკის სახელის აკრძალვას. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ის იცვლებოდა შემდეგი ტერმინებით: „ბოროტი“, „მავნე“, „მაცდური“, „ყუდიანი“, „ბოროტი სული“, „ჯოჯობეთის მოციქული“, „წყეული“...

დ) ავადმყოფობათა სახელების ტაბუ. ყველაზე ვავრცელებულია სახადის სახელად „ბატონები“ (იშვიათად „ანგელოზები“). ეს იმიტომ, რომ ამით ცდილობდნენ მისი კეთილგანწყობის მოპოვებას...

თვით სიტყვა სახადი, ასევე: ჭირი II შავი ჭირი ტაბუირებული ფორმების (ავადმყოფობათა სახელების) ნაცვლადაა გამოყენებული.

ე) სიკვდილის სახელის ტაბუ: განსვენებული, სულმნათი, ცხონებული, ნეტარხსენებული... ჭურჭელი, ვანსასვენებელი.

ვ) ცხოველთა სახელების ტაბუ: (იხ. ზემოთ)...

ზ) თვალის ცემის: რა ცუდია! რა კარგიას მნიშვნელობით.

რა ლამაზია, წყეულო.

შენთა ზვირთთ ლაღნი ჩქერანი.

გურულები გაურბოდნენ „ხუთი“ სიტყვის თქმას, რადგან ამ სიტყვის ფუძე ფონეტიკურად იმეორებს „ხუთ-ავ-ს“ ზმნის ფუძეს. (Д.К.Зеленин. Табу слов у народов восточной Европы и Северной Азии, II, გვ. 16.

თ) გრამატიკული ფორმის ტაბუ. ხევსურეთში ქმარი ახლად-მოლოვინებულს III პირის ფორმებით მიმართავს:

— ჰური ხო არ უნდ? (ე.ი. ხომ არ გინდა?)

— უნდ! (- მინდა)

— ვაჟა როგორ ხყავავ? (- როგორ ვყავს?)

— კარგა ასავ! (კარგად არისო - კარგად არის) (კ.ჯორჯანელი, ეფემიზმები და სიტყვის ტაბუ, თბ. 1977, გვ. 73).

§ 33. სულ სხვა საფუძველი აქვს ეფემიზმს (სიტყვის ვაკეთილშობილებას). აქ უკვე ეთიკის საკითხი დგას, მაქსიმალური დაცვა მსმენელისა უსიამოვნო ემოციებისაგან. ეფემიზმების სიჭარბე

მაღალგანვითარებული საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი.

**ტერმინი:** eu „კარგად“ + pleni „ვლამარაყო“ (ბერძნულია).

ტაბუ რწმენას უკავშირდება, ევფემიზმი — ეთიკას.

✕ ეველას კარგად გვახსოვს სულხან-საბა ორბელიანის ერთი იგავ-არაკი. ამ იგავ-არაკს „ენით დაკოდილი“ ეწოდება: ✕

„ერთი კაცი და ერთი დათვი დამძობილდნენ. აწვია კაცმან მან დათვი იგი, ლხინი აჩვენა. დათვი დაეთხოვა. გამოესალმა, მან კაცმან აკოცა და ცოლსაც აკოცინა დათვისათვის.

მას ღიაცსა რა დათვის სიმყრალე ეცა. განერწყვა და თქვა: პირმყრალს სტუმარს ვერ ვეწყობიო!

წავიდა დათვი. და მერე ეს კაცი ეწვია და თან ცული წაიღო: მოის შეშას დავკოდ და წამოვიღებო!

მოვიდა დათვი და, რაც მათ ეფერებოდა, იმგვარად იალერსეს. მერმე დათვმან დაუყინა: თავზე ერთი ცული დამკარ და დამკოდეო!

მან კაცმან უარი თქვა. დათვი არ მოეშვა. დაჰკრა ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტყეში წავიდა და კაცი შინ წამოვიდა.

მეორე თვეს შეიყარნენ. დათვს თავი გამთელებოდა. დათვმან უთხრა: ძმაო, შენის ცულით დაკოდილი თავი გამიმთელდა და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არაო“ (სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. I, გვ. 31-32).

✕ სწორედ „ენით დაკოდვის“ თავიდან ასარიდებლად იხმარება ევფემიზმი.

ევფემიზმები სხვადასხვა სახისაა.

ა) უსიამოვნებისა და შიშის გრძნობით წარმოქმნილი ევფემიზმები: გარდაიცვალა. მიიძინა, თქვენი ჭირი წაიღო, პატრონს ჩაბარდა, ფეხები გაჭიმა, დაგვაობლა, სიცოცხლეს გამოესალმა და ა.შ.

**ავადმყოფზე:** უქეიფოდაა, შეუძლოდაა, კარგად ვერ არის.

**ცემაზე:** ხელით შეეხო, ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა, ალიყური აჭამა...

**ტყუილზე:** სიმართლეს არ ამბობს, სიმართლე დამალა, ფაქტები დაამახინჯა (|| შეალამაზა), აჭარბებს...

**გონებრივ სიჩლუნგეზე:** შეზღუდული გონების პატრონია, შორს ვერ იხედება...

**გიჟზე:** სულით ავადმყოფი, შეშლილი...

**ძუნწზე:** მომჭირნე...

**ლოთზე:** მსმელი...

ბ) თავაზიანობის საფუძველზე წარმოქმნილი ეგფემიზმები: დაბრძანდით, რა ბრძანეთ, როგორ ბრძანდებით, ვაბრძანდით! როგორ გიკითხოთ.

გ) დიბლომატიური (პოლიტიკური მოტივებით წარმოქმნილი) ეგფემიზმები.

ფაშისტურ გერმანიაში: დაპყრობა → საზღვრების გონივრული შეცვლა; მილიტარიზაცია → გერმანიის სასიცოცხლო ინტერესები.

ეგფემიზმები დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, „ნიფხავ-პერანგის“ ნაცვლად ადრე ამბობდნენ „პერანგი და შისი ამხანაგი“ მერე კი ორივე გამოთქმა „თეთრეულმა“ შეცვალა (ეს უკანასკნელი რუსული შესაბამისი სიტყვის „белые“-ს კალკია): ან: „დაქერილია“ შეცვალა „დაპატიმრებულია“ ფორმამ. შემდგომ კი შესაბამისად გამოყენებულ იქნა „იზოლირებულია“ და „ინტერნირებულია“ ფორმები, ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, მაღალი თანამდებობის პირის დაპატიმრების შემთხვევაში ითქმის.

ეგფემიზმები არ გამოირიცხავენ სტილურ ვარიანტულობას; მაგალითად, ერთი და იმავე მნიშვნელობის გამომხატველი ქვემოდასახელებული გამოთქმები სწორედ სტილისტური ნიუანსით არიან განსხვავებული:

ნეიტრალური: „მოკვდა“.

მოკრძალებული: „გარდაიცვალა“.

მაღალფარდოვანი: „სიცოცხლეს გამოესალმა“.

სინანულის გამომხატველი: „მზე (დღე) დაუბნელდა“.

გულგრილი: „თქვენი ქირი წაიღო“...

ეგფემიზმების საპირისპირო ენობრივი მოვლენაა დისფემიზმი, რომელიც ნეიტრალური გამოთქმის უფრო უხეში, ზოგჯერ კი უწმაწური გამოთქმით შენაცვლებას გულისხმობს. მაგალითად, „მოკვდას“ ნაცვლად იტყვიან „ფეხები გაჭიმა“, „გაართყას“ ნაცვლად — „ალიყური აჭამა“, „დაეცას“ ნაცვლად — „მოზომა“, „ზედმეტს ლაპარაკობს (აკეთებს)“ ნაცვლად — „ამლაშებს“ და სხვანი.

როგორც ეგფემიზმი, ასევე დისფემიზმი საზოგადოების ამა თუ იმ ფენის კულტურული დონის უშუალო გამომხატველია. თუმცა, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ საზოგადოების ფენები მხოლოდ ამ ნიშნით არის დიფერენცირებული. ~~ხარსებითი~~ მნიშვნელობა აქვს კონკრეტულ სიტუაციასაც: ფამილარულ წრეში დისფემიზმი არ აღიქმება ეთიკური ნორმის დარღვევად, ოფიცია-

ლური ურთიერთობის დროს კი დაბალი ყოფითი კულტურის მაუწყებელია.

ეთიკის სფეროს განეკუთვნება აგრეთვე ენობრივი ეტიკეტი, რომელიც ეფემისტურ გამოთქმებს უახლოვდება თავისი არსით.

აქ სულხან-საბა ორბელიანის მეორე იგავ-არაკიც მოგვავიწყდება: „უტკბესი და უმწარესი“. ამ არაკის დედააზრი ასეთია: „არცა-რა ენის უტკბესი იქნების და არცა-რა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისასაო“.

მიმართვის ფორმებად „ბატონო“, „ქალბატონო“. მყოფადის გამოსახატავად „ბრძანდება“, „გახლავს“ ფორმების გამოყენება სწორედ ენობრივი ეთიკის ნიშნითაა აღბეჭდილი.

ენობრივი ეთიკით შეპირობებული ფორმები უძველესი პერიოდიდან იჩენს თავს ქართულში. თავდაპირველად ეს ფეოდალური იერარქიის პრინციპს ექვემდებარებოდა. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში“ ასე განმარტავს: „თქმა ითქმის სწორს კაცს ეტყოდეს, ხოლო მოკუნება უაღრესისადმი და ბრძანება უმცროსისათვის, რაჟეთუ სამ-სახე არიან თქმანი“. „თქმის“ სამგვაროვნობა სწორედ ენობრივი ეთიკის გამოხატულებაა: ერთი და იგივე შინაარსი სხვადასხვა ფორმით გამოითქმის იმის მიხედვით, თუ ვის მიემართება.

ქართულში ამგვარი შესაძლებლობის მქონებლობას აღნიშნავს არჩილიც პოეტურ თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი“:

„ბატონ-ყმური ლაპარაკი სხვა არის და სხვისა სხვაო:

ჩამორთმა და მოხსენება, ზოგჯერ სიტყვის შენახვაო,

სწორ-უფროსულ-უმცროსულსა ქართულსაც აქვს დასახვაო“.

აქაც, როგორც ვხედავთ, სწორს (-სოციალურად თანასწორს), უფროსსა და უმცროსს შორის ურთიერთობაზეა საუბარი ენობრივი ეთიკის თვალსაზრისით.

ამ მოვლენის გრამატიკული დახასიათება მოცემულია აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“.

ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ ენობრივი ეთიკის დონეზე სიტყვამ შეიძლება შეიცვალოს მნიშვნელობა და იმავდროულად სხვა გამოთქმებში თავისი პირვანდელი მნიშვნელობითაც იქნეს გამოყენებული. მაგალითად, „ბრძანება“ ზმნა შეიძლება გამოხატავდეს:

ა) საკუთრივ ბრძანებას, „სარდალმა იერიშზე გადასვლის ბრძანება გასცა“ და იმავდროულად — ენობრივი ეთიკის დონეზე: ბ) თქმას: „მეფეო, რად ჰბრძანეთ (-თქვით) თქვენი ბერობა?“ გ) უოფნახ: „პროფესორი სად ბრძანდება?“ დ) მყოფობას: „ვინ ბრძანდებით?“



ე) დაჯდომას: („ვთხოვთ. დაბრძანდეთ!“ ვ) მოსვლას: „მასწავლებელი მობრძანდა“; ასევე: გახლავს თავისი პირვანდელი მნიშვნელობით გამოხატავს თან მყოფობას („ბავშვი თან გახლავს“). ხოლო ენობრივი ეთიკის დონეზე — რისამე ან ვისამე ყოფნას, მქონებლობას. არსებობას („მე თქვენი მოწაფე ვახლავართ!“ ან: „ტარხუნა არის? — „ვახლავს“); ამავე ძირისაგან ნაწარმოები გეახლები, გეახელი ენობრივი ეთიკის დონეზე შეიძლება გამოხატავდეს მნიშვნელობებს: ჩამოვედი, მოვედი („სოფლიდან გუშინ გეახელით“). ვჭამე („ვახშამი უკვე გეახელით“).

ზემოხსენებულის გასათვალსაჩინოებლად დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს „ვეფხისტყაოსნიდან“:

ა) სოციალურად თანასწორთა ურთიერთობისას:

უთხრა: „ძმავ, არ ვიტყუე, ვიყავ, რაცა შემოგფიცე“...

ეტყვის, თუ: მოჰკვდე, რას არგებ ქცევითა მაგ ოხერითა“...

კვლა ეუბნების ავთანდილ სიტყვითა მრავალფერითა“...

ბ) მეფე მიმართავს ქვეშევრდომს:

უბრძანა: გკითხავ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა...  
უბრძანა: მახლავ რად არა, რად მელი მოყვანებასა...

გ) ქვეშევრდომი მიმართავს მეფეს:

ვაზირთა ჰჰადრეს: „მეფეო, რად ჰბრძანეთ თქვენი ბერობა?“...

კვლა შოახსენა ვაზირმან სიტყვა ნაგუშინდელევი... X

X შემდგომ ამგვარი დიფერენციაცია უკვე ასაკობრივი ცენზით განისაზღვრა, ხოლო ურთიერთობის ამგვარი წესის დარღვევა და უკიდურესად ფამილარული მეტყველების მანერის დამკვიდრება არცთუ სასიკეთო ძვრებზე მიაჩნდება საზოგადოებრივ აზროვნებაში. X

აქვე უნდა შევნიშნოთ: ის, რაც ქართულსა და ბევრ სხვა ენაში ლექსიკურ მნიშვნელობათა სპეციფიკური გადასხვაფერებით მიიღწევა, იაპონურ (და ზოგ სხვა) ენაში სპეციფიკური გრამატიკული ფორმებით გამოიხატება: ანუ: იაპონურ ენაში ზრდილობიანი მიმართვის სპეციალური ფორმები არსებობს. რა თქმა უნდა, ეს თავისებურებანი საკუთრივ ლექსიკის დონეზეც იჩენს თავს. მაგალითად, იაპონურს არა აქვს ზოგადად „ძმა“ ან „და“, არსებობს „უფროსი ძმა“, „უმცროსი ძმა“, „უფროსი და“, „უმცროსი და“. ამით იმთავითვე არიან გამიჯნული და-ძმები ასაკობრივი ცენზით და იმავდროულად — სოციალურ ურთიერთობათა დონეზე — უფლება-მოვალეობებითაც. რაც შეეხება გრამატიკულ საშუალებებს, საგანგებო აფიქსების საშუალებით იაპონელი ძალაუფლებურად გამოხატავს თავის პოზიციას: მოსაუბრის მიმართ დაქვემდებარებულია

თუ სოციალურად მასზე მაღალ საფეხურზე დგას. ნიშანდობლივია, რომ ადრე „მე“ ნაცვალსახელის წარმოთქმის უფლება მხოლოდ იმპერატორს ჰქონდა. იაპონურში სოციალური სიტუაციის შესაბამისად გამოიყენება „ჰამის“ აღსანიშნად 9 სიტყვა. „კოლისა“ — 11, „ვაჟიშვილისა“ — 7. „ქალიშვილისა“ — 10. „ქმრისა“ — 7 (ვ.პრონიკოვი, ი.ლადანოვი). ინგლისელი ენათმეცნიერის ჩემბერლენის აზრით. „არ არსებობს სხვა ენა. რომელსაც აქვს თავაზიანი მეტყველების იმდენი წესი და ფორმა, რამდენიც იაპონურ ენას“.

სიტყვის მაგიის ერთ-ერთი გამოხატულება არის აგრეთვე ე.წ. „ჯვართ ენა“. არსებითად ეს არის მაგიურ რიტუალებთან დაკავშირებული არგო (ქარგონი) — ქურუმები საგანგებო ენას ქმნიდნენ ღმერთებთან და სულებთან სალაპარაკოდ. „ჯვართ ენა“ ჩვენთან ცნობილია ხევსურეთში. ამ ენაზე ხარს ჰქვია „ბუბუნა, ბულაური, ხარმანიაში“. ცხვარს — „მატყიერი, მაცხოვარი“. მოხუც კაცს — „ბერხუნდი“ და ა.შ. „ჯვართ ენას“ ახასიათებს სპეციფიკური გამოთქმებიც: „ჩიხვის თავ-რქით ვადმოყოლება“ სიკვდილიანობას ან მტრის თავდასხმას ნიშნავს. „ქერ-ოქროთ ვადმოფანტვა მზექალის მიერ“ — ვვალვას. „თვალეზზე ოქროს საცრის დაფარება“ — დაბრმავებას (თ.ოჩიაური).

რით არის საცნაური ყოველივე ის, რის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ?

ენას ქმნის ლექსიკური ფონდი და მისი მოხმარების გრამატიკული წესები ეს არის ობიექტური მონაცემი. მაგრამ საზოგადოება, თავისი განვითარების შესაბამისად, სუბიექტური გააზრების საფუძველზე აქტიურად ერევა და ცვლის ლექსიკურ თუ გრამატიკულ მიმართებებს ენაში: მიზანი ერთია, ენობრივი გამოხატვა სინამდვილისა გახადოს ამ სინამდვილის აღქმის ადეკვატური.

ეს არის ვარდუვალაი პერმანენტული პროცესი და, ამასთანავე, თვალსაჩინო ნიმუში იმისა, თუ გარეენობრივმა (კულტურისა თუ ყოფითმა) მოვლენებმა როგორ შეიძლება შეცვალოს მიმართებანი ენის სემანტიკურ სისტემებს შორის.

\* \* \*

ასეთია მოკლედ ტაბუსა და ევფემიზმების როლი საზოგადოებაში. ორივე კულტურის სხვადასხვა დონის უშუალო გამოვლენაა.

§ 34. ობიექტური და სუბიექტური ენაში. ენაში მოქმედებს ობიექტური კანონზომიერებანი. ივლისსხმება კანონზომიერებანი.

რომლებიც პიროვნების განწყობასა და ნება-სურვილებზე არ არიან დამოკიდებული. **იშავდროულად** ხდება ენობრივ-მოვლენათა **სუბიექტური აღქმა**. ეს უკანასკნელი ზოგჯერ ისე ძლიერ გავლენას ახდენს ენობრივ (ობიექტურ) მოვლენებზე, რომ თვით ენის სტრუქტურაში იწვევს ცვლილებებს. თავდაპირველად სუბიექტური ფაქტორი **ფაკულტატიური** ხასიათის ცვლილებებს იწვევს. შემდგომ კი ენაში შეიძლება დამკვიდრდეს, როგორც ძირითადი მონაცემი.

ენაში ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ურთიერთობის თვალსაზრისით ღირსსაცნობია შემდეგი ფაქტები:

ა) კარვად არის ცნობილი პირის ნიშნების ფუნქცია — აღნიშნონ კონსტრუქციაში სუბიექტად ან ობიექტად წარმოდგენილი პირი. აღნიშვნა ხდება სპეციალური მორფემებით — პირის ნიშნებით. **პირის ნიშნების განაწილებასა და გამოყენებას** ობიექტური. ენის შინაგანი ბუნებით შეპირობებული. კანონზომიერებანი უძვეეს საფუძვლად. **ჯამჯერად** ირიბობიექტური პირის **ჰ-||ს-** ნიშანი გვანტერესებს. **ობიექტურად** მას სრულიად განსაზღვრული დანიშნულება აქვს: იგი მხოლოდ მაშინ უნდა წარმოჩნდეს ზმნაში, როცა კონსტრუქციაში ირიბი ობიექტია დამოწმებული: **ჰ-ყავ-ს** ის **მას**, **ხ-თხოვ-ს** ის **მას**, **ს-წერ-ს** ის **მას**, **გა-ჰ-კეთებია** ის **მას** და ა.შ.

მაგრამ ამ ობიექტური კანონზომიერების პარალელურად მოქმედებს სუბიექტური ფაქტორიც: ირიბი ობიექტის ნიშნის გამოყენება ფასდება სულ სხვა. სუბიექტური ხედვის პოზიციიდან.

გავიხსენოთ **კ-გამსახურდიას მოსაზრება**:

„მე გახლდით გურიაში და აღმფოთებული დამხვდა გურიის საზოგადოება ირაკლი აბაშიძის ერთი ლექსის „ჰყავის გურიის“ გამო... ამ ლექსის სათაური იყო „ჰყავის გურია“ კი არა. „ყავის გურია“. ამიტომ გურულები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ ჩემს წინაშე და მიმტკიცებდნენ, რომ გურია **ყავისა** კი არა. საქართველოსიამო“ (კ-გამსახურდია, რვატომეული, ტომი VII, 1963, გვ. 493).

ობიექტურად **ჰ-ყავ-ი-ს** ფორმას არ სჭირდება **ჰ-**: ერთვალენტიანია და ზმნაში კი ორი პირის ნიშანი აღმოჩნდება. ერთი — არარსებული პირისა. მაგრამ სუბიექტურმა გავებამ აუცილებელი გახადა ამ ზედმეტი **ჰ-** ნიშნის გამოყენება.

ობიექტურად ზედმეტი — სუბიექტურად აუცილებელი აღმოჩნდა: **ჰ-** აქ უკვე პირის ნიშნად კი არა, სიტყვის ფუძის უმადვე-

ნელ ელემენტად ვაივება. სხვა სიტყვისგან (უგავ-ის) განმასხვავებელ მონაცემად.

**შემდეგ:** .....მიქრის — ეს ხომ დიმილის მომგვრელი სიტყვაა, ე.ი. მის წარმომთქმელს თავში უქრის. იგივეა „ჭუვავის“ ნაცვლად „უგავის“ რომ ითქვას... „ჩანს“ — რა ქართულია; უცილოდ უნდა დაიწეროს „სჩანს“, „სწერს“ და არა „წერს“. (კ.ვამსასურდია, რვატომეული, ტომი VIII, გვ. 261).

ამ მსჯელობაში ნათლადაა წარმოჩენილი ლექსიკურ მნიშვნელობათა განსხვავების ცდა. დამყარებული სუბიექტურ აღქმაზე...

ეს ტენდენცია მართლაც იჩენს თავს ენაში:

თვლის — რისამე რაოდენობას არკვევს

ს-თვლ-ი-ს — მიაჩნია, ჰკონია

წევ-ს — დაწოლილია

ს-წევ-ს — ეწევა, ქაჩავს.

ამავე ფორმანტის თაობაზე მ.ჭავჭავაძის შვილი წერდა:

„ორი უკიდურესობა სწეწავს ქართულს: ერთნი რკინას ასხამენ სიტყვაში (ხევსურული „მაჰხკალ!“). მეორენი კი ბამბასავით არბილებენ (დასავლური „მოკალ!“). ქართული სალიტერატურო მუდამ საშუალო გზაზე იდგა და არც ახლა უნდა გადაუხვიოს („მოკკალ!“). უნდა მუდამ გვახსოვდეს, რომ ქართული მაგარი ენების ჯიშს ეკუთვნის და სპარსულ სიტყბოს ვერ იწელებს. ისევ რვა-ლის ელარუნი სჯობია ბულბულის „ბულ-ბულს“. ჩვენებური მჭადი — სპარსულ რაჰათლუხუმს, რადგან ასეთია ქართულის ბუნება და ხასიათი“ (მ. ჭავჭავაძის შვილი, ექვსტომეული, ტ. VI, 1980, გვ. 129-130). X

აქ უკვე სულ სხვა პოზიციიდანაა შეფასებული პირის ნიშნის გამოყენების ფაქტი.

სუბიექტური მიდგომა აქაც აშკარად იჩენს თავს.

სუბიექტური რომ არის, იმიტაც ჩანს, რომ, მართალია, ორივე შემთხვევაში ჰს შენარჩუნებაზეა საუბარი, მაგრამ საბუთი სხვადასხვაა: ერთ შემთხვევაში — მნიშვნელობის განსხვავება (ჭუვავის და უგავის), მეორე შემთხვევაში — ქართული ენის ბუნება („მაგარი ენების ჯიშს ეკუთვნის“).

რა თქმა უნდა, ენის ობიექტურ კანონზომიერებათა კვლევა ამ ფაქტორს ვერ დაემყარება. მაგრამ აუცილებლად კი უნდა გაითვალისწინოს იგი. უნდა გაითვალისწინოს, რადგან სუბიექტური ფაქტორის ჩარევას ხელეწიფების გარკვეული ცვლილებანი შეიტანოს ენობრივ სტრუქტურებში.

ბ) კარგად არის ცნობილი ზმნისწინთა ფონეტიკური გამარტივების ფაქტი:

**ძველად იყო:**

აღ- →  
გან- →  
წარ- →  
შთა- →

**ახლა გვაქვს:**

ა-  
გა-  
წა-  
ჩა-

რა თქმა უნდა, ეს ზოგადი ტენდენციაა, თორემ აღ- ახლაც გვაქვს (აღწერა) და ა- ძველ ქართულშიცაა დამოწმებული.

ჩვეულებრივი ფონეტიკური გამარტივებაა და, მიუხედავად ამისა, ამ მოვლენას ორი, თავისი არსით სუბიექტური, ფაქტორი დაუკავშირდა.

ჯერ ერთი. აღ-, გან-, წარ-, შთა- სტილისტიკური ფუნქციით აღიქურვა. ამ ზმნისწინების გამოყენება არქაულ იერს ანიჭებს ტექსტს. აქედან — აღზევებული სტილის კუთვნილებად იქცა. თავისთავად უფიქროდ ღირსაცნობია და საინტერესო, თუ რატომ უკავშირდება აღზევებული სტილი არქაიზაციას. უთუოდ იმიტომ, რომ არქაული წიგნურ სტილად იქცა. წიგნური — ოფიციალურს გაუტოლდა. ოფიციალური — საგანგებოდ სათქმელი — აღზევებული, მაღალფარდოვანი მეტყველების ეკვივალენტი გახდა.

და შემდეგ: წარმოშობით ჩვეულებრივი ფონეტიკური გამარტივება მნიშვნელობის განსასხვავებლად გამოიყენა ენამ. ასე გახდა წარმოშობით სუბიექტური მოვლენა ენის ობიექტური ფაქტი.

**აღდგომა** — ქრისტიანული დღესასწაული.

**ადგომა** — წამოდგომა.

**აღტაცება** — უაღრესი სიამოვნებისა და მოწონების გრძნობა.

**ატაცება** — სახელი „აიტაცებს“ ზმნისა.

**განწმენდა** — ცოდვებისაგან განთავისუფლება

**გაწმენდა** — რისამე გასუფთავება.

**განწუხობა** — ამა თუ იმ ქცევისა თუ ვანცდისათვის მზადყოფნა.

**გაწუხობა** — გაშლა, დაგება, ვასწორება.

**შთაგონება** — სხვის ნებისყოფაზე მოქმედება.

**ჩაგონება** -- გონებაში ჩანერგვა. შესმენა, შეგონება.

**წარსული** — გავლილი, ძველი, გარდასული დრო.

**წახული** — ვინც ან რაც წავიდა... და ა.შ. X

სუბიექტური აღქმის შედეგია ე.წ. „ხალხური ეტიმოლოგიებიც“. აქ საყურადღებო ისაა, რომ ამგვარმა „ეტიმოლოგიამ“, ანუ

სიტყვის ამგვარმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა სრულიად შეცვალოს სიტყვის სტრუქტურა. ამის ნიმუშებია: სრა-სახლ-ი > სა-სახლ-ე. სასახლე ამ წარმოებით „სახლისთვის განკუთვნილს“ უნდა ნიშნავდეს. მაგრამ ნიშნავს კი: „მეფის, სახელმწიფოს მეთაურის ან სხვა წარჩინებული პირის საცხოვრებელ დიდებულ შენობას“. ტომ. დარისპანული → დანისპარული...

**სუბიექტური სიტყვათწარმოებაში:**

**კონტამინაცია** (ასოციაციური წარმოება):

ამოიჩლიავა < ამოიჩარა + ამოიღლიავა

ცულდი < ცული + წალდი

წრიაზობს < წრიალებს + კრიაზობს

ჩლახუნობს < ჩახუნობს + ლახავს

ენისადმი სუბიექტური მიდგომა განსაკუთრებით იჩენს თავს სინამდვილის მხატვრული ასახვის დროს. ერთი და იგივე საგანი ან მოვლენა (და აქედან — ამ საგნისა ან მოვლენის აღმნიშვნელი სიტყვა) შესაძლოა სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო, ასოციაციებს იწვევდეს ორ სხვადასხვა შემოქმედში. აი, ერთი ნიმუში ამისა.

**ზამბახი** (< არაბული „ზამბაკ“ - შროშანი) — ბალახოვანი, მეტწილად ფესურიანი მცენარე ზამბახისებრთა ოჯახისა. ფოთლები ხანჭლის ან ხმლის მსგავსი აქვს. ყვავილები მსხვილი, ლამაზი, მრავალნაირად შეფერილი. ყვავის აპრილსა და მაისში. არსებობს ქართული ზამბახი — ველურად ვაჭრუკვლიებულია თბილისის მიდამოებში.

ახლა ვნახოთ, რა სიმბოლოთია დატვირთული „ზამბახი“ ქართულ პოეზიაში.

**გალაკტიონი:**

„ბნელ ღამის დროს წყნარი ძილი რომ ეწვევა თეთრ ზამბახებს,

მათ ნარნარი მთის ნიაგი უაღერსებს, აცახცახებს“.

(„მე და ზამბახი“)

„მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით,

და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით

მოჩანსს მტყვარი და მეტეხი თეთრად მოელგარე...  
ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!“

(„მოთაწმინდის მთვარე“)

ზამბახი — მთვარე.

ზამბახი — ღამის ფონზე (კონტრასტი).

თეთრი — შავი

### **გიორგი ლეონიძე:**

„როგორც ხმალი, ძმებო, ტაძერლანისა,

სიყვარული ისე დაძახებია!

მე მივტირო ღამეს ზამბახებიანს

და სიყვარულს ათაბაგის ქალისას“.

(„ნინოწმინდის ღამე“)

შდრ.:

### **ნ.ბარათაშვილი:**

„მიყვარს თვალები მიბნედილები,

ეშხისა ცეცხლით დაქანცულები,

მაგრამ რომ ვუჭკრეტ ზამბახ-გარდთ ველად,

განეწონვიან მათი ისრები“

### **ი.ევდოშვილი:**

„შექითხა: „ტურყავ, რად ხარ ასე შენ დარდიანი,

მისოიხედუ, ვით ლაღობენ ზამბახ-იანი“.

.....

ეს ეხება მთლიან მხატვრულ სახესაც, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ემოციურ და იდეურ ღირებულებას იძენს.

„ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო“. (ფსალმუნი 41.2)

ახლა გავისინოთ, რა კონტექსტშია მოქცეული იგივე მხატვრული შედარება ვალაკტიონის ლექსში:

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,

ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“.

ერთსა და იმავე მხატვრულ სახეს განსხვავებული სემანტიკა აღმოაჩნდა სხვადასხვა კონტექსტში. სახე გაძლიერებულია სიტყვით „დაჭრილი“ — ამძაფრებს ემოციას.

.....

### **ბიბლიაში დამოწმებულია:**

„ხვალემ იზურნოს ხვალისა“

აქ მხატვრულად არის ხორცშესხმული ასეთი აზრი: ხვალის-დელ დღეზე ზრუნვით არ უნდა დავიმძიმოთ დღევანდელი დღე.

ეს პოეტური სახე ქართულ პოეზიაში შევიდა.

ალ.ქავჭავაძე („ლიმილმან კარი ლალისა“):

„ლიმილმან კარი ლალისა

განალო გამჭირვალისა

დღეს ესე მკმარის სიმდიდრედ.

ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

ალვის ნაყოფი მრჩობლეთი.

შევამცენ ჩემი დამბნელი.

დღეს ესეოდენ ვავბედი.

ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

ნიავეთ მობერვით შეძრულმან

სუნი მაყნისა სუქბულმან.

დღეს ამით ვანიშვა ვუღმან.

ხვალემ იზრუნოს ხვალისა (თხ. 1940, გვ. 113).

ესაა ბიბლიაში გატარებული აზრის ახლებური ხორცშესხმა.

**გალაკტიონთან** იგივე აზრი ასეა გამოხატული:

ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

ღვინომ მიიღოს ღვინისა.

წყალმა წაიღოს წყალისა.

არც ვწუხვარ, არც მერიდება

მიმავალ-მომავალისა.

წყალმა წაიღოს „დიდება“.

ხვალემ იზრუნოს ხვალისა!

ვულმა მიიღოს ვულისა.

ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

ღვინომ მიიღოს ღვინისა.

წყალმა წაიღოს წყალისა. (თხზ. I ტ., გვ. 333).

აქ ნათლად წარმოჩნდება, თუ რა **დამატებითი** აზრით შეიძლება აღჭურვოს სუბიექტურმა განცდამ ერთი და იმავე მნიშვნელობის ფრაზა.

ის, რაც პოეტურ მეტყველებაში თვალსაჩინოდ ხდება, ჩვეულებრივ მეტყველებაში შეფარულადაა წარმოდგენილი...

.....

ზემოხსენებული ორი ნიმუში იმის დამადასტურებელია, თუ როგორ შეიძლება გაეროვნულდეს (ეროვნული კულტურის ფაქტი გახდეს) ის, რაც წარმოშობით სულ სხვა კულტურაში (აზროვნებაში) იღებს სათავეს.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ სუბიექტურმა ფაქტორმა შესაძლოა არსებითად შეცვალოს ენის ობიექტური მონაცემი. ეს მოვლენა კარგად წარმოჩნდება იმ შემთხვევებში, როცა სიტყვის გადატანითი (მეტაფორული) მნიშვნელობით გამოყენება (სუბიექტური ფაქტო-



რი) დროთა განმავლობაში ამ სიტყვის ძირითად მნიშვნელობად იქცევა.

**ბლალავ-ს** ერთ-ერთი გავრცელებული სიტყვაა ქართულში. ნიშნავს: „წმინდა რასმე ბილწავს, შეურაცხყოფს“ (ქველ):

„აწ მაინც... ნულარ ბლალავთ ამ წმინდა ვეამს ფარისევლურის ცრემლებით“ (აკაკი).

„და შეუპოვრად ჩვენს სულის განძს უბრალოდ ბლალავს“ (ი.მაჩაბლის თარგმანი).

ეს მნიშვნელობა **ბლალავ-ს** სიტყვისათვის ძირითადია და ერთადერთი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში. ახლა მხოლოდ სპეციალური დაკვირვება გაარკვევს იმას, რომ ეს მნიშვნელობა ხსენებული სიტყვისათვის მეორეულია. ვადატანიითა (მეტაფორულია). სიტყვის **სუბიექტური შეფასების** შედეგადაა მიღებული.

ეს ზმნა ნასახელარია. ქართული ენის დიალექტებში დღესაც იპოვება სახელი **ბლალა** (მთიულურშია), რომლის მნიშვნელობაა „წყალში გახსნილი ნაკელი“. ასე რომ „ბლალავ-ს“ თავდაპირველად ნიშნავდა: „განაკელიანება“ („ანაკელიანებს“, „ნაკელი, წყალში გახსნილი ნაკელი შეაქვს წიადაგში“). ეს ამოსავალი მნიშვნელობა ამ სიტყვამ დაკარგა და ძირითად მნიშვნელობად გაიხადა ის, რაც თავდაპირველად ვადატანიით იყო მისთვის.

.....  
X სიტყვის სუბიექტური აღქმა (განცდა) უპირატესად და უპირველესად მხატვრულ ტექსტში გამოვლინდება (ნეიტრალურ მეტყველებაში აქედან გადადის ხოლმე, თუმცა ყველა არა, რა თქმა უნდა).

**ღვარძლ-ი** — სარეველა ბალახის ერთ-ერთი სახეობაა. ვადატანით ნიშნავს „ბოროტება“: **ღვარძლს თესავს - ბოროტებას**, შურს ავრცელებს. **ღვარძლიანი** - ბოროტი ზრახვის მქონე.

ე.ი. პირველი ეტაპი მნიშვნელობის ცვლისა ასეთია:

**ღვარძლი (ბალახი) → ღვარძლი (ბოროტება).**

სარეველა ბალახი გატოლებული იქნა ბოროტებასთან.

ასეთი ცვლის შედეგად ერთმანეთს დაემთხვა „ღვარძლი“ და „ბოროტი“.

<sup>1</sup> ლ.კაიშაური, მთიულურის დარჯობლივი ლექსიკა, 1967 გვ. 118/, ბ.კონხუა, „კონტექსტი და მნიშვნელობა“, ქართული სიტყვის კვლევის საკითხები, წიგნი I, 1972, გვ. 31.

ღმავდროულად მნიშვნელობა „ბოროტი“ ვარკვეულ კონტექსტებში უტოლდება მნიშვნელობას „გესლიანი“ → „გესლი“. თავის მხრივ. „გესლი“ სინონიმია სიტყვისა „შხამი“.

ამრიგად, მნიშვნელობის ცვლის მეორე ეტაპი ასე წარმოგვიდგება:

ღვარძლი (ბოროტება) → ღვარძლი (გესლი, შხამი).

ბოროტება აღიქმება როგორც გესლის. შხამის მქონებლობა და იმავდროულად თავად გესლი. შხამი არის ბოროტება. ბოროტი სულის გაჩენილია ამქვეყნად. [ილია: „წრფელსა გულში ღვარძლს ჩაახსმიან“ - „შხამს, გესლს ჩაახსამენ“. რადგან. რასაც ახსამენ. ის უთუოდ თხევადი უნდა იყოს].

აქედან სიტყვა „ღვარძლი“ იძენს დამატებით მნიშვნელობას „სიბრაზე, რიხხვა, სხვისი ბოროტებით გამოწვეული ბოღმა“.

ე.ი. მნიშვნელობის ცვლის მესამე ეტაპი ასე წარმოგვიდგება: ღვარძლი (გესლი, შხამი) → ღვარძლი (ბოღმა). X

ი.ნონეშვილი: „წინაპართ ღვარძლი ჩემს ძარღვეებში დღესაც მოღელავს“.

ამრიგად. სიტყვა „ღვარძლის“ სემანტიკური ვადასვლები ასე წარმოგვიდგება სქემაზე:

1. სარეველა ბალახი
2. → [ბოროტება
3. → [შიამი, გესლი
4. → [ბოღმა, სიბრაზე.

ამათგან. თავისი პირველი მნიშვნელობით „ღვარძლი“ იშვიათად (ან თითქმის სულ არ) გამოიყენება. სუბიექტურმა ხედვამ შეცვალა თავდაპირველი ობიექტური მონაცემი

ამ რიგის ფაქტები ქართულში საკმაოდ დაიძებნება<sup>7</sup>.

<sup>7</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით ხელნაწერში მითითებულია ბ. დოხოჯის წერილი „კონტრექსტი და მნიშვნელობა“ (ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი I, 1972, გვ. 29) და არის მინაწერი: დასკვნა უმარაობებულია. ბატონი ბესარიოს ქორბენაძის ეს მინაწერი ეხება ბ. დოხოჯის ამ მსჯელობას: „ღვარძლის წარმოდგენა სიბრთის სახით (ჩაახსმიან, მოღელავს!) ამ სიტყვის მნიშვნელობას ეწინააღმდეგება. მას უკუღმებულყოფს და, ცხადია, ამიტომ მეტადიკური გამოიყენება; უსაგნო ხდება“ (დასახ. წიგნი, გვ. 29) (რედ.)

<sup>8</sup> აქტორს შენიშვნის სახით მოსთავს ხსენებული ჰოხობელაძის დაყირვება ასეთი სემანტიკური გადასვლის შესახებ

ფერა → შე ფერა  
ფერა-ა-ი  
პირ-ფერა-ი

**„თაკარა“** — პირვანდელი მნიშვნელობაა „მინის სადნობი ლუმელი“. ამ მნიშვნელობით იგი აღარ გამოიყენება. იხმარება მნიშვნელობით: „მხურვალე, მცხუნვარე, ვარვარა, დიდი სიცხე“. დიალექტებში: „ერთმანეთზე დაწყობილი ფიცრები, შეშა“; „ერთმანეთზე დაწყობილ კეცებში დაკრული მქადები“.

**„ბაღლაში“** — წყლულის, მუწუკის ჩირქოვანი სითხე; ნარწყვი ნალველი → **სიმწარე, შხაში, გესლი**.

[იცვლება ნასესხები სიტყვების სემანტიკაც].

**„დაძქაში“**: აღმოსავლურ მუსიკაში — ბანის მიმცემი → თანამოაზრე, მომხრე, ამყილი.

§ 35. **სიტყვის მაგია**. სუბიექტური თვალსაზრისი განსაკუთრებით წარმოჩნდება სიტყვის მაგიის რწმენაში.

**მაგია** ძველბერძნული სიტყვაა.

— ჯადოქრობა, მარჩიელობა.

— ფოკუსი, ეშმაკური ილეთი.

— ჯადოქრობა, ჯადოსნობა; მოტყუება, თვალთმაქცობა, ფალსიფიცირება.

— სამსხვერპლო ნამცხვარი.

**მაგია** — რწმენა გარკვეული სიტყვისა თუ მოქმედების სასწაულებრივი ძალისა, ჯადოქრობა, მისნობა.

**სიტყვა** - ხაგანი, მოვლენა.

ამიტომაც **სიტყვის მაგია** არსებითად უტოლდება **ხაგანთა მაგიას**.

მაგიური აზროვნება ემყარება ორ პრინციპს:

ა) მსგავსი წარმოქმნის მსგავსს; ანუ: შედეგი ჰგავს თავის წარმომშობ მიზეზს;

ბ) საგნები, რომლებიც ერთხელ უკვე დაუკავშირდნენ ერთმანეთს, განაგრძობენ ურთიერთზემოქმედებას უშუალო კონტაქტის გარეშეც, დაშორების მიუხედავად (Дж.Фрезер, Золотая ветвь, М., 1980. გვ. 20).

**აქედან მაგიის კრიტერიუმი:**

ა) შეიძლება გამოვიწვიოთ ნებისმიერი სასურველი მოქმედება უბრალო მიბაძვის საშუალებით.

---

შე ი-ფურა

მო ფერ ება

სელნაწერში მითითებულია ბ. აქოჩხუას წერილი „კოსტეისტი და მნიშვნელობა“. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. წიგნი I, 19/2, გვ. 28 (რედ.).

ბ) ის, რაც უკეთდება (რასაც ვუკეთებთ) ამა თუ იმ სავანს, ვავლინას ახდენს იმ პიროვნებაზეც, რომელიც ოდესმე ამ სავანთან ყოფილა კავშირში.

ასე რომ, მაგიას თავისი პრინციპები, ფილოსოფიური (ლოგიკური) საფუძვლები ჰქონია.

ყველაფერი ეს დაფუძნებულია **რწმენაზე, შეგონებაზე, შთაგონებაზე.**

ამ რწმენამ წარმოშვა **ლოცვის, შელოცვისა და წუევილის ფორმულები.**

ქართულ სინამდვილეში ეს არის წარმართული რწმენისა და ქრისტიანობის შერწყმის ფაქტი.

**რამდენიმე ნიმუში:**

**მგლის ლოცვა:** სახელითა მამისათა, ეყენია-ბეყენია, ზეკთა ხატი ასენია. ღმერთო, შეეკარ, შებოჭე პირი მგლისა, ხელი მეკობრისა; ენა მიე ნაბღისა, კბილი მიე სანთლისა (პ.უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, IV, 1964, გვ. 146).

**წყლის ლოცვა:** სახელითა მამისათა და ძისათა და სული წმიდისათა. ანი იყო, ბანი იყო, წყალთა შუა ნავი იყო, ნავი ნავზედ, საყდარი საყდრის თავზედ, ქალი იყო, ადუ, ბიჭო, მომიტანე კალამი და კალმის ძირი, წავალ, დედაო, ზეცას კვითხავ, დედა მომცემს ზანვალსა, დაკრავ წყლისასა და ის გააქრობს იმას (იქვე, გვ. 147, 148).

**შეშინებულის ლოცვა:** სახელისა ღვთისათა, მამისა ძისათა და სულისა წმიდისათა, დედამ შეგაშინა, მამამ შეგაშინა, ძალმა შეგაშინა, ღორმა შეგაშინა, ძილში შეგეშინდა, ფხიზლობაში შეგეშინდა, მაინც შეშინებული ხარ, გულო, მოდი საგულესა! თეთრი ქორი ქანდარასა, შენი გული აქანასა, ღმერთო, დასწერე ჭვარი შენი, მოუხდინე ლოცვა ჩემი! (იქვე, გვ. 164).

**გველის ლოცვა:** გველო, ესტატო, მესტატო, მისტი ოსტი საქორგულო, გაჩერდი და ხმას არ გავცემ (გვ. 181).

.....

**დალოცვის ფორმულები:**

დიდება შენდა, გმირო კობალაო... ლალო იახსარო, ფუძის მთავარანგელოზო, საქართველოს მყოლო ანგელოზო (ვაჟა-ფშაველა, IV, 251).

ღმერთმა გაცოცხლოსთ, ხევსურნო, კეთილის თვალით იყოს ეს ბატონი გუდანის ჭვარი თქვენზედაც და ჩვენზედაც (იქვე, IV, 222-3).

.....  
**გ.ლეონიძის ნოველიდან:**

ჩემი სიცოცხლის ცისკარო! თავს შემოგველე! ჩემო გაშლილო იაო! შენი გულის ჭირიმე! წამლად დაგენაყე, წამლად დაგედე! იმ ადგილის ჭირიმე, სადაც შენ მომაგონდები!... (ნატვრის ხე. „დეიდა მაიკო“).

.....  
**წყევლის ფორმულები:**

აი, არ დასცალდეს ხვალინდელი დღე უნამუსოსაც და აშარსაც (ვაჟა-ფშაველა. IV. 599).

**გაგიწყდეთ ხმა და სახსენებელი** (იქვე. IV. 28).

**დაუდგეს თვალთა** (I გვ. 56).

**ოხრადაც დაჰჩრები** შენს პატრონს (IV. 212).

**ჯანდაბას შენი თავი...** და ა.შ.

.....  
შელოცვაც, დალოცვაც და წყევლაც გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. მიზანი — ნათელია: სიტყვის მაგით სასურველი შედეგის მიღწევა. და ეს შედეგი ხშირად მიიღწეოდა. მიიღწეოდა ფსიქოლოგიური ზემოქმედების გამო.

სიტყვის მაგია რწმენას აღვიძებდა, თვითდაჯერებას, აუმჯობესებდა სუბიექტურ განწყობას. სიტყვის ძალის რწმენა ადამიანის თვითდაცვისა და თვითგამოხატვის უნარს აძლიერებდა. ეს კი უმეტეს შემთხვევაში სასურველ შედეგს იძლეოდა.

**სიტყვის ძალა** ზუსტად და ხატოვნად აქვს გამოთქმული **შ.რუსთველს:**

**„გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“.**

თუ რა ზემოქმედების უნარი აქვს სიტყვას, ამას ყოველი ჩვენგანი ყოველდღიურად განიცდის. სწორედ ამ ძალაზეა აგებული ლოცვისა და წყევლის ფორმულები...

§ 36. იხ. § 30, 31. **ერის კულტურა, სულიერი წყობა, ისტორია** კარგად წარმოჩნდება ხატოვან გამოთქმებში. საქმე ისაა, რომ ე.წ. ხატოვანი გამოთქმა ხატოვნების ფუნქციით გვიან აღიქურვება ხოლმე. თავდაპირველად მას სავესებით ზუსტი და პირდაპირი დანიშნულება ჰქონდა — უშუალოდ გამოხატავდა გარკვეულ ფაქტს. მოვლენას.

მოვიყვანთ რადმენიმე ნიმუშს თ.სახოკიას მიერ შეკრებილი ხატოვანი სიტყვა-თქმებიდან:

**აბაშიძეების გზა:** პირდაპ.: გზა, რომლითაც აბაშიძეებს ტყვეები მიჰყავდათ ვასაყიდად.

**არნაუტი კაცი:** ხატოვ.: ტყვედ გაყიდვა ოსმალეთში.  
პირდაპ.: 1919 წლამდე აღბანეთი თურქეთს ეკუთვნოდა. ამ მხრიდან გამოკრეფილი ჭარისკაცებისაგან ადგენდნენ რაზმებს, რომელთაც **არნაუტები** ერქვათ. გამოირჩეოდნენ გულქვაობითა და ულმოზლობით.

**ხატოვ.:** მხეცი ადამიანი, ულმობელი, გულქვა, სისხლით გაუმძღარი.

**ბალბა არ მომიხარშო პირდაპ.:** მოხარშულ ბალბას ქართლ-კახეთში ჭრილობის მოსარჩენად ხმარობდნენ.

**ხატოვ.:** ვერაფერს მიზამ, ვერაფერს დამაკლებ. ჭრილობას ვერ მომაყენებ.

**ბაქალლო ოქრო** პირდაპ.: წმინდა, შეურეველი ოქრო. < სპარსული: ბაჭ „ფეხი“ + ალლი „გრძელი“: ოქროს ფული, რომელზედაც გრძელფეხებიანი დანიის მეფე ეხატა.

**ხატოვ.:** ნამდვილი, ნალდი, ჭეშმარიტი, უებრო.

**ბზობის ყვაფივით გაქრა** პირდაპ.: ზამთრობით ყვაფი სოფელს არ სცილდება. ვაზაფხულზე, ბზობისას კი ტყეში გადაიხვეწება, სადაც უკვე ბევრი საყვები ეგულება.

**ხატოვ.:** არავინ იცის, სად წავიდა, სად გადაიკარგა, გაუჩინარდა.

**თავზე ნაცრის დაყრა** | პირდაპ.: ძველი ჩვეულება — გლოვის ნიშნად ნაცარში გორაობა და თავზე ნაცრის დაყრა. საფუძ-

ველი: სიმბოლური დაწვა —  
ქმრის ვარდაცვალებისას მის  
ცოლს ცეცხლში სწვავდნენ.  
ამ წესის გადავარდნის შე-  
მდეგ მისი ადგილი დაიჭირა  
სიმბოლურმა თვითდაწვამ.  
ადამიანს სწვავდნენ დანაშაუ-  
ლის დროსაც. შემდეგ ეს წე-  
სიც ნაცრის დაყრით შეიცვა-  
ლა.

**ხატოვ.:** ვლოვა, მწუხარება... თავის  
შერცხვენა. თავის დამცირე-  
ბა...

**განაცვალე, შემოგველე, პირდაპ.:** ძველად მძიმე ავადმყო-  
ფის საწოლის ირგვლივ შე-  
მოატარებდნენ ხატისათვის  
ალთქმულ ცხოველს. რო-  
მელსაც უნდა ეტვირთა  
ავადმყოფის სენი და ცოდვა.  
ეს იყო „განყვანების (განტე-  
ვების) ვაცი“.

**შლრ.: ბიბლ.:** მამა აბრამის კრავი — ადა-  
მიანის ნაცვლად ღვთაებას  
სწირავენ ცხოველს... თავს  
(გარს) შემოვლებულ ცხო-  
ველს ალთქმულ ხატს შე-  
სწირავდნენ — ე.ი. ავად-  
მყოფ ან ცოდვილ ადამიანს  
**ანაცვალე ბდნენ:**

**ხატოვ.:** ხეწნა, პატრონობა, ზრუნ-  
ვა... ვისიმე ნაცვლად თავის  
ვაწირვა.

**თითი დაუქნია**

**პირდაპ.:** გამართული თითი სიმბოლოა  
ჯოხისა. რომელსაც მოწინააღ-  
მდეგეს მოუღერებდნენ ხოლ-  
მე.

**კატორღა**

**ხატოვ.:** დაემუქრა, შეაშინა...  
**პირდაპ.:** სავაჭრო ან საომარი ვეში სა-

ბერძნეთში (კატარლა < კატერგონ). რომლის მენავეებად ტყვეებს ან დამნაშავეებს სვამდნენ. აქედან — კატორლა — იძულებითი სამუშაო...

**ხატოვ.:** დიდი, განუწყვეტელი და უსიამოვნო სამუშაო. წვალეზა, ჯახირი.

**მიხუთშაბათება**

**პირდაპ.:** იმ დროის გამონათქვამია, როცა უქმე პარასკევი იყო. ამ დღეს იკრძალებოდა რაიმეს გაკეთება. ამიტომ ხუთშაბათობით სწრაფად ცდილობდნენ საქმის მოთავებას, რომ პარასკევზე არ გადასულიყო.

**ხატოვ.:** მიფუჩჩება, ნაჩქარევად გაკეთება.

**პირშავი**

**პირდაპ.:** ძველად ქართლში დამნაშავეს პირს მურით უთხუპნიდნენ.

**ხატოვ.:** დამნაშავე, მტყუანი, უსინდისო, უსირცხვილო, მოლალატე...

**ყურებზე ხახვი არ დამაჭრა**

**პირდაპ.:** ძველად დამონების ნიშნად დატყვევებულს ყურს აჭრიდნენ, ხოლო დეზინფექციის მიზნით ზედ დაჭრილ ხახვს აყრიდნენ (ყურს ნებითაც იჭრიდნენ...).

**ხატოვ.:** ვერაფერს დამაქლებ, ვერ დამიმორჩილებ, ვერ მომერევი...

**გ.ღვიონიძე:**

„ბრწყინავს ქართლი — ხოხბის ყელი.

შვიდ მაისის წვიმით მთვრალი...”

„შვიდ მაისის წვიმა“ - ძალიან მარგებელი, მშველელი, მხსნელი, გამახარელი.

ეს — ხატოვნად.

პირდაპირი მნიშვნელობით — შვიდი მაისის წვიმა, შვიდ მაისს შულოცილი წვიმა. შვიდ მაისს ზედაზენში ულოცავდნენ და ითხოვდნენ წვიმის მოსვლას. შვიდ მაისს მოსული წვიმის წყალს სპეცია-



ლურად აგროვებდნენ. ღვინოს გაურევდნენ დააძმარებდნენ — საუკეთესო ძმარი დეკობა...

**ხახვივით შერჩა პირდაპ.:** ვასესხებულ ხახვს არ ჩაისესხებდნენ — ხახვი მწარეა და ვითომ სიმწარეს უკან არ იბრუნებდნენ.

**ხატოვ.:** იოლად გადაურჩა პასუხისმგებლობას.

**ღვთის გლახა** — შუა საუკუნეებში სიღარიბე გაიაზრებოდა როგორც ღვთისთვის სასურველი მდგომარეობა. თავად ლატაკი კი ღმერთის რჩეულად მიიჩნეოდა. აქედან: **„ღვთის გლახა“** (აიასტრებიცკაია, XI-XIII სს დასავლეთ ევროპა, თბ., 1981, გვ. 156). მათხოვარი აუცილებლად უნდა განეკითხათ (შდრ. **შაბათის გლახა**). **შემდეგ იქცა დაცინვად.**

**ხატოვ.:** თავმოძაბუზრებელი. თხოვნით შემაწუხებელი. მოუშორებელი მთხოვნელი.

§ 37. იხ. § 32. **სუბიექტური თვალსაზრისი მეტნაკლებად წარმოინდება სახელდების შემთხვევაში.** აქ. ბუნებრივია, იგულისხმება ეტიმოლოგიურად გამკვირვალე სახელები. ყველა ეს სახელი თვით ობიექტით არის შეპირობებული. მისი რომელიმე მხარის, თვისების გავრცელება მთლიანად ობიექტზე.

**მცენარის სახელები:**

**აბრეშუმა** — კახ: ბეჭედა (გველისლობე) საპონელა

მობ.: საბეჭდიაი

თუმ.: გველისმძივა

მესხ.-ჯავ.: გაბლანდულა

ევრ.-თიან.: ჭინჭრის ძაფი

რაჭ.: გველივენახი / ბუწავა

ლეჩხ.: გველიძაფი...

**ანალიზი:** ამ მცენარის სახელწოდებანი აშკარად განსხვავდება დიალექტების მიხედვით.

**ობიექტურად: აბრეშუმა** — ერთწლოვანი სარეველა მცენარეა, ფესვი და ფოთოლი არა აქვს. ეკვრის მცენარეს თავისი ზვიარა ღეროზე განლაგებული მისაწოვრებით და იკვებება მის ხარჯზე.

აზიანებს სამყურას. იონჯას. სელს. წიწაკას. თამბაქოს. კარტოფილს, ჭარხალს. ხახვს და სხვ. მისი ზოგი სახეობა შხამიანია და საკვებში მოხვედრისას შეიძლება მოწამლოს ცხოველები.

**აბრეშუმას** რამდენიმე თვისება აღმოაჩნდა. ამ თვისებათა უმეტესი ნაწილი წარმოჩნდა მის სხვადასხვა სახელწოდებაში:

1. **აბრეშუმა** მართლაც წაივავს აბრეშუმის ძაფს (**აბრეშუმა**).
2. **აბრეშუმას** ყვავილი ბეჭედსა თუ მძივის მარცვალს მოგვაგონებს (**ბეჭედა, საბეჭდიაი; გველისმძივა**).
3. **აბრეშუმას** ზოგი სახეობა შხამიანია (**გველისმძივა, გველილობე...**)
4. **აბრეშუმა** ვენახით (ვაზით) ეხვევა მცენარეს (**გველივენახი...**)
5. **აბრეშუმას** თვისება: შემოეხვიოს მცენარის ღეროს (ვენახის გარდა) გველის თვისებასთანაც აახლოებს მას...
6. **აბრეშუმა** მართლაც იბლანდება მცენარის ღეროებსა და ფოთლებში (**გაბლანდულა**)...

ამ თვისებათაგან — ზოგი გარეგნულია. ზოგი — შინაგანი, ე.ი. ზოგი ანატომიურია, ზოგი — ფიზიოლოგიური.

სახელწოდებებიც — ზოგი გარეგნულ მხარეს წარმოაჩენს, ზოგი — შინაგანს, ზოგიც — ორივეა შერწყმული.

**გარეგნულ თვისებებს აღნიშნავენ** — ბეჭედა, გაბლანდულა, ჰინჭრის ძაფი. აბრეშუმა...

**გარეგანი და შინაგანი თვისებანი** — გველისმძივა, ჰინჭრის ძაფი, გველიძაფი...

**ღიალექტური ნაირსახეობანი რუკაზე ასე წარმოჩნდება:**

რუკა №1

**აშკარად გამოიყო რამდენიმე რეგიონი.**

1. საქართველოს ცენტრალური — შუა — ზოლი: **აბრეშუმა**.
2. **გველ-** ფუძის შემცველი ზოლი: **კახეთი-თუშეთი**. აღმოსავლეთში, და **რაქა-ლეჩხუმი** — დასავლეთში.
3. **ბეჭედ-** ფუძის შემცველი: ხევი და კახეთი (წყვეტილი ზოლი).
4. ცალკე დგას **გაბლანდულა** — **მესხეთ-ჭავჭავთშია** გავრცელებული.

5. ასევე განცალკევებულია — **ჰინჭრის ძაფი** — **ერწოში**.

მაგრამ იმავდროულად, თუ კომპოზიტების მეორე კომპონენტს გავითვალისწინებთ, „ხაზი“ ისევ გაერთიანდება:

6. **ძაფ-ი** ფუძის შემცველი: **ლეჩხუმი** და **ერწო**...

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **მძივი** ვარკვეულად უკავშირდება **ძაფს** და იმავდროულად ძაფის თვისებად შეიძლება **გაბლანდვაც** დავასახელოთ, მაშინ გაერთიანდება:

7. **ლეჩხუმი** — მესხეთ-ჯავახეთი — **ერწო** — თუშეთი...  
თავის მხრივ, **ჭინჭრის** თვისება **დახუსხვია**, რაც ვარკვეულად **შხამთან** პოულობს ანალოგიას, აქედან კი — გველთან. ამის მიხედვით **გველიძაფი** და **ჭინჭრის ძაფი** შინაგანად სახელდების ერთსა და იმავე კრიტერიუმს ვარაუდობს ამოსავლად. ეს კი ნიშნავს, რომ **შხამიანობა-დახუსხვის** მიხედვით (ამ თვალსაზრისით სახელდების მიხედვით) გაერთიანდება საქართველოს ჩრდილოეთი ზოლი (წყვეტა მოხდება ზემო ქართლსა და მთიულეთ-გუდამაყარში, ასევე ხევში, ხევსურეთსა და ფშავში) და კახეთი:

### რუკა №2

ახლა უკვე ნათელია, რომ არსებითად გვაქვს სამი რეგიონი:

1. ცენტრალური — **აბრეშუმა**.

2. ცენტრალურის ჩრდილოეთით — გველიძაფი  
გველიმძივა  
გველის ლობე  
გველის ვენახი  
ჭინჭრის ძაფი

3. ხევი: კახეთი — საბეჭდიაი  
ბეჭედა (**წყვეტა ხაზისა**).

მესხურ-ჯავახური **გაბლანდულა** (შინაგანი თვისებით) მეორე რეგიონს ეკედლება. სხვაობა: ძაფი — გარეგნული მსგავსება  
გაბლანდვა — შინაგანი მსგავსება (ძაფთან)

.....  
ამგვარი ანალიზი ნათლად წარმოაჩინს შემდეგს:  
მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთი და იგივე მცენარე ნაირგვარად არის სახელდებული (ეს კი მსოფლხედვის ნაირსახეობაზე მიანიშნებს), შინაგანი მჭიდრო კავშირი ამ სახელწოდებებს შორის ამჟამად — ანუ მსოფლხედვის ამოსავალი პრინციპი საერთოა (კავშირი ღრმა „სემანტიკურ“ იგივეობაზეა დაფუძნებული. ეს სემანტიკა ვარკვეულად მეტაფორულ აზროვნებას ვარაუდობს: **ჭინჭარი** — **გველი**, **ძაფი** — **მძივი** — **გაბლანდვა**...).

**კომპოზიტ-სახელწოდებათა შემადგენელი ელემენტების სქემა:**

I კომპ.	დაფი	ვენახი	მძივი	ლობე	რეგიონი
II კომპ.					
გველი	+	+	+	+	+
	(ლეჩხ.)	(რაჭა)	(თუშ.)	(კახეთი)	ლეჩხუმი რაჭა, თუშეთი, კახეთი
ჭინჭარი	+	-	-	-	ერწო
	(ერწო)				

.....

ე.ი. ორი „პარამეტრია“:

ა) „გველ“- ფუძე აერთიანებს ოთხ რეგიონს (მსაზღვრელი)

ბ) „დაფ“- ფუძე — ორ რეგიონს (საზღვრული)

„ვენახი“, „მძივი“ და „ლობე“ „პარამეტრში“ არ შედის, რადგან მხოლოდ თითო-თითო რეგიონშია გამოყენებული (არ აერთიანებენ რეგიონებს).

**შენიშვნა:** ზემოთ წარმოდგენილი იყო მხოლოდ ანალიზის პრინციპი (თვით სახელწოდებათა შედგენილობა და განაწილება დასაზუსტებელიც რომ იყოს, ანალიზის პრინციპი იგივე დარჩება...).

\*\*\*

გავაანალიზოთ ამავე პრინციპით სახელწოდება „ასკილი“.

**ასკილი** - ველური ვარდი, მცენარის გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. მარადმწვანე ან ფოთოლმცვივანი, ზოგჯერ ხვიარა, ეკლიანი ბუჩქებია. აქვთ კენტფრთისებრი ფოთლები, ვარდისფერი, წითელი, თეთრი (იშვიათად ყვითელი) და სურნელოვანი ყვავილები... **ასკილი** იზრდება ტყის პირებზე, იშვიათად ქვეტყეში, ბუჩქნარებში, კვიან და კლდოვან ფერდობებზე, სუბალპიურ მდელოებზე...

**რუსული:** шиповник, роза дикая.

**ლათინური:** *Rosa canina* - სიტყვასიტყვით: **ძაღლის ვარდი.**

დიალექტების მიხედვით ასეთი სურათია:

**ასკილი** — ქართლ.: მინდვრის ვარდი (- ველის, ველური)

ფშავი	} ესკალაი
ხევს.	
ხევი	
მთიულ.	
თუშეთი	} ტყის ვარდი
ლეჩხ.	
ოკრიბა	

იმერული: ქორნიკარტა

გურული: ეშმაკის მათრახი

ინგილ.: თეთრ ვარდ / ტყი ვარდ / ქაქია

სხვა ქართველური ენები:

ჭანური. მტკუი გჷლი

მეგრ.: ეშმაკიში ვარდი / ეშმაკიში მათრახი

სვან.: მუჟვარი / ვვარი

ყველა ეს სახელწოდება სემანტიკურად გამჭირვალეა.

**ესკალაი** ნიშნავს „ეკალი“ (ეკლიანი / ეკლიანა)

ახლოა სახელწოდება „ასკილთან“.

**ქორნიკარტა** — ქორისნისკარტიანი

**ეშმაკიში ვარდი/მათრახი** — ეშმაკის ვარდი/მათრახი.

**მტკუი გჷლი** — ველური (ტყიური, ტყის) ვარდი.

არის ასკილიც.

ასკილის სახელდებისას მოქმედებს შემდეგი ფაქტორები:

1. გეოგრაფიული ფაქტორი — გაგრცელების არე: მინდვრის ვარდი, ტყის ვარდი, ტყივარდ...

2. აგებულება: ესკალაი (- ეკლიანი). ქორნიკარტა...

3. შეფერილობა: თეთრ ვარდ...

4. თვისება — მათრახივით აწვა კანი: ეშმაკის მათრახი...

სახელდებისას ასკილის თვისება გადმოიცემა:

ა) უშუალოდ (პირდაპირ): ესკალაი, თეთრ ვარდ, მინდვრის ვარდი...

ბ) მეტაფორულად: ქორნიკარტა, ეშმაკის მათრახი.

ახლა ვნახოთ, როგორ არის განაწილებული ასკილის სხვადასხვა სახელწოდებანი საქართველოს რუკაზე:

**სახელწოდებათა გაგრძელების რეგიონები:**

1. **ტუის ვარდი** — ქანეთი. ლეჩხუმი-ოკრიბა, საინგილო. როგორც ვხედავთ, საკმაოდ წყვეტილი ხაზია. თუ ვავითვალისწინებთ იმას, რომ **ველური, მინდვრის და ტუის „სიტუაციური სინონიმებია“**. მაშინ ამ რგოლში ჩართვება ქართლიც („მინდვრის ვარდ“-ით).
2. **ეშმაკის მათრახი** — გურია-სამეგრელო. იმავდროულად სამეგრელო შევა იმ რეგიონშიც. სადაც სახელწოდების კომპონენტად გვაქვს **„ვარდი“**.

3. **ესკალაი** — აღმოსავლეთ საქართველოს მთაში.

რეგიონები აქ სხვანაირად ვანაწილდა. ვინემ **„აბრეშუმას“** შემთხვევაში. თანაც ნაკლებია სახელწოდებათა ნაირსახეობანი.

საინტერესოა (ტიპოლოგიურად) ის ფაქტი, რომ რუსული სახელწოდება **Роза дикая** — ველური ვარდი იგივეა, რაც **ტუის ან მინდვრის ვარდი**, ხოლო **шаровиик < шип „ეკალი“** (შდრ.: **ესკალაი**).

**შენიშვნა: მინდვრის და ტუის — ორივე ველურს ნიშნავს, მაგრამ სახელდებულია გაგრძელების კონკრეტული რეგიონის მიხედვით.**

§ 38. ენა ობიექტური მონაცემია და, ამდენად, მას თავისი შინაგანი კანონები აქვს — როგორც ფორმობრივი, ასევე სემანტიკური თვალსაზრისით. მაგრამ ენობრივ შემოქმედებაში აქტიურად ერევა სუბიექტური თვალსაზრისიც, ამის ნიმუშები (სუბიექტური ხედვის შედეგები) ზემოთ უკვე იყო დასახელებული.

**სუბიექტური ხედვა ზოგჯერ მცდარ გაგებაზეა დაფუძნებული** და, მიუხედავად ამისა, შესაძლოა დაძვივრდეს კიდევაც ენაში.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი მნიშვნელობა სიტყვის **„მუმია“** — სხვადასხვა საშუალებით ან ბუნებრივად ხრწნისაგან დაცული ადამიანის გვამი ან ცხოველის ლეში.

მუმიას, სხვებს შორის, ორი ნიშანთვისებაც აქვს:

ა) როგორც წესი, გამოფიტულია — „გამხდარია“ — და

ბ) გაქვავებულია, უსიცოცხლოა.

აქედან **„მუმია“** სიტყვის ვადატანითი მნიშვნელობით ხმარება:

ა) მეტისმეტად გამხდარი ადამიანი,

ბ) უსიცოცხლო. მოდუნებული. გარინდებული...

ეს არის „მუმიის“ არსებითად სწორ გაგებაზე დაფუძნებული ცვლა მნიშვნელობისა (გადააზროიანება).

მაგრამ იმავდროულად „მუშია“ ვაგებულ იქნა როგორც საგანგებო რამ, თვალისჩინივით გასაფრთხილებელი საგანი და დიალექტში (გურულში) მიიღო სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა: „მუშიად (→ მოშიად) შესანახავი“ ნიშნავს „საგანგებოდ შესანახი რამ“.

\* \* \*

სიტყვა „გულის“ ძირითადი მნიშვნელობაა „სისხლის მიმოქცევის მარეგულირებელი ორგანო“.

იმავდროულად მას დამატებითი მნიშვნელობები განუვიზარდა.

ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელობაა: „რაიმე საგნის ან ნივთის შუა ნაწილი“.

არსებობს ასეთი ანდაზა: „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო“; შესაბამისად ვაგება ასეთია: „თუ გულით გინდა, ქადას ძალიან კარვად („ორივე ხელით“) შეჭამო!“ ეს ვაგება მცდარ ინტერპრეტაციიზუა ავებული: „გული“ ვაგებულ იქნა თავისი პირდაპირი მნიშვნელობით. სინამდვილეში კი ამ ანდაზის არსი სულ სხვაა: „თუ ქადის გული კარვად არის ვაკეთებული, ე.ი. როგორც მას შეეფერება, ფხვიერია — ქადა ორი ხელით უნდა ჭამო, რომ არ დაგეფხვნას“.

სემანტიკურმა ცვლილებამ ფორმობრივი ცვლილებაც გამოიწვია: უნდა ყოფილიყო — „თუ ვული ვულობს, ქადა ორი ხელით იჭმებაო“. არის: „... ქადა ორივე ხელით იჭმებაო“. (ბ.ფონჩუა. ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974, გვ. 95).

ამრიგად, მნიშვნელობა „თუ რაიმე ისეა ვაკეთებული, როგორც საჭიროა, შესაბამისი მოხმარება უნდა“, იქცა მნიშვნელობად: „თუ რაიმე ძალიან გინდა, ორივე ხელით ჩაეჭიდები“.

\* \* \*

ასეთი მცდარი გადააზრების შედეგად მრავალი ფორმა დამკვიდრდა ენაში და უკვე აღარ ითვლება მცდარად.

ეს ეხება საერთაშორისო სიტყვებსაც.

**ზენიტი:** 1. ცის სფეროს უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი ამა თუ იმ დამკვირვებლის თავზე; 2. რაიმე პროცესის უმაღლესი საფეხური. აპოგეა.

წარმოშობით სიტყვა არაბულია — სამთ ნიშნავს „მიმართუ-  
ლება“. სამთ არაბულ ასტრონომიულ ტერმინოლოგიასთან ერთად  
შემოვიდა ევროპულ ენებში და დაიწერა როგორც zaimt. გადა-  
მწერთა შეცდომით m დაიწერა როგორც m > n, ე.ი. მივიღეთ  
zanit > zenit (Л. Успенский, Слово о словах, 1962, С. 250-251).

არაბული მუსმან ქართულში იქცა ლურსმანად.

„კენგურუ“ — ავსტრალიელ აბორიგენტა ენაზე ნიშნავს „არ  
მესმის, ვერ გავიგე“.

\* \* \*

ახლებური ვააზრება ხდება გრამატიკული ფორმისაც. იხ. ზე-  
მოთ: მ.ჯავახიშვილი, კვამსახურდია.

აქ არ იგულისხმება ის ვააზრებანი, რომლებიც ენამ არ მიიღო  
(ან ჯერჯერობით არ მიუღია).

იგულისხმება ის ვააზრებანი, რომელნიც ენამ მეტ-ნაკლებად  
მიიღო და დაამკვიდრა.

ჩა-დი-ს: 1. ზევიდან ქვემოთ მიდის... 2. ზევიდან ქვევით მიე-  
დინება... 3. პორიზონტზე დაბლა იწვევს (მნათო-  
ბი): „მზე ჩადის“...

ჩა- — ზმნისწინი

დი- — ფუძე, < დინ-ს [ადენს → ადინა]

-ს — S<sub>3</sub> პირის ნიშანი.

ზმნისწინს სიტყვაწარმოებითი ფუნქციაც აქვს, მაგრამ ამ შე-  
მთხვევაშიც თავის პოზიციას არ იცვლის: ა-ვ-ა-ვ-ე — წა-ვ-ა-ვ-ე —  
ჩა-ვ-ა-ვ-ე — და-ვ-ა-ვ-ე...

მაგრამ საანალიზო შემთხვევაში სრულიად განსხვავებული ვი-  
თარებაა: ჩა- ვაიგება ფუძისეულ ელემენტად — წარმოიქმნება ახა-  
ლი ფუძე „ჩადი“: „რომელსაც წინ დაერთვის პირის ნიშანი: ს-  
ჩად-ი-ს - „შვრება, აკეთებს, იქმს რასმე“: დიდ ცოდვას სჩადის,  
სისულელეს ჩავდივარ და ა.შ.

ამ რიგისაა: ვ-ალორძინ-ებ, ვ-აღიარ-ებ...

ამ რიგის ფორმათა თაობაზე კამათიც იყო, მაგრამ გრამატი-  
კულ ანალიზზე დაფუძნებულ დასკვნას ენის ტენდენციამ აჯობა:  
გრამატიკულად უმართებულო ფორმა დამკვიდრდა და... მართებუ-  
ლად იქცა.

[სუბიექტური შეცდომა: კვამსახურდიას — „აღვიარებს“].

ეს ტენდენცია სხვა შემთხვევებშიც იჩენს თავს, თუმცა უმარ-  
თებულოდ.



**ალ-ქავჭავაძესთან არის დამოწმებული:**

„გონება ესრეთ ჰ-შთა-სძახ-ი-ს ხმითა მრისხანით მყართა“.

(თხზულებანი, 1940. გვ. 35).

§ 39. ენაში ყოველთვის ვლინდება სუბიექტური პოზიცია. ამის საშუალებას თვით ენა იძლევა. ცენტრალური ფიგურა ენის თვალსაზრისით მოსაუბრე პირია (I პირი, როგორც ჩვეულებრივ იხმარება ხოლმე).

ენა გარკვეულად სოლიფსისტური სისტემაა: მოსაუბრის პოზიციიდან ამოსვლით ხდება გარესამყაროს შეფასება (ლათინური: solus „ერთადერთი“ + ipse „თვით“).

ეს ვლინდება არსებითად ყველა ენობრივ სისტემასა თუ კატეგორიაში:

**დრო:** აწმყო — მყოფადი — წარსული განისაზღვრება საუბრის მომენტთან მიმართებაში და საუბრობს კი ყოველთვის I პირი. ის აკეთებს, ლაპარაკობს, წერს — ყველაფერ ამას III პირი სჩადის. მაგრამ გვამცნობს I პირი. „ის ლაპარაკობს“ არსებითად ნიშნავს: „ის ამას სჩადის (ლაპარაკობს) მაშინ, როცა მე ამას ახლა ვამბობ“; ე.ი. III პირის პოზიცია ისევ და ისევ ჩემი (I პირის) თვალსაზრისითაა შეფასებული.

**კილო:** თხრობითი: წერ-ს, დაწერ-ა, და-უ-წერ-ი-ა...  
კავშირებითი: წერდეს, წეროს...  
თხრობითი: ნუ წერ! ნუ წერს! არ დაწერო!  
დაწერე!

ყველაფერი ეს ჩემი (I. მოსაუბრე პირის) თვალსაზრისიდანაა შეფასებული. ეს ჩემთვისაა ფაქტი (წერს...). სასურველი (წეროს...) ესა თუ ის მოქმედება.

**ნახული და უნახავი აქტი.**

.....

ენა მოსაუბრე პირისგან სიახლოვე-სიშორის თვალსაზრისით განსხვავებს საგნებს თუ მოვლენებს:

**ა-ქ და ი-ქ** (ჩემთან ახლოს თუ ჩემგან შორს).

**შენიშვნა:** „ახლოს“ და „შორს“ გრამატიკულად ერთი და იგივე მონაცემია. მაგრამ შეხამება ხდება სხვადასხვანაირად: ახლოს → ჩემ-თან, შორს → ჩემ-გან.

**ე-ს და ი-ს** (ა-მან და ი-მან)...

**ეგ და იგი**

ბლექფუტის (ჩრდ. ამერიკა) ენაში აღინიშნება „IV პირი“ — ადამიანი სხვა ტომიდან (გვარიდან).

მელანეზიურ ენაში II პირის სამი სხვადასხვა ნაცვალსახელია:  
cñ — ჩვეულებრივი მნიშვნელობით  
hmuue — მიმართავენ სოციალურად დაბალ სა-  
ფეხურზე მდგომს  
cilic — მიმართავენ ბელადს.

შდრ. ინგლისური. სადაც მხოლოდ ღმერთს მიმართავენ შენობით.

ქართ.: ჰე. ღმერთო. ერთო. შენ შექქენ...

ღმერთს მხოლოდ შენობით მიმართავენ.

იაგურ ენაში:

pèkñnirã — მაღალი ჩინოვნიკი მიმართავს ყველა მასზე დაბლა მდგომს

sirã — რაჯა მიმართავს თავის ქვეშევრდომებს

Have — საერთოდ ყველა დაბლა მდგომისადმი მიმართვა

handikã — ურთიერთთანასწორთა შორის მიმართვა

hijëng-ngandikã — მიმართავენ ასაკით უფროსს, მაგრამ სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომს, ან უმცროსს (ასაკით). მაგრამ სოციალურად მაღლა მდგომს.

Sampéyan — მიმართავენ განსაკუთრებულად (სოციალურად) მაღლა მდგომს.

(А.А.Леонтьев, Возникновение и первоначальное развитие языка, 1963, с. 107-108.).

შდრ.: არის || ბრძანდება || გახლავთ.

როგორ ხარ || ბრძანდები ბრძანდებით || ვიკითხო ვიკითხოთ.

ზოგ ენაში სხვაობს სიმალლის დონის მიხედვით აღნიშვნა: ის (ჩემს დონეზე), ის (ჩემზე მაღლა), ის (ჩემზე დაბლა).

სკანდინავიური ენის გარკვევა. თუ რა როლი ითამაშა ენამ სოლიფსისტური კონცეფციის ჩამოყალიბებაში. ეს ლიტონი კითხვა არ არის. ცნობილია, რომ არისტოტელეს ფორმალურ ლოგიკაზე არსებითი გავლენა იქონია მისი შემქმნელის მშობლიურმა ენამ (ძველმა ბერძნულმა).

ენა სოლიფსისტური სისტემაა.

ეს ნიშნავს: ენაში ყველაფრის შეფასება მოსახუბრის

(I პირის) პოზიციიდან ხდება. ანუ: რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსაუბრე მე ვარ. ე.ი. შეფასება ხდება ჩემი თვალსაზრისიდან.

შენიშვნა: ვ.კუმბოლდტმა ენა მსოფლხედვად გამოაცხადა. ეს ნიშნავს: ენის საშუალებით ჩვენ გვეძლევა გარესამყარო. სამყაროს ვხედავთ ისეთად, როგორაც მას გვაწვდის ენა. ესაა ზოგადად ენის შეფასება. ზემოთქმული კი თვით ენის პოზიციას განსაზღვრავს: ენაში ყველაფერი მოსაუბრე პირის პოზიციიდან ფასდება.

\* \* \*

სოლიფსიზმი ფილოსოფიაში.

პროტაგორა (480-410 ჩვ.წ.აღ.): „ადამიანი არის ყველა საგნის (ნივთის) საზომი: არსებულთა. რადგან (რომ) ისინი არსებობენ. და არარსებულთა, რომ ისინი არ არსებობენ“ (Антология мировой философии, I, 1969, стр. 316).

სექსტი განმარტავს: პროტაგორა საზომად თვლის კრიტერიუმებს. საგნებად (ნივთებად) კი — საქმეს (იმას, რაც „იქმება“). ამრიგად, იგი ამტკიცებს, რომ ადამიანი არის ყველა საქმის (ქმედების) კრიტერიუმი... (იქვე).

პლატონი: პროტაგორა აღნიშნავდა, რომ ყოველი საგნის საზომია ადამიანი, ანუ: როგორც მეგლინებიან მე საგნები, ქეშმარიტად ისეთები არიან ჩემთვის, როგორც შენ, — ისეთებია ისინი შენთვის.

პროტაგორა: „...ყოველი ჩვენგანი არის არსებულისა და არარსებულის საზომი...“ (იქვე, გვ. 318).

არსებითად სოლიფსიზმი აქედან იღებს სათავეს.

მართალია, აქ მხოლოდ ელემენტებია სოლიფსიზმისა.

პროტაგორას შრომებს არც მოუღწევია ჩვენამდე — ვიცნობთ სხვა ფილოსოფოსების შრომებში ვაზნეული ციტატებით.

✗ სოლიფსიზმის პრინციპებს იზიარებდნენ და ავითარებდნენ სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობის წარმოადგენლები. ძირითადად ესაა იმანენტიზმი და სუბიექტური იდეალიზმი.

იმანენტიზმის ძირითადი დებულებაა: „არსებობს მხოლოდ ის, რაც გაიზარება“, ყოფიერება იმანენტურია ცნობიერებისა. ობიექტი აუცილებლად დაკავშირებულია სუბიექტთან.

**წარმომადგენლები:** შუაქ. შუბერტ-ზოლდერნი. რემკე. ლეკ-  
ლერი.

ამ მიმდინარეობას უკავშირდებოდნენ მახი და ავენარიუსი.

**შეცნობა** განისაზღვრებოდა როგორც „საგნის შესვლა (შეღწე-  
ვა) ცნობიერებაში“.

იმანენტის პრინციპები გაიზიარა „ნეორეალიზმმა“. დებუ-  
ლება: შესაცნობი საგანი შესაძლოა უშუალოდ არსებობდეს ცნობი-  
ერებაში. მაგრამ იმავდროულად არ არის დამოკიდებული შეცნობა-  
ზე თავისი არსებობითა და ბუნებით.

**სუბიექტური იდეალიზმი:** ან უარყოფს ობიექტური სამყა-  
როს არსებობას, ან განიხილავს მას როგორც ისეთ რამეს, რაც  
მთლიანად განისაზღვრება სუბიექტის აქტიურობით. **სამყარო** არის  
სუბიექტის შეგრძნებათა, განცდათა, მოქმედებათა, განწყობათა სამ-  
ყარო. **წარმომადგენლები:** ბერკლი, იუმი, ფიხტე.

სუბიექტური იდეალიზმის პრინციპებს იზიარებს **ნეოპოზიტი-  
ვიზმი, პრაგმატიზმი, ეგზისტენციალიზმი...**

\* \* \*

**ჯორჯ ბერკლი (Berkeley) (1685-1755):**

**„ადამიანის ცოდნის საწყისებისათვის“:**

.....მხედველობის საშუალებით მე მაქვს სინათლისა და ფერის  
იდეა... შეხებით მე აღვიქვამ მყარსა და რბილს, თბილსა და ცივს.  
მოდრახობასა და წინააღმდეგობას... ყნოსვა მე აღმქურავს სუნით.  
პირი — გემოთი, სმენით აღწევს სულში ბგერები... და რადგანაც  
ამ იდეათა უშეტყესობა წარმოადგენილია როგორც ურთიერთთან-  
მხლეობა, ისინი აღინიშნებიან ერთი საბელწოდებით და ამის შედე-  
გად გაიგებიან როგორც ერთი საგანი. ასე მაგალითად, თუ აღმო-  
ჩნდება, რომ ზოგიერთი ფერი, გემო, სუნი, მოყვანილობა და კონ-  
სისტენცია (სიმკვრივის ხარისხი) მოცემულია ერთად, ისინი გაი-  
გებიან ერთ საგნად, რომელიც იწოდება როგორც „გაშლი“.  
**ანუ:** „მე“ ვარ ის, ვინც აერთებს ამ ნაირგვარ თვისებას ერთ ობი-  
ექტში და სახელს სდებს მას. სხვა ნაკრებები იდეებისა შეადგენენ  
ქვას, ხეს, წივნს და მისთანა შეგრძნებად საგნებს, რომლებიც იმის  
მიხედვით, სასიამოვნონი არიან თუ უსიამოვნონი, იწვევენ სიძულვი-  
ლის, სიხარულის, მწუხარების და ა.შ. განცდებს.

მაგრამ ამ იდეათა ან ცოდნის საგანთა უსასრულო ნაირსახეო-  
ბათა გვერდით, მათ თანაბრად არსებობს რაღაც, მათი შემცნობი  
ან აღმქმელი და წარმომქმნელი ნაირგვარი მოქმედებისა, როგორე-

ბიცა: სურვილი. წარმოსახვა. მოგონება. ეს შემეცნებელი მოქმედი არსება არის ის, რასაც მე ვუწოდებ გონებას, სულს ან ჩემს თავს... სხვადასხვა იდეებსა და შეგრძნებებს (...) არ შეუძლიათ არსებობა მათი აღმქმელი სულის გარეშე... მე ვამბობ: „მაგიდა, რომელზედაც ვწერ. არსებობს“. — ეს ნიშნავს, რომ მე ვხედავ და შევიგრძნობ მას... მართალია, არსებობს ადამიანებს შორის საოცრად გავრცელებული აზრი, თითქოს სახლებს, ქუჩებს, მდინარეებს, ერთი სიტყვით, ყველა შეგრძნებად სავანს აქვს ბუნებრივი და რეალური არსებობა. განსხვავებული გონების მიერ მათი აღქმადობისაგან... მაგრამ რაა ეს საგნები, თუ არა ნივთები, რომლებსაც ჩვენ აღვიქვამთ შეგრძნებით? და რას აღვიქვამთ, თუ არა ჩვენსავე საკუთარ იდეებსა და შეგრძნებებს? და განა არ იქნება წინააღმდეგობრივი იმის დაშვება, რომ რომელიმე მათგანი ან რომელიმე მათი შეხამება არსებობს აღქმის გარეშე?... თავზე ყველაზე დიდი ძალდატანებისას, რათა წარმოვიდგინოთ არსებობა გარეშე სხეულებისა, ჩვენ ვალწევთ მხოლოდ იმას, რომ ვკერეტთ ჩვენსავე საკუთარ იდეებს" (Антология мирової философии, 2, 1970, стр. 512-517). ამის მიხედვით ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ, არა „ცეცხლი ათბობს“. „წყალი აგრილებს“. არამედ „სული ათბობს" და ა.შ.. მაგრამ ეს უქველ დაცინვას გამოიწვევსო. დასკვნა ასეთია: „ახეთი საგნების შესახებ ჩვენ უნდა ვიაზროვნოთ როგორც მეცნიერებმა, მაგრამ ვილაპარაკოთ ბრბოს მსგავსად“. ისევე, როგორც, ვიცით რა პლანეტების (ცთომილების) მოძრაობის რეალური სურათი, მაინც ვამბობთ: „მზე ამოდის“. „მზე ჩადის“. „მზე აღწევს მერიდიანს"... (ვვ. 521).

\* \* \*

**იოჰან გოტლიბ ფიხტე (Fichte) (1762-1814).**

**„მეცნიერებათსწავლების ზოგადი პრინციპები“:**

„ყოველგვარი რეალობის წყაროს წარმოვადგენ მე, რადგანაც ეს არის უშუალო და უქველი მონაცემი. მხოლოდ მე'ს საშუალებით და მასთან ერთად გვეძლევა რეალობის (სინამდვილის) ცნება. მაგრამ მე არსებობს იმიტომ, რომ იგი ვარაუდობს თავის თავს და ვარაუდობს თავის თავს იმიტომ, რომ იგი არსებობს. აქედან გამომდინარე, თვითვარაუდი და არსებობა ერთი და იგივეა. მაგრამ თავის მხრივ, თვითვარაუდისა და ქმედების ცნებები საერთოდ ერთი და იგივეა. ეს ნიშნავს, რომ ყოველი რეალობა ქმედითია და ყოველი ქმედითი არის რეალობა. ქმედება არის დადებითი, აბსო-

ლუტური რეალობა (ფარდობითი რეალურობის საპირისპიროდ). (Антология Мировой философии, 3, 1971, стр. 206). „შე ვარაუდობს თავის თავს როგორც განსაზღვრული არა-შე'ს საშუალებით (გზით)... შე სხვაგვარად ვერ ივარაუდებს თავის თავს, რადგან ამის გარეშე იგი არ იქნება განსაზღვრული არა-შე'ს საშუალებით (ობიექტის გარეშე არ არსებობს სუბიექტი). ამდენად, იგი ვარაუდობს თავის თავს როგორც განსაზღვრულს, იმავდროულად იგი ვარაუდობს თავის თავს როგორც განმსაზღვრელს, რადგან არა-შე'ში შემზღველი საწყისი არის მისივე საკუთარი პროდუქტი (სუბიექტის გარეშე არ არსებობს ობიექტი)“ (იქვე, გვ. 208-209).

„შე უთუოდ მოქმედია და მხოლოდ მოქმედი — ასეთია აბსოლუტური წანამძღვარი“ (გვ. 209).

„რამდენადაც შე აბსოლუტურია, იგი უსასრულოა და შეუზღუდავი, ყველაფერი, რაც არსებობს, ნავარაუდევია მის მიერ და, რასაც იგი არ ვარაუდობს, ის არ არსებობს საერთოდ (თვით მისთვის: მის გარეშე კი არ არის არაფერი). იმას კი, რასაც იგი ვარაუდობს, იგი ვარაუდობს როგორც შე'ს; და იგი ვარაუდობს თვით შე'ს, როგორც ყველაფერ იმას, რასაც იგი ვარაუდობს. აქედან გამომდინარე, ამ თვალსაზრისით შე მოიცავს თავის თავში ყოველგვარ, ანუ უსასრულო, შეუზღუდავ რეალობას“ (გვ. 210).

„...შე დამოკიდებულია თავისი არსებობის მხრივ, მაგრამ იგი სავსებით დამოუკიდებელია, როცა საქმე შეეხება ამ მისი არსებობის განსაზღვრებებს“... (გვ. 212).

„რეალიზმი“, „იდეალიზმი“, „დოგმატიზმი“.

„თავისი იდეალურობის მხრივ ყველაფერი დამოკიდებულია შე'ზე; რეალურობის მხრივ კი თვით შე აღმოჩნდება დამოკიდებული: მაგრამ შე'სთვის არაფერია რეალური, რაც იმავდროულად არ არის იდეალურიც; აქედან გამომდინარე, იდეალური საფუძველი და რეალური საფუძველი მასში ერთი და იგივეა...“ (გვ. 213).

„თუკი მეცნიერებათსწავლებას დაუსვამდნენ კითხვას: როგორები არიან ნივთები (საგნები) თავისთავად, მას შეეძლო ამაზე ეპასუხა მხოლოდ ასე: ისეთები, როგორებადაც ჩვენ ისინი უნდა გავხადოთ...“ (გვ. 214).

„ფილოსოფოსის ძირითადი მტკიცება ასეთია: როგორც კი შე არსებობს თავისი თავისთვის, მაშინ აუცილებლად წარმოიქმნება მისთვის აგრეთვე ყოფიერება (არსებობა) მის გარეთ...“ (გვ. 220).

**ცნობიერების ფაქტები.**

„შე თავისთავად არის არინციპი და, როგორც ასეთი, წმინდა

აზრი, იგი სავსებით არავრძნობიერია და ზევრძნობიერი... მე, რომ გორც წმინდა ნოემენი („ნივთი თავისთავად“) არ საჭიროებს ხატებას, იგი თვით ხდის თავის თავს აღქმადს თავისი ქვრეტის გამო-მუღვენების საშუალებით“ (გვ. 229).

„ის მე, რომელიც ჩვენ ყველამ ვიცით, რომელსაც გულის-ხმობს ჩვეულებრივი ენა, მაშინ, როცა არ სარგებლობს მეცნი-ერთსწავლებით ანუ: მეცნიერებათსწავლების ცნებებით, არ ქმნის არც გარეშე ობიექტს და არც თავის თავს. მაგრამ ისიც და ესეც ივარაუდება საყოველთაო და აბსოლუტური აზროვნებით, რი-სი წყალობითაც მე ვარაუდიბს როგორც ობიექტს, ასევე თავის თავს“. (გვ. 227-228).

.....მე, ანუ ინდივიდი (რამეთუ სხვა მე ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით). იმყოფება ცნობიერების სამ ძირითად ფორმაში: წმინდა აზროვნებაში, შინაგან ქვრეტაში და ვარეგან ქვრეტაში. სამივე ფორმაში იგი ერთი და იგივე ერთიანობაა და თითოეულში მთლი-ანია; აქ არ არის არავითარი დაყოფა“ (გვ. 229).

\* \* \*

### ეს გრცელი ამონარიდები განგებაა მოყვანილი.

საკმარისია წმინდა ენობრივი პოზიციიდან მივუღვეთ მათ და თითოეული მათგანი ენის ბუნების განსამარტავად გამოღვება.

სწორედ ენაშია „მე“ ყოველგვარი რეალობის წყარო. სწორედ ენაში არსებობს მხოლოდ ის, რაც მე'ს შემოაქვს მასში. სწორედ ენაშია მე აბსოლუტური და შეუზღუდავი. სწორედ ენაში ფასდება ყველაფერი მე'ს პოზიციიდან. სწორედ ენაში ქმნის მე სავნებსა და მოვლენებს ისეთებად, როგორებადაც მას წარმოესახება ისინი. სწორედ ენა აძლევს მე'ს თვითგამოხატვის საშუალებას, თვითგამო-ხატვისას არა-მე'ს საშუალებით. მე მხოლოდ ენაზეა (ენის შინაგან სემანტიკაზეა) დამოკიდებული...

ამდენად, ენაში არის სამი პარამეტრი: ერთი (მე) ძირითადი, ორი დანარჩენი — მისი პოზიციიდან დანახული.

მე — არა-მე



ენის დონეზე: შენ და ის

„მე“ არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს „არა-მე“. ანუ ის, რაც „მე არ ვარ“.

ენაში ყველაფერი მე'ს პოზიციიდანაა დანახული.



ენის როლი სამყაროს შეცნობაში. ამ როლის ამოცნობა საფუძვლად დაედო მიმართულებას ფილოსოფიაში, რომელიც **ლინგვისტური ანალიზის** სახელწოდებითაა ცნობილი. სხვაგვარად „ლინგვისტური ფილოსოფია“ ეწოდება.

მას საფუძვლად დაედო ავსტრიელი ფილოსოფოსის ლ.ვიტჯენ-შტეინის პოსტულატები. ჩამოყალიბდა ინგლისში, კემბრიჯის უნივერსიტეტში. შემდეგ გავრცელდა ბრიტანეთის სხვა უნივერსიტეტებშიც.

მიიჩნევა ნეობოზიტივიზმის ლინგვისტურ ფორმად (სახეობად).

**პოზიტივიზმი:** ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც **ჰემპარიტი, ნამდვილი ცოდნის ერთადერთ წყაროდ აცხადებს კონკრეტულ (ემპირიულ) მეცნიერებებს და უარყოფს ფილოსოფიური კვლევის შემეცნებით ღირებულებას.** პოზიტივიზმი მიზნად ისახავდა შეექმნა პრინციპულად ახალი, „არამეტაფიზიკური“ (ე.ი. პოზიტიური) ფილოსოფია, რომელიც აიგებოდა **ემპირიულ მეცნიერებათა მსგავსად და იქნებოდა მათი მეთოდოლოგია.** ამ მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ფენომენალიზმი: **მეცნიერული თეორიები და კანონები განიმარტება როგორც ემპირიული ფაქტების განზოგადება;** ამის შესაბამისად მეცნიერების ამოცანად დაისახა **ფაქტების აღწერა და არა მათი ახსნა.** პოზიტივიზმის დამაარსებელია **ო.კონტი...** გამოიყოფა სამი ეტაპი: **პირველი (კონტი, მილი, სპენსერი...), მეორე — ემპირიოკრიტიციზმი (მახი, აგენარიუსი), მესამე — ნეობოზიტივიზმი...**

**ნეობოზიტივიზმი:** ჩამოყალიბდა ვენის (ფილოსოფიური) წრისა (ნაირატი, კარნაპი,



შლიკი. ფრანკი ..) და ბერლინის ემპირიული ფილოსოფიის საზოგადოების (რაიხენბახი. ფ.კრაუზი...) წამოყენებული პრინციპების საფუძველზე. ამ მიმართულებაში ძირითადი ადგილი უჭირავს ენის. სიმბოლური ლოგიკის. მეცნიერული კვლევის სტრუქტურის პრობლემებს.


**ნეოპოზიტივიზმის** თანახმად. ცოდნა სინამდვილის შესახებ გვეძლევა ყოველდღიური ან კონკრეტულ-მეცნიერული აზროვნებით. ფილოსოფია კი არსებითად არის იმ ენის ანალიზი. რომელშიც გამოიხატება ამ სახის აზროვნების შედეგები. ამით ნეოპოზიტივიზმი წარმოადგენს საყრდენს ანალიტიკური ფილოსოფიისას, რომლის თანახმადაც. ფილოსოფიის ამოცანაა ენის ანალიზი იმ პრობლემათა არსის წარმოსაჩენად. რომლებიც ტრადიციულად მიიჩნევა ფილოსოფიის პრობლემებად. ანალიტიკური ფილოსოფიის პრინციპებს იზიარებს ლოგიკური ემპირიზმი. ნეოპრაგმატიზმი და სხვა.

ნეოპოზიტივისტების (ყოველ შემთხვევაში. მისი ერთ-ერთი ვანშტოების) კონცეფციის გასაგებად ნიშანდობლივია შემდეგი პრობლემების დასმა. რომლებიც რ.კარნაპის (1891-1970) შრომათა სათაურებშია გატანილი: „სამყაროს ლოგიკური კონსტრუქცია“ (1928). „მეტაფიზიკის დაძლევა ენის ლოგიკური ანალიზის გზით“ (1931). „ფილოსოფია და ლოგიკური სინტაქსი“ (1935). „ენის ლოგიკური სინტაქსი“ (1954).

**კარნაპმა** (და მასთან სხვა ნეოპოზიტივისტებმა) ყველა (რალაც აზრის გამოხატველი) წინადადება სამ ჯგუფად დაყო:

- ა) უაზრო. არაჭეშმარიტი (unsinnig)
- ბ) მეცნიერულად გაუაზრებელი. ანუ მეცნიერების გარეშე მდგომი (sinnlos) [არაშეცნიერული].
- გ) მეცნიერულად გააზრებულნი. ანუ: მეცნიერულნი (sinnvolle); ეს უკანასკნელნი კი. თავის მხრივ. შესაძლოა იყვნენ **კეშმარიტნი და მცდარნი**.

ეს კლასიფიკაცია ასე წარმოგვიდგება:



უაზრო წინადადებაანია ფორმოზრივ მართებული. მაგრამ აბსურდული აზრის გამოხატველნი: „მთვარე ამრავლებს ოთხკუთხივ“, „სამკუთხედი შედგება ოთხკუთხედისაგან“...

„მეცნიერების გარეშე“ წინადადებად რ.კარნაპმა დაასახელა ფილოსოფიაში ხმარებული (ფილოსოფიური) წინადადებაანი. რატომ? იმიტომ რომ: ა) [ან] შეუძლებელია მათი შემოწმება; ბ) [ან] მათ შემადგენლობაში შედის ფსევდოცნებები, რომელთა შემოწმება ასევე შეუძლებელია (მაგალითად, „აბსოლუტი“); გ) [ან] შინაგანად გაუმართლებელია (არაკანონზომიერია) დედუქციური დასკვნა, რომლის შედეგსაც წარმოადგენს ზოგიერთი წინადადება.

„ტრადიციული“ ფილოსოფიის „ამოსაძირკვად“ რ.კარნაპმა გამოიყენა სწავლება ე.წ. კვაზისინტაქსური („ვითომსინტაქსური“: ლათ: *quasi* „თითქოს“) წინადადებაების შესახებ. ანუ წინადადებაზე, რომლებიც დაუზუსტებლად შეიძლება გაგებულ იქნენ ორგვარად: ან როგორც საგნობრივი ენის წინადადებაანი (ე.ი. წინადადებაები ენისა, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ სხვადასხვა ნივთიერი საგნისა, რაოდენობრივი ურთიერთობების შესახებ და ა.შ. ეს წინადადებაანი გვაცნობენ საგანთა თვისებებს, მაგალითად, „ხუთი არის რიცხვი“); ან როგორც მეტაენის წინადადებაანი (რომლებიც რაიმეს ამტკიცებენ საგნობრივი ენის სიტყვებისა თუ წინადადებაების

შესახებ; მაგალითად; „ხუთი“ არის რიცხვი. ე.ი. რიცხვითი სახელი). კვანძინტაქსური წინადადებების რივს რ.კარნაპმა მიაკუთვნა ფილოსოფიაში ხმარებული გამოთქმები და აღნიშნა: „თუკი მათ აქვთ რაიმე რაციონალური აზრი. მხოლოდ იმ შემთხვევაში. როცა ხდება მათი ინტერპრეტაცია როგორც სიტყვებს შორის დამოკიდებულებებისა“. ამიტომაც მან საჭიროდ ჩათვალა ფილოსოფიური წინადადებების გარდაქმნა იმ წინადადებებად, რომლებშიც საუბარია მხოლოდ სიტყვათა ლოგიკურ-სინტაქსურ ურთიერთობებზე. ანუ ნაცვლად ამისა: „დრო ერთგანზომილებიანია. სივრცე კი სამგანზომილებიანი“ უნდა ითქვას: „დროის აღნიშვნა შედგება ერთი კოორდინატისაგან, სივრცისა კი — სამისა“ (R.Carnap, The logical syntax of Language, London, 1954. p. 307).

კარნაპის აზრით, „ტრადიციული“ ფილოსოფია წარმოიშვა „ცხოვრების (სიცოცხლის) გრძნობის“ გამოხატვის მოთხოვნილებით. ეს გრძნობა ყოველი ადამიანის გულში ბუდობს და რაციონალური გზით არ ხერხდება მისი გამოხატვა. კარნაპის აზრით, „ალბათ მუსიკაა ყველაზე უფრო წმინდა საშუალება ცხოვრების გრძნობის (შეგრძნების) გამოხატავად, რადგანაც ყველაზე მეტად იგია თავისუფალი საგნობრიობისაგან“ (R.Carnap, Überwindung der Methaphysik durch logische Analyse der Sprache. "Erkenntis" Wien, 1931. Bd. 2. H.4: & 7). ფილოსოფიას კარნაპი თვლის ხელოვნების სუროგატად. ფილოსოფოსები კი ის მუსიკოსები არიან. რომელთაც არავითარი მუსიკალური უნარი არ ვააჩნიათ.

ნეოპოზიტივიზმი — ეს არის მეცნიერების ენის, კონკრეტული სამეცნიერო ტერმინების, წინადადებებისა და მათი შეხამებულობის ლოგიკურ-სემიოტიკური ანალიზი.

ფილოსოფიური ანალიზი დადის ლოგიკურ და ენობრივ ანალიზამდე. Современная буржуазная философия, М., 1978, стр. 97-101.

\* \* \*

აი. ასეთი წანამძღვრები ქქონდა „ლინგვისტურ ფილოსოფიას“.

ლინგვისტური ფილოსოფიის ფუძემდებლად ითვლება ლუდვიგ ვიტგენშტაინი (1889-1951). დაიბადა ვენაში.

შრომები: „ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი“ (1921)

„ფილოსოფიური ნარკვევები“ (1953). [გამოიცა ოქსფორდში].

**ძირითადი დებულება:** უნდა შეიქმნას ლოგიკურად სრულყოფილი ხელოვნური ენა. რადგან „ბუნებრივი ენები“ ხასიათდებიან რიგი ნაკლით (მაგ. სიტყვათა მრავალმნიშვნელოვანება). მოგვიანებით იგი ენის ემპირიული შესწავლით დაინტერესდა. ფილოსოფია გაგებულ იქნა როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი შტო. ყველაფერი უნდა გაირკვეს საკუთრივ ენაში, რადგან ტრადიციული ფილოსოფიური პრობლემები შედეგია მხოლოდ აზროვნებაზე ენის მადეზორიენტაციებული ზეგავლენისა.

ყოველდღიური მეტყველება ფილოსოფიური კვლევის საგანი ხდება.

**წარმომადგენლები:** უისდომი, მალკოლმი... — კემბრიჯში, ოსტინი, რაილი, სტროსონი... — ოქსფორდში.

(Современная буржуазная философия. М., 1978).

**დ.ოსტინი, მაგალითად, გვთავაზობს დაეუფიქრდეთ ისეთ ჩვეულებრივ სიტყვებს, როგორებიცაა: „ფიქრი“, „ხედავს“, „ეჩვენება“, „აღიქვამს“ და მისთ. მისი აზრით, ისეთი სიტყვები, როგორებიცაა „ეჩვენება“, „ილუზია“, „ვამოიყურება“, „ნამდვილი“ ძალაუბნებურად იწვევენ ფილოსოფიური პრობლემების დასმას ქემპარიტ და ცრუ აღქმათა განსხვავების მიზნით; მაგალითად, ასეთი გამოთქმის დროს: „მე მეჩვენება, რომ წყალში ნაბევრად ჩაშვებულნი ჯობი. ვატეხილია“... ენა ქმნის ხატებებს (образы), რომლებიც აყალიბებენ ადამიანთა მსოფლმხედველობას. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ზემოხსენებული გამოთქმა შეიძლება შეიცვალოს ასე:**

ა) „მე ვხედავ ჯობს, რომელიც ვატეხილად მეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში იგი მთლიანია და სწორი“.

ბ) „მე ვხედავ ვატეხილ ჯობს“.

ეს არის ორი სხვადასხვა თვალსაზრისი ერთი და იმავე საგნის შესახებ. ერთი და იმავე ფაქტის ნაირვარი ინტერპრეტაცია...

**ეს ფაქტი მართლაც იძლევა დაფიქრების საბაბს.**

**ენაში აისახა ორი სხვადასხვა თვალსაზრისი, მაგრამ არის კი ამის მიზეზი თვით ენა?**

მართალია, ამ შემთხვევაში ენა გამოხატავს მთქმელის პოზიციას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ პოზიციას ენა იძლევა. ენა აქ მხოლოდ საშუალებაა ამა თუ იმ პოზიციის გამოსახატავად...

იმავდროულად ნებისმიერ ენაში დაიძებნება უამრავი ფაქტი, რომელიც განსაზღვრავს თვით მთქმელის დამოკიდებულებას გარესამყაროსადმი.

**რამდენიმე ნიმუში ქართულიდან.**

ა) რატომ არის გრძობა-აღქმის გამოხატველ ზმნათა აბსოლუტური უმეტესობა ინვერსიული და რა ვავლენას ახდენს ეს ფაქტი ქართველის მსოფლხედვაზე?

ბ) რატომ ვვაქვს ქართულში გარდაუვალ ზმნათა ორი რიგი — ვნებითი და „საშუალი“ (სტატიკური)?

გ) რატომ არა ვვაქვს ქართულში სქესის კატეგორია და რა ვავლენას ახდენს ეს ფაქტი ჩვენს დამოკიდებულებაზე გარესამყაროსადმი?

ა) მიყვარს, მძულს, მგონია... ე.წ. გრძობა-აღქმის ზმნებია. ეს ზმნები ინვერსიული არიან იმავდროულად. ზოგიერთ ამ ზმნათა პარალელურად თვით ძველ ქართულში მოიპოვებოდა პირდაპირი წყობის ზმნები: ვყვარობ, ვძულვ, ვგონებ... ესე იგი. შესაძლებლობა ყოფილა იგივე მნიშვნელობა ვაჩიხატულიყო არა ინვერსიულად. არამედ პირდაპირი წყობით. შესაძლებლობა ამისა ახლაც არის. მაგრამ ენა არ იყუებს. არ იყენებს ამ შესაძლებლობას. ქართული ენისთვის ბუნებრივი აღმოჩნდა გრძობა-აღქმის მნიშვნელობა „ინვერსიულად“ გამოხატულიყო. რატომ?

**ინვერსიის ონტოლოგიური ბუნებაა:** გამოხატავს არა აქტიურ ჩარევას. ზემოქმედებას. არამედ რაღაცის მიკუთვნებულობას. რაღაცის მქონებულობას: ეს კარვად ჩანს სემანტიკური პერიფრაზირების დროს:

გამიკეთებია — გაკეთებული მაქვს

ეს ყალბი ერთადერთია ზოგ ენაში (ინგლისურში. ფრანგულში...) ამ გრამატიკული მნიშვნელობისათვის. ეს „რაღაც“ შეიძლება იყოს საგანიც („ვა-მ-ი-კეთ-ებ-ია მე ის“) და აღქმაც, განცდაც („მ-ი-ყვარ-ს მე ის“). ამრიგად, ინვერსიის არსი ასეთია: სუბიექტად. აღმქმელად გავებული პირი რაღაცის მქონებელია. ის „რაღაც“ დამოუკიდებელივ არსებობს, მისი რეალური ბუნება-დანიშნულება სუბიექტისთვის უცნობია. სუბიექტი მხოლოდ მის მქონებულობას განიცდის და თავისი შინაგანი თვალსაზრისიდან ამოსვლით აფასებს მას. ანუ:

უ-ყვარ-ს → მისი სიყვარული აქვს

ს-ძულ-ს → მისი სიძულვილი აქვს

სურ-ს → მისი სურვილი აქვს...

ასე რომ, ძალზე გამარტივებული სახით ინვერსიის სემანტიკური ხქემა ასეთია:

მისი  $\left[ \begin{array}{l} \text{„რაღაც“} \\ \text{სიყვარული} \\ \text{სიძულვილი} \\ \text{სურვილი} \end{array} \right]$  აქვს

ეს სქემა უფრო გართულდება. თუკი ვაგითვალისწინებთ ისეთ ზმნებს, როგორებიცაა: **ემღერება, ეპატარავება, შემოელახება...**

**ემღერება → სიმღერის სურვილი აქვს**

ანუ: „მისი“ დაკონკრეტდა. ეს იგივეა, რაც „უყვარს“. ოღონდ, რაც უყვარს. ზმნის ფუძის გარეთაა.

**მაგრამ:**

**ეპატარავება → პატარად მიიჩნია.**

**შდრ.: ა-ჩნი-ა || ამ-ჩნევი-ა...**

.....  
მაშასადამე, ინვერსიის დროს ხდება არა ობიექტის ონტოლოგიური არსის ამოცნობა და მისი გამოხატვა, არამედ გამოხატვა თვით სუბიექტის თვალსაზრისისა. **ენა აძლევს ინდივიდს საშუალებას, ობიექტისადმი თავისეული დამოკიდებულება ჰქონდეს, გამოხატოს თავისეული შეფასება ობიექტისა: შდრ.:**

მე ვყვარობ მას

მე მიყვარს ის

**პირველი** აშკარად **ვ-გმ-ობ, ვ-გრძნ-ობ, ვ-თმ-ობ, ვ-სპ-ობ** ტიპის გრამატიკულ სემანტიკას გამოხატავს: ესაა საკუთარი ნების სხვაზე გადატანა. საკუთარი ნებისადმი, სურვილისადმი, მისწრაფებისადმი სხვისი დაქვემდებარება, დამორჩილება, საკუთარი ნების გამოჩენა, წარმოჩენა, საკუთარი შეხედულების, თვალსაზრისის სხვაზე გავრცელება.

**მეორე (მიყვარს)** ამ თვალსაზრისით სულ სხვა პუნების ფორმაა. აქ, პირიქით — საკუთარი ნება კი არ წარმოჩნდება, საკუთარი სურვილი კი არ ვადაიტანება სხვაზე. საკუთარი თვალსაზრისი კი არ გრცელდება სხვაზე, არამედ საკუთარი თვალსაზრისით ხდება სხვა საგნის (ობიექტის) შეფასება, მისი აღქმა.

ეს ფაქტი ზოგჯერ სხვა ენათა მაგალითზეც წარმოჩნდება.

**შდრ.: რუსული:**

Я люблю

Мне нравится

ნიშანდობლივია, რომ რუსული (ისევე, როგორც, საერთოდ, სხვა ინდოევროპული ენებიც) სწორედ პირველი ტიპის კონსტრუქციას ანიჭებს უპირატესობას. ნიშანდობლივია ისიც, რომ „ინვერ-

ხია“ (ძალზე ზოგადად ვაგებულო — ინდოევროპულში არ აღინიშნება ობიექტური პირი. ამიტომაც ქართულისებური ინვერსია აქ არ ვეკენება) ჩვეულებრივ თავს იჩენს იქ. სადაც შეუძლებელია საკუთარი ნების გავრცელება. რადგან დამოკიდებულება შინაგან სიმპათიაზეა დაფუძნებული:

ქართ.: მე მომწონს ის

რუსული: Мне нравится то

ლატვიური: man patik

შდრ.: ინგლისური: I like it

.....  
მომწონება ესთეტიური მოვლენაა და თუნდაც ამიტომ უნდა გამოირიცხოს აქ ნების გადატანა სხვაზე, საკუთარ თვალსაზრისის სხვისი დამორჩილება.

I should like — მე მინდოდა (Я хотел бы)

like - მსგავსი... თანაბარი

.....  
ეს — რაც შეეხება ინვერსიის აზრობრივ ბუნებას. ინვერსიას ენობრივი მექანიზმი აქვს. ენობრივი შესაძლებლობა — შესაბამისად გამოხატოს ვარესამყაროსადმი დამოკიდებულება. ავიღოთ ორი ფორმა:

მ-ი-ყვარ-ს

მ-ი-წერ-ს

ფორმობრივი სტრუქტურა ორივე შემთხვევაში იდენტურია. სემანტიკურად — სრულიად საპირისპირო ვითარებაა: „მიყვარს“ ინვერსიულია. „მიწერს“ — პირდაპირი წყობისა. რატომ? რა არის ამის მიზეზი?

აქ უკვე ერთმანეთს ეჯაჭვება ვარესობრივი და საკუთრივ ენობრივი მოვლენები.

მიწერს მე ის მას კონსტრუქციაში გრამატიკული სუბიექტი („ის“) მხოლოდ სულიერი შეიძლება იყოს, ვინ ჯგუფისა: სხვა — გამოირიცხება.

მიყვარს მე ის — პირიქით: „ის“ შეიძლება იყოს სულიერიც და უსულოც. მაშინ, როდესაც „მე“ („შენ“, „მას“) მხოლოდ სულიერია, რამეთუ ამ დამოკიდებულების აღქმა მხოლოდ სულიერის (ან მეტაფორულად მასთან ვატოლებული საგნის) შესაძლებლობაა: მე მიყვარს ბავშვი, წიგნი...

**მაშახადამე**, სულიერის უპირატესობის წარმოჩენა ინვერსიის ენობრივი მექანიზმის საფუძველი. ქართული განეკუთვნება იმ ენათა რიგს, რომელთათვისაც ნიშანდობლივია სულიერის (და უპირატესად — ადამიანის) წარმოჩენა. მისთვის უპირატესობის მინიჭება. ეს ენობრივი **სულისკვეთება** სხვადასხვა სისტემებში იჩენს თავს. ინვერსიის ვარდა — რიცხვში შეთანხმებისას. ვნებითი გვარის ზმნებთან აქტიური მნიშვნელობის გამოხატვისას და სხვა.

მასწავლებლები **ეკითხებიან** სტუდენტებს

ლექციები **ეკითხებათ** სტუდენტებს.

კარგი წიგნი დიდიხანს **იწერება**

მეგობარი სოფლიდან **იწერება** და ა.შ.

ხდება ინვერსიის მორფოლოგიური გამოხატვაც. რომელიც ფორმანტა ფარდობით ურთიერთობას ეძლევა — რჩება იმის ნიშანი. რაც სუბიექტად გაიგება.

**დედებს უყვარ-თ (და არა: უყვარან) ბავშვები.**

..... [ჩემი სტატიიდან: იკეწ — VIII]

სულიერისა და უსულის ურთიერთმიმართებისადმი ქართული ენის დამოკიდებულება კარგად ჩანს შემდეგი ნიმუშით:

მამა ბავშვს ეთამაშება (S — მამა)

რა ეთამაშება ამ ბავშვს (S — ბავშვს)

.....  
**მაგრამ:**

მას {  
ერიცება  
რიცხვინია მისი  
ეშინია

„**მისი**“ მხოლოდ სულიერია (ან მასთან მეტაფორულად გატოლებული: „ცეცხლის“. „ზვავის“...). რატომღა ხდება ინვერსია? იმიტომ, რომ „**მისი**“ არსებითად მსაზღვრელია. ხოლო ნამდვილი გრამატ. სუბიექტი ელიზირებულია: იგი ყოველთვის უსულოა: **მისი შეწუხება, გაბრაზება...**

.....  
ბ) რატომ გვაქვს გარდაუვალ ზმნათა იარი რიგი — ვნებითი და „საშუალი“ (სტატიკური)? რატომ ვახდა საჭირო დინამიკა-სტატიკის მიხედვით მათი განსხვავება?

<sup>2</sup> ბ.ჯორბენაძე, ინვერსიულ ზმნათა ჩამოყალიბების პრინციპები ქართულში, იკე-ს წიგნიწოდება, VIII, 1981 (რეა.).



„წუხდება“ და „წუხს“ რუსულში ვადმოიცმა როგორც „беспокоится“:

წუხდება	беспокоится
წუხს	

რა განსხვავებაა მიოწეული სემანტიკური ველის ამგვარი დანაწევრებით?

ქართულში ერთი და იმავე ზოგადი სემანტიკის ფარგლებში შესაძლებელი აღმოჩნდა გარჩეულიყო მომენტობრივი (კერძოდ, დაწყებითობის) და განგრძობითი (უწყვეტი პროცესის) ასპექტები. თავის მხრივ, ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ წუხდება და წუხს სხვადასხვა კონტექსტის კუთვნილი ფორმები ვახდა:

„როცა მასთან მივდივარ, ძალიან წუხდება“

და:

„როცა მასთან მივდივარ, ძალიან წუხს“

არ არის სემანტიკურად ერთმანეთის ფარდი წინადადებები. სხვაობა უკვე ლექსიკურ მნიშვნელობაშიც იჩენს თავს: „წუხდება“ — უპირატესად იმას აღნიშნავს, რომ „ჩემდამი პატივისცემის მიზნით არაფერს იშურებს“, „წუხს“ კი იმას, რომ „ჩემი მისვლა მინცდამაინც არ სიამოვნებს“...

მაგრამ ეს ფაქტი მაინც საერთო შესაძლებლობის კონკრეტული რეალიზაციაა. იგულისხმება ლექსიკური განსხვავების შესაძლებლობა. თუ წმინდა გრამატიკული თვალსაზრისით განვიხილავთ ამ ფორმათა ურთიერთმიმართებას, მაშინ სხვაობა ასეთი სახით წარმოგვიდგება.

წუხდება - „წუხილს. შეწუხებას იწყებს“

წუხს - „მწუხარეა, წუხილს განიცდის,

წუხილის ვრძნობა ეუფლება“.

**შდრ. ამ თვალსაზრისით:**

„როცა მასთან შევდივარ, დუმდება“

და:

„როცა მასთან შევდივარ, დუმს“.

„დუმდება“ ნიშნავს: „ლაპარაკობდა და აღარ ლაპარაკობს, ლაპარაკს წუგვტს“.

„დუმს“ — „ხმას არ იღებს, უბრადაა“.

ე.ი. განირჩევა ინზოატივი და (განგრძობითი) პროცესი.

ეს კი. თავის მხრივ. ვანაპირობებს დინამიკასა და სტატიკას.

ქართულ ენას შესაძლებლობა აღმოაჩნდა ფორმოებრივ გამოეხატა ერთი და იმავე მოქმედების ორი სხვადასხვაგვარი გამოვლინება. ეს კი სუბიექტს შესაძლებლობას აძლევს ორი სხვადასხვა თვალსაზრისით შეაფასოს ერთი და იგივე მოვლენა.

[შდრ. რუსული „неподвижна“ ორივე ფორმისთვის. მაგრამ: „замалкивает“ და „молчит“].

ნიშნდობრივია ის ფაქტიც, რომ ზოგ შემთხვევაში ინხოატივი მხოლოდ მყოფადასა და ნამყო სრულში იჩენს თავს:

X — მღერის

მაგრამ:

ამღერდება — იძღვრებს

ამღერდა — იმღერა.

აქედან გამომდინარე. ზოგადი სქემა ასეთი იქნება:

ასპექტი დრო	ინხოატივი	პროცესი
აწმყო	(+)	+
მყოფადი	+	+
ნამყო	+	+

ფრჩხილებში ჩასმული „+“ ნიშნავს: ამ „უჯრის“ შესაბამისი ფორმა შეიძლება იყოს რეალიზებული და შეიძლება არა.

რატომ?

რატომ არის დაუშვებელი ინხოატივი აწმყოში ზოგი ფორმისათვის და რა ფორმებია ისინი (უკეთ: რა მნიშვნელობის ფორმებია)?

არა გვაქვს: ტირდება, მღერდება, ბიბინდება, გიზგიზდება, ფრიალდება, ლილინდება და სხვა მრავალი.

მაგრამ საესებით დასაშვებია: ატირდება — ატირდა, ამღერდება — ამღერდა, აბიბინდება — აბიბინდა, აგიზგიზდება — აგიზგიზდა, აფრიალდება — აფრიალდა, ალილინდება — ალილინდა და მისთან.

იმავდროულად დასაშვებია. წუხდება, დუმდება, ხუნდება, ტრიალდება და მისთ.

ამგვარი სხვაობის მიზეზი სარკვევია.

საქმე ისაა, რომ ინხოატკვი შინაგანად ვარკვეული მიზეზის პოვნიერებას ვარაუდობს წანამძღვრად; შდრ.:

„ჩემი მისვლისას წუხდება“

და:

„ჩემი მისვლისას ატირდება“.

„წუხდება“ დაემთხვა მისვლას.

„ატირდება“ მისვლის შემდგომ შეიძლება მხოლოდ მოხდეს.

შდრ.: ამას —

„ჩემი მისვლისას წუხდება“

და:

„ჩემი მისვლისას შეწუხდება“.

„წუხდება“ და „შეწუხდება“ დროის მიხედვით განსხვავდება. ამ შემთხვევაში დასაშვებია აღმოჩნდა სხვა მოქმედების თანადროული მოქმედებაც და იმავე მოქმედების დაწყება სხვა მოქმედების შემდგომ.

ამ სხვაობას თავისი მიზეზი აქვს...

ამჯერად ჩვენთვის ისაა არსებითი, რომ ინდივიდს ენის მიერ ასეთი თვალსაზრისი მიეწოდება (და ინდივიდის მიერ მოვლენათა შეფასება ასეთ ჩარჩოებში თავსდება).

.....  
X გ) რატომ არა გვაქვს ქართულში სქესის კატეგორია და რა გავლენას ახდენს ეს ფაქტი ჩვენს დამოკიდებულებაზე გარესამყაროსადმი?

სქესი გრამატიკული კატეგორიაა და იგი ყოველთვის არ თანხდება ბიოლოგიურ ცნებას:

книга, доска, партa... — მდებრობითი სქესისაა.

стол, мел... — მამრობითისა.

— თუმცა რაიმე ბიოლოგიურ სხვაობაზე მათ შორის საუბარი შეუძლებელია.

სქესი რომ გრამატიკული კატეგორიაა, ამაზე ე.წ. „საშუალო სქესის“ არსებობაც მეტყველებს: ბიოლოგიურად ასეთი რამ ალბათ ჰერმაფროდიტს უნდა ვაუტოლოდეს, მაგრამ შეუძლებელია охио, око, пламя... ამ თვალსაზრისით შევაფასოთ.

და მაინც ენაში სქესის კატეგორიის დამკვიდრება დასაშვებია პირვანდელ ჰილოძოისტურ შეხედულებებს დავეუკავშიროთ: ანუ: ესაა ანიმიზმის თავისებური გამოვლინება.

ჰილოძოიზმი გასულიერებას ნიშნავს. არსებითად ეს არის ნე-ბისმიერ ნივთიერებაში ფსიქიკის ნიშნების ძიება (ბერძნული: *hülle*)

„ნივთიერება“ + ჰიბ „სიციცხლე“). ტერმინი XVII საუკუნიდან არსებობს. **ჰილოძოისტები** იყვნენ ძველი ბერძენი მატერიალისტები. ბრუნო. ზოგი ფრანგი მატერიალისტი (რობინე). ძველ საბერძნეთში არსებობდა ამ თვალსაზრისზე დაფუძნებული ფილოსოფიური სისტემა. ესაა **სამქაროს ბიოლოგიზაციის თვალსაზრისი**. ვანა ჰილოძოიზმის რეციდივი არაა „ენათა ოჯახები“, „მონათესავე ენები“, „ენის გაჩენა და კვდომა“ და სხვა მისთანა?

ჰილოძოიზმი ფილოსოფიური მიმართულებაა.

**ანიმიზმი** (ლათ. anima „სული“) — რელიგიური. არსებითად იგივეა. უღონდ რწმენის (და არა აზრის) ფორმულებში გამოხატუ-

ლ. ~~X~~ ჰილოძოიზმის მიხედვით შეგრძნებისა და აზროვნების უნარი ყველა ნივთს აქვს. ის, რაც ჩვენთვის მეტაფორული ვაგებაა (**„ხეები დგანან და ელიან“**, **„ნისლი ფიქრია მთებისა“**). მათთვის პირდაპირი მნიშვნელობა იყო.

უეჭველია, რომ ფილოსოფიაში ეს შეხედულება უძველესი რწმენიდან მოხვდა. ეს რწმენა **ანიმიზმია**.

ჰილოძოიზმი (II ანიმიზმი) ენაში ე.წ. **გაპიროვნების სახით** ვლინდება. ისეთი ტრივიალური გამოთქმები, როგორცაა „გაზაფხული მოდის“. „თებერვალი დადგაო“. „მზე ამოდის“... ჰილოძოიზმის უშუალო გამოვლენაა ენაში. ~~X~~

საერთოდ, ენისთვის ნიშანდობლივია თვისებათა გადატანა ერთი საგნიდან მეორეზე. **სხვადასხვა მოვლენათა ერთ პრინციპს დამორჩილება**. ესაა ანალოგიის პოვნა სხვადასხვა საგნებში. ერთი ნიმუში:

**ზღურბლი → ზღურბლ-ზე.**

**მაგრამ:**

**ოთახი → ოთახ-ში.**

-ზე და -ში თანდებულთა განაწილება აქ სივრცული ორიენტაციის გამოხატვას ემსახურება. ანალოგიის პრინციპით ეს მოვლენა ვრცელდება დროთა ორიენტაციაზეც:

გაზაფხულ-ზე. მაგრამ: ზაფხულ-ში

შემოდგომა-ზე. მაგრამ: ზამთარ-ში...

**„გაზაფხული“** გაგებულ იქნა „ზაფხულის“ **„ზღურბლად“**, **„შემოდგომა“** — **„ზამთრისად“**.

ამრიგად, ორი „ძირითადი“ სეზონია ზამთარი და ზაფხული. ხოლო გაზაფხული და შემოდგომა — მათი „ზღურბლი“. რაღაც გარდამავალი საფეხურის მსგავსი რამ...

ეტიმოლოგიურადაც ეს ნათლად ჩანს:

**გა-ზაფხულ-ი...**

**შემოდგომა** (რისა? — ზამთრისა).

უეჭველია. ჰილოძოიზმის პრინციპი უძვეეს საფუძვლად სქესის კატეგორიის ჩამოყალიბებასაც. ბიოლოგიზაციის ტენდენციის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებასთან გვაქვს აქ საქმე.

რა თქმა უნდა, ამჟამად ცივილიზებული ერები შორს არიან იმ აზრისგან, რომ რომელიმე უსულო საგანში სქესის ნიშნები ეძიონ. მაგრამ ენაში ჩაღვჩაღვი ძველი შეხედულება უეჭველ შეგავლენას ახდენს ვარესამყაროს საგანთა და მოვლენათა შეფასებაზე.

**სამშობლო** — ეს ცნება ბევრ ენაში, მათ შორის ქართულშიც დედას უკავშირდება:

რუსული: **Мать-Родина**

ინგლისური: **mother country, motherland...**

საინტერესოა, რომ სამშობლო დედასთან ვატოლებულია იმ ენებშიც (ქართული, ინგლისური), რომელთაც გრამატიკული სქესის კატეგორია არ ვააჩნიათ. ეს კავშირი ამ სიტყვის ლექსიკური ბუნებიდან ამოდის: **სა-მშობლო**-ო „მშობლისთვის განკუთვნილს“ ნიშნავს. „მშობელი“ თავის მხრივ ისაა, ვინც „შობს“. ეს კი **დედა** (მერე გადატანილ იქნა მამაზეც). ამიტომაც „დედა“ და „სამშობლო“ ძელი დასაკავშირებელი არაა. X

**დედა ენა** „მშობლის ენა, ძირითადი ენა“.

→ **დედა** „მთავარი“: **დედაბოძი, დედაქალაქი, დედააზრი.**

**დედა ენა - ღვიძლი ენა**

[მაგალ. „ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა ენას“ ეძახის“ (ილია)].

**დედა** ა) რძის შესადღებელი

ბ) ღვინის ასადღებელი

ვ) საფუარი

**დედა** - ძირითადი, საფუძველი

**დედო-შარა, დედალფონი**

**დედამიწა, შდრ.: მიწა**

მხოლოდ: ა) პლანეტა

ბ) მიწის მყარი ზედაპირი.

მაგრამ: **ხნავენ მიწას** და არა **დედამიწას**.

**დედა-ნი** (შდრ. ლოკვანი) — ორიგინალი.

.....ევროპიული ენების **დედა ენა** ხომ ზოგისა ბერძნულია. ზოგისა ლათინური...“ (დ.ყიფიანი. ახალი ქართული გრამმატიკა, 1882, ვვ. 68).

აქ „დედა ენაში“ დედა პირდაპირი მნიშვნელობით (მშობ-  
ლად, წარმოქმნელად) არის გავებული.

როგორც ვხედავთ, „დედა“-ს საკმაოდ მრავალი სემანტიკური  
ნაირსახეობანი აღმოაჩნდა. განვითარებული ერთი ბაზისური მნიშ-  
ვნელობისაგან.

ინგლისური mother country, motherland დედის ქვეყანას  
(დედაქვეყანას), დედის მიწას (დედამიწას) ნიშნავს.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ლათინური patria მდებრო-  
ბითი სქესის სიტყვაა, თუმცა ფუძეში pater „მამა“ აქვს. სიტყვასი-  
ტყვით ესაა „მამული“.

× შემოთქმული ნათელს ხდის, თუ რატომ შეიძლება გაუთანაბ-  
როს ქართულად მოლაპარაკემ სამშობლო დედას.

იმავდროულად ქართველი არასდროს წარმოიდგენს თავისუფ-  
ლებას ქალად. ეს იმიტომ, რომ რაიმე ლექსიკური პარალელი ამ  
თვალსაზრისით არ არსებობს. ხოლო გრამატიკული სქესის უქონ-  
ლობა გამოირიცხავს ამ ორი ცნების დაკავშირებას წმინდა გრამატი-  
კულ ნიდადზე. აქ კი, სადაც ფუნქციონირებს გრამატიკული სქე-  
სის კატეგორია, „თავისუფლების“ ამგვარი გააზრება (უკეთ: გა-  
ხაგნობრივება) სავსებით დასაშვები ფაქტია: რუსული: свобода,  
ლათვიური: brīvība, ფრანგული: liberté, გერმანული: Freiheit, ლა-  
თინური: libertas... თუ რა შედეგი შეუძლია გამოიწვიოს ამან, ეს  
კარგად ჩანს თუნდაც ამ ფაქტით: ლატვიაში, ქ.რიგაში დგას თავი-  
სუფლებისა და სამშობლოს ძეგლი, რომელიც ქალის სახითაა  
წარმოდგენილი. კარგადაა ცნობილი ფერდინანდ ვიქტორ ეჟენ დე-  
ლაკრუას (1798-1863) ტილო „თავისუფლება, ხალხის წინამძღო-  
ლი“ („თავისუფლება ბარიკადებზე“), შექმნილი 1830 წლის ივლი-  
სის რევოლუციის გავლენით. სადაც თავისუფლება გამოხატულია  
ქალის სახით.

ქართველი მხატვრის ნახატზე სიკვდილი შესაძლოა კაცის სა-  
ხით იყოს წარმოდგენილი (ასეა, მაგალითად, გუდიაშვილთან), რუ-  
სი მხატვარი — ქალად აღიქვამს (смерть! "Девушка и смерть").  
ასევე — გამარჯვება — „ნიკე“ ქალის ქანდაკებაა.

§ 40. ენისა და კულტურის, ენისა და აზროვნების, ენისა  
და ისტორიის ურთიერთმიმართების საკითხები ქართულ ხი-  
ნამდვილეშიც დაიხვია.

(ენისა და ისტორიის ურთიერთმიმართების საკითხები იხ. ზემოთ).

ვარკვეულად საინტერესოა. მაგრამ მაინც გულუბრყვილო ინტერპრეტაციები მოცემულია დიმიტრი ყიფიანის გრამატიკაში (ახალი ქართული გრამატიკა, სხარტულად დაწერილი შამისაგან შვილებისათვის, სანკტ-პეტერბურღი, 1882).

აი, რამდენიმე ნიმუში მისი წიგნიდან:

ბრუნების სახელწოდების დადგენისას, იგი მიმოიხილავს სხვადასხვა ტერმინს (სრბოლგა, დრეკა, დრეკილება, კანკლედობა...) და დაასკვნის: „მე ისევ მერყეობას ვამჯობინებ. ამიტომ რომ: 1. დრეკით იმდენჯერ და იმდენხანსა ვყოფილვართ ხოლმე თავის დრეკაში, რომ ღუთის წინაშე გვეყოფა და ახლა მაინც დავიჭიროთ თავი. როგორც სნება მოხდილის რიგია: — ან როგორც ისეთ კაცს მოაქვს თავი, რომელსაც გულში ცუდი არა უძევს რა: 2. კანკლედობით, ჩვენს ვალდებულებას რომ არას დროს არ ვადავსდგომივართ. თუ არ სიკვდილისგან დასახსნელად, და რაც გერწმენია, იმაზედ შეუპოვრად, უკანკლედობთა ვმდგარვართ. ამაზედ არა თუ ჩვენი ისტორია, ყველა ამ ხალხთა ისტორიაც დაგვემოწმება, ვისაც კი ჩვენთან საქმე ჰქონია რამე; და 3 მერყეობით ხომ რყევა სწორეთ ზედგამოჭრილი თვისება არის ჩვენი, დღევანდელი ხასიათია ჩვენი, რომ ვერას საქმეს ვერ დავადგებთ. თუ არ დიდი ყოყმანით, დიდი გაჭირვებით, რალაც ნაირი ზოზინით, გაუბედავობით, ერთის სიტყვით, რყევითა“ (გვ. 19-20):

შემდეგ: „შემასმენლობითი არის პირდაპირი თარგმანი ლათინურისა accusativus, როგორც რუსული выинтeлнхнй и და ჰნიშნავს „ბრალდებულებას“. — „დაწამებას“. „შესმენას“. „შემასმენლობას“; ქართულს ენაში ამ ბრუნვას სრულებით არა აქვს ადგილი: — ახლა შეიძლება აქა-იქა იპოვებოდეს ისეთი კაცი, რომ იმის დასახელებით სიტყვა გამიმტყუნონ: მაგრამ თვითონ მე მახსოვს ის დრო, როდესაც მოყვასის გაცემა, დაბეზლება, დასმენა ისეთი სათაკილო საქმე იყო ქართველებში, როგორც, მავალითად, ქურდობა, — და შემასმენლობითი ბრუნვა რაღათ გვექნებოდა...“ (გვ. 22).

შემდეგ: „...ქართული გრამმატიკისათვის სქესების ვარჩევა არას დროს არ არის საჭირო. ქართველები ამას ვადგევართ და ვამბობთ, რომ კაციცა და ქალიც ორივე აღამიანები ვართო და ერთი რომ მეორეზედ უფრო ნარნარი და უფრო სატრფო იყოს, საქმით მეუღლეობას დიად, მაგრამ საგრამმატიკო ბრუნვასა და მერყეობას რა ხელი აქვსო. ქალი რომ ჩვენი სატრფოა, რომ საფუძველია ამ

წუთისოფელში ჩვენის ბედნიერებისა და იმედიანი ზურჯი ჩვენის საოჯახო მყუდროებისა. ეს ძველთაგანვე დამკვიდრებული ხასიათი არის ჩვენი ყოფაცხოვრებისა: — გრამმატიკულად გვემოწმება ამა-ზედ შემდეგი ჩვეულება: როდესაც იორივე სქესი ერთად იხსენება ლაპარაკში ან წერა-კითხვაში. უსათუოდ ჯერ ქალს ვახსენებთ. მერე კაცს: — მაგალითად: ქალ-ვაჟი, და-ძმა, დედ-მამა, გოგო-ბიჭი, ცოლ-ქმარი, რძალ-მამული... ერთად ერთ შემთხვევაში ვახსენებთ ჯერ მამაკაცსა. მაშინ როდესაც გვირგვინოსნებზე ვლაპარაკობთ: მეფე-დედოფალი..... ჩვენ ამითი ამ საერო „აღსარებას აღვიარებდით“, რომ ყოველთვის „აღმსარებელნი“ ვყოფილვართ ერთმთავერობისა“ (გვ. 28-29).

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, შორს არის ქეშმარიტი მეცნიერული ინტერპრეტაციისაგან: იგი ვაცილებით უფრო საინტერესოა როგორც პიროვნული თვალსაზრისი მკვლევრისა, როგორც შესაძლებლობა, რომ ამგვარი თვალსაზრისით (თუნდაც უმართებულო) იქნეს შეფასებული ესა თუ ის გრამმატიკული ფაქტი. ენობრივი მოვლენა.

\* \* \*

✂ ყურადღებას იქცევს კ.დონდუას დაკვირვებანი.

აი. მისი რამდენიმე დებულება:

.....სიტყვის მნიშვნელობა (ისევე, როგორც სიტყვა, როგორც მეტყველება ან ენა საერთოდ) არის ისტორიული განვითარების შედეგი: იგი ყოველთვის ვამოხატავს სინამდვილის აღქმის თავისებურ (ვანსაკუთრებულ) ფორმებს და სინამდვილის თავისებურ ვაგებას. შეპირობებულს მექრნეობისა და საზოგადოების შესაბამის განვითარებით“. კ.დონდუა. *Метафора в широком смысле и метафора поэтическая*. რჩეული შრომები, I. თბილისი, 1967. გვ. 210).

.....მოცემულ კონკრეტულ სიტყვას აქვს „საკუთარი“ ან „არასაკუთარი“ მნიშვნელობა მოცემული ენობრივი კონტექტის ცოცხალი სამეტყველო პრაქტიკის შესაბამისად. (ამ) საზოგადოების ზოგადი მსოფლგაგების შესაბამისად მისი სამეურნეო და კულტურული განვითარების მოცემულ საფეხურზე“ (იქვე, გვ. 211).

ყოველი მოცემული მნიშვნელობა შეესაბამება მხოლოდ ერთ ნაწილს ჩვენი ცოდნისას საგნის შესახებ. ანუ, სხვაგვარად, ყოველი მოცემული სიტყვა ვამოხატავს მხოლოდ ნაწილს ჩვენი დამოკიდებულებისა აღსანიშნი სიტყვისადმი. და საქმის არსი ისაა, რომ ეს



ნაწილი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვანს, ყველაზე დამახასიათებელს. ყველაზე განმსაზღვრელს რეალური სინამდვილისადმი დამოკიდებულების ზოგადი თვალსაზრისის მიხედვით. და როცა ბრედლი ლაპარაკობს quicquid chinese de frappant-ის შესახებ, ეს არის კიდევაც ის არსებითად მნიშვნელოვანი, რაც მოცემულ მომენტში და განვითარების მოცემულ საფეხურზე ყველაზე უფრო შეესაბამება (უქასუხებს) ჩვენს მსოფლგაგებას" (იქვე, გვ. 214). ✕

\* \* \*

### არნ.ჩიქობავას შრომები. ნ.მარი. კ.მეგრელიძე.

§ 41. განვიხილეთ სხვადასხვა მოსაზრებანი ენობრივი მსოფლხედვის შესახებ. განვიხილეთ ის ფილოსოფიური სისტემები, რომლებიც საყრდენად ენობრივ ანალიზს იღებენ.

რა პოზიტიური დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ აქედან, რა თვალსაზრისით უნდა შეფასდეს ენა მისი აზროვნებასთან, კულტურასთან მიმართების მხრივ?

#### ამოსავლად გიღებთ შემდეგ დებულებას:

მატერიალური სამყარო იმთავითვე მოცემულია. მას აქვს თავისი იმანენტური არსებობა, ბუნება, რასაც ენობრივი ანალიზი, რა თქმა უნდა, ვერ გაარკვევს.

მატერიალური სინამდვილე პირველადია, ამოსავალია ცნობიერებისათვის.

მაგრამ ენისათვის პირველადი, ამოსავალი უკვე ცნობიერება არის: ენაში ვერ მოხდება ვერაფერი ისეთი, რაც უკვე ცნობიერებაში არ არის მოცემული. ეს უკვე განსაზღვრავს ენის ბუნებას, მის შინაგან თავისებურებას: ენაში „ხედება“ გააზრებული სინამდვილე. ეს ნიშნავს: ენაში „მოქცეულ“ სამყაროს ძალაუფლებურად მიეწერება სუბიექტური თვალსაზრისი, ძალაუფლებურად ხდება მისი სუბიექტური შეფასება.

**ანუ:** მატერიალური სინამდვილე არსებობს ენისგან დამოუკიდებლივ. ენის საშუალებით მას ეძლევა შეფასება, ინტერპრეტაცია.

ენის კვლევა არის სამყაროს ინტერპრეტაციის კვლევა.

„სამყარო“ — ფართო გაგებით (ბუნება, საზოგადოება...).

პიროვნების პოზიცია ვლინდება ენაში.

ენისთვის ძირითადია მოსუბრე. | პირი, „მე“, რომელსაც უპირისპირდება ყველაფერი დანარჩენი, ყველაფერი, რაც არ არის

„მე“. ანუ: ყველაფერი. რაც არის „არა-მე“.

არსებითად ეს არის უნივერსალური თვისება — ერთნაირად დამახასიათებელი ყველა ენისათვის.

როდესაც პიროვნებაზე ენის ზეგავლენის შესახებ ვლაპარაკობთ, უპირველესად ყოვლისა, სწორედ ეს, ენობრივი სოლიდისიზმი, უნდა იქნეს გათვალისწინებული:

ენა მის მფლობელს სამყაროს ინტერპრეტატორად (შემფასებლად) ხდის.

მაგრამ ინტერპრეტაცია აქ ფრიად საინტერესოდ უნდა გავიგოთ: ენა აძლევს პიროვნებას სამყაროს ინტერპრეტაციის საშუალებას, მაგრამ ეს ინტერპრეტაცია იმთავითვე ენაშია მოცემული. პიროვნება მხოლოდ ამა თუ იმ ენის პოზიციაზე დგება. ეს პოზიცია კი, როგორც წესი, სხვადასხვა ენას სხვადასხვა აქვს.

ე.სემპირი: „არ არსებობს იმდენად მსგავსი ორი ენა, რომ შესაძლებელი იყოს ჩავთვალოთ ისინი ერთი და იმავე სოციალური სინამდვილის გამომხატველებად. სამყაროები, რომლებშიც ცხოვრობენ სხვადასხვა საზოგადოებანი, — დამოუკიდებელი სამყაროებია და არა ერთი სამყარო, რომელიც იყენებს სხვადასხვა იარაღს“ (В.А.Звегинцев, История языкознания... часть II. М., 1960, стр. 177).

თუ ამ მოსაზრებას ვავიზიარებთ, მაშინ შეუძლებელია ენა გავუტოლოთ ნიშანთა სისტემას. რადგანაც სწორედ ნიშანთა სისტემის არსიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სხვადასხვა ენა არსებითად ერთსა და იმავეს აღნიშნავს, ოღონდ სხვადასხვა ნიშნის საშუალებით. ეს აზრი უკიდურესად „შიშვლად“ შეუფარავად, „სრული გულწრფელობით“ წარმოდგენილი აქვს ლ.იელმსლევს: „დანიური ენა, იქნება იგი ზეპირი, წერილობითი, მორზეს ანბანით ტელეგრაფირებული, თუ საერთაშორისო საზღვაოსნო დროშოვანი სიგნალიზაციით ვადმოცემული, ყველა შემთხვევაში რჩება იმავე დანიურ ენად და არ წარმოადგენს ოთხ სხვადასხვა ენას“ (Хрестоматия по истории языкознания... М., 1956, стр. 420).

რამ გამოიწვია ასეთი გათანაბრება?

აქ არის ერთმანეთში არეული სხვადასხვა რივის ფაქტები:

ა) ჭერ ერთი, წერილობითი დანიური (და ნებისმიერი) ენა ეს არის მხოლოდ ფიქსირება ზეპირი ენისა. უკეთ: აქ ერთი და იგივე ენაა. გადმოცემული ერთ შემთხვევაში ზეპირი და მეორე შემთხვევაში წერილობითი მეტყველებით. ეს კი ვერ გაუთანაბრდება მო-

რზეს ანბანს. რომელიც არა ბევრებით ან ასობით. არამედ სპეცი-  
ლური სივნილიზაციით (წერტილოვანი და დეფისოვანი სივნილებით) ვადმოსცემს იმავე აზრს.

ბ) რაც შეეხება საზღვაოსნო სივნილიზაციას. აქ მხოლოდ იგი-  
ვე აზრი გამოიხატება და გამოიხატება უკვე სხვა სისტემით (რაც  
ყველა ენაზე მოლაპარაკე მეზღვაურისათვის ერთი და იგივეა და  
ერთნაირად გასაგები). ეს იგივეა. სულ ერთი რომ იყოს. ვიტყვი:  
„ჩგარი“, „кредт“. თუ დაგსვამთ. ვანიშნებთ ნიშანს „+“.

აღრევის თავიდან ასაცილებლად უნდა განირჩეს „ცნება“ და  
„ენობრივი მნიშვნელობა“.

§ 42. ცნება და ენობრივი მნიშვნელობა. ცნებისა და ენობ-  
რივი მნიშვნელობის გამიჯვნა გამოძინარეობს მათი შემსწავლელი  
დისციპლინების სპეციფიკიდან: ცნება — ფილოსოფიის, ლოგიკის  
ობიექტია. ენობრივი მნიშვნელობა — ენათმეცნიერებისა.

ენობრივი მნიშვნელობა, რასაკვირველია, ობიექტური რეალო-  
ბითაა განპირობებული. მაგრამ არა უშუალოდ, არამედ ცნებითი  
სისტემების საშუალებით.

ცნებითი სისტემა უნდა ვავიგოთ როგორც ცნობიერებაში არსე-  
ბული სამყაროსეული ხატი. ანუ: ცნება არის ცნობიერებაში ვარდა-  
ქმნილი ობიექტი (რეალურად არსებული მატერიალურ სამყაროში).

ამრიგად, უნდა დავუშვათ ორი სამყაროს არსებობა:

ა) მატერიალური სამყარო

ბ) ცნობიერი სამყარო.

ცნობიერი უშუალოდ არის შეპირობებული მატერიალურით.  
მაგრამ მათ შორის სრული იგივეობის ნიშნის დასმა შეუძლებელია.

შეუძლებელია. რადგან ცნობიერებაში ხდება არა უბრალო  
არეკვლა, აღბეჭდვა. არამედ ასახვა.

ზოგადი სქემა ასეთია:

საგანი → ცნება → ენობრივი მნიშვნელობა → ენობრივი  
ფორმა. ენობრივი მნიშვნელობა შეიძლება იყოს სივნილი-  
ზაციით (სუბსტანტიური) და დროითი (პროცესუალური).

ამის მიხედვით შემოხსენებული სქემა ასეთ სახეს მიიღებს:

საგანი → ცნება → ენობრ.მნიშვნ.

{ სივნილიზაციით  
→ ენობრ. ფორმა .  
{ დროითი (გამოხატულება)

„წმინდა ენათმეცნიერებას“ საქმე არა აქვს საგანთან და ცნე-

ბასთან (თუნდაც ამიტომაც საჭირო ცნებისა და ენობრივი ძნიშვნელობის ვათიშვა, რომ ლოგიკისა და ენათმეცნიერების ობიექტები არ აირიოს ერთმანეთში... თუმცა ეს დაყოფა, რა თქმა უნდა, ფრიად პირობითია...).

ენათმეცნიერება ფართო ვაკეებით (როგორც ჩვენ ვცესმის იგი ამჟერად) მოიცავს საგანთან და ცნებასთან მიმართებასაც (ოღონდ გარკვეულ ფარგლებში, რა თქმა უნდა!).

ცნება ცნობიერებაში ასახული საგანია. ეს კი საგნის გააზრების აუცილებლობას გულისხმობს.

**შენიშვნა:** მეცნიერული თვალსაზრისით საგნის გააზრება შეიძლება იყოს მართებულიც და მცდარიც. მაგრამ სახელდებისთვის ამას არაფითარი მნიშვნელობა აქვს. მეცნიერული თვალსაზრისით არც ანგელოზები არსებობენ და არც ეშმაკები, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია სახელდებისათვის. ბალახი, რომელსაც „უკვდავ“ ჰქვია, სულაც არ არის უკვდავი (ისევე, როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმი). მაგრამ ამ მცდარ გააზრებას ხელი არ შეუშლია მისი სახელდებისათვის.

.....

დრო და სივრცე სამყაროში განუყოფელია.

ამის მიხედვით არსებობს (რეალურად!) დაუნაწევრებელი საგანი-პროცესი: კაცი წერს — კაცი და წერის პროცესი ერთდროულად. ერთ მთლიანობაში აღიქმება, საგანი-პროცესის ერთობლიობას წარმოადგენს. მაგრამ აზროვნებაში ხდება მისი დანაწევრება. დანაწევრება კი ყოველთვის გულისხმობს ანალიზს: დანაწევრება ანალიზის შედეგია. საგანი (უხეშად რომ ვთქვათ) ენაში აზროვნებიდან, ცნობიერებიდან ხდება, ეს კი ნიშნავს, რომ სახელდება წინ უსწრებს ანალიზი — ერთობლივ აღქმული მოვლენების დანაწევრება.

რა არის დანაწევრების საფუძველი?

ის, რომ ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა პროცესის „შემადგენლობაში“ შეიძლება შედიოდეს.

კაცი { წერა  
ხატვა  
კეთება  
შენება...

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ესაა განუყოფელი (დაუნაწევრებელი) საგანი-პროცესი და მხოლოდ ურთიერთშედარება (ანუ: ანალიზი) შეგვაძლებინებს მათ დანაწევრებას.

დანაწევრების პირველი საფეხური რთულდება სხვა საფეხურებით: გამოიყოფა ობიექტი, შემდეგ ხდება გამოცალკეება თვისებისა (→ ატრიბუტივები) და ა.შ.

ამდენად, ენაში ჩვენ არსებითად მოცემული გვაქვს ანალიზის შედეგად დანაწევრებული სამყარო, რომელიც სრულ იგივეობას, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს რეალურად არსებულისას. ესაა გარკვეული პრინციპით ინტერპრეტირებული სამყარო.....

\* \* \*

ცნებისა და ენობრივი მნიშვნელობის დაცალკეება ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემს განვასხვაოთ ერთსა და იმავე მოვლენაში ნიშანი და ფორმა:

ენა ცნების მიმართ ნიშანია.

მნიშვნელობის მიმართ — ფორმა.

ცნება მუქარისა და:

- „მუქარა“
- „მუქარობს“
- „იმუქრება“
- „ამუქრებს“

NB! ენობრივ მნიშვნელობაში ყოველთვის შემოდის ვარამატიკული ფუნქციები.

§ 43. რეალურად, თავისთავად, არსებობს მხოლოდ კონკრეტული საგანი. ესაა ნომინალისტების (შუა საუკუნეების ფილოსოფიის) ძირითადი დებულება (როსცელინი, დუნს სკოტი, ოკამი...), და ეს დებულება სწორია.

ნომინალისტები უპირისპირდებოდნენ რეალისტებს (ანსელმ კენტერბერიელი... საწუისი — პლატონთან), რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ რეალურად არსებობენ ზოგადი ცნებები (უნივერსალიები), რომლებიც წინ უსწრებენ კალკულ საგანთა არსებობას. არსებითად ეს იმის აღიარებაა, რომ იდეა უსწრებს კონკრეტულ საგანს...

ამჟამად საკამათო არაა, რომ რეალურად, ონტოლოგიურად არსებობს მხოლოდ კონკრეტული საგანი. ყოველი მაგია, ხე,

ქვა... კონკრეტული ობიექტია. რომელთაც, რასაკვირველია, აქვთ ის თვისებანი. რომელიც სხვა მაგიდას, ხეს, ქვას... ახასიათებს (ე.ი. რაც ზოგადია ყველა მაგიდისათვის, ხისთვის, ქვისთვის...). მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ესაა კონკრეტული საგანი (და არა ზოგადი ცნება).

რას აკეთებს ენა?

ენა აზოგადებს. ენაში მხოლოდ ზოგადი (ყველა მაგიდისთვის საერთო, ყველა ხისთვის საერთო...) სახელწოდება არსებობს. რა თქმა უნდა. ენას აქვს დაკონკრეტების შესაძლებლობა:

ა) საკუთარი სახელუბრა...

ბ) საწერი მაგიდა. სასაღიშლო მაგიდა...

გ) მუხა. იფანი. აკალია

მაგრამ ამ შემთხვევაშიც ზოგად სახელდებასთან ვეაქვს საქმე. რადგან ყოველი მუხა, საწერი მაგიდა კონკრეტულია. ენა კი ამ სახელით იხსენიებს ყველა მუხას, ყველა საწერ მაგიდას... რაც არ უნდა დაკონკრეტდეს. სახელი ერთადერთი საგნის სახელად არახდროს იქცევა, ამიტომაც არახდროს იქნება საგანივით კონკრეტული.

მაგრამ საკუთარი სახელი?

საკუთარი სახელი. რა თქმა უნდა. თავისი ბუნებით განსხვავდება საზოგადო სახელისაგან. მაგრამ აკაკი, გიორგი... ერთადერთს მაინც არ ქვია... თუმცა საკუთარ სახელს მაინც აქვს კონკრეტული მიმართების უხარი. ამაზე — ქვემოთ.

მაშასადამე. საგანი კონკრეტულია. სახელი — საზოგადო.

ამას არადერი აქვს საერთო კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელუბრასთან. აზოგადებს სწორედ კონკრეტული სახელიც.

ხე — როგორც საგანი. ყველა შემთხვევაში კონკრეტულია. „ხე“. როგორც სახელი. ზოგადი.

რის საფუძველზე ხდება უანზოგადებია?

საგნის არსებითი ნიშნის (სხვა საგანთაგან გამოირჩევი ნიშნის) საფუძველზე: სახელი „ხე“ აერთიანებს ყველა კონკრეტულ საგანს. რომელსაც აი, ეს ნიშანი, თვისება აქვს.

მაგრამ „ხე“ სიტყვის წარმოთქმისას ყოველ კონკრეტულ პიროვნებას შესაძლოა (შესაძლოა!) რომელიმე კონკრეტული ხე ჰქონდეს მხედველობაში.

მაგალითად, ერთსა და იმავე პიროვნებას შეუძლია თქვას:

ა) „ხე გაზაფხულზე იფოთლება“.

[აქ მხოლოდდამხოლოდ ზოგადად ხე ივულისხმება. თუმცა გა-

ზაფხულზე იფოთლება ყოველი კონკრეტული ხე — წიწვოვანის გარდა].

ბ) „ჩემი სარკმლის წინ ლამაზი ხე დგას“.

[აქ უკვე კონკრეტულ ხეს გულისხმობს იგი. მაგრამ მსმენელისათვის ეს არის ზოგადად ხე].

მაშასადამე, სახელი აზოვადებს. მაგრამ სახელს ის თვისება აქვს, რომ მთქმელი შესაძლოა კონკრეტულ სავანს გულისხმობდეს რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში.

ესე იგი: საზოგადო სახელი აზოვადებს და კონკრეტულსაც ვარაუდობს ერთსა და იმავე დროს.

ამისგან განსხვავებით, საკუთარი სახელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ კონკრეტულ ობიექტს ვარაუდობს.

§ 44. ზემოთქმული შეხებოდა საგნების სახელებს.

მაგრამ სახელდების პროცესი ენაში ამით არ ამოიწურება. ენაში გვაქვს ისეთი სახელებიც, რომელთა შესაბამისი ობიექტები მატერიალურ სამყაროში არ არსებობენ.

რა სახელები იგულისხმება ამ შემთხვევაში?

ა) გრძობა-აღქმისა და თვისების მახუბსტანტივებელი სახელები: სი-ხარ-ულ-ი, სი-უვარ-ულ-ი... სი-წითლ-ე, სი-კეთ-ე... არცერთ მათგანს არ მოეპოვება შესაბამისი ობიექტი მატერიალურ სამყაროში. ესაა წმინდა ენობრივი ფაქტი, წმინდა ენობრივი შემოქმედება. თვისება იქცა სუბსტანტივად.

ბ) პროცესის გასუბსტანტივება. ფიქრი, ლაპარაკი, ჩხუბი, თამაში, ვარჯიში... ასეთი ობიექტები სამყაროში არ არსებობს. ასეთი „ობიექტები“ არსებობენ მხოლოდ ენაში.

გ) განმაზოვადებელ-შემფასებელი სახელები. ლ.ვაისგერბერს მოაქვს ასეთი მაგალითი (Z. Weisgerber. Vom Weltbild der deutschen Sprache, Dusseldorf, 1950, S. 26-27): Unkraut „სარეველა“ — ამ ჭვუფში ვაერთიანებულია სხვადასხვა ზალახი. იმავდროულად, როგორც ბიოლოგიური ფაქტი, სარეველა არ არსებობს, არ არსებობს ის თვისებანი, რომლებიც ამ ჭვუფში ვაერთიანებდნენ ამა თუ იმ მცენარეს. ესაა წმინდად ადამიანის მიერ შეფასებული (და არა ონტოლოგიურად არსებული) სავანი: სარეველა არ არსებობს ბუნებაში, იგი არსებობს მხოლოდ ჩვენს მსჯელობაში და ჩვენს ენაში.

თუ ჩვენ დავუყვირდებით ენაში არსებულ სიტყვებს (იგულისხმება — ეტიმოლოგიურად გააჩქირვალე სიტყვებს). აღმოჩნდება, რომ აბსოლუტური უმეტესობა „შემფასებლური“ ხასიათისაა.

მაშასადამე, ენაში ხდება „გასაგნობრივება“ იმისა, რისი ფარდი საგანი ბუნებაში არ არსებობს.

აი, ესაა ენობრივი სამყაროს ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება...

§ 45. იმავდროულად ესაა ერთ-ერთი ეტაპი — სახელდების ეტაპი.

**რჩება გრამატიზაციის ეტაპი.**

**რას ნიშნავს ეს?**

ავიღოთ ხე:

I ა) ონტოლოგიურად — საგანი ა) მოქმედება  
ბ) განცდა მოქმედებისა.

II { ბ) ლექსიკურად — სახელი (საგნისა)  
გ) მორფოლოგიურად — ბრუნებადი სიტყვა  
დ) სინტაქსურად — სუბიექტი, ობიექტი...

ენათმეცნიერებას განეკუთვნება II.

**ემთხვევა თუ არა ონტოლოგიური და ენათმეცნიერული ერთმანეთს?**

შეიძლება დაემთხვეს და შეიძლება არც დაემთხვეს.

ა) **ემთხვევა:** ხეში სინათლის წყაროს გაგლენით ხდება ნივთიერების ცვლა: ეს არის ონტოლოგიური ფაქტი, რომელიც შესაბამის ასახვას აოულობს ენაში.

**მკაცრი ანალიზი** გამოავლენს, რომ ასეთი დამთხვევის ფაქტები გაცილებით იშვიათია, ვინემ განსხვავებისა.

ბ) **არ ემთხვევა:** ხე დგას, ხის ერთადერთი მდგომარეობაა ვერტიკალურად ყოფნა (მოჭრილი ხე — ხე აღარ არის: ან შეშა, ან მორი, ან ფიკარი...). დგას კი უნდა უპირისპირდებოდეს წევს და დადის სტატუსებს. ხეზე იმის თქმა, რომ დგასო, გაპიროვნების ფაქტია.

**ფოთლები შრიალებენ.** ჭერ ერთი, ფოთლებს ქარი აშრიალებს. ონტოლოგიურად მხოლოდ ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე. გარდა ამისა, თვით „შრიალი“ ამ მოვლენის რეალურ არსს არ გადმოსცემს, რადგან:



ა) შრიალი მხოლოდ ხმის გამოცემას გულისხმობს. ონტოლოგიურად კი ხმის გამოცემა სხვა რაღაც პროცესის თანმდევი მოვლენაა.

ბ) თვით ხმაც მიზანძვითაა ვადმოღებული. ენა კი ზუსტად ვერ ასახავს იმ რეალურად გამოცემულ ხმას.

მაშ, ონტოლოგიური თვალსაზრისით სრულ პირობითობასთან გვაქვს საქმე ენაში:

ა) ონტოლოგიურად არსებობს მხოლოდ კონკრეტული. ენაში კი — ზოგადი:

ბ) ონტოლოგიური და გრამატიკული „სუბიექტები“ შესაძლოა სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

გ) ონტოლოგიურად გვაქვს სავანი-პროცესი, ენობრივად ხდება ამის დანაწევრება და გარკვეული მსოფლვაგების შესაბამისად შეფასება.

§ 46. ენა არა მხოლოდ აზრის გამოხატვის ან ურთიერთობის საშუალებაა, არამედ უშუალოდაა დაკავშირებული თვით აზრის ფორმირების პროცესთან.

დავახასიათოთ ენა როგორც მზამზარეული აზრების გამოხატვისა და გადაცემის საშუალება. ეს იგივეა, რომ წყალი განგხაზღვროთ როგორც რეცხვის ან წყურვილის მოკვლის საშუალებაო, აღნიშნავდა ლ.ვაისგერბერი (Z. Weisgerber, Grundzüge der inhaltbezogenen Grammatik, Düsseldorf, 1962, S. 10-11).

ენის გარეშე არ იარსებებდნენ არც სულიერი ინდივიდები და არც საზოგადოება: ყველაფერი ის, რაც არ გამოიხატება ენის საშუალებით, რჩება ცხოველის ინსტინქტის დონეზე, — აღნიშნავს ჰ.ჰოლცი (H. Holz, Sprache und Welt. Probleme der Sprachphilosophie, Frankfurt am Main, 1953, S. 11.32). მისი აზრით, თვით გამოუთქმელი აზრიც ყალიბდება ენის საშუალებით.

ამიტომაც, აღნიშნავს ლ.ვაისგერბერი, ენა უნდა განხილულ იქნეს, როგორც კულტურის წარმომქმნელი ძალა, ~~რამეთუ~~ სწორედ ენაა აუცილებელი პირობა ადამიანის კულტურის შემოქმედებაში და უშუალოდ მოსაწილეობს მისი რეზულტატების ჩამოყალიბებაში. იგივე პრინციპი განსაზღვრავს ენის ვაგებას, როგორც ისტორიის წარმომქმნელი ძალისა, რადგან იგი მოიცავს და სულიერად ასტიმულირებს ისტორიული ცხოვრების მუდმივ მატარებელს — ხალხს (Z. Weisgerber, Vom Weltbild der deutschen Sprache, Düsseldorf, 1950, S. 7-8).

**ჰ.პოლცი:** მხოლოდ ენის დეიქტური ფუნქციის წყალობით წარმოიქმნება საჯანთა ურთიერთკავშირი და მოწვევრიგება (დროითი, სივრცითი...). მხოლოდ ენა ახდენს სამყაროს, როგორც შეკრული და მნიშვნელობის მქონე (значимое) მთლიანობის კონსტრუირებას (დასახ. ნაშრომი, ვკ. 11. 16-17). X

**ბ.უორფი:** სამყარო წარმოგვიდგება როგორც შთაბეჭდილებათა კალეიდოსკოპური ნაკადი. რომელიც მოწვევრიგებული უნდა იქნეს ჩვენი ცნობიერებით, ეს კი ნიშნავს — ძირითადად ენობრივი სისტემით, რომელიც დაცულია ჩვენს ცნობიერებაში (Б.Уорф, Наука и языкознание, с. 174-5). X

**დ.ჰაიმსი:** არსებობს ლინგვისტური მიმართების ორი ტიპი — პირველი ტიპი ხასიათდება იმით, რომ ენობრივ მონაცემთა საფუძველზე ხდება დასკვნის გამოტანა კულტურის სხვა ასპექტების თაობაზე. მეორე კი იმით, რომ დასკვნა ხორციელდება უკუმიმართულებით — ეთნოგრაფიული მონაცემებიდან ენის ფაქტებისაკენ (D.Hymes, Two types of linguistic relativity. „Sociolinguistics, Proceedings of the UCLA sociolinguistics conference, 1964, Hague-Paiks, 1966, p. 120).

ენას აქვს ნომინაციური ფუნქცია (ნომინაციური - აღმნიშვნელი). მაგრამ საკუთრივ ნომინაციურ ფუნქციას ენა მიმართავს მხოლოდ ცალკეული ფაქტების (საგნების) მიმართ, ხოლო საგნებსა და მოვლენებს შორის კავშირები, მათი დაჭგუფებანი და ურთიერთზეგავლენა წარმოქმნილია თვით ენის შემოქმედებითი ძალით.

**ე.კასირერი:** ენის სიმბოლური ნიშნები არსებობენ არა იმისთვის, რომ აღნიშნონ რაიმე, მათ ვარეშე არსებულნი. პირიქით, ყოფიერება გამოიყვანება თვით ამ სიმბოლოებიდან (E.Cassirer, Philosophie der symbolischen Formen, T. I. Berlin, 1923, S.42).

**ლ.ვაისგერბერი:** „ვალარიებთ რა ბუნების ობიექტურ ხასიათს. ჩვენ იმავდროულად უნდა ვავითვალისწინოთ ის განსხვავებანიც, რომლებიც არსებობს „რეალურ“ და „ვააზრებულ“ ბუნებას შორის: ამოცანაც სწორედ ისაა, რომ ვაჩვენოთ, თუ როგორ აღიქმება და გარდაიქმნება ეს ბუნება სულში“... (Vom Weltbild der deutschen Sprache, S. 194). X

\* \* \*

**ს.ულმანი:** ფრანგული ზმნები ვამოხატავენ, როგორც წესი, უფრო ზოგადი ცნებებს მოქმედებათა შესახებ. ვინემ გერმანული.

რომელთათვისაც დამახასიათებელია უფრო კონკრეტული მნიშვნელობების გამოხატვა:

**ფრანგული: გერმანული:**

aller	gehen „სვლა“
	reiten „(ჯიხნზე) სვლა“
	fahren „გაქვზავრება“
mettre	setzen „დასმა“
	stellen „დადგმა“
	legen „დადება“
	hängen „დაკიდება“

(С.Ульман, Дескриптивная семантика и лингвистическая типология, Новое в лингвистике. II, М., 1962, с. 26-29).

\* \* \*

**სამეაროსეული აღქმა შეიძლება იყოს მცდარიც.**

- ა) ვეშაბი — უწოდებდნენ თევზს
- ბ) კასპიის ზღვა — სინამდვილეში არის ტბა.

\* \* \*

**დროითი და სივრცითი ცნებების გათანაბრება:**

I) გრძელი	} დღე გზა	II) მოკლე	} დღე გზა
III) სახლის ორი საათის		} წინ	

\* \* \*

**ჰ.ჰოლცის** აზრით, არსებობს ენობრივი ლოგოსის სხვადასხვა ტიპი. გამოყოფს სამ ასეთ ტიპს:

- ა) ინდოევროპული ტიპი,
- ბ) ჩინური (ესთეტიკური ბირთვული ლოგიკის) ტიპი,
- გ) წინადადების ერგატიულ კონსტრუქციასთან დაკავშირებული ლოგიკური ტიპი (დასახ. ნაშრომი. გვ. 59 და შემდეგ).

ინდოევროპული ტიპი დაწვრილებითაა აღწერილი არისტოტელესა და მისი მიმდევრების ლო-

ვიცისტურ ნაშრომებში. ამ ენებში ცნება ფორმდება (ჯალიბდება) გრძნობითი ხატების ბაზაზე იმ ბგერების (ბგერათა კომპლექსების) დახმარებით, რომლებსაც არ გააჩნიათ რაიმე ხედვითი სახე (наглядности). მაშინ, როცა ჩინურში ცნების წარმოქმნა ხდება თითქოსდა იმ გრაფიკული ნიშნების კომბინაციით, რომლებიც დაკავშირებული არიან გარკვეულ ესთეტიკურ (გრძნობით) ხატებთან... მაგალითად, ცნება „სახელი“ გამოიხატება პირისა და ღამის ნიშანთა კომბინაციით (სახელი ესაა „დახილი ღამეში“. ანუ ის, რაც გამოყოფს (აწვევს) საგანს უცნობი სამყაროდან)... ივულისხმება იეროვლიფები.

ინდოევროპული ენების წინადადებათა ლოგიკური სტრუქტურის საფუძვლად კ.პოლცი თვლის ურთიერთობას სუბიექტსა და პრედიკატს შორის — არკუთქატული ურთიერთობა, რომელიც ამ კომპონენტთა ურთიერთდაშოკიდებულების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს.

ჩინური ენის წინადადების ლოგიკურ სტრუქტურაში არავითარი ლოგიკური ურთიერთდაშოკიდებულება არ არსებობს, არ არის არც სტრუქტურული ცენტრი. ყველა კომპონენტი თანასწორი და დამოუკიდებელია. დაშოკიდებულება ლოგიკურ წევრებს შორის ხედვით-ხატოვანია (ესთეტიკურია).

ერგატიული კონსტრუქციის ენებში, სადაც მოქმედების სუბიექტი გამოიხატება ერგატიული (და არა ნომინატიური) ბრუნვით. სუბიექტის ცნება არ შეიძლება იყოს წინადადების ლოგიკური სტრუქტურის ცენტრი (რადგან მას უკავია დამოკიდებული მდგომარეობა). აქედან — დასკვნა: ერგატიული წყობის დროს არ არის ლოგიკური სუბიექტი, რაც მოწმობს აზრის განსხვავებულ ლოგიკურ აგებას (დასახ. ნაშრ. გვ. 111 და შემდ.).

ბ. ჟორჯის დებულება: ინდოევროპულ ენებში ხშირად არსებითი სახელებით გამოიხატება ის ცნებები, რომლებიც ხოპი-ენაში გამოიხატება ზმნის საშუალებით (ელვა, ტალღა, ალი...) ან ზმნიზედებით (ზაფხული, ზამთარი...) ე.ი. ინდოევროპული ენების წარმომადგენლები ახდენენ გარესამყაროს მოვლენათა გასაგნობრიობას და ამით ართმევენ მათ მოძრაობას, მდინარებას, ვანვითარებას — ეს ქმნის აზრის საგნობრივ წყობას (Б. Уорф, Отношение норм поведения и мышления к языку, с. 145-7, 153-4)

შდრ. ქართული და რუსული

ელვა — молния

თამაში — игра

ვარჯიში — упражнение

ელვა მასდარია.

თამაში — არსებითი სახელი.

მაგრამ: ამით არ იცვლება მათი შინაგანი რაობა — ორივე მოქმედების სახელია. მოქმედების სახელდება.

მეტიც: რუსულს უნარი აქვს ერთი და იგივე ფაქტი გამოხატოს როგორც მოქმედება და როგორც სახელი:

игра — играть

чтение — читать

საინტერესო ვითარებაა ამ მხრივ ინგლისურში:

ერთსა და იმავე ფორმაში შერწყმულია

სახელადობა და ზმნურობა...

შევუდაროთ ახლა შემდეგი ფორმები:

ცხელა — жарко (-...სიცხე[ა])

ცივა — холодно

თბილა — тепло

ზმნური სტატუსი — სახელადი სტატუსი

. \* \* \*

ცნებითისა და ენობრივის მიმართებისათვის

1. დანაწევრების ხარისხი:

ლათ. amī „მიყვარს“.

მოქმედება და სუბიექტი გაიაზრება შერწყმულად.

ინგლ. I love - დანაწევრებულია

მოქმედება და სუბიექტი...

2. აზრის კომპონენტების თანამიმდევრობის რიგი:

მე გაშენებ სახლს.

სუბიექტი აღიქმება მოქმედებაზე ადრე.

მაგრამ:

მე მიშენებს სახლს

აქ ობიექტი აღიქმება.

ასე რომ, მე'ს გააზრება მხოლოდ ზმნის დასახელების შემდეგ ხდება.

3. აზრის კომპონენტებს შორის მიმართება:

Я слышу, как поет птица

слышу → поет птица

птица → поет

მე მესმის. როგორ მღერის ჩიტი  
„მე მესმის“ ჩიტი როგორ მღერის  
მესმის  
მე ის:

აზრობრივ: მესმის → [ჩიტი მღერის]  
[ჩიტი → მღერის]

ენობრივ: მესმის → მღერის  
მღერის ჩიტი

ენა ანაწევრებს აზრობრივ დაუშლელ მოვლენას. მღერის  
— აქ კი შერწყმულია სუბიექტი და პრედიკატი.  
(მღრ. Философские основы зарубежных направлений в  
языкознании, М., 1977, с. 60-62).

ზემოხსენებული მიმართება სვამს ორ საკითხს:

- ა) როგორ, რა პირობებში წარმოიშვა ენა;
- ბ) რა დანიშნულება (და გამოყენება) აქვს ენას თანამედროვე საზოგადოებაში (ანუ: რამდენად გამოიხატება ენით საზოგადოებრივი უოფიერება).

§ 47. როგორ, რა პირობებში წარმოიშვა ენა, რამ განაპირობა ენის წარმოქმნა? ეს პრობლემა ისევე ძველია, როგორც თვით ენა.

პრობლემა უძველესია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისით მეცნიერებაში ყველაფერი გადაწყვეტილია, რომ ვვაქვს მეტ-ნაკლებად დასაბუთებულად და მისაღები თეორია.

გულუბრყვილო და განსართობი თეორია შრავლად მოგვეპოვება. მათი მეცნიერული ღირებულება ფრიად საჩუქრო და აქ არა მხოლოდ ანეკდოტური შემთხვევები იგულისხმება...

საქმე იქამდე მივიდა, რომ პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოებამ XIX საუკუნის შუა წლებში აკრძალა მოხსენების წარმოდგენა ენის წარმოშობის შესახებ...

---

ხელნაწერში ამ პირობების მიხედვით აქვს ასეთი შესწავლები

ორი გზა: ა) დედუქციური ენა ასეთი და ასეთი უხდა ეოლოგიური

ბ) ინდუქციური — რეკონსტრუქცია საფუძველად პალეონტოლოგია.

რას ემყარება აღდგენა

შისაგასი და გათუგასი რეკონსტრუქცია

ა) შისაგასი ერთი ენის ფარგლებში. (გას ვ რეფა გას ვ ვემ... ე.ი. ამ მოდელის მიხედვით აღდგენა ლა. ებ.\* და ლაბ

ბ) გათუგასი — ორი ენის შედარებით (წვერი - ქველი → \*წვირი) \*წვიხ < ქვიხ...

ამის გამო ენის წარმოშობის შესახებ თეორიების შექმნა, რასაკვირველია, არ შეწყვეტილა.

და ეს ბუნებრივიცაა: ენის წარმოშობა ენათმეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. ოღონდ ეს პრობლემა შესაბამისად (მეცნიერულად) უნდა დაისვას.

ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე შეუძლებელია პასუხი ვაეცეს იმას, თუ როგორი ან რომელი იყო პირველი ენა. რა სიტყვები იყო პირველ ენაში და მისთ. ამასვე უახლოვდება იმ ხელოვნური „კონსტრუქტების“ შექმნაც, რომელსაც ამჟამადაც ცდილობენ მონათესავე (თუ საექვოდ მონათესავე) ენების ურთიერთშედარების ვხით. მით უფრო სავალალოა შედეგი, როცა რამდენიმე ათეული საუკუნის წინ ხმარებიდან გამოსული („მკვდარი“) ენის ფორმებს შეუძომებლად, ისტორიული ვითარების გაუთვალისწინებლად უდარებენ თანამედროვე ენის თანამედროვე ფორმებს...

სამწუხაროდ, ამჟვარ კლიმილეზას სერიოზული მკვლევრებიც აყვებენ. აგვუსტ შლაიხერმა (1821-1868) ინდოევროპულ პრენაზე იგავ-არაკიც კი შეადგინა: Avis akvakas ka („ცხვარი და ცხენები“):

Avis, jasmin varna na ā ast, dadarka akvamis, tam, vāgham garum vaghantam, tam, bharam magham, tam, manum aku bharantam...

და ა.შ. („ცხვარმა, რომელსაც არ ჰქონდა მატყლი (გაყრევილმა ცხვარმა), დაინახა ცხენები, რომლებიც ეწეოდნენ მძიმე ურემს დიდი ტვირთით, სწრაფად მიჰყავდათ ადამიანი“...).

რა ენაზეა შექმნილი ეს იგავ-არაკი?

**არარსებულ ენაზე!** რეალურად არსებული ენების ფორმათა შედარებით „აღდგენილ“ ენაზე. არსებითად ესაა ისეთივე ენა, როგორიც ესპერანტოა, ოღონდ საწყისი ენის პრეტენზიით წარმოდგენილი, რადგან „მექანიკურად“ კი არ იღებს სიტყვებს რომელიმე ენიდან. არამედ „აღადგენს“ მათ, როგორ აღადგენს? **არსებული ენათმეცნიერული აპარატის საშუალებით.** ეს აპარატურა კი დღემდე არ არის მიხნეული სრულყოფილად. მეტიც: **ზოგჯერ თვით ენათა ნათესაობის პრინციპშიც კი შეაქვთ ეჭვი** (ნ.ტრუბეცკო).

~~საუკუნის~~ საუკუნის დასაწყისში დაისვა ნოსტრატული ენების პრობლემა. ეს ჭფუფი მოიცავს სემიტურ-ჰამიტურ, ქართვულურ, ინდოევროპულ, ურალურ, დრავიდულ და ალთაურ ენათა ოჯა-

ხებს. აი, ამ ენათა ნათესაობაზე ლაპარაკობენ უკვე. და არა მხოლოდ ლაპარაკობენ. არამედ ვლადისლავ ილიჩ-სვიტიჩმა ეტიმოლოგიური ლექსიკონიც შეადგინა და ამ სახით აღდგენილ პრაენაზე ლექსიც კი დაწერა:

Kel Hä welei Gaḡun Kähla

Ḳa lai palhl -Ḳa na wetä და ა.შ.

(„ენა — ეს არის ფონი დროის მდინარეში.

მას ჩვენ მივყავართ გარდასულთა საცხოვრისში“...)

აი, ეს სიტყვებიანო, ჩვენი არქეენის კუთვნილი რომ იყო!

აი, ასეთი ენის „დაშლის“ შედეგად წარმოიშვაო რუსულიც, ლიტვურიც, არაბულიც, ქართულიც...

რითი განსხვავდება ამგვარი კვლევა-ძიება ეგვიპტის ფარაონის ფსამეტიქის ცდისგან?

რითი და, ურთულესი სამეცნიერო აპარატია მომარჯვებული და შედეგი კი მაინც ერთი და იგივეა.

ამერიკელმა ენათმეცნიერმა მორის სვოდეშმა ე.წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდი შემოიღო (სხვაგვარად: ლექსიკოსტატისტიკური მეთოდი). ამ მეთოდის ძირითადი პრინციპია: ძირითადი ლექსიკური ფონდი იცვლება მუდმივი სიჩქარით. ამის საფუძველზე გამოყვანილია ე.წ. „შემონახვის კოეფიციენტი“, რომელსაც უნივერსალურად თვლიან — ე.ი. ყველა ენისათვის ნიშანდობლივად. მუდმივად. ეს მეთოდი მიზნად ისახავდა მონათესავე ენათა გამოყოფის დათარიღებას. ამ თვალსაზრისით ქართველურ ენათა ლექსიკაც არის გამოთვლილი (იხ. კ.ბერგსლანდისა და ჰ.ფოგტის ნაშრომი „გლოტოქრონოლოგიის საფუძვლიანობისათვის“ ჟურნ. მიმოძილველი, 6-9, 1974).

მ.სვოდეშმა „დაადგინა“ დაახლოებით 200-სიტყვიანი სია ინგლისური ენის საფუძველზე. ამ სიაში. მისი აზრით, მოექცა ძირითადი ლექსიკური ფონდის მასალა. რადგან პრინციპი უნივერსალურად ითვლება, ივარაუდება, რომ ყველა ენაში იმავე მნიშვნელობის გამომხატველი ფორმებია ძირითადი ლექსიკური ფონდის კუთვნილი: all „ყველა“, And „და“. Animal „ცხოველი“. Back „ზურგი“ Blood „სისხლი“... Day „დღე“... Egg „კვერცხი“. Hand „ხელი“... Sew „კერვა“... Ten „ათი“ და ა.შ.

არსებითად აქ „დადგენილია“ „ძირითადი ცნებები“ და ივარაუდება, რომ ისინი აუცილებლად უნდა არსებულებოდა ყველა ენაში. ივარაუდება ისიც, რომ ამ ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვები „იცვლება მუდმივი სიჩქარით“...



ვაშკვლევებმა დაადასტურა, რომ ეს ასე არ არის...

არ შეიძლება ენა ვაგუტოლოთ სამყაროსეულ მოვლენებს ან ბიოლოგიურ მექანიზმს: ენა ფსიქიკური მოვლენაა და ფსიქიკურს არ ახასიათებს „თანაბარი სიჩქარით ცვლა“. ორი პიროვნება, ასაკობრივად ტოლი, ბიოლოგიურად ერთნაირად განვითარდება, ფსიქიკურად კი — ნაივგარად... ბიოლოგიურ მექანიზმს ორთავეს ერთსა და იმავეს მივუყენებთ. მაგრამ ამით მათ სულიერ წყობას ვერ ვაფაიციებთ... ენაში თანაარსებობენ „ინოვაციები“ და „არქაიზმები“, ჩამოყალიბებული და ჯერ კიდევ მერყევი სისტემები... ამიტომაც ის თეორია, რომელიც „მყიდვე მეთოდებით“ მიუღდება ენას, წარმატებას ვერასოდეს მიაღწევს.

§ 48. ცნობილია ენის წარმოშობის შესახებ არსებული ინდივიდუალისტური და სოციალური თეორიები.

ინდივიდუალისტური თეორიები:

ა) ონომატოპოეტური თეორია („ხმისმიბაძვითი თეორია“):

პირველი სიტყვები ხმაბაძვითი იყო:

გუ-გუ → გუგულ-ი

ყვა-ყვა → ყვაე-ი...

ეს თეორია უპასუხოდ ტოვებს არსებით კითხვას: როგორღა შეერქვა სახელი იმ საგნებს, რომლებიც ხმას არ გამოსცემენ, ან იმ „საგნებს“, რომლებიც მხოლოდ ენაში არსებობენ („სიყვარული“, „სიმწვანე“...).

ბ) წამოძახილების (შორისდებულების) თეორია.

პირველი სიტყვები — უნებლიე წამოძახილება. ეს წამოძახილები აფექტის (სიხარულის, ტკივილის, სიამოვნების...) უშუალოდ გამოძახებულებია... ეს პრინციპი ძირეულად განსხვავდება ენის პრინციპისაგან: დაახლოვდით საგნები მათი გააზრების შედეგად... ეს წამოძახილები არსებითად იმავე რიგისაა, რაც ძალის ყეფა, კატის კნავილი და მისთ. ამ „ბარიერის“ გადალახვა კმნის ენას. ეს თეორია კი პასუხს არ სცემს სწორედ ამ ძირითად კითხვას: როგორ გადაილახა ეს ბარიერი, როგორ ჩამოყალიბდა ენობრივი მექანიზმის პრინციპი?...

სოციალური თეორია.

ამოსავალი დებულებაა: ენა შეიძლება წარმოშობილიყო მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობის დროს, ადამიანთა საზოგადოებაში. ეს თეორია ფრ.ენგელსმა განავითარა.

ძირითადი დებულებანი:

1. ენა წარმოიშვა პირველყოფილ ადამიანთა ურლოში. შრომის პროცესში, როგორც ურთიერთობის საშუალება.

2. პირველადი იყო ბგერითი ენა.

ამდენად, ენა წარმოიშვება საზოგადოებაში, როგორც საზოგადოების წევრთა ურთიერთობის საშუალება.

პრიმიტიული საზოგადოებები ცხოველებსაც აქვთ. მაშ. რა პირობა იყო საქირო დამატებით, რომ ადამიანთა საზოგადოებაში წარმოშობილიყო ენა?

ესაა შრომითი საქმიანობა, იარაღის შექმნა.

**ბგერითი ენა თავდაპირველად არ შედგებოდა დანაწევრებული სიტყვებისაგან. საგნისა და მოქმედების კატეგორიები არ განიზღოდა.**

ბგერათა კომპლექსები აღნიშნავდნენ მთლიან, დაუნაწევრებელ აღქმას (წარმოდგენას). ე.ი. თავისი ფუნქციით უახლოვდებოდნენ წინადადებას (არნ.ჩიქობავა: ენათმეცნიერების შესავალი. 1952. გვ. 129).

ამის თაობაზე მთელი თეორიაც კი წარმოიშვა. ე.წ. ინკორპორირებული ენების თეორია (ნ.მარი, ი.მეშჩანინოვი...). სწორედ ამ დებულებიდან ამოსვლით ივარაუდება, რომ, მაგალითად, ქართული მ-ი-შენ-ებ-ს არსებითად თავდაპირველი „წინადადების“ ცვეთის შედეგია: აქაა წარმოდგენილი სუბიექტიც, ობიექტიც, მიმართებაც (ი-). ზმნური პროცესიც — ესაა დაუნაწევრებული საგანი + მოქმედება + საგანი...

რა თქმა უნდა, დაუნაწევრებელი აღქმის გამოხატვა არ უტოლდება ინკორპორაციას, რომელიც დანაწევრებული ფორმებისგან შედგება. მაგრამ ეს ფორმები ერთ მთლიანობაშია წარმოდგენილი: საგანი და მოქმედება არ ეთიშება ერთმანეთს.

მაგრამ ზოგადი პრინციპი მაინც ერთია: ერთ შემთხვევაში საერთოდ არ ნაწევრდება გარესამყაროს მოვლენები, მეორე შემთხვევაში ყველაფერს თავისი სახელი აქვს. მაგრამ არ ნაწევრდება მათი ურთიერთობა...

\* \* \*

არსებობს მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ პირველადი იყო არაბგერითი ენა. ადამიანებმა საუბარი დაიწყეს ექსტ-მიმიკის ენით. ეს თეორია სათავეს იღებს გ.ფუნდტის ნაშრომიდან „ხალხთა ფსიქოლოგია“. ექსტი გაუტოლდა ბგერას:

ქესტები გამოხატავდნენ წარმოდგენებს, ბგერები — გრძნობებს.

ამ თეორიამ ნაკლები გავრცელება პოვა.

\* \* \*

**ნ. შარის მოსაზრება ენის წარმოშობის შესახებ.**

თავდაპირველად იყო ქესტ-მიმიკის ენა.

ბგერითი ენა წარმოიშვა შედარებით გვიან (დაახლოებით 50 ათასი წლის წინათ). იგი შეიქმნა მისნების წრეში. ამიტომაც პირველი სიტყვები მაგიურ საშუალებას წარმოადგენდა: მისნების ურთიერთობის საშუალებას ტომის ტოტემთან. ადამიანთა ურთიერთობის საშუალებად ხელის ენა რჩებოდა...

§ 49. „გავარკვიოთ ენის წარმოშობის საკითხი. ეს ნიშნავს: გამოვავლინოთ ის პირობები, რომლებშიც შეიძლებოდა გაჩენილიყო ენა, რომლებშიც ადაძიანს შეეძლო ლაპარაკის დაწყება“ (არნ ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, 1952. გვ. 122).

ამიტომაც ამგვარი კვლევა-ძიების დროს არ შეიძლება დადგეს საკითხი პირველი ენისა თუ პირველი სიტყვების შესახებ.

ენის წარმოშობას რამდენიმე აუცილებელი პირობა აქვს.

§ 50. პირველი და უმთავრესი პირობა ისაა, რომ ენა აუცილებლად უნდა წარმოშობილიყო მხოლოდ საზოგადოებაში. საზოგადოების გარეშე არ გვექნებოდა ენის წარმოშობისათვის ხელსაყრელი ნიადაგი.

პრიმიტიული „საზოგადოება“ ნიშანდობლივია ცხოველთა სამყაროსთვისაც — ივლისხმება ჯოჯოხური ცხოვრების პრინციპი.

საზოგადოება იმთავითვე გულისხმობს ინფორმაციის მიღება-მიწოდებას მის წევრებს შორის.

**რა საშუალებით მიიღწევა ეს ცხოველებს შორის?**

ადამიანს თავიდანვე აინტერესებდა ცხოველთა ენის. „ბუნების ენის“ შეცნობა. ეს ინტერესი მრავალი ხალხის მითოლოგიაში, გადმოცემებში, ლეგენდებში, ზღაპრებში აისახა. ამ გზით მოხვდა იგი ლიტერატურაშიც. ჯ. სვიფტის რომანის მიხედვით, გულივერი ცხენის ენას სწავლობს ჰუიჭნჭნების ქვეყანაში. ინგლისში დაბრუნების შემდეგ იგი ორ კვიცს ყიდულობს: „ჩემს ცხენებს მშვენივრად ესმით ჩემი; დღეში ოთხ საათს მაინც ვსაუბრობ მათთან...“

ბუნების „ენის“ შეცნობის სურვილმა ქართულ მითოლოგიაშიც იჩინა თავი. ეს აისახა რამდენიმე ზღაპარში. მაგრამ ყველაზე სრულყოფილად — ხევსურულ „ხოჯაის მინდის ამბავში“.

სხვათა შორის. ნიშანდობლივია ის ფაქტი. რომ გულთმისნობის შეძენა გველთან არის დაკავშირებული.

ეს ფაქტი თავისებურად აისახა ბიბლიაშიც: ცნობადი ხის ნაყოფი ადამიანმა სწორედ გველის რჩევით იგემა — გველს ხდება სამყაროს შეცნობისათვის ბიძგის მიმცემი.

სამყაროს შეცნობის მითია არსებითად ხევსურული „ხოჯაის მინდის ამბავი“: ტყვედ მყოფ მინდიას სიცოცხლე მოსძულდა და თავის მოკვლა გადაწყვიტა. მალულად გველის სისხლის ერთი წვეთი ალოკა. ამან გულთმისნობა შესძინა. ყველაფრის ენა ესმოდა. ყველაფერს იკებდა და ვრძნობდა: „ნეტაინავ... ვავავონათავ. რას ამბობენავ ბალახნივ. როსაც დავდითავ: რაად მამბიძეავ ფეკსაც. მიაც ხო ახალგაზნდაი ორავ. ვანა მე არ მინდავ სიცოცხლეივ?! ყანის პირშიავ რო ბალახ ესწრებისავ. აისივ ქვითინებსავ: მიაც მამმკითავ. ზამთარ მამისწრობსავ. დამაზრობსავ. ნუ გამწირავთავ. ხეებს რო ვშჭრითავ: რაკელ საყურებიავ. დაიწყებენავ ქვითინსავ: რაად მჭრიავ. მტკივავ. რად არ გებრალეზივ. რაკელი ვული გაქვთავ კაცთავ? ქვას რო ვისრევთავ ყანაიითავ. დაიწყებსაც წივილსავ: ქვეც დავეცემიოდ მეტკინებისავ. რაად მისრევავ? ახლა სხვებ დაიწყებენავ: მე მამხედებისავ. საქონს რო დავხკრავთაო-დ დაიზმუვლებსავ. ამაში ამბობსავ. ტირისავ. ბალახნივ თაოდ ამბობენავ: მიავ ეემის წამალი ორავ. ეემას მავარჩენავ. გამამიყენევ. ვველ რო გამავიდგებისავ. სწორზე უნდა ვაექცათავ. აღმაზედაო-დ დაღმაზედავ ისარსავით მიდისავ. წყალს უნდა ვახტათაო-დ ველარ ვაიგებსავ გზასავ. იმადავ. რო თქვენ მნახავ წყალ ქვე ჩაივლისაო-დ სხვა იმას ეტყვისავ: არვინ მინახავ“...

**აქვს კი ამგვარ შეცნობადობას ბუნების ენისას რაიმე რეალური დასაყრდენი?**

აქვე გავგახსენდებთ ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“:

— ავერ. იმ ჩიტებს ყურს ვუვდებ —  
თითით უჩვენა ჩიტებზე.  
ორნივ ფრთებ-ჩამოშვებულნი  
იფნის ქვეშ ისხდენ სიპებზე. —  
ერთი მეორეს უამბობს  
სიკედლის ამბავს შვილებზე:  
მარცხნით მჭდომარე დედაა.

მარჯვისკე — ამბის მთხრობელი.  
თქვენს მტერს. რომ ვულ-მოკლულადა  
შვილებსა ტირის მშობელი.  
ჩიტებს ეხლაია შესცქერის  
ხევსურთა კრება სრულაია.  
ჩიტთავან ერთი იმ დროსა.  
თითქოს მოჰსვლოდეს რულია.  
სიბიდან დაბლა დაეცა  
და განუტევა სულია...

აქვს კი ჩიტს ენა. რომ მისი ვაგება ადამიანმა შეიძლოს?

ჩიტების ენა რომ შეიცნო. ჯერ ასეთი ენა უნდა არსებობდეს!

**„ბუნების ენის“ შეცნობა ბუნებაზე დაკვირვების შედეგაია.** ყოველ მოვლენას აქვს თავისი გამოხატვა. გამოვლინება რაიმე ნიშნის საშუალებით. ამ ნიშნების მცნობელი „ბუნების ენის“ მცნობელია (სხვათა შორის. თუ ენა ნიშანთა სისტემაა, მაშინ მართლაც არსებულა ცხოველთა ენა, რადგან მინიშნება მათაც ახასიათებთ).

ენა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის საშუალება რომ იყოს, მაშინ მართლაც შეიძლებოდა ცხოველთა ენაზე ლაპარაკი.

აკი ძველთაგანვე ცნობილი იყვნენ ამინდის მცნობელები, ცხოველთა გუმანის გამომცნობები და სხვანი. სხვათა შორის. მაგია ამ თვისებათა ამოცნობასაც ვულისხმობდა. აკი უხსოვარი დროიდან არსებობენ სამკურნალო ბალახების მცნობელები, ხულებთან მოსაუბრენი და სხვა მათნი მსგავსნი. ესაა ადამიანისა და ბუნების აქტიური ურთიერთობის შედეგი. დაკვირვების, ბუნების მოვლენათა და ცხოველთა ქცევის შესწავლის შედეგი. ოღონდ ეს შედეგი შემდეგ მეტაფორიზებულია.

**ცხოველებს უეჭველად აქვთ ერთმანეთისათვის ინფორმაციის მიწოდების საშუალება.** ეს საშუალება შეიძლება იყოს ბგერითიც და „ქცევითიც“ (მიმიკა, მოძრაობა, მოქმედება...).

ცხოველთა ქცევაზე დაკვირვებამ ბევრი საინტერესო მომენტი გამოავლინა ამ თვალსაზრისით.

**მოვიყვანთ რამდენიმე საყურადღებო ნიმუშს.**

**კ.ფონ ფრიშის დაკვირვება** ეხება ინფორმაციის გადაცემას ფუტკრებში. ცნობა ყვავილების ადგილსამყოფელის შესახებ

<sup>4</sup> ხელსაწერში მიხედობზე მითითებულია ი.კახიკო ბუხუბითი ნიშნების შესახებ „ანთროპოლოგია პრაქტიკული თვალსაზრისით“ (1978) (რუს.).

მოაქვთ „მზვერავ ფუტკრებს“. მათ იზიდავთ ყვავილების ფერი და სუნნი. ასეთი ფუტკრები სკაში ცოტაა. უმეტესობა მათ მიერ აღმოჩენილი ყვავილებით სარგებლობენ. ეს უკვე ნიშნავს, რომ მზვერავმა ფუტკრებმა რაღაცნაირად უნდა აცნობონ თავისი აღმოჩენა სხვა ფუტკრებს. ინტორმაციის გადაცემა ხდება ცეკვითი მოძრაობის საშუალებით. თუ საკვების წყარო ახლოსაა, მაშინ ფუტკარი ასრულებს წრიულ მოძრაობას, ხოლო, თუ რა საკვებია, ამას მიახვედრებს სუნით — ყვავილის სუნი დიდხანს რჩება ფუტკრის სხეულზე. თუკი საკვების წყარო შორსაა სკიდან (50-100 მეტრზე მეტი). მაშინ უკვე ფუტკარი სხვანაირ არაწრიულ ცეკვას („მოქნევის“ — виляющийся) ასრულებს. იმავედროულად გადასცემს მანძილსაც. ეს გადაცემა ცეკვის ტემპით: 100 მ. მანძილი — 15 წამში 9-10 მობრუნება, 200 მ. — 8-9 მობრუნება, 500 მ. — 6, 1000 მ. — 4-5. რაც უფრო შორსაა საკვების წყარო. მით უფრო გრძელია და, მასთან, უფრო გამომსახველობითაა ყოველი ცალკეული მონაკვეთი ამ ცეკვისა. სიშორე გადაცემა არა მხოლოდ ამგვარი მოძრაობით, არამედ ბგერითაც, რომლის რხევასაც იღებენ ფუტკრები, რომლებიც უკან მიჰყვებიან მზვერავ ფუტკარს. მანძილს იგი იგებს იმ ენერგიით, რომელსაც ხარჯავს საკვების წყაროდან სკისკენ დაბრუნებისას. ფუტკრის ენერგიის წყაროს შაქარი წარმოადგენს. ამდენად, იგი მანძილს იგებს არა მეტრობით, არამედ დახარჯული შაქრის რაოდენობით. და აი, ამ ინტორმაციას გადასცემს იგი სხვა ფუტკრებს. როგორღა იგებინებს მიმართულებას საკვების წყაროსაკენ? — მზის მდგომარეობასთან ცეკვის მიმართებით: ფუტკარი იკავებს პოზიციას სკაში იმავე კუთხით მზესთან მიმართებით. რა კუთხითაც წარიმართა მისი გზა. ამით სხვა ფუტკრები იგებენ, თუ მზესთან რა კუთხით მიმართული გზით უნდა იფრინონ. (К.Фон Фриш, Пчела в полете за взятком, Бухарест, 1975, с 3-6).

**ცხოველთა ქცევით ადამიანები კარგა ხანია დაინტერესდნენ:** მეცნიერული საფუძველი ამ დაინტერესებას გაცილებით უფრო გვიან მიეცა. ეს უკავშირდება კონრად ლორენცის სახელს. ესაა ეტოლოგია.

**ცხოველთა ქცევის ამოცნობა ორ მიზანს ემსახურება:**

ა) ადამიანს (მონადირეს, მეურნეს...) უხდება ცხოველებთან ურთიერთობა. ცხოველთა ქცევის ცოდნა ადამიანს ეხმარება გონივრულად წარმართოს ეს ურთიერთობა.

ბ) ცხოველთა ქცევის ამოცნობით ადამიანს საშუალება ეძლევა საკუთარ თავზეც ჩაატაროს დაკვირვება.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცხოველების მიერ ინფორმაციის გადაცემა მთლიანად შეპირობებულია თანდაყოლილი უპირობო რეფლექსებით. ესაა:

ა) შიშშილი.

ბ) შიში.

ვ) გამრავლების (შეწყვილების) ინსტინქტი და მისი.

კრუხი წიწილებს მაშინ „მოუწოდებს“. როცა საკვებს მიაგნებს

სიარულის (გადაადგილების) დროს კრუხი იმიტომ გამოსცემს ხმას, რომ წიწილებმა სწორი ორიენტაცია აიღონ და ყოველთვის იცოდნენ, სად არის მათი დედა.

თუ ძერა ან ქორი დაინახა, კრუხი შიშის სიგნალს ვადასცემს. წიწილები მაშინვე „ხვდებიან“ ამ სიგნალის „შინაარსს“ და თავშესაფრისაკენ ისწრაფვიან (კრუხის ფრთებქვეშ).

მგალობელი ჩიტები გამრავლების აერიოდში იწყებენ ინტენსიურად გალობას და ამით მაძალი ფრინველი შეწყვილებისათვის იწვევს დედალს.

ეს — როცა ცხოველები ბგერებით (ხმით) ვადასცემენ ვარკვეულ ინფორმაციას.

ინფორმაცია შეიძლება ვადაიცეს მხოლოდ მოქმედებითაც, ან ხმით და მოქმედებით ერთდროულად.

ამჯერად ჩვენ განსაკუთრებით „ხმოვანი“ ინფორმაცია ვვინტერესებ. ქცევით ვადაცემული ინფორმაცია მხოლოდ იმდენად იქცევს ჩვენს ყურადღებას, რამდენადაც ქცევა არსებითად უტოლდება ბგერას. ეს დასაშვებია მხოლოდ „დაუნაწევრებელი ბგერის“ შემთხვევაში.

მართალია, ექსტ-მიმკის საშუალებას ადაძიანიც იყენებს. მაგრამ ეს არის დამატებითი ფაქტორი. ხოლო ყრუ-მუნჯთა ურთიერთობისას ექსტ-მიმიკა, თითუბის თუ ხელუბის მოძრაობა ბგერითი ენის პრინციპითაა ჩამოყალიბებული.

ცხოველთა „ბგერითი ენის“ რაობაზე ვარკვეულ წარმოდგენას ვვიქმნის ფრანგი მეცნიერუბის მიერ ჩატარებული ცდა: მათ გააანალიზეს კუტკალიის სიმღერა და შემდეგ სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით მოახდინეს ამ ხმის იმიტაცია. დადგინდა, რომ დედალი კუტკალიები რეაგირებენ თითქმის ნებისმიერ მკვეთრ ხმაზე, თვით ტაშის დაკვრაზეც კი. ხმების მსგავსებას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო მხოლოდ სიმკვეთრე და სიხშირე, რომლითაც ხმა წყდებოდა და ახლდებოდა (Н.Тинберген, Поведение животных. М., 1969, с. 65).

ეს ფაქტი არსებითი მნიშვნელობისაა. იგი მოწმობს, რომ ცხოველები რეაგირებენ იმაზე, რასაც ჩვენ ინტონაციას ვუწოდებთ, ინტონაციას — ძალზე ფართო ვაგებით. არსებითად ესაა ე.წ. სტიმულატორები, რომლებიც დაცლილია რაიმე საგნობრივი, მით უმეტეს, აბსტრაქტული მნიშვნელობებისაგან<sup>5</sup>.

ამ თვალსაზრისით ფრიად ღირსსაცნობია პოლანდიელი ფსიქოლოგის ბოიტენდაიკის ცდები.

საცდელ ცხოველს — ძალღს — მეცნიერმა გამოუმუშავა პირობითი რეფლექსი ვარკვეული სიტყვის მიმართ. შემდეგ კი დაიწყო ამ სიტყვის ცვლა — ერთი ბგერისა ან მარცვლის ადგილას სვამდა სხვას. სხვადასხვა ადგილას უსვამდა მახვილს და ა.შ. შედეგი საინტერესო აღმოჩნდა: ძალი რეაგირებდა არა ამ ცალკეულ ცვლილებებზე, არამედ მთლიანად სიტყვის ბგერით მხარეზე, უპირველეს ყოვლისა — მახვილიან მარცვალზე და მიმართვის ინტონაციაზე.

ამრიგად, ცხოველი რეაგირებს არა სიტყვის მორფოლოგიურ ან სემანტიკურ სტრუქტურაზე, არამედ მხოლოდ ბგერადობაზე (A.A. Леонтьев, Возникновение и первоначальное развитие языка, М., 1963, с. 7-8). ცხოველების მიერ გამოცემული ბგერები ვადმოსცემენ მხოლოდ მათ მისწრაფებებსა და სუბიექტურ მდგომარეობას... ესაა ემოციური გამოხატულებანი, მაგრამ არასდროს — რაიმე „ობიექტურის“ ნიშანი (W.Köller, Zur Psychologie der Schimpanzen, Psychologische Forschungen, Bd. I, 1921, S. 27... L.Boutau, Le pseudo-langage, Bordeaux, 1913...).

მაშასადამე, ცხოველთა „მეტყველება“ — ეს არის ნამდვილი სიგნალი (ნიშანი), რომლის გამოხატულობა მთლიანად ემყარება ინტონაციას. ადამიანები ამგვარ სიგნალიზაციას მიმართავენ მხოლოდ უეცარი „შოკინგის“ დროს, როცა გრძნობითი რეაქცია უსწრებს აზროვნებითს (ე.ი. როცა ადამიანი ვერ ასწრებს რაიმეს გააზრებას): უეცარი ტყვილის. შიშის. სიხარულის დროს... ამ თვალსაზრისით სწორედ ზოგიერთი ტიპის შორისდებული იქცევის ყურადღებას.

ა! აა!... ო!... ოჰ!... თავისთავად ეს შორისდებულები, წარმოთქმის ინტონაციის გარეშე არაფერს გამოხატავენ; მათი მნიშ-

<sup>5</sup> ამ საკითხებთან დაკავშირებით ხელახაწერის მსდორზე მითითებულია Н.Ю. Вайтенис, Предшстория интеллекта. М.-Л., 1949, с. 214 (რუს.).



ვნელობა სინამდვილეში არის ის ინტონაცია, რომლითაც ისინი წარმოითქვიან. ამიტომაც არის, რომ სამწერლობო ენაში ყოველთვის საჭირო ხდება ამგვარი შორისდებულების გაშიფვრა. ახსნა. ამიტომაც ახლავს მათ მწერლისეული კომენტარები (თუ თვით კონტექსტის მიხედვით არ არის შესაძლებელი ინტონაციის ამოცნობა).

- ოპ!... — გაბრაზებით წარმოთქვა ვულქანმა...
- ოპ!... — თქვა მწუხარებით დიტომ...
- ოპ, ოპ!... — სასოწარკვეთილებით ამოიკენესა მარინემ.
- ოპ! — სიხარულით წამოიძახა...
- ოპ! — სიყვარულით უთხრა დედამ...
- ოპ, საბას ვაჟმარჯოს! — მიესალმა კონდუქტორი...
- ოპ! — წყრომით წამოიძახებდა ხოლმე გიგო...
- ოპ! — დაიძახა მან გამწარებით... და ა.შ.

ინტონაციის გადაამწყვეტი როლი სრულმნიშვნელოვანი სიტყვების შემთხვევაშიც ნათლად იგრძნობა. **ქრთი და იგივე შორფოლოგიური გრამატიკული მონაცემი „მობრძანდი!“** ინტონაციის შესაბამისად შეიძლება გამოხატავდეს პატივისცემას, დაცინვას, რისხვას, აღერსს და ადამიანის უამრავ სხვა განწყობილებას.

ინტონაცია, რომელსაც ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის მეტყველებაში (ინტონაცია მხოლოდ მეტყველების ფაქტია და არა ენისა). ერთადერთია და ძირითადი ცხოველების ურთიერთობისას. **Λ**

ამასთან დაკავშირებით დაისმის ერთი საკითხი:

— თუკი მხოლოდ ინტონაციაა ცხოველების ურთიერთობის (ინფორმაციის ვაცვლის) საშუალება და, ამდენად, ცხოველისადმი ადამიანის მიმართვისაც, მაშ რატომ მიმართავენ სხვადასხვა ცხოველს სხვადასხვა მოწოდებით:

ცხვირისათვის: ამუჩი, ვამუჩი... ბრიე-ქსიე...

ძაღლისთვის: აზგამო... გეში... ქსს, ქსს... ეცი... ფს...

ხარებისთვის: ათფრი... მაამო(პ)... მოომ... ფშვიე-ე... ხიი!...

ვირისათვის: აჩი, აცე... თოქში! თოქში!...

ცხენისათვის: ბელა, ბელაპ... აჩუ...

თხისთვის: ბელა, ბელაპ...

ძროხისთვის: დიიიო...

ღორისთვის: ვინწ...

კამეჩისათვის: ოტპუ... ოტტრუ... ხიი... ხიიო...

ქათამებისათვის: რრუ, რუუ, რრუუო...

აი. ამ შემთხვევაში ადამიანს ცხოველებისადმი მიმართვაში გადააქვს თავისი პოზიცია...

ამ სიტყვათა ერთი ნაწილი წარმოშობით სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა (აჩუ! ხი!...). ნაწილიც — ხმაბაძვითი ფორმებია...

ვასარკვევია ისიც. თუ რატომ გამოსცემენ ცხოველები სხვადასხვა ხმებს, განსხვავებულთ არა მხოლოდ ინტონაციით.

ეს იმავე რივის თავისებურებაა. რაც მათი ავებულება. შეფერილობა და მისთან. — გამოძრევი ნიშანი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ სხვადასხვა „ენა“ აქვთ.

§ 51. ადამიანს მეტყველების უნარი თანდაყოლილად აქვს. რა არის საჭირო ამ უნარის ასამოქმედებლად?

**1920 წელს** ინდოელმა ფსიქოლოგმა **რიდ სინგხმა** აღმოაჩინა ორი ვოკონა, რომლებიც მკლის ბუნავში იზრდებოდნენ. მან თან წამოიყვანა ორივე ვოკონა. დაარქვა მათ **კამალა** და **ამლა** და დაიწყო მათი აღზრდა. უფროსი რვა წლისა იყო ამ დროს. უმცროსი — წლინახევრისა. ორივე დაკარგვოდათ მშობლებს და ძუ მგელს გაეზარდა. ვოკონები ოთხფეხებივით დარბოდნენ, ერიდებოდნენ ადამიანებს. კბილებს უღრქენდნენ მათ და ლამლამობით მკლებივით ყმუოდნენ.

უმცროსი, ამლა, მალე ვარდაიცვალა.

უფროსმა, კამალამ, კიდევ ცხრა წელიწადს იცხოვრა, მაგრამ სრულყოფილ ადამიანად მაინც ვერ იქცა. ამ ცხრა წელიწადში მან მხოლოდ **40 სიტყვა ისწავლა** (Y.Pieron, De l'actinie à l'homme, t.II, Paris, 1958, p. 253).

ეს ფაქტი ნათლად მოწმობს იმას, რომ თუ ადამიანი არ ცხოვრობს თავიდანვე ადამიანთა საზოგადოებაში, მეტყველების უნარს იგი სრულყოფილად ვერ გამოიყენებს: არ ემარა მხოლოდ უნარი, აუცილებელია ამ უნარის გამოსავლენად ხელსაყრელი პირობა. ასეთი პირობა — ადამიანთა საზოგადოებაა. თავისთავად ეს ფაქტი ენის წარმოშობის საკითხსაც გაარკვევს — ენის წარმოშობისათვის აუცილებელია საზოგადოება.

**ა.ლეონტიევი:** „...ყოველი მომდევნო თაობის ადამიანები თავის ცხოვრებას იწყებენ იმ საგანთა და მოვლენათა სამყაროში, რომლებიც შექმნილია წინა თაობების მიერ... თვით დანაწევრებული მეტყველების უნარი ყოველი თაობის ადამიანებს უყალიბდებათ მხოლოდ ისტორიულად ფორმირებული ენის შეთვისების პროცესში და მისი ობიექტური თავისებურებების საშუალებით...“ (A.H. Леонтьев. Проблемы развития психики, М., 1981, с. 415).

§ 52. პირველყოფილი ადამიანის მეტყველების თაობაზე ჩვენ შეიძლება წარმოვდგინოთ ვიქონიოთ მისი აზროვნების მიხედვით. აზროვნებაზე კი წარმოვდგინოთ გვაძლევენ ის იარაღები, რომლებსაც იგი იყენებდა და თავად ამზადებდა, ცხოვრების ის პირობები, რომლების აღდგენაც ხერხდება არქეოლოგიური მონაპოვრების საშუალებით.

პირველყოფილი აზროვნება უნდა ყოფილიყო კონკრეტულ-საგნობრივი. ამიტომაც ენაში (მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ენა თავისი პირდაპირი გაგებით) პირველი სიტყვები ხწორედ კონკრეტულ-საგნობრივი უნდა ყოფილიყო.

ყოველი ნადირობისათვის ადამიანი პირველყოფილ სტადიაზე ერთ კონკრეტულ იარაღს იყენებდა. მოგვიანებით იარაღი „გამოეყო“ ცხოველს: ირემზე და მაჟონტზე ერთი და იმავე იარაღით ნადირობდა. ამიტომ იარაღს უკვე შეერქვა განმაზოვადებელი სახელი.

პირველყოფილი აზროვნება პრაქტიკულ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული; ამიტომაც ენაში მოხვდებოდა მხოლოდ იმ საგანთა სახელწოდებანი, რომელიც ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობას განაპირობებდა.

პირველყოფილი სიტყვა შედგებოდა ორი კომპონენტისაგან — ბგერა და ჟესტი (მოქმედება), ეს უკანასკნელი მოგვიანებით უთმობს ადვილს პირველს (მაგრამ მის თანმდევად დღემდე რჩება).

საგანი და მოქმედება არ არის ჭერჭერობით დიფერენცირებული (დიფერენციაცია მოგვიანო, აბსტრაქტული აზროვნების შედეგია). გვაქვს კომპლექსური: მოქმედი + მოქმედება + იარაღი + სამოქმედო საგანი. სახელდების (ფართო გაგებით) ეს პრინციპი ენამ დღემდე შეინარჩუნა:

სა-ხნ-ის-ი — რითაც ხნავენ

სა-ხნ-ავ-ი — რასაც ხნავენ

საგანი სახელდებულია თავისი დანიშნულების მიხედვით (იმ მოქმედების მიხედვით, რომელსაც ამ იარაღით ასრულებენ).

ამ რიგისაა: საკლავი, საქონელი, საჩოხე, სატევარი... მეცხვარე, მშენებელი... და უამრავი სხვა. ასევე: ბარ-ავ-ხ, თოხ-ნი-ხ და ა.შ.

ბარ-ავ-ხ — შერწყმულია საგანი და მოქმედება. კერძოდ, ობიექტი (იარაღი) და პროცესი.

მარჯილი — შეიცავს რგ- ძირს.

დაცილება საგნისა და მოქმედებისა ვციან ხდება...

სქემა:საგანი — მოქმედება → საგანი + მოქმედება

ეს არის უკვე ახალი ეტაპი ადამიანის აზროვნებაში და. იმავ-  
დროულად. ენობრივ შემოქმედებაში.

§ 53. ბიბლიურმა წარმოდგენამ, რომ კაცობრიობა ადამ და  
ეგასგან წარმოიშვა (ე.ი. ერთი წინაპრისაგან). ენათმეცნიერებაშიც  
იჩინა თავი: ენათა ოჯახების ცნება სხვა არაფერია. თუ არა ერთი  
ენიდან რამდენიმე ენის ბილვის შესაძლებლობის დაშვება.

ივარაუდება:

არქეენა → დიალექტები → ენები

ენა მართლაც იშლება დიალექტებად. მაგრამ ამგვარი პროცესი  
ენისთვის განვითარების გვიან ეტაპზეა დამახასიათებელი. მექანიკუ-  
რად მოხდა მისი გადატანა პირველყოფილ პირობებში.

სხვათა შორის. ამ ვარაუდის პარალელურად არსებობს სხვაც.  
რომელიც ჭერჭერობით ნაკლებს: პოპულარობით სარგებლობს.

ამ ვარაუდის მიხედვით. ისტორიულად სრულიად საპირის-  
პირო მდგომარეობა უნდა გვქონოდა: არა ერთი ენა, არამედ,  
პირიქით, მრავალი პირველყოფილი, პრიმიტიული ენა (უგე-  
ლა ტომს — თავისი ენა), რომელთა ურთიერთშერევით, ურ-  
თიერთზეგავლენით, ერთის მიერ მეორის მოსაობით წარმოიქ-  
მნება უფრო მსხვილი ენობრივი დაჯგუფებები, საბოლოოდ კი  
ყალიბდება ენა იმ ვაგებით. როგორადაც ჩვენ გვესმის ამჟამად. ასე  
რომ, არ არსებობს არავითარი პროტოქართველური. პროტოგერმა-  
ნული. პროტოინდოევროპული ენები... (იხ. В.Пизани, Этимология,  
М., 1956, с. 50-55).

§ 54. ყველაფერი მიდის კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ.  
მრავლიდან — ერთისკენ (ერთიანობისკენ). კაცობრიობის მთელი  
ისტორია დასტურია ამისა.

ამ პოზიციიდან უნდა განვიხილოთ ენათა ფონეტიკური და  
გრამატიკული სისტემების ჩამოყალიბებაც. რამეთუ სწორედ ამ  
სისტემებშია მიღწეული უაღრესი აბსტრაქცია.

აქციო გარესამყარო ბეგრებად და ამის საშუალებით შეძლო  
გამოხატო მთელი მრავალფეროვნება — ეს არის თავისთავად უაღ-  
რესად საოცარი ფაქტი. შედეგს უმაღლესი აბსტრაქციისა, მიღწეუ-  
ლი ადამიანის აზროვნების განვითარებით.

რა ვარაუდები შეიძლება გვქონდეს პირველყოფილ ენათა ფო-  
ნმატურ და გრამატიკულ სტრუქტურებზე?

## § 55. პირველყოფილი ფონემატური ხტრუქტურა.

✕ ხმოვანთა სისტემა: ა) მონოვოკალიზმი. ხმოვანი -ა. მაგრამ -ა ვერ იქნებოდა ფონემა, რადგან შესაპირისპირებელი არა აქვს.

ბ) სილაბიზმი: ... (გ): შდრ.: სვან.: ლგგ ე.ი. ხმოვანს ჰქონდა ერთი დანიშნულება — მარცვლის შექმნა თანხმოვანთა წარმოთქმის გასაადვილებლად.

**თანხმოვანთა ხიტემის ხამი ჭგუფი:**

ა) ხშულები: ბ, პ, ფ...

ბ) ხონანტები: ლ, მ, ნ, რ, ვ, ძ...

გ) ხპირანტები: ს, შ, ზ, ჟ...

რომელია მათგან „პირველი“ ენის კუთვნილი?

რომელთა ამოცნობა უფრო ადვილად ხდება?

**ივარაუდება:** მცირე რაოდენობიდან მრავლისკენ: ამოსავალია მონოვოკალიზმი, მრავალხმოვნიაანობა მეორეულია, თანხმოვნებთან ფონეტიკური ურთიერთობის შედეგი.

რა ვითარება გვაქვს თანხმოვნებთან?

აქაც: რამდენიმედან — მრავლისკენ?

არა!

ენათა განვითარება სულ სხვა სურათს გვიმოწმებს: თანხმოვანთა სისტემა მარტივდება.

ამის რამდენიმე ფაქტი, შეიძლება ითქვას, ჩვენს თვალწინ მოხდა: ქართულმა ჯ — ხ დაპირისპირება მოშალა და მივიღეთ მხოლოდ ხ... ამავე რიგისაა ძ-ს მოშლაც, უ — ვ დაპირისპირების ნივლირებაც.

ათხაზურში ლაბიალიზებული თანხმოვნების გამარტივება...

ყველაფერი მრავლის გამარტივებისაკენ, აბსტრაქციებისაკენ მიდის. ეს ბუნებრივიცაა: **ენა ხამყაროში არხებული ბგერების დახვეწისა და აბსტრაქციების შედეგადაა ჩამოყალიბებული (!).**

ამიტომ არც მონოვოკალიზმი ჩანს მისაღები ჰიპოთეზა.

\*\*\*

**„რთული თანხმოვნები“ (ტერმინი პირობითია)**

ა) აფრიკატები

ბ) ლატერალები

გ) ბჰ, დჰ... ტიპის კომპლექსები...

სადიფერენციაციო ნიშნები ამ ტიპის თანხმოვნებში არაა მკვეთრად გამონაწვერებული.

აქ უძველესი ვითარება ჩანს შემონახული...

§ 56. გაცილებით უფრო რთულია უძველესი **მორფოლოგიური სტრუქტურის** წარმოდგენა.

ივარაუდება **ძირების ინკორპორაცია** (ქალ/კალ...).

დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ძირების ცვეთით მიიღება ფორმანტები. ეს პროცესი, მართლაც, შენიშნულია ენაში:

კაც მან → კაც-მა

ორი ოდენ-ი → ორი-ოდე

კაცი არს → კაცი-ა...

უნდა }  
მინდა } გავაკეთო → „უნდა“ აქ მორფემოიდია

აჭარულში, მესხურსა და ჯავახურში გადადის ფორმანტის რანგში:

ნა { გავაკეთო }  
   { გავაკეთო } ნა

(||და||ნდა)

მაგრამ რა ოდენობით და რა სახით იყო წარმოდგენილი იგი უძველეს ენებში?

**შემდეგი ეტაპი:** ივარაუდება მეტყველების ნაწილების ჩამოყალიბება.

**ორი შესაძლებლობა:**

გაქონდა ნეიტრალური ფუძე:	იმთავითვე განირჩეოდა სახელა-
არ განირჩეოდა სახელი და	დი და ზმნური ფუძე. არ
ზმნა. მაგრამ განირჩეოდა სახე-	განირჩეოდა ფორმანტები. იმის
ლადი და ზმნური ფორმანტები.	მიხედვით, თუ ერთი და იგივე
მათი დართვა განარჩევდა სა-	ფორმანტი რას მიერთვოდა,
ხელსა და ზმნას...	სხვადასხვა მნიშვნელობას იღებ-
	და...

თვით ქართულში გვაქვს ორივე ამ შესაძლებლობის რეალიზაცია:

1. **წით-** → წით-ელ-ი — სახელი

წით-ს — ზმნა

**თოვ-** → თოვ-ლ-ი — სახელი

თოვ-ს — ზმნა

**წვეთ-** → წვეთ-ი — სახელი

წვეთ-ს — ზმნა

2. კაც- → -ს  
წერ-

**§ 57. მეორე საკითხი, ზემოთ რომ დავსვით, ასეთია:**

რა დანიშნულება (და გამოყენება) აქვს ენას თანამედროვე საზოგადოებაში, ანუ: რამდენად გამოიხატება ენით საზოგადოებრივი ყოფიერება.

სანამ საკითხს უფრო ღრმად განვიხილავდეთ, მოვიგონოთ ქარგონის წარმოშობისა და ფუნქციონირების პირობები.

§ 58. ქარგონი არსებითად დიალექტია, ოღონდ სოციალური, პროფესიული დიალექტი. გარკვეულად განსხვავებული ე.წ. ტერიტორიული დიალექტებისგან.

**რა არის მიზეზი ქარგონის წარმოქმნისა?**

სწორედ ამ შემთხვევაში ვლინდება საკმაოდ ნათლად ენის მხოფლხედვითი არსი: გარკვეული ინტერესის მქონე ადამიანთა ჯგუფი შესაბამის ენობრივ ინტერპრეტაციას უძებნის სამყაროსეულ მოვლენებს. ძირითადად ეს ლექსიკურ ნაირსახეობათა გამოყენებას ვარაუდობს. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, სტიქიურად წარმოიქმნება. იმავდროულად წარმოქმნილი ქარგონი ადამიანთა ჯგუფის სხვა ჯგუფთაგან გამომცალკეებელი ხდება. ეს ქმნის ერთგვარი „პრიორიტეტის“ გრძობას. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ასაკობრივი ქარგონის წარმოქმნაც. ესაა, ასე ვთქვათ, თვითდამკვიდრების, საზოგადოებაში საკუთარი პოზიციის მოპოვების სურვილი.

**შენიშვნა:** „ქარგონი“ თავდაპირველად ქურდებისა და წვრილი მეწარმეების მეტყველებას ეწოდებოდა. ამგვარი ქარგონის დანიშნულება, რა თქმა უნდა, სხვაა: ესაა ერთგვარი „კრიპტოგრამა“ — სხვისთვის გაუგებარი უნდა იყოს... შემდეგ — ანალოგიით. — ქარგონი სოციალურ და პროფესიულ დიალექტებსაც უწოდეს. რა თქმა უნდა, ასეთი ათვალწუნება არაფრით არ არის გამართლებული...

სოციალური დიალექტი (resp. პროფესიული და სხვა დიალექტები, ოღონდ არა ტერიტორიული) ენობრივი ეგილის ქვეშ აერ-

თიანებს ერთიანი ინტერესების მქონე ადამიანებს. მეტყველების სპეციფიკა ერთგვარი ენობრივი იარაღი (ეთიკეტი) ხდება მათთვის.

**ამრიგად, სოციალური (პროფესიული) დიალექტის წარმოქმნა და ფუნქციონირება სხვადასხვა ხაფუძვლის მქონეა:**

**წარმოქმნა** ემყარება განსხვავებულ მსოფლხედვას, აზროვნების განსხვავებულ ტიპს.

**ფუნქციონირება** — საზოგადოების სხვა ჯგუფებისაგან ყველა ნიშნის (მათ შორის — ენობრივი) მიხედვით განსხვავების შენარჩუნებას.

თვით სოციალური (პროფესიული...) დიალექტის ტიპი შეპირობებულია ადამიანთა ჯგუფის განათლებისა და კულტურის დონით — რა მიიჩნევა ამა თუ იმ ფაქტის გამოხატვის ადეკვატურ ენობრივ ფორმად, მოვლენის გამოხატვის როგორი პრინციპია გამოყენებული; ანუ: რას ექცევა ყურადღება:

- ა) ზოგადი ნიშნის წარმოჩენა
- I ბ) დეტალიზაცია;
  - ა) გარეგანი ნიშანი
- II ბ) შინაგანი თვისება (ნიშანი);
  - ა) ვულგარიზაცია (უწმაწური შეფასება)
- III ბ) ესთეტიზმი;
  - ა) იუმორული
  - ბ) ირონიული
- IV გ) დრამატული (დრამატიზაცია)
  - დ) ნეიტრალური;
  - ა) მაქსიმალური ობიექტივიზაციის ცდა
- V ბ) ხაზგასმული ჰიპერბოლიზაცია...

რასაკვირველია, ეს ნაირსახეობანი თვით ცალკეული ადამიანის მახასიათებელიც შეიძლება იყოს, თითოეული ჯგუფის სხვადასხვა წევრს სხვადასხვა ოდენობით ახასიათებდეს და ა.შ. მაგრამ ამჯერად ზოგად ტენდენციას ვამახვილებთ ყურადღებას: შემოქმედი ყველა წევრი ვერ იქნება, მაგრამ რას მიიღებს, რას გაიზიარებს ყველა წევრი, რა აღმოჩნდება მისი თვალთახედვისათვის სამყაროსეული მოვლენების ასასახავად ენობრივად ადეკვატური? ამგვარი მიდგომა უთუოდ წარმოაჩენს სოციალური დიალექტის ტიპს. **ეს მოგვცემს ამ სოციალური ჯგუფის ზოგად სოციოლოგიურ მახასიათებელსაც.**



§ 59. არსებობს ასეთი მოარული გამოთქმა: „**სტილი — ეს თვითონ ადამიანია**“.

ქეშმარიტებაა **სტილი არსებითად არის ინდივიდუალური მსოფლხედვა, გამოხატული შეხებაში ფორმით** —

ამჟამად ჩვენ ეს საკითხი ერთი სპეციფიკური კუთხით გვაინტერესებს. საქმე ისაა, რომ მეტყველების სტილის პრობლემა არა მხოლოდ მხატვრული ან სამეცნიერო ნაწარმოებების მიმართ დაისმის, არამედ იგი ადამიანთა ყოველდღიური, ყოფითი ურთიერთობის დროსაც იჩენს თავს.

მართლაც, სულ უბრალო დაკვირვებაა საჭირო და ნათლად წარმოჩნდება: თითოეულ ადამიანს ჩვენ არა მხოლოდ მისი გარეგნული იერითა და ქცევით გამოვარჩევთ სხვებისაგან, არამედ მისი მეტყველების მანერითაც, რაც ამასთან დაკავშირებულ ყველა მომენტს მოიცავს: ხმის ტემბრს, კილოს, ლექსიკას, მეტყველების ტემპს, აზრის გამოთქმის თავისებურებებს.

შეგვიმჩნევია ალბათ: ამა თუ იმ ადამიანის დახასიათებისას მეტყველების მისეულ მანერასაც მოიშველიებენ ხოლმე: „**მასწავლებელივით უყვარს ლაპარაკი**“, „**პროკურორის ტონი აქვს**“, „**ბაზრის დედაკაცივით ყვირის**“ და მისთ.

**სულიერი დამცრობა ენის დაკნინებასაც იწვევს**, გახუნებული და უსახური გამონათქვამების მომრავლებას, რადგან **აზრის გადაგვარება უწინარეს ყოვლისა მეტყველებაში იჩენს თავს**.

ენის აღზევებისა და დაცემის ნიმუშები ქართული ერის ისტორიაში ძნელად საძებარი არაა: ისტორიულმა ქართველებმა თავისი კვალი დაამჩნია ქართულ ენასაც — მაღალზნობრივი იდეალების ეპოქა ახალი მზეოსნობით მუხტავდა ქართულ სიტყვას, სულიერ გაღატაკებას კი ლამის სისხლსავსე ძარღვის დაშრეტამდე მიუყვანია ენა: დარბაისლური მეტყველება უბადრუკი ჟარგონით შეცვლილა, დედაენით სიამაყეს სხვათა ენის ჩიქორთული ცოდნით თავმომწონეობისათვის დაუთმია ადგილი. ამიტომაც გამხდარა საჭირო თავდადებული ღვაწლი ერისკაცებისა, რომ დედაენას დაებრუნებინა თავისი მიმქრალი შარავანდი, მინავლებული ბრწყინვალეობა, ცხოველმოქმედი სინედლე და საზოგადოებისათვის ქეშმარიტად ჭამულიშვილური სულისკვეთებით მასაზრდოებელი გამხდარიყო.

§ 60. ნიშანდობლივია, რომ **ილია ჭავჭავაძე** ერის სულიერი დაკნინების ერთ-ერთ გამოვლინებად სწორედ ენის წახდენას მიიჩ-

ნევლა: „ჩვენ ყოველსფერში გავთავთავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავთავეთ და სიტყვაც, რომელიც მართო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავთავდა. ამიტომაც ჩვენი ენა კილოიანი გახდა, იგავიანი. ორპირი შეიქმნა ისე, რომ ერთ და იმავე სიტყვას მრავალგვარი აზრი მიეცა. აბა, რა გითხრა იმისთანა, რომ შენ კილო არ გამოაბა? „მიირთვიც“ რომ გითხრა, ამ კარგს დაბადისლურს სიტყვას, თუ მოინდომებ, ცუდად ჩამომართმევ, თუ ნამეტნავად ზოგიერთა კაცის გულის გარყვნილებაში შენც წველილი ჩაგიდვია. „შემობრძანდი“ რომ მითხრა, ხომ კაი სიტყვაა, ეგ ჩემზედ ჰკილია, საწყენად მივილო თუ სალხენად. აი, აქ „ჰკილია“ ვიხმარე და შენც ათასჯერ ხმარობ, მაგრამ ვშიშობ, რომ მაგ სიტყვას ერთმა ბრიყვმა ვინმემ თავისის წამხდარისა და გარყვნილის გონების აზრი არ მიაწეროს“.

ამის საფუძველზე ილიას სავსებით მართებული დასკვნა გამოაქვს: „გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოვათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირი სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენას? ჩვენ თითონ დავცალიერდით გულდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებილა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს“.

ამ დებულების საფუძველი უდავო ჰეშმარიტებაა: **„მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო — გონებითი ცხოვრება“**.

რა ღონისაც არის საზოგადოება, ისეთივეა მისი მეტყველების სტილიც. „სხვა რით არის ადამიანი სხვა ცხოველებზედ წინ წამომდგარი, თუ არ ამ ზნეობითის კანონით, რომ მეც კაცი ვარ, შენც კაცი ხარ, ერთმანეთის პატივისცემა გვმართებსო?“ — სვამს კითხვას ილია და ასეთს სამოძღვრო პასუხს იძლევა: „ჰეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში, გულახდილად ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას. ისე უთხრას, რომ არ შეუღინოს, არ შეურაცხყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავისთავს კაცად სცნობს და აღიარებს“.

§ 61. ყველა ცივილიზებულ საზოგადოებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამეტყველო ეთიკეტს, რადგან იგი არა მხოლოდ ამ საზოგადოების წევრთა ურთიერთობის ფორმაა, არამედ მომავალი თაობის სულიერი ზრდის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორ-

რიც. ურთიერთობის ფორმა ურთიერთობის არხს გამოხატავს და მოზარდი, უწინარეს ყოვლისა, ამ ფორმის საშუალებით გაიცნობიერებს საზოგადოებაში მოქცევის ეთიკეტს. X

სულიერი სიფაქიზე სხვებისადმი დამოკიდებულებით ვლინდება.

§ 62. ღრავლისმთქმელია ამ მხრივ ერთი მონაკვეთი გალაკტიონ ტაბიძის წერილიდან მეუღლისადმი (წერილი ოცდაათიან წლებს განეკუთვნება): „აქ მე მივიღე დაზღვეული წერილი, რემინგტონზე ნაბეჭდი. წერილი ანონიმურია და სავსეა პირადად ჩემთვის შეურაცხმყოფელი სიტყვებით: უსინდისო და სხვა... რა საპიროა ანონიმური ავტორისთვის ყოველივე ეს? აქ მან ნილაბი აიხადა და ჩემს თვალწინ სდგას მისი „ჯენტლმენური“ ფიზიონომია. მან ალბათ არ იცის, რომ ასეთი სულ უკანასკნელი სიტყვების თაიგულით იგი დგას თავისი ნამდვილი, რეალური სახით, თავისი ინტიმური ცხოვრებით და სხვადასხვა. განა შეიძლება ასეთი ურიგო და უწესო სიტყვების თქმა? ამ დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვებით იგი თავისდაუნებურად იძლევა ერთნაირ თვითდაზნასიათებას, სწორედ თავის „ფოტოგრაფიულ სურათს“. ჩემს წინ დგას მართლაც უზრდელი, თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე, ყოყლოჩინა, ძლივს ძლივას რამდენიმე კულტურული სიტყვის მცოდნე, პატარა, ძლიერ განსაზღვრული ჰქუის მქონე კაცუნა. მან სულ რამდენიმე სიტყვაში თქვა თავისი თავი. იგი ამბობდა ჩემს შესახებ და უფრო მეტად თავის ისტორია გამოააშკარავა და ეს ყველაფერი მან თქვა ერთ წერილში... თუ შენ იცნობ მას, გადაეცი, რომ გინება არ შეიძლება, რომ ზრდილობის გარეშე წარმოუდგენელია წერილობითი ურთიერთობაც კი. ასეთი წერილები შეგაძულებს ადამიანს...”

გალაკტიონმა იცოდა სიტყვის ფასი. ამ არცთუ ისე ვრცელ მონაკვეთში ყოველგვარი მეცნიერული დეფინიციების გარეშე ზედმიწევნითი სიზუსტით არის გაცხადებული სიტყვის საოცარი უნარი: მას შეუძლია წარმოაჩინოს ადამიანის შინაგანი ბუნება. მივაქციოთ ყურადღება — როგორ არის ამოცნობილი ანონიმის პიროვნული თვისებები: „ამ დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვებით იგი თავისდაუნებურად იძლევა ერთნაირ თვითდაზნასიათებას“, ან: „იგი ამბობდა ჩემს შესახებ და უფრო მეტად თავის ისტორია გამოააშკარავა“. X

§ 63. ერთი შეხედვით პარადოქსულია, მაგრამ იმავდროულად სავსებით მართებულიც: **ქიმის კვალობაზე, თუ როგორ და რა**

ფორმით ვაფახებთ სხვას, ჩვენ უნებურად წარმოვჩინებთ საკუთარ თავსვე.

სწორედ ამ თვისების გამო, ხოციოლინგვისტური თვალსაზრისით, მეტყველებას განსაზღვრავენ როგორც საზოგადოებრივი ქცევის ერთ-ერთ ფორმას.

მეტყველების ეს უნარი — იყოს უტყუარი პიროვნული მახასიათებელი — ფართოდ არის გამოყენებული მხატვრულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით ხელხვედრიანად ეს შესაძლებლობა დაჩნდება პროზაში. საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ რამდენიმე ნიმუში ქართული სიტყვაკაზმული მწერლობიდან.

\*\*\*

✕ პირველსავე ქართულ მხატვრულ თხზულებაში („წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“) დიდოსტატურად არის მომარჯვებული პერსონაჟთა მეტყველება არა მხოლოდ მათივე შინაგანი ბუნების წარმოსაჩენად, არამედ ამა თუ იმ პირის ხასიათის ევოლუციის საჩვენებლადაც.

დავაკვირდეთ ვარსკენ პიტიახშისა და შუშანიკის მეტყველებას, წარმოსახულს ამ თხზულებაში.

§ 64. ვარსკენისათვის უცხო არ არის ერთგვარი დიპლომატიური ფანდი სხვათა გულის მოსაგებად. როცა მან თავის საქციელზე შუშანიკის რეაქცია შეიტყო, მეორე დღეს მოიწვია მღვდელმსახურები, ხალისიანად შეეგება მათ და უთხრა: „აწ ნუ რას მერიდებით მე და ნუცალა გძაგ“. ქვეყნის მმართველისაგან ამგვარი ქედმოდრეკილი მიმართვის მიზანი ნათელია — მოწინააღმდეგეების გადმობირების ცდაა, მაგრამ საკმარისია ოდნავი შეწინააღმდეგება („წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენ“, — მიუგეს მღვდელმსახურებმა პასუხად), რომ ვარსკენი თვით გადადის მეტევაზე, თავისი საქციელის განსჯის თავიდან ასარიდებლად სიტყვაბანზე აუგდო მოწვეულებს და დედოფლის უკადრის საქციელზე გადაიტანა ყურადღება: „რამსა ჯელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ? აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ: შენ ჩემი ხატი დაამხუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსრულ ხარ“. როგორც ვხედავთ, გაღმა შედავების გზას დაადგა ვარსკენი. რაც მეტია წინააღმდეგობა, მით უფრო თავშეუქავებლად ვლინდება პიტიახშის ამპარტავნობა და პატივმოყვარეობა. იგი აღარც ღვთის გამობას ერიდება

(„იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად“) და, მით უმეტეს, აღარც დედოფალყოფილისადმი თავის დამოკიდებულებას მალავს. მართალია, ერთხელ თითქოს სიბრალულით მოიკითხა კიდეც იგი („წყლულებასა მისგან ვითარ არს?“) და გვემული შუშანიკის ნახვისას გაკვირვებაც ვერ დამალა, მაგრამ შეურაცხყოფილი მამაკაცის რისხვამ იძალა და მსახურს უბრძანა: „ნუშეცა ვინ შევადის ხილვად მისა“. ამ სიტყვებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს. რა თქმა უნდა, არც შუშანიკის ბედისადმი გულგრილობა გამოირიცხება (მით უფრო, რომ ამას მოსდევს ავტორისეული რეპარკა: „და თვთ ნადირობად წარვიდა“), მაგრამ ესეც საფიქრებელია: ვარსკენს არ სურდა, ვინმეს ენახა გვემული დედოფალყოფილი, რომ პიტიახშის კარზე დატრიალებული ტრაგედია ქვეყნის სალაპარაკო არ გამხდარიყო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვარსკენი მაინც პოლიტიკოსის თვალთ აფასებს ყველაფერს. მაგრამ მაშინ, როცა მიხვდა, რომ შუშანიკის ნებისყოფას ვერ გატეხდა, გულზეიად პიტიახშს აღარც უცდია რისხვის მოთოკვა. ჯერ არის და, კისერზე ჯაჭვდადებულ შუშანიკს სიტყვებზე: „მე ამას მზიარულ ვარ, რადთა აქა ვიტანჯო და მუნ განვისვენო“, აშკარა ირონიით მიუგებს: „ჰე, ჰე, განისუენე!“ შემდეგ თითქოს კიდეც ერთხელ დაინტერესდება მისი ბედით („აქამომდე ცოცხალა არსა საწყალობელი იგი?“) და, როცა გაიგებს, რომ შუშანიკი შიმშილობის გამო „სიკუდილად კერძო უფრო საგონებელ არს, ვიდრე სიცოცხლის“. ისევ გულგრილობის ნიღაბს აიფარებს: „ნურარაჲ გგლიან, უტე, მოკუდეს“. ამ გულგრილობის მიღმა კი ძლივს იფარება განდგომილი ცოლყოფილისადმი მამაკაცური ჯიბრი და ზნეობრივად დამარცხებული პოლიტიკოსის მძვინვარება.

§ 65. ზედმიწევნითი სიზუსტით არის გადმოცემული **შუშანიკის** ხასიათის ევოლუციაც. თავდაპირველად მასში უფრო ქმარნაღალატევი ქალისა და უფლებბაყრილი დედოფლის ქედმაღლობა იგრძნობა: „უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა, — მიმართავს ავი წინათგრძნობით აფორიაქებული შუშანიკი ვარსკენის მალემსრბოლს, — უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაჲ ეგე შენი შენდავე მოიქეცინ“. როცა ქრისტეს სჯულისაგან ვარსკენის განდგომაში დარწმუნდება (ეს კი მისთვის, სხვათა გარდა, იმის მაუწყებელიც იყო რომ დედოფლობაში მოცილე გაუჩნდებოდა ვარსკენის მეორე ცოლის სახით), ისტერიკა შეიპყრობს („დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ

სცემდა". — გვამცნობს ავტორი). მაგრამ ამასთანავე, ქალური პატივმოყვარეობის შელახვით გამოწვეული მძინვარების შეფარვასაც ცდილობს სულიერი ზეობის არდამთმობი ღვთისმოსავის სიტყვებით: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსკენ, რამეთუ უვარ-ყო ქეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღმერთთა". თანდათანობით მასში მართლაც მოქარბდება ქეშმარიტი ღვთისმოსავობა, მაგრამ ზოგჯერ მაინც იფეთქებს ამპარტავნული რისხვა. გავიხსენოთ, როგორ შეაღწა მან ღვინიანი ჭიქა თავის რძალს, ჯოჯიკის ცოლს, სიტყვებით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ექამა პური?!" მაგრამ ეს მხოლოდ საბაბია. მიზეზი სხვაა: ამით მან კიდევ ერთხელ სცადა ეჩვენებინა ვარსკენისადმი თავისი დამოკიდებულება, რადგან ვარსკენის თანდასწრებით მისივე ძმისა და რძლის შეურაცხყოფა პიტიახშისათვის სილის გაწვნას ნიშნავდა. ვარსკენიც მიუხვდა განზრახულს, ამიტომაც არ დაინდო საგვემად. თხზულებაში ისიც ილანდება, რომ შუშანიკისთვის ერთგვარად არც თავისი ყოფით თავმომწონეობაა უცხო: „ჩემდა მარტომსა არიან ჭირნი ესე" — შესჩივის იგი იაკობს, რომელიც ანუგეშებს მას: „ჭირი შენი ჭირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს". შუშანიკი თანალმობას ეძებს და იაკობიც გრძნობს ამას. მაგრამ გადის დრო და ქედმაღალი დედოფალი ქეშმარიტი ღმერთისთვის უანგაროდ წამებულს უთმობს ადგილს, ისტერიული აღტყინება სულიერი აღზევებით იცვლება, თავის გამოჩენის სურვილს თავდადება ენაცვლება: მის თავდაპირველ ამაყ განაცხადს: („ხუცეს, და მეცა დიდსა ღუაწლსა განმზადებულ ვარ") ღვთის სიდიადეს სულით ნაზიარები ერთგული მხევალის სიტყვები ცვლის: „ნუ სტირთ, ძმანო ჩემო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიცხენეთ". ახლა მისთვის სულიერი ზეობაა მთავარი, ქალური ვნებათაღელვაც დათრგუნა („განვისაჯნეთ მე და ვარსკენ პიტიახში მუნ, სადა—იგი არა არს თუალლებამ, წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთამსა და მეუფისა მის მეუფეთამსა") და დედოფლური ამპარტავნობაც („მე რად ვარ, არა ღირსი ესე?.. მე რად-მე რად შემძლებელ ვარ, არამედ ყოვლადსავსებან ქრისტემან აღგავსენინ თქვენ ყოვლითა კეთილითა, რომელნი ესე ჩემთვის მოშუერთით და ეზიარენით ვნებათა ამათ ჩემთა და ჭირთა და ტანჯვათა").

§ 66. ამჟამად უფრო დეტალურ განსჯაში არ შევდივართ, ჩვენ მხოლოდ იმის ჩვენება გვინდოდა, როგორ რელიეფურად წარმოგვი-

ჩენს ამ თხზულების პერსონაჟთა სულიერ სამყაროს უმცირეს გა-  
ელვებასაც კი მათივე ნათქვამი სიტყვა.

ცნობილია, რომ ამ ხასიათის თხზულებანი სავსებით განსა-  
ზღვრული ტენდენციით იწერებოდა. ესაა წმინდანად შერაცხული  
პიროვნების ყოველმხრივი განდიდება. საქმე ისაა, თუ რომელი ავ-  
ტორი, თავისი შემოქმედებითი უნარის კვალობაზე, როგორც ახერ-  
ხებს ამას. თუ მწერალს ღვთით მომადლებული ნიჭი აქვს, იგი  
უსისხლხორცო ფრესკებს კი არ ქმნის, არამედ თვით ხორციელ  
ვნებებს აყოლილ ადამიანშიც პოულობს სულიერი ზეობის მაუწყე-  
ბელ პიროვნულ თვისებებს. ეს გაცილებით უფრო შთამბეჭდავია,  
ვინემ დეკლარაციული ლაღადისი. „შუშანიკის წამების“ ავტორს ნი-  
ჭი ჭეშმარიტი შემოქმედისა არ აკლდა, ამიტომაც მან, ნებისთ თუ  
უნებლიეთ, გაცნობიერებულად თუ ქვეცნობიერად, წარმოგვისახა  
არა ხორციელ სამოსში გახვეული სქემები, არამედ ცოცხალ პიროვ-  
ნებათა მთელი გაღერა. მის შემოქმედებას არსებითად ის პრინცი-  
პი უდევს საფუძვლად, რომელიც გაცილებით უფრო გვიან განსა-  
ზღვრავდა რენესანსის ეპოქის ხელოვნებას.

**იაკობ ცურტაველს** უნარი შესწევს, ორიოდ რეპლიკითაც კი  
სრულყოფილად წარმოგვიჩინოს პერსონაჟი.

§ 67. ჭანა შეიძლება მკითხველს დაავიწყდეს თუნდაც უსახე-  
ლო „**კაცი ერთი სპარსი**“, კაცი პირფერი, გაიძვერა, რომელიც  
ჩრდილში ყოფნას რჩეობს, მაგრამ, ამასთანავე, ყველაფერი იცის,  
— ისიც კი, ვის როგორ ასიამოვნოს, ვის რა უთხრას. ორად ორი  
რეპლიკითაა იგი ნაწარმოებში წარმოდგენილი, მაგრამ მის ორ  
ნათქვამს შორის ისეთი კონტრასტია, რომ ორპირი კაცი ხორცშეს-  
ხმულად წარმოგვესახება. „შუშანიკს იგი ცბიერად თანაუგრძნობს:  
„ესევეთარი“ სახლი მშუიღობისაჲ ვითარ საწყალობელ იქმნა და სი-  
ხარული მწუხარებად გარდაიქცა!“ შემდეგ კი ასევე ცბიერად ამშვი-  
დებს ვარსკენს, თუმცა, როგორც მსტოვარს ეგების, საჭირო ცნო-  
ბასაც აწვდის: „მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ არს  
შენგან. და მე გეტყუი შენ: ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა ეტყუი  
მას, რამეთუ ღედათა ბუნებაჲ იწრო არს“. ეუბნება და გონიერუ-  
ლად მოქცევასაც ურჩევს, კაცურ ვალს მოიხდის ამით, თუმცა, რო-  
გორც ჩანს, ისიც კარგად უწყის, რომ ზვიადი პიტიახში უკვე აღაგ-  
ზნო შურისძიებად, რითაც გულისგულში ნალოლიავეები სურვილიც  
აისრულა. ასეთი პიროვნებანი ყოველთვის სხვისი ხელით ცდილო-  
ბენ სხვათა დათრგუნვას... X

§ 68. განა ასევე ხორციელად არ არის დახატული ჭოჯიძე, ბუნებით კეთილი, მაგრამ შინაგანად მერყევი, თითქოს გაორებულიც. შუშანიკს თანაუგრძობს, მაგრამ თავისი ქედმაღალი ძმის რისხვისაც ერიდება. „დად ჩუენი ხარ შენ, ნუ წარსწყმედ სახლსა ამას სადღედოფლოსა“, — სთხოვდა იგი შუშანიკს. შემდეგ კი, როცა დედოფალყოფილმა თავისი სიმტკიცით მოინადირა მისი გული, ასე მიმართა მას: „მაკურთხე მე და ცოლი ჩემი, მკვევლი შენი, და შვილნი ჩემნი და მონა-მკვევალნი ჩემნი და, თუ რაიმე შეგცოდეთ, ვითარცა კაცთა საწუთრომსათა და სოფლის მოყურაეთა, მოგუი-ტევენ და ნუ მოიჯსენებ მედგრობათა ჩემთა“. საკმარისია თუნდაც ამ ორი გამონათქვამის გათვალისწინება, რომ ნათლად წარმოგვიჩინდეს ის სულიერი ევოლუცია, რომელიც ამ თხზულების ერთ-ერთ ფრიად საინტერესო პერსონაჟს განუცდია და ამით ხორცშესხმულად წარმოვიდგინოთ თვით პიროვნებაც.

ასე რომ, ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე მხატვრულ თხზულებაში უაღრესი ხელოვნებით არის გამოყენებული პერსონაჟთა ძერწვის ის საშუალება, რომელმაც შემდგომ ფრიად ფართო გავრცელება პოვა: პერსონაჟის დახასიათება მისივე მეტყველებით. ის, რაც ახლა ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება, იმ პერიოდისათვის აღმოჩენა იყო: **შეიცნო კაცის სული იმით, თუ რას და როგორ ამბობს იგი.**

§ 69. ის, რაც თავდაპირველად ინტუიციური მიგნება იყო უთუოდ, შემდგომ სავსებით გააზრებულად იქნა გამოყენებული: ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ **გიორგი ხუცეს-მონაზონი**, აღმწერი იოვანესი და ეფთჳიმეს ცხოვრებისა, საჭიროდ მიიჩნევს საგანგებოდ აღნიშნოს: „ხოლო ხუცესი იგი (იგულისხმება გაბრიელ ხუცესი) ესევეთარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსოფლიოდ სიტყუად არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთოდ და სულიერნი“.

§ 70. ანალოგიური დახასიათება ეძლევა **გიორგი მერჩულის** თხზულებაში გრიგოლ ხანძთელს: „[გრიგოლმა] სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთად ისწავა კეთილად და, რომელი პოვის სიტყუად კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჭერკული განავდის... სიტყუად მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისადთა. რაჟამს იტყუინ, ბრძნად ალაღის პირი თუისი და წესი განუჩინის ენასა თუისსა“.

ამგვარმა გააზრებამ, სხვათა შორის, უკურეაქციაც გამოიწვია. წმინდანად შერაცხულო პირთა იხოვრების აღმწერი ნებისთ თუ



უნებლიეთ ერიდებოდა „მსოფლიური სიტყვით“ აემეტყველებინა ისინი, ვისგანაც მხოლოდ ღვთის ნების გაცხადებას მოელოდნენ.

მიუხედავად ამისა, ამ ხასიათის თხზულებებშიც არაიშვიათია დიალოგები, რომლებიც საცნაურყოფენ პერსონაჟთა ღრმად ადამიანურ ვნებათაღელვას.

აი, რნიმუშად აშოტ კურაპალატისა და ფებრონიას დიალოგი (ეს არის ეპიზოდი, სადაც აღწერილია, თუ როგორ ცდილობს აშოტი, თავისი სატრფო დაიბრუნოს):

„ — უწყი-მეა, დედაო, რაძსათუის მოველ აწ?

— უფალმან იცის, რაძსათუის ჰბრძანე აქა.

— ამის მიზეზისათუის იქმნა მოსლვაჲ ჩემი, რამეთუ სახლისა ჩუენისა მეჭურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი კელთა მისთა იყო და მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩუენთაგანი. აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგუითუალოს და კუალად თქუენადვე მოვიდეს, ვითარცა უნდეს.

— მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უმჯულოებასა“.

ჩვენ განგებ გამოვტოვეთ ავტორისეული ძუნწი რემარკები: „მაშინ იწყო სიტყუად (კურაპალატმან)“, „ხოლო მან ჰრქუა“, „ხოლო ფებრონია ჰრქუა მას მკუეთრ“. ამის გარეშეც ნათელია ყველაფერი, ეს რემარკები ერთგვარი სამკაულებია მხოლოდ.

თვით დიალოგია საცნაური ხატოვანებით წარმოდგენილი. მით უფრო საოცარია იგი იმ პერიოდისათვის, როცა დაიწერა: ათასზე მეტი წელი გვაშორებს ამ თხზულების შექმნის თარიღს და მაინც სავსებით თანამედროვედ აღიქმება იგი; აქ, ამ დიალოგში, ნაგულისხმევით უფრო მეტია ნათქვამი, ვინემ სიტყვებით.

თხზულების ტექსტის მიხედვით, საიდუმლოს აღარ წარმოადგენს არც მეორეს დედათა მონასტერში აშოტ კურაპალატის მოსვლის მიზანი, არც ის, რომ ფებრონია ყველაფერს ზედება; აშკარაა ისიც, რომ აშოტი მოსვლის მიზეზად სულ სხვა რამეს ასახელებს, ხოლო ფებრონია აგრძნობინებს, რომ სრულიად ამაოა სიყვარულის უნით ატაცებული კურაპალატის ყველა ცდა.

და აი, ეს ყველაფერი სტრიქონებს შუა იკითხება ამ მაღალმხატვრული ოსტატობით აგებულ დიალოგში. ✕

ან რაოდენ ბუნებრივია სასოწარმეული მიჯნური მეფის გულიდან აღმონახლომი მაშინ, როცა მიხვდა, რომ საყვარელი ადამიანისაკენ ყველა გზა გადაიკეტა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცო-

ცხალ არს!" ამას ამბობს უკვე არა ძლიევამოსილი მეფე, არამედ სულის სიღრმემდე შეძრული ადამიანი. ქვეყნის მეუფის სამოსელს რომ შეჰფარებია. მისმა ნათქვამმა, მისსავე აზრსა და გრძნობას რომ შეასხა ხორცი, გაგვიცხადა ეს ყოველივე.

\*\*\*

„ვეფხისტყაოსანში“ უხვად არის გაბნეული როგორც მონოლოგები, ასევე დიალოგები. ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს პერსონაჟთა ხასიათის გამოსახვასთან მათივე მეტყველების საშუალებით. ამის საილუსტრაციო ნიმუში იმდენია, რომ მათ სათანადო ანალიზს ვრცელი მონოგრაფიული ჩარჩოებიც ვერ დაიტევდა. ამჯერად მცირედს დავჯერდეთ.

§ 71. ქვეშარიტი რაინდული შემართება, სიბრძნე და უანგარო თანადგომა — აი, ის თვისებები, რომლებიც განსაკუთრებულად გამოარჩევენ ავთანდილს როგორც პიროვნებას.

ავთანდილის ცხოვრებისეული დევიზია:

„არ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა;  
ვეგობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა!“

მისი ყოველი მოქმედება, ყოველი სიტყვა არსებითად ამ დევიზის განხორციელებას წარმოადგენს.

მან კარგად იცის:

„რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,  
მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯაშისა შემტყვებარი,  
მას უამბოს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი:  
სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“.

სწორედ ასეთ „მკურნალად“ მოეგონა ავთანდილი ტარიელს და თავისი თავდადებით დაამტკიცა, თუ როგორ შეიძლება იხსნას ქვეშარიტმა მეგობრობამ საწუთროსაგან განწირული ადამიანი:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,  
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული — გზად და ხიდად“.

ეს პრინციპი უდევს საფუძვლად რუსთაველის მსოფლხედვას, რომლის მალალპოეტური გამოხატვა ავთანდილის ნააზრევითა და ნამოქმედართ ხდება.

ავთანდილი მზადაა დათმოს ყოველივე პირადული და თავი მსხვერპლად შესწიროს მეგობრის კეთილდღეობას. იგი სიამაყით აცხადებს: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოგვრეფ კიტრად, ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“.

ავთანდილის უნარი მოყვრისათვის თავგანწირვისა მხოლოდ ტარიელისადმი მისი დამოკიდებულებით არ ვლინდება. განა საოცარი მოკრძალება და თაყვანისცემა არ უდევს საფუძვლად ავთანდილის ურთიერთობას როსტევეანთან, რის გამოც იგი მზადაა თავისი აღმზრდელისა და პატრონის ყოველი სურვილი აღასრულოს!

განა თავისი მიჯნურის, თინათინის, დავალებით არ იწყებს იგი უცხო მოყმის ძებნას!

შეუმსუბუქოს სხვას ჳმუნვა, განუქარვოს სევდა — აი, ეს ხდება ავთანდილის მოქმედების სტიმული. უკვე ამით ვლინდება მისი მაღალზნეობრივი ბუნება და შინაგანი სიძლიერე. ✕

ნიშანდობლივია ისიც, რომ მაშინ, როცა ავთანდილი არჩევანის წინაშე დგას, იგი უყოყმანოდ ირჩევს მოყვრისათვის თავდადებას და არ ეპუება თვით მისთვის სათაყვანებელი პიროვნების ნებას:

„ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა განზრახულსა,

კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა” —

ანდერძად უტოვებს იგი ამ სიტყვებს როსტევეანს.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტიც, რომ ავთანდილი საოცარი ტაქტითა და კეთილშობილებით ექცევა თავის ქვეშევრდომებს. ამის ნიმუშია მისი და შერმადინის ურთიერთობა. გავიხსენოთ, როგორ არიგებს იგი განშორებისას თავის ერთგულ მსახურს:

„სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა,

პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა,

მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ-მოწყენა,

გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველად რბენა”.

§ 72. ✕ უნდა ითქვას, რომ მაღალზნეობრივ იდეალებს რუსთაველი მშრალი სენტენციებისა თუ შეგონებების სახით კი არ გვაწვდის, არამედ უბადლო პოეტური ხატოვანებით ასხამს ხორცს. იგი იძლევა არა უფერულ სქემებს, არამედ ქმნის ხორციელ ადამიანს. თავისი სიხარულითა და ტკივილით, სულიერი მისწრაფებებითა და მიწიერი ცდომილებებით. ✕

აი, ერთი სწორუპოვარი ნიმუში იმისა, თუ როგორ გადმოსცემს რუსთაველი ავთანდილის სულიერ განწყობილებებს, როგორ ღრმად სწვდება საყვარელ არსებაზე მეოცნებე ადამიანის ნაფიქრ-ნააზრევს, როგორი მაღალი ოსტატობით გადმოსცემს ავთანდილის მიერ შინაგანი მერყეობის დათრგუნვას, როცა იგი კვლავ მეოხად ევლინება ტარიელს.

ავთანდილი გაემართა ტარიელთან „მეორედ შეყრად“. გზად ნაღველი დარევს ხელს, არ ეთმობა თინათინი, „წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის მისთვის მზისავე მზობასა“, ხორციელისათვის სრულიად ბუნებრივი სიძაბუნეც ეუფლება ზოგჯერ, თითქოს ნანობს კიდევაც, ტარიელის გამო მიჯნურთან სიახლოვე რომ დათმო, „ბროლბადაწმისა მძებნელმან სათნი დაკვარგენ, მინანი, მაშინ ვერ გავსძელ სიახლე, აწ სიშორესა ვინანი“. ამ ყოფით მოადგა იმ „ქვაბთა კარს“. სადაც ველად გაჭრილ ტარიელს დაედო ბინა. მიუხედავად დაპირებისა, ტარიელი არ დახვდა, „ქვაბს ყოფა“ მოსჭირვებოდა და ისევ ხიფათთან შესაყრელად გაჭრილიყო. ავთანდილს საყვედური დასცდა:

„იგი ფიცი ვით გატება! არ ვეცრუვე, ვით მეცრუა?

ვერ იქმოდა, რად მიქადა? თუ მიქადა, რად მიტყუა?“

სავსებით ბუნებრივი და გასაგები აღშფოთებაა. ავთანდილი, რომელიც ჩვეულია თავისი ვნებათაღელვის მოთოკვას, რომლისთვისაც ცხოვრების წესად ქცეულა სხვათა ნების რაინდული პატივისცემა, მაგრამ, ამასთანავე, თავისი ღირსების არდათმობა, გაოცებულია ძმადნაფიცის თავშეუკავებლობით. ვაჟკაცობა შმაგური შეტევა და ამით მოზღვაებულ ფიზიკურ ძალთა ხარჯვა კი არა, საკუთარი უჩინის დაოკებაა და, საჭიროების შემთხვევაში სხვისთვის თავგამოდებაც. რა არის ჭეშმარიტი რაინდობა: საკუთარ სურვილთა აღსასრულებლად ყველასი და ყველაფრის გაწირვა, თუ „მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ მოწყენა“? ავთანდილი, რომელსაც მოყვარისათვის სიკვდილი „თამაშად და მღერად“ მიაჩნია, ბუნებრივია, გოცებულია ტარიელის ამგვარი საქციელით და არც მალავს თავის აღშფოთებას:

„მე უმისოდ სოფელსა ყოფა რათგან ჩირად არ მიღირდა,

რად დავეწყდი, რა მოვსცილდი? რად ვერ გასძლო, რა მისჭირდა?

მან გატება ზენარისა რად შექმართა, ვით გაპირდა?

მაგრამ ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა!“

ისევ თავის ბედს დააბრალა ყველაფერი! და მაინც ჭეშმარიტ რაინდად დარჩა, ასმათის საღმობიერმა სიტყვებმა წამიერი თავდავიწყებიდან გამოაფხიზლა, პირიქით, იქით შეაწია სიტყვა: „უმართლე ხარ, არ მამართლო მღურვად მისად“, თავისი გულის ნადები მაინც გაანდო, „ამის მეტი აღარა თქვა, ატირდა და წამოვიდა, ქვაბი ჩავლო, წყალსა გახდა, შამბი გავლო, ველ გავიდა“ და მხოლოდ მაშინ, როცა თავი მარტოდ დაიგულა,

„რად მიმეცო ამა ჭირსო? — ბედსა ამას უზრახვიდა“  
შემდეგ კი:

„იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე შენ, უფალსა, არსთა მხედსა,  
რად გამყარე მოყვარეთა, რად შემასწარ ამა ბედსა?“

.....  
იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე, ეგ ზომ დიდი რა გაწყინე?  
რად შემასწარ ბედსა ჩემსა? რა სასჯელი მომივლინე!  
გამკითხველო, გამიკითხე, აჯა ჩემი შეისმინე,  
დაამოკლენ დღენი ჩემნი, ჭირი ჩემი გამოილხინე!“

**შოთა რუსთაველმა** ტრადიციული რაინდული რომანის კანონიკურ მოთხოვნებს მრავლად გადაუხადა ხარკი (ვარდი, ია, ლალი, ბროლი, „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა“ და სხვა მისთანანი ამის დასტურია), მაგრამ ღვთით მომადლებული ნიჭი არასდროს ჩატეულა მკაცრად მოზომილ ჩარჩოებში და ადამიანური ვნებათაღელვის გათავისება მისთვის უფრო არსებითია, ვინემ მოღად ქცეული სქემების გაფერადება. სწორედ ამ ღრმა სულიერი განცდების სიტყვიერი ხორცშესხმა არის ჭეშმარიტად რუსთველური თქმა და არა ის, რაც შესაძლოა გარეგნული ელვარებით გვზიბლავდეს.

და აი, აქ ერთი ფსიქოლოგიური დეტალია ღირსსაცნობი. კაცმა რომ თქვას, თვით ნუგეშსაცემი ავთანდილი, როგორც კი დაბნედილ ტარიელს წააწყდება, სულიერ ძალებს მოიკრებს და სულიერ მეოხად მოევილინება ძმად შეფიცულ მოყვარეს. ფრიად საცნაურია ამ მხრივ მათი დიალოგი. წამის წინ სულიერ შფოთვას აყოლილი ავთანდილი სხვას მოუწოდებს სულიერი სიმშვიდისა და ჭირთა თმენისაკენ:

„ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილნი სდებიან?  
ვის არ უნახვან პატიჟნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან?  
მითხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან?  
არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!“

თითქოს თავის თავს სცემს ნუგეშს. ასე იცის სხვისი სატკივრის გათავისებამ, მით უმეტეს, თუ იგივე სახმილი შენს გულსაც მოსდებია. აი, ეს არის თანალმობის ჭეშმარიტი საფუძველი — თანაცნაობა იმისა, რაც უკვე განვიცდია, ან რის განცდასაც ელი და თან ეკრძალვი.

ტარიელს მობოდიშების მეტი არაფერი დარჩენია, თუმცა თავის მართლებასაც (თუ — თავის შებრალებას?) ცდილობს:

„ძალი არა მაქვს ხელ-ქმნილსა შენთა სიტყვათა სმენისა,  
რად ადვილად გიჩნს მოთმენა ჩემთა სასჯელთა თმენისა?“

აწ მივსწურვივარ სიკვდილსა. დრო მომეახლა ლხენისა".  
მაშინ ავთანდილი ხერხს მიმართავს, ცხენზე ამხედრებას  
სთხოვს. იქნებ ამით მაინც დაუბრუნოს სიცოცხლის წადილი:

„ნუ გამგზავნი გულ-მოკლულსა, ერთი მიყავ საწადელი,  
ერთხელ შეგე, ცხენოსანი გნახო ჩემი სულთა მხდელი,  
ნუთუ მაშინ მოვიქარვო სევდა ესე აწინდელი,

მე წავალ და შენ დაგაგდებ, იქმნას შენი საქადელი!"

თხოვნამ გაჭრა, ავთანდილი ამხედრებულ ტარიელს „შეაქცევს  
და ეუბნების საუბნართა მშვენიერთა", მერე მარტოდ და უნუგე-  
შოდ დარჩენილი ასმათიც შეახსენა და... „გველსა ხვრელით ამოიყ-  
ვანს ენა ტკბილად მოუბარი".

ტარიელს თავად უკვირდა ავთანდილის მისადმი თავგამოდება:  
„უცხოს უცხო ვითა შეგიყვარდი?" მიმართავს იგი ავთანდილს. მაგ-  
რამ სწორედ ამით ვლინდება რუსთველის უზენაესი პრინციპი: არა  
სხვა რამ, არამედ სწორედ სულიერ მისწრაფებათა საერთოობა  
განაპირობებს აღამიანთა თანადგომას. ამიტომაც აღმოჩნდა ავთან-  
დილი ტარიელის გვერდით, ამიტომაც დათმო მან მიჯნურთან სიახ-  
ლოვე და მხოლოდ მაშინ ჩათვალა შესაძლებლად თინათინთან მი-  
ბრუნება, როცა აღასრულა ჭეშმარიტი რაინდის ვალი.

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!"

ავთანდილის ეს სიტყვები მისივე რწმენის გაცხადებაა: სიბ-  
რძნეს მაშინ აქვს ფასი, როცა იგი კეთილის ქმნად იქცევა. რადგან  
სიკეთე არა მხოლოდ მოყვასს წაადგება, არამედ კეთილის მქმნელ-  
საც აამაღლებს სულიერად.

§ 73. **„ვეფხისტყაოსანში"** უხვად არის გაბნეული პერსონაჟ-  
თა ხორციელი სილამაზის ამსახველი ეპითეტები. მაგრამ მათ სუ-  
ლიერ სამყაროს, უწინარეს ყოვლისა, მათივე სიტყვა გადმოგვიშ-  
ლის, ნაქნარზე უკეთ მათი ნათქვამი წარმოგვისახავს პიროვნულ  
ხატს.

განა ეს ერთადერთი შიორისდებული, რომელსაც ნესტანის გა-  
მტაცებელი „**ორნი მონანი, ბირითა მით ქაჭებითა**", ვაჰყვიან.  
არ წარმოაჩენს მათ პრიმიტიულსა და ველურ ბუნებას: „მათ გაე-  
ხარნეს, ხმა-მალლად იყივლეს: იბი, იპია"?!

განა ქაშნაგირის მუქარით დამფრთხალი **ფატმანის** ვიშვიში  
და წიოკობა უკეთ არ ჩაგვანედებს მის სულში:

„მოსთქვამს: მოვკალ, ჰაჲ-ჰაჲ, ქმარი, ამოვწყვიდენ წვრილნი  
შვილნი.

იავარ-ვყავ საქონელი, უსახონი, თვალნი თლილნი,  
ვავეყარე საყვარელთა, ვამ გამზრდელნი, ვამ გაზრდილნი!  
ბოლოდ ვეკმენ თავსა ჩემსა, სიტყვანია ჩემნი წბილნი".

§ 74. ან განა **ნესტანისვე** სიტყვები არ გვიცნობიერებს იმ  
ღრმა ცვლილებებს, რომელნიც მის სულს განუცდია მამის კარზე  
ნებიერი ცხოვრებიდან ქაჯეთს ტყვედ ყოფნამდე?!

თუ თავდაპირველად სიყვარულის ვნებათაღელვით ატაცებული  
თვით აქეზებს ტარიელს ხიფათიანი თავგადასავლებისაკენ:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?

სჯობს, საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია!"

შემდეგ, სიყვარულითვე დაბრძენებული, თავის არგამეტებას  
შესთხოვს:

„ციხეს ვზი ეზომ მალალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,

გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა-დგებიან,

დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,

მათთა შემბმელთა დაჰზოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.

ნუთუ ესენი გევონეს სხვათა მებრძოლთა წესითა!

ნუცა მე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა,

შენ მკვდარსა განახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა,

მოვშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა!"

და თუ აღრე თავგანწირვას ითხოვდა ტარიელისაგან:

„წა, შეები ხატაელთა, ილაშქრე და ინაპირე,

ღმერთმან ქმნას და გავემარჯვოს, მორჭმულიმცა ჩემ კერძ  
ირე!"

ახლა, პირიქით, თვით დაუთმია თავი გასაწირავად:

„არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა,

ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა".

\*\*\*

პერსონაჟთა ხასიათების ძერწვის წარმატებით გამოყენებული  
ეს ხერხი შემდგომი პერიოდის მხატვრულ ქმნილებებში კიდევ უფ-  
რო დაიხვეწა და გამრავალფეროვნდა, მოხდა გარკვეული თვისებრი-  
ვი ცვლილება: თუკი აღრე ხასიათის წარმოსახვა არსებითად ნათ-  
ქვამის შინაარსს, აზრს ეკისრებოდა, მოგვიანებით ამ მიზნით გამო-  
ყენებულ იქნა ფორმაც: ეროვნული, სოციალური, საზოგადოებრივი  
თუ სხვა მახასიათებლების წარმოსაჩენად პერსონაჟის ნათქვამში  
ჩაერთო დიალექტიზმები, ბარბარიზმები, მხოლოდ ამა თუ იმ პირი-  
სათვის ნიშანდობლივი გამოთქმები.

ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე ნიმუშის დასახელება შეიძლება.

§ 75. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობებსა და რომანებში ჩვეულებრივი მოვლენაა პერსონაჟის დასახასიათებლად მისივე მეტყველების გამოყენება. ხშირად დიალოგი კონტრასტის პრინციპზეა აგებული, რაც კიდევ უფრო მძაფრად წარმოგვიჩენს თითოეულ პერსონაჟის სულიერ სამყაროს.

ციცკასა და გეო მინასაშვილის დიალოგი რაინდული შემართებისა და ჩარჩული ლაჩრობის დაპირისპირებაა:

„ — ბატარაი მოიცადე-ლა, შენთან საქმე რაიმე მაქვს.

— ვა, ციცკა-ჯან! ძმობამ, ისეთი გამეხარდა შენმა ნახვამ, რომ რალა.

— მოიცადე-ლა, მაგას ეხლავე გავიგებთ, მართლა გულჩი გიამა ჩემი ნახვა, თუ არა.

— ვა! რატომ არ მუამებოდა, ძმასავით მიყვარხარ...

— ამოილე ხმალი!.. ამოილე, თუ დიაცი არა ხარ!

— ვა! რად ამოვილო... ვა!.. ციცკა-ჯან! ციცკა!

— ამოილე-მეთქი!

— შენი ჭირიმე, ციცკა-ჯან!.. რად გინდა? რაცა მაქვს, სულ შენ მოგცემ, ოღონდაც თავი დამანებე... ფული გინდა?..“ („ციცკა“). ავტორისეული რემარკები გამოვტოვებთ — ისედაც ფრიად ხატოვანი გამოხატვაა ორი სავსებით კონტრასტული ხასიათისა.

კონტრასტს ხშირად ქმნის ერთი და იმავე პერსონაჟის მეტყველება სხვადასხვა სიტუაციაში.

სვიმონ ჩოფიკაშვილი და რუსი გენერალი — კეთილშობილური გონიერება და თვითდაჯერებული სიბრიყვე:

„— პირდაპირ საქმიდგან დავიწყებ... ხალხი აჯანყებულია და თქვენგან გზის გაგრძელება შეუძლებელია.

— შეუძლებელია? მაგასაც ვნახავთ...

— მთის ხალხს არ იცნობთ და აგრე იმიტომ ლაპარაკობთ... თქვენ არ იცით, ამ ერთ მუჭა ხალხს რა შეუძლიან და რა თავგანწირვით იციან ბრძოლა.

— მხოლოდ უბრალო ფარი-ფურობაა, გარწმუნებთ.

— შემცდარი აზრი შეგიდგენიათ... მთიულები გულადნი და ვაჟკაცი არიან. გაჭირვებაში თავგანწირვით იბრძვიან.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს იარაღს წინ ვერავინ გადაუდგება...



— ჩემი ვალი იყო ყველაფერი შემეტყობინებინა და ახლა თქვენი ნებაა.

— უბრალოდ ნუ სწუხართ. ჩემის ჯარით მთელს საქართველოს ისე მოვივლი, რომ წინ გადადგომაც კი ვერავინ გამიბედოს" („ელგუჯა“).

მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება. თვითდაჭერებული გენერლის რაზმი სასტიკად დამარცდა. „ახ, ღმერთო ჩემო! რა ვიცოდი, რომ ასეთი საქმე დაგვემართებოდა?“ — ნანობს ოტებულის ჯარის საქციელწამხდარი სარდალი და ლამის ღვთის გამოცხადებასავით ელის სვიმონთან შეხვედრას, ხოლო მის რჩევას, ადრე რომ მედიდურად უარყოფდა, ახლა ხსნასავით ნატრულობს.

და აი, ეს შეხვედრაც მოხდა. ამჯერად უკვე ლამის ლაქიად ქცეული ეგებება ქედმაღალი სარდალი სვიმონს:

„— ახ, ბატონო სვიმონ!.. თქვენი მობრძანება, თქვენი გარჯა... ღმერთო ჩემო! არ ვიცი ჭეშმარიტად, მადლობა როგორ უნდა გადაგიხადოთ?

— მადლობა მეტია... მე მხოლოდ ჩემს ვალს ვასრულებ...

— ახ, რასა ბრძანებთ, როგორ იქნება?.. ეგ ვალი კი არა, განსაკუთრებითი გულკეთილობაა. კაცთსიბრალოდული, კაცთმოყვარეობა გქონიათ... შეგვიბრალეთ, ბატონო სვიმონ!.. ამ მდგომარეობიდან დაგვიხსენით... დავიღუბე... ნახევარ ჯარზე მეტი გამიწყვიტეს!..“ („ელგუჯა“).

ვერც ერთი სკრუპულოზური აღწერა ვერ გადმოგვცემდა უფრო ზუსტად სულმოკლე სალდაფონის უჟაცურობას, ვინემ ეს მისივე სიტყვებით იქნა გამომხატული.

ყოველ კაცში მეტნაკლებად ორი სამყარო სუფევს — მიწიერი და ღვთიური. როცა ადამიანი ღვთის სამსახურად გადადებს თავს, იგი თრგუნავს მიწიერ საწყისს და მაღალ იდეალებს ეხმიანება, მისი სიტყვაც შესაფერის ჟღერადობას იძენს.

**ონოფრე** — მოძღვარი:

„— ძმანო!.. არა სისასტიკითა, სისხლითა და ხმლით მოიქცევიან ცოდვილნი, არამედ შთაგონებითა შეინანებენ ცოდვათა თვისთა...“ („მოძღვარი“).

აკი სწამთ კიდევ მისი ღვთიურობა მთიელებს:

„— მღვდელო! ღვთის კაცი ხარ და ღვთის სიტყვით ლაპარაკობ...“

მაგრამ იგივე ონოფრე ჩვეულებრივი კაციცაა და, როცა ყოველდღიურ საწუხარზე უხდება სოფლელებთან საუბარი, მისი კი-

ლო არაფრით გამოირჩევა სხვათა მეტყველებისაგან.

კონტრასტი აქაც გვაქვს, მაგრამ იგი უკვე პერსონაჟის ზნეობრივი და ხორციელი განუყოფლობის წარმოჩენას ემსახურება (განსხვავებით რუსი გენერლის შემთხვევისაგან).

ასე რომ, ერთი და იგივე საშუალებაც კი სხვადასხვა მიზნით შეიძლება იქნეს გამოყენებული და ეს შესაძლებლობაც მთელი თავისი მრავალმხრივობით დაჩნდება ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

\*\*\*

ხასიათების ძერწვისას პერსონაჟთა სამეტყველო სფერო ფრიად გაფართოვდა. პიროვნული თვისებების წარმოსაჩენად გამოყენებულ იქნა უფრო მრავალფეროვანი საშუალებანი.

§ 76. აი, რამდენიმე ამონარიდი კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებებიდან.

#### სალონური საუბრის ნიმუში:

„...განა უვიცმა, ბინძურმა, ჩამორჩენილმა ურიასტანმა არ მისცა ქვეყანას ახალი რელიგია? ბოლოს და ბოლოს სხივი ისევ აღმოსავლეთიდან უნდა მოვიდეს. მთელი მსოფლიო ისტორია დასავლეთის და აღმოსავლეთის ურთიერთშორის ბრძოლა იყო...“

— სინთეტიური ხაზის მოძებნაა საჭირო სენსორულ აღმოსავლეთსა და მოტორულ დასავლეთს შორის („დიონისოს ღიმილი“).

ან:

„— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, ჰერბერტ, მე შენ ველარ გცნობ, შენ აღარ ლაპარაკობ პოეზიაზე, შენს ლიტერატურულ გეგმებზე:“

— ახლა, ჩემო კონსტანტინ, რალა დროს პოეზიაა!.. გერმანია გველუბება... ესთეტობასა და პოეტობას ვადა გაუვიდა, ჩემო კონსტანტინ... მე ისე დავიგეშე ბრძოლაში, რომ ვერ წარმომიდგენია ჩვენი სქელი ბერტების ღრიალის გარეშე როგორ უნდა ვიცხოვრო, *das Leben ist ein Krieg, mein liber*“ („დიონისოს ღიმილი“). „ბერტა“— ჟარგონია: „ზარბაზანი“, გერმანულად ნათქვამი ფრაზა ნიშნავს: „ცხოვრება ომია, ჩემო კარგო“.

#### მეგრელი პერსონაჟის მეტყველებიდან:

„— თქვენ ნაწისქვილარისაქენ მიჰყევით. ეწერ-ეწერ იარეთ. მე იმ მუხნარს შემოვუვლი, ეგებ ქილორს სადმე წავაწყდე“ („ქოსა გახუ“); ქილორი — მეგრულად: ხოხობი.

**საუბრობენ სვანები:**

„— ჭესმიმო, გზა ხაიშამდის მოსულა, არა?

— აადუ, აადუ" („მთვარის მოტაცება"); ჭესმიმო — გესმის, აადუ — კო, დიახ.

**აფხაზი კაც ზგამბაიას მეტყველებიდან:**

„— აფშუმა!

— რომელი ხარ?

— ასას!" („მთვარის მოტაცება"); აფშუმა — აფხაზურად: მასპინძელი, ასას — სტუმარი.

**საუბარი სომეხ მიკიტანთან** — ჟარგონით ლაპარაკის მანერა მის მდაბიურ სულისკვეთებას ავლენს:

„— ხალი რა უყავი, საქულ-ჯან?

— ამ დროში ჩვენი თანა ხალხი ნებრიმეჩნი უნდა იყოს: მითომაც მომიპარსნია, ახლა ჰამაც სუფთადა ვარ, ჰამაც უშიშრად" („მთვარის მოტაცება").

✕  
\*\*\*

§ 77. **ჭყართულ მწერლობაში** მრავალი ისეთი პერსონაჟია, რომელიც ლამის ხორცმწესმულ პიროვნებად გვესახება. მათდამი დამოკიდებულებაც ისეთია, თითქოს ცხოვრებაში პირადად შევხვედრივართ და თავისი ღრმად გამორჩეული პიროვნული ნიშანის გამო სამუდამოდ დაგვხსომებიან. ამასთანავე უმთავრესი უტრახნი, რომელიც მათ მეხსიერებიდან ამოგვიტივტივებს, მათივე მეტყველებაა.

გავიხსენოთ ზოგი მათგანი.

**ღლუარსაბ თათქარიძე:** ✕

„შენ, იცი, ჩემი რა ხარ? სულის წიწმატი, გულის ტარხუნა, გონების — აბა, რა ვთქვა? თუნდა მარილი იყოს. კარგად არ ვთქვი, ის კარგი და სახელოვანი მამა ნუ წავიწყდება?"

ან: „ყველა-ყველა და ამაღამ ვახშმად რა გვაქვს?"

ანდა: „პაწპაწინა ნიგვზის ტოტი! ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი, ჩუპარ, ჩუპრი დარეჯანასა!.. ურასა!.. აი, გიდი!.. ქული ჭერში!" (ილია ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?!").

**ჯოთარაანთ ქვრივი:** ✕

„— რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი... თუ წუთის-სოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუტე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა" (ილია ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი").

† **გლახა კრიაშვილი:**

„— მენა, შენი ჭირიმე, გლახა კრიაშვილი გახლავარ, როგორც მოგეხსენებათ. პაპა-ჩემი აზნაური გხლებიათ ნუგზარ ერისთვის დროსაო. სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა ეგ ამბავი საიღამ მეცოდინება. დიდი ხნის კაცი ვიყო, კიდევ ჰო, მაგრამ მაგარი ესაა, რომ არა ვარ დიდი ხნისა. ბატონი ჩემი — აი, დამლახვრა ღმერთმა, — სულ არ მავიწყდება, რომ ეხლა ბატონი აღარ არის, მაგრამ ჩვეულება რჩულთ უმტკიცესიაო, კიღონ ბატონი წამცდება ხვალმე, ნუ შემერისხამთ, შენი ჭირიმე...“ (ილია ჭავჭავაძე, „გლებთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“).

† **კვაჭი კვაჭანტირაძე:**

„— ხვალ თუ თავადიშვილობა არ გავაიმასქნა, მაშ, კვაჭი აღარ ვყოფილვარ!.. ნუ გედირევით, გაშტიკინდით!..“ (მ.ჭავჭავაძის შვილი, „კვაჭი კვაჭანტირაძე“).

† **ჩაყო ჩივაშვილი:**

„— მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჩაყომა!“

† **თეიმურაზ ხევისთავი:**

„— მ... მპოითმინეთ, მ...მოვისაზროთ. ჯერ კამათის საგანი გამ...მპოვარკვიოთ“ (მ.ჭავჭავაძის შვილი, „ჩაყოს ხიზნები“).

† **გივი შადური:**

„— ჰეი, ყარამანებო, გარდანქეშნებო! მიიწ-მოიწიეთ! მოდის შადური, გივი შადური, წყურვილის ხავსით შემოსილი და ბაასის უნით გამძვინვარებული!“ (მ.ჭავჭავაძის შვილი, „გივი შადური“).

ღვინჯუა:

„— სიტყვა ვთქვათ, ხალხი დავაძარღვიანოთ!“

† **დეილა შაიკო:**

„— ჩემი სიცოცხლის ცისკარო! წამლად დაგენაყე, წამლად დაგედე! ჩემო ათასნაირო! იმ ადგილის ჭირიმე, სადაც შენ მომაგონდები!“

† **ციციკორე:**

„— საქმე სიტყვის წინამავალი უნდა იყოს! აი, ვაჟაკობა ამას ჰქვია!“ (გ.ლეონიძე, „ნატურის ხე“).

† **გვადი ბიგვა:**

„— ჭირიმე!.. თუ გიყვარდე!.. ბაბაია!“ (ლ.ქიაჩელი, „გვადი ბიგვა“).

§ 78. ეს ვრცელი ექსკურსი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის სანახებში იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა, თუ რო-

გორ შეუძლია პიროვნული ნიშატივთ აღბეჭდოს ცოცხალმა სიტყვამ ლიტერატურული პერსონაჟიც კი.

ამ მხრივ საცნაურია აგრეთვე მემუარულ ლიტერატურაში წარმოსახული რეალურად არსებული პიროვნებანიც, რომელთა გასხენება ხშირად მათთვის დამახასიათებელ თავისებურ გამოთქმებთან არის დაკავშირებული.

ვინ არ იცის, მაგალითად, რომ ვასო აბაშიძე ხშირად ჩაურთავდა ხოლმე საუბარში მიმართვის ფორმას — „ქაჯან“, ხოლო ლადო მესხიშვილი — „შვილოსა“:

— „ქაჯან, რამდენად უფროსი ვარ შენზე და ქალარა არ მირეკია, შენ კი ბამბასავით გადაიპენტე!

— შვილოსა, შენ რა დაგაბერებს, დარდი შენ არ იცი და მწუხარება, ღმერთს უღარდელ ჩიტად გაუჩენიხარ, მუდამ იცინი და სხვასაც აცინებ. მე კი სხვა ვარ, სხვა ვარსკვლავზე დაბადებული“ (მ.გარიყული, „ვანვლილი გზა“).

ლადო მესხიშვილს მეორე სიტყვაც ჰქონდა ამოჩემებული — „ღეტოჩკა!“ რაც მისი ნარუსეთული წარსულის გამოძახილი იყო. ✂

§ 79. ალბათ არ არსებობს ისეთი მოგონება გალაკტიონ ტაბიძეზე, რომელშიც ერთხელ მაინც არ იხსენებდნენ მისთვის ჩვეულ მიმართვას: „ძამიკო!“ მაგრამ გალაკტიონისათვის არც სხვა მყარად შეთვისებული გამოთქმები იყო უცხო. ერთი იმათგანია: „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!“ ეს შეგონება საკმაოდ ხშირად გვხვდება მის ჩანაწერებში, თავს იჩენს ლექსებშიც. ✂

გალაკტიონი იგონებს, 1914 წელს ქუთაისის თეატრში როგორ აუხირდა ერთი რაზმელი: „ხანჯალზე ხელი დაედო და რიხიანად მკითხა:

— რატომ მითხარით — ისე იცინით, თითქოს მართლა პატიოსანი კაცი იყოთო...

— შე კაი კაცი! ზრდილობიან მოქცევას რა სჯობია?

„დრუჟინიკმა“ ნახევარზე ხანჯალი ამოსწია, მაგრამ მე ხელი დაუკავე და სრულიად დამშვიდებულად ვუთხარი:

— ძმაო, მე რომ მეჩხუბები, ჩემთან რა საქმე გაქვს? თუ მართლა დიდი ვაჟკაცი ხარ, აი, თათრები მოვლენ და იმათ ეჩხუბე.

ამ სიტყვებმა მასზე ცივი „დუშვივით“ იმოქმედა. მაგრამ, როდესაც სხვა „დრუჟინიკებმა“ დაინახეს, რომ მათი ამხანაგი „სკანდალს“ აპირებს, საჩქაროდ შემოეხვივნენ.

— რა ამბავია, რა ამბავია, в чем дело? — მუქარის კილოთი მეკითხებოდნენ.

— არაფერი, არაფერი! მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა!  
— ღიმილით ვთქვი და გავშორდი. ყველა სახტად დარჩა”...

§ 80. წრე შეიკრა. გვახსოვს ალბათ: ამ მონაკვეთის დასაწყისში ვილაც ანონიმის თავხედობით აღშფოთებული გალაკტიონი მეუღლეს სწერდა: „ამ დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვებით იგი თავისდაუნებურად იძლევა ერთნაირ თვითდახასიათებას... ჩემს წინ დგას მართლაც უზრდელი, თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე, ყოყლოჩინა, ძლივსძლივას რამდენიმე კულტურული სიტყვის მცოდნე, პატარა, ძლიერ განსაზღვრული კკუის მქონე კაცუნა...”

საოცარია მართლაც, რა უბედურება უნდა დაგვტყდომოდა თავს, რომ უნაზესი სულის მქონე პოეტის ასეთი აღშფოთება გამოგვეწვია, ასეთი ტკივილი მიგვეყენებინა ადამიანისათვის, რომელმაც ატმის დაღალული რტოსი და იისფერი თოვლის სილაპაზე პირველი სიყვარულის ჟრუანტელივით განგვაცდევინა, რომელმაც ამოიცნო სულიერი აღზევების ის წამი, „როს სიმალღეებს სწვდებოდა არსი”.

§ 81. გალაკტიონის ამ ორ ჩანაწერს თითქმის ოცი წელიწადი აშორებს ერთმანეთს. ამ ოცმა წელმა, რაც სულიერი ამაღლების გზა იყო ადამიანის უფაქიზეს განცდათა სიტყვიერ ხატებად გარდამსახველი პოეტისათვის, მის ხორციელ ცხოვრებაში არსებითად ვერაფერი შეცვალა, პირიქით, ყოველდღიურობა უფრო დამძიმდა და გამკაცრდა: ის, რასაც პოეტური სული უზრდელობად და პიროვნების შეურაცხყოფად აღიქვამდა, ცხოვრების ნორმად იქცა, გზა ნიჟის ნაცვლად თავხედობას მიეცა, სათნობება დრომოჭმულ სენტიმენტალიზმად გამოცხადდა, ადამიანის სიყვარული — დროებით აღზევებული კერპებისადმი თავყვანისცემამ, ხოლო საზოგადოების წინაშე მოვალეობის გრძნობა კლასობრივი კლანებისადმი მონურმა ერთგულებამ შეცვალა, ჰეშმარიტ შემოქმედებით შრომას ლამის მავნებლობა შეარქვეს, ერთი დღის საზრუნავით შემოსაზღვრულ ფაციფუტს — ახალი საზოგადოების აღმშენებლობა, სულით არისტოკრატი ნაკაცარი აღმოჩნდა, ნაძირალა — პირიქით — უკეთესი მერმისის მშენებელი ახალი ადამიანი. საზოგადოებას სულიერი ხრწნის ბაცილა დაეუფლა. და, ილიასი არ იყოს, გონებით რომ აღარა ეცხოვრობდით, ენას აზრს როგორ გამოვათქმევინებდით! სულისათვის რომ არ გვეცალა, სულიერ ტკივილს თანაღმობას როგორ გამოვეუცხადებდით! გონება რომ დაგვიკინნეს, აზრიც დაგვიპატარავდა, პატარა აზრმა კი სიტყვასაც წაართვა სული და მის ნაც-

ვლად დაცარიელებულ-გაპარტახებულ ტაძარს სატანის უინი დაე-  
პატრონა.

§ 82. ჯეს იმიტომ, რომ სიტყვაც ადამიანივითაა: გუნება იმის  
მიხედვით ეცვლება, გარეთ რა ამინდი ღვას. ისიც მოგვიხერხეს,  
რომ **რუსთველური „ამხანაგი“**, სხვისი ბედის თანაზიარობას რომ  
განგვაცდევინებდა, მრისხანე სიტყვად გვიქციეს! ✂

ჯერ რუსთაველს მოვუსმინოთ.

ტარიელი მიმართავს ფრიდონს:

„მოვახსენე: ნურა გაგვა, ნუ ინალელი მავას მაგად!  
იგი მთვარე ჩემი იყო, მით მეღების ცეცხლი მდაგად;  
აწუ გიამბობ, რათგან თავი გინდა ჩემად ამხანაგად“.

ჩემი წუხილის თანამოზიარედ მიგაჩნიაო თავი — ამას ნიშნავს  
აქ „ამხანაგი“.

შემდეგ:

„ეგრე უთხრა: ამხანაგო, იყავ მანდა, მომიცდიდე,  
წავალ თოკთა მოსახმელად, მწადსო, თუმცა ამოგზიდე“...

აქაც ამხანაგი ისაა, შენთან ბედის თანაზიარობა რომ არგუნა  
განგებამ.

ანდა — გავიხსენოთ ტარიელისა და ავთანდილის მოყვარად შე-  
ფიცვის ამსახველი სტროფი:

„ამას ზედა შეიფიცნეს მოყვარენი გულსადაგნი,  
იაგუნდნი ქარვისფერნი, სიტყვაბრძენნი, ცნობაშმაგნი,  
შეუყვარდა ერთმანეთი, სწვილდეს მიწყვი გულსა დაგნი,  
მას ღამესა ერთგან იყვნეს შევნიერნი ამხანაგნი“.

ამ სიტყვისგან ზმნაც იწარმოება: „ამხანაგობს“: ისიც თანასწო-  
რობის, თანადგომის ამსახველია. გავიხსენოთ, რომ ამ სიტყვით  
რუსთაველმა როსტევანი და ავთანდილი გაათანასწორა ნადირობი-  
სას შეჯიბრში:

„ერთმანეთსა, თუ: მე გჯობო, სიცილით ეუბნებოდეს,  
ამხანაგობდეს, ლალობდეს, იქით და აქათ ღვებოდეს“.

და აი, ეს სიტყვა, ქართველ (და არა მხოლოდ ქართველ)  
ხალხს ღვთის რისხვად დაატყდა თავს უზნეობის ზეობის ეპოქაში,  
როცა მზარეული ქვეყნის პოლიტიკური ბედის გადაწყვეტაში მონა-  
წილეობდა, ხოლო პოლიტიკოსს ქერის ბურღულის ტალონებით  
განაწილება ევალებოდა. კონსტანტინე გამსახურდია ერთგან აღ-  
შფოთებით შენიშნავდა: რომანების წერას ის კაცი მასწავლის, მთე-  
ლი სიცოცხლე კოოპერატივის კვერცხებზე რომ ფიქრობდაო. ეს  
იმის შედეგია, ნიჭი და შემოქმედება თავხედობას რომ ანაცვალეს.

§ 83. ვნახოთ, როგორ აისახა მწერალთა თხზულებებში სიტყვის ამგვარი გაუქმდობა.

„ამხანაგი“ სიტყვის სემანტიკური ცვლილების პირველი საფეხური ასე აქვს გადმოცემული ლეო ქიაჩელს „ტარიელ გოლუაში“:

„ერთობის“ ხალხი კრებას მართავს „სამცაცხვის ძირში“. რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი ბეჟანა „ხეივნის შესავალთან თოფით ხელში იდგა და მომსვლელთ გზას უჩვენებდა“:

— „სამცაცხვის ძირში“, ამხანაგებო! — მოკლედ ეუბნებოდა ბეჟანა ხალხს... ბევრის ყურს სიტყვა „ამხანაგი“ პირველად ესმოდა და ისიც საიდუმლოებით მოცულ პირობაში. ამიტომ დამატყვევებელ შთაბეჭდილებას სტოვებდა გამოუცდელელებზე. იმათთვის კი, ვისაც ერთობის წესის თანახმად დაწყობილი სოფელი ენახა, სიტყვა „ამხანაგი“ ახალი არ იყო. ესენი თავს იწონებდნენ კიდევ მით, რომ ბეჟანას თამამად აძლევდნენ პასუხს: კეთილი, ამხანაგო! ან: ვიცით. ამხანაგო! ან კიდევ: მადლობელი ვართ. ამხანაგო!”

ასე რომ, ეს სიტყვა განსაზღვრული ნიშნით გამაერთიანებელი გახდა ადამიანებისა. შემდგომ მან უკვე პოლიტიკური უღერადობაც შეიძინა. საზოგადოება გაიყო „ამხანაგებად“ და „წარსულის გადმონაშთებად“. მიზანი ნათელი იყო: პირველთა კასტის დაფუძნება „წარმავალთა“ დათრგუნვისა და მეტიც — სრული განადგურების გზით.

„— ვის ეჯობრები, ყაზახო, ა? ვის-მეთქი? კარგად გამოიხედუ თვალბში... კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩაო, ხომ გაგიგონია!.. კოლექტივი ვართ, კოლექტივი, გაიგე!“ (ლ.ქიაჩელი, „გვადი ბიგვა“).

სიმპტომურია ეს სიტყვები. ადამიანი უკვე თავის ნაგრძობ-ნაფიქრალს კი არ გამოთქვამს, თავისი სახელით კი არ ლაპარაკობს, არამედ კოლექტივის — არსებითად კი პრივილეგირებულთა კასტის აზრს აცხადებს. ეს იყო პიროვნებაში პიროვნულის დათრგუნვის პირველი საფეხური, რასაც, როგორც წესი, ბრბოს ინსტინქტის გაღვიძება მოჰყვება თან. ბრბოს კი მხოლოდ ნგრევა შეუძლია.

§ 84. შედეგმაც არ დააყოვნა. აი, ტიპური ნიმუში ამისა: ბრიყვ, მაგრამ ბუნებით კეთილ გვადი ბიგვას, რომელსაც უქნარობისაგან სილატაკეში სძვრება სული და, სხვას რომ ვერაფერს ახერხებს, საკუთარ ოჯახს ჰპარავს თხას და მანდარინს, სხვისი ქონებისკენ მიუბრუნებს თვალი, თავისი ვერ მოუხვეჭია და სხვისი ნასუქალის დაპატრონება უფრო ეადვილება: „ჰეე, საცა სამართალია, ამისთანა



კამეჩი გოჩას კი არა, გვადის უნდა ჰყავდეს. გოჩას რად უნდა? თვითონ ხომ არ დალევს ამხელა ყაზახი რძეს? მისი სასმელი არაყი და ღვინოა, თუ ვაჟკაცია... სულ სხვა ამბავი სჭირს გვადის: მისი ხუთი ბაღლი ისეთ პასაკში არიან, რომ უთუოდ რძით უნდა იკვებებოდნენ. ერთი ქეციანი თხა რომ ჰყავს, ის, აბა, რას აუვა ამდენს პირს!.. და აი, ნამდვილი უსამართლობა სწორედ ეს არის! იმას ჰყავს, ვისაც არ სჭირდება და იმას კი არა ჰყავს, ვისაც სჭირდება... და გერას თუ ნამდვილი სოციალისტობა უნდა, ეს კამეჩი გოჩას უნდა წაართვას და გვადის მისცეს... ჰაი, გიდი, რატომ გვადი არ არის კოლექტივის თავმჯდომარე, რომ ქვეყანა ისე გაასწოროს, ვერც კი იცნოს კაცმა..."

გვადის ნაფიქრალი ზუსტი ასახვაა იმისა, რასაც ყველა ხერხით ნერგავდნენ იმ პერიოდში როგორც საზოგადოებრივ აზრს. „ქვეყნის გასწორება“ მაშინ ბევრს დაუჯდა ჭკუაში, ოღონდ ეგ არის: საქმეში „პირადი ინიციატივაც“ ჩაერია და სხვათა მონაგარის გადაზომვა-გადანაწილებას ყველა თავისი საზომით მიუღდა.

\*\*\*

სანამ უშუალოდ ამ საკითხზე საუბარს განვაგრძობდეთ, ვრცელი ჩანართი უნდა გავაკეთოთ.

§ 85. მოვიგონოთ ერთი კარგად ცნობილი ზღაპარი.

### სიზმრის ახსნა

იყო საწყალი კაცი. ღარიბად ცხოვრობდა. მუდამდღე ტყეში ხმელ შეშას აგროვებდა, ყიდდა და თავს იმით ირჩენდა.

ერთ დღეს კაცი ჩვეულებრივ ტყეში წავიდა. უცებ გზაზე ხვრელიდან თავი გამოყო გველმა და უთხრა: თქვენს ხელმწიფეს სიზმარში უნახავს ცაზე გამოკიდებული სისხლიანი ქამარ-ხანჯალი, მაგრამ სიზმარი მისთვის ვერავის აუხსნია. წადი და მოახსენე: ეს სიზმარი იმის მომასწავებელია, რომ ჩქარა დიდი ომი ატყდება-თქო, და რითაც ხელმწიფე დაგასაჩუქრებს, შუაზე გავიყოთო.

კაცი გაიქცა და ეს ყველაფერი ხელმწიფეს უამბო. სიზმრის ახსნა ხელმწიფეს ძალიან ესიამოვნა და საწყალი კაცი ოქრო-ვერცხლით დაასაჩუქრა. თვითონ კი დიდი ომისათვის მზადებას შეუდგა. კაცს დაენანა ამოდენა ოქრო-ვერცხლის შუაზე გაყოფა და გველის მოკვლა მოინდომა. გამოეკიდა, მაგრამ გველმა ხვრელში შეასწრო, მხოლოდ კუდი მოაწყვიტა.

გავიდა ხანი. ხელმწიფემ კიდევ ნახა სიზმარი. ახლა ვითომ ციდან მელი იყო ჩამოკიდებული კუდით. სიზმარი ვერავინ აუხსნა. ხელმწიფემ ისევ დაიბარა საწყალი კაცი და სიზმრის ახსნა მოსთხოვა. კაცს რა უნდა ექნა, მოსაფიქრებლად ორი კვირის ვადა ითხოვა, გამოემშვიდობა ხელმწიფეს და შინ წამოვიდა. გველთან მისვლა ვერ გაბედა. დიდხანს იყო დალონებული, ვერა გაიგო რა. ბოლოს, კვლავ გველთან წასვლა გადაწყვიტა. მივიდა სოროსთან, დადგა შორიანლოს და სთხოვა გველს სიზმრის ახსნა. გველმა ჭერ ხმა არ გასცა, შემდეგ გამოვიდა და უთხრა: ეს მიზმარი მოასწავებს ისეთი წლის დადგომას, რომ ადამიანები ერთმანეთის მოტყუილების მეტს არაფერს გააკეთებენო.

გახარებული კაცი მაშინვე გაიქცა ხელმწიფესთან და სიზმარი აუხსნა. ხელმწიფემ კიდევ უფრო მეტი ოქრო-ვერცხლით დაასაჩუქრა იგი. კაცმა ამდენი ოქრო-ვერცხლის მიღება სულ არ შეატყობინა გველს. ამის შემდეგ გველის რჩევა რალაში დამკირდებამო, — იფიქრა და შინ წავიდა.

კიდევ გავიდა დრო და ხელმწიფემ ისევ ნახა სიზმარი: ვითომ ციდან მამალი ცხვარი იყო ჩამოკიდებული ღუმით. სიზმრის ახსნა ვერავინ შეძლო. ხელმწიფემ ისევ დაიბარა საწყალი კაცი და სიზმრის ახსნა უბრძანა. შეწუხებულმა კაცმა მოფიქრებისათვის სამი კვირის ვადა ითხოვა. ბევრი იფიქრა, სხვებსაც ჰკითხა, მაგრამ ვერც რა თვითონ მოისაზრა და ვერც სხვამ ვერაფერი ასწავლა. მიადგა ისევ გველის სოროს. ყოველდღე დადიოდა აქ. სთხოვდა გველს დახმარებას, მაგრამ ის გარეთ არ გამოდიოდა.

ბოლოს, გამოვიდა გველი ხვრელიდან და უთხრა: ეს სიზმარი იმის მაუწყებელია, რომ წელს დიდი მოსავალი იქნება და ხალხი გამდიდრდებაო.

ხელმწიფეს ძალიან ესიამოვნა სიზმრის ახსნა და კაცი ახლა უფრო მეტი ოქრო-ვერცხლით დააჩილდოვა. კაცმა თქვა: ამდენა სიმდიდრე გველის მეშვეობით შევიძინე, მოდი, ამ ოქრო-ვერცხლს მთლიანად გველს მივუტანო. ასეც მოიქცა. ყველაფერი გველს მიართვა. გველმა მადლობა მოახსენა:

— ეს შენი სურვილით კი არ ხდება, წელიწადია მოსავლიანი, უხვი და ოქრო-ვერცხლიც იმიტომ არ გშურსო! არც იმაში იყავი დამნაშავე, რაც უწინ ჩაიდინეო. — უთხრა გველმა, გამოატანა ოქრო-ვერცხლი უკანვე და თვითონ სოროში შეძვრა.

იმათ მოსვლამდის არაფერი გეტყინოთ! (ხალხური სიბრძნე, II, 1964, გვ. 61-62).

§ 86. ამ ზღაპარში ერთი სიბრძნეა იგავურად გაცხადებული: საზოგადოებაში რა სულისკვეთებაც არის, ცალკე კაციც ნება-უნებურად იმასაა აყოლილი. განსხვავებული აზრი მხოლოდ რჩეულთა ზვედრია და ისიც ოდენ ნათელ სხივად კრთის სულისგან განძარცულ წყვილიადში.

გავიხსენოთ ორიოდ ნიმუში ძველი ქართული სიგელ-გუჯრებიდან. ეს დოკუმენტები არ იყო გამიზნული საყოველთაო განსჯისათვის და ამიტომაც მათში ყოველგვარი შეფარვის გარეშეა გადმოცემული სათქმელი. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს ნათლად წარმოვიდგინოთ იმ პერიოდის საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

### **ერეკლე პირველის ბრძანება.**

„ქ. ჩუენ, მეფის პატრონის ერეკლეს ბრძანება ეს არის:

ვინც სამართალში კაცი მიეფეროს და მართალი არა თქოს ან ჩემის ყმობით, ან დიდის კაცის ყმობით, ან შიშითა და ქრთამითა, ან მოყურობითა, სულიც წაუწყმდეს.

მეორე ესე, რომა: ერთმა კაცმა რომ ტყუილი მოუგონოს კაცსა და დააფიცოს, გასაჯოს და დაახარჯინოს, ბევრი უბრალოდ გასაჯოს და თავი იმართლოს იმ კაცმა და გამართლდეს ფიცითა და მოწმითა, რაც ხარჯი დაემართოს იმ მართალს კაცსა, ტყუილის მომგონებელმა გარდაუქადოს.

მესამე ესე: ვინ დააფიცოს მოფიცარი, ნახევარი დამფიცებელმა გარდაიქადოს და ნახევარი, ვინც დაიფიცოს, იმან.

ეს ასრე გაგვირიგებია. და ვინც ვადავა, ჩუენად შეცოდებად მოვიკითხავთ, ვინც არ დაიჯერებს და ან ჩუენს ბრძანებასა ასრე არ გაათავებთ“.

**წიგნი ყოვლისა ხაქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა ანტონი პირველისა ხაგარეჯოს მოურავის ჯამასპისადმი.**

„მისს ბრწყინვალებას საგარეჯოს მოურავს ჯამასპის ჩვენ მიერის ლოცვა-კურთხევით მოვიკითხავთ.

მერმე: ამ ბუტულაშვილის ნიკოლოზის ქვრივმა არზა მოგვართო, რომ თავის განაყოფს უჩივის...

ამისთანას ქვრივსა და ობოლზედ თვალყური შენ უნდა გეჭიროს. ან შენ უყავ მანდ სამართალი და საუპატიო მიაცემინე ამ ქვრივისათვის, თუ არადა, აქ ჩვენს სამართალში გამოგზავნე, სამართალს ჩუენ უზამთ“:

**ახლა ვნახოთ, როგორ მიმართავს ყოვლისა ხაქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გაურჩებულ მრევლს:**

„ქ. ყოვლისა საქარველოს კათოლიკოს-პატრიარხი, მეფის ძე, ანტონი მოვიწერ დოლომს შინა მყოფნო ყოველნო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო.

მერე: რომელიც ამას წინათ განწესება მივეცით ამ თქვენს მღუდელთ, ის უნდა აღასრულოთ.

თუ არ აღასრულებთ და სიტყვა გაქვსთ რამე წინააღმდეგომი, რომ ამ მღუდლებს მკვიდრნი ერთს კოდს პურს და ეულნი ნახევარ კოდს არ მისცემთ, აქ ჩამოდით ერთობით და ჩვენს წინაშე სამართალში ილაპარაკეთ.

და თუ სიტყვა არა გაქვსთ და ჩვენის განწესებისაებრ არ მისცემთ, ერთობით შეჩვენებული ხართ. და არც ჩვენგან მღვდლის მოცემალა იქნება“...

როგორც ითქვა, ჩვენ განგებ შევარჩიეთ სრულიად ყოფითი ხასიათის დოკუმენტები. რაოდენ ნათლად ჩანს მათში ის ადამიანური სულისკვეთება, რომელიც საქართველოს ისტორიის არცთუ ისე დაღვინებულ პერიოდში (XVII-XVIII საუკუნეებში!) საზოგადოებრივი ურთიერთობის ნორმას განსაზღვრავდა. მეფეც და კათალიკოსიც სიმართლესა და სამართალს მოითხოვს, არც მკაცრ სიტყვას ერიდებიან: „სულიც წაუწყმდეს“, — მიმართავს მეფე თავის ქვეშევრდომებს, „ერთობით შეჩვენებას“ პპირდება კათალიკოსი, მაგრამ ერთიც და მეორეც ამით უსამართლობას ემუქრება და თანაც არსად ადამიანის პირად შეურაცხყოფას არ კადრულობს.

§ 87. ამ თვალსაზრისით ფრიად ღირსსაცნობია კონკრეტული ფაქტებიც ხელისუფალთაგან სამართალის დადგენისა.

ისევ დოკუმენტებს მივმართოთ.

**პავლე ნინიაშვილი სამართალსა სთხოვს მეფე ერეკლე მეორეს.**

„ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს ფერხთა მტვერს ნინიაშვილს პავლეს.

მერე: ბიძის ჩემის იასე მღვდლისაგან ნასყიდი მამული მქონდა, ორჯერ ნასყიდი, ხანდაკს. დათიაშვილმა წამართო. იმის ბატონის ჯავახისშვილის ქაიხოსროსაგან ბარათის კაცი ედიშერაშვილი მამულითა დათიაშვილმა აღარ დამანება. არას კაცს ნასყიდობა არ მოშლია. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, სამართალი მაღირსეთ, ან თქვენს სამართალში გიახლოს, ჩემის პატრონი გავხდე...“

**ერეკლემ ასე გაარიგა:**

„ჩვენი ბრძანება არის. ამ კაცს თავისი ნასყიდობა დაანებეთ

და ნურავინ ეცილებით. თუ სწორე და მართალი სიტყვა ვისმე გაქვს, მოგვახსენეთ. მაგრამ იცოდეთ, თუ სამართალში გამტყუნდით, დიდის ჯარით გარდაგახდევინებთ.

ჩვენი ბრძანება არის, თეიმურაზ ჯავახისშვილო, ამათ თავიანთ შეძლებასზედ მეტს ნურასა სთხოვ, თორემ დიდათ გიწყენთ და ყმობილამაც წაგართმევთ, თუ სამართლიანის საქმით არ მოექეც".

კიდეც ერთი მრავლისმეტყველი დოკუმენტი.

**მეფე ერეკლე მეორეს მიმართავს ლუარსაბ მაყაშვილი:**

„ქ. ღმერთმან ბედნიერის ველმწიფის ჰირი მოსცეს მათს მონას ლუარსაბ მაყაშვილს.

მერმე ამას მოგვახსენებთ: ჩემმა განაყოფმა გომუშარმა გზა შაკრა ქვეყნისა, ქვევით ერთს საკომლოს მივდენს და ზევით ერთს ხოდაბუნს.

წყალობას ვითხოვთ, რომ მდივანბეგებზედ ერთი ოქმი გვიბოძოთ, რომ იმათ გაშინჯონ და სამართალი გვიყონ.

ვეუბნებით: ეგ ქვეყნის გზაა, ნუ კრაო. ის უშფოთრათ არა ხსნის იმ გზას და მე შფოთი მეჯავრება. ჯერ ლეთისგან მეშინიან და მერმე თქვენგან".

**ერეკლე მეფე ახე განსჯის:**

„უფალნო კახეთის მოსამართლენო და მდივნებო! ვისაც ამ არზით უჩიოდეს, თქვენ ალაპარაკეთ და სამართალი უსაჩეთ და გააშველეთ სამართლით".

ერთი ნიშანდობლივი შტრიხი: მეფე თავის ბრძანებაზე მალლა სამართალს აყენებს — **გინმე თევდორე ნარიაშვილი მეფეს შეხთხოვს:**

„ორმოცი წელიწადი არის მამაჩემი ჯავახეთიდან გადმოსულა და მღვთისმშობლისათვის თავი შეუწირავს. ედიშერ საამიშვილი გუედავებოდა, ამისგანაც თავი დაგვიხსნია, ტყვეობილამაც მოსული გახლავარ. ტყვე თქვენგან უფალი არის, ვისთანაც უნდა, იქნება. მე ორმოცი წელიწადი იმის ყმა ვიყავ, ახლაც იმასვე ვყმობივარ და კვათახევის მღვთისმშობელს.

ახლა მანგლელი წამამდავებია. ოქმი გიბოძებია. ღმერთმან თქვენი რისხვა მამცეს, თუ ან მამისაგან, ან ჩვენის ნათესავისაგან მანგლელის ყმობა გამეგონოს ან ვიყო. ჩემთან საქმე არა აქვს რა. ამას წინათაც მოგართვი არზა და არ გამამივიდა. გევედრები, წყალობა მებძანოს".

**ერეკლე მეფე ახე განსჯის:**

„ჩვენი ბრძანება არის: ვინც ამ კაცის მოასილნი ხართ! მერმე:

ამ არზის პატრონს სიტყვა ჰქონია. სანამ სამართალში ილაპარაკებდეს, მანამდე უნდა დააცალოთ და მერმე, როგორც სამართალი გარდაუწყვეტს, ისრე უნდა აღასრულოთ".

ასე რომ, მეფე არ თაკილობს თავისივე გადაწყვეტილების შეცვლას, თუკი სამართლიანობა ამას მოითხოვს.

§ 88. ხელისუფალთაგან შეჭირვებულთა განკითხვა და ქვეშევრდომთა საურავის დაურვება ოდითგან კანონის ძალით იყო განმტკიცებული საქართველოში. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მონაკვეთს ქართული სამართლისმცოდნეობის ერთ-ერთი უძნინიშნელოვანესი ძეგლიდან „გარიგება პელმწიფის კარისა“;

„ქყონდიდელი ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების, ობოლთა და ქვრივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა განკითხავს და ყოველი საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის და ზარდახანის მწიგნობარს გაგზავნის და მისის პირით მოიხსენებს, რაც ვის რა სჭირს. და რასაც მისის პირით ვერ დაიურვებს, ადგების და, რა უამსაც უამი იყოს, თუით მივა და მაშინ იურვის, რაც ვის უსამართლო სჭირს. არ მოეშვების, რომ არ დაიურვოს“.

§ 89. ხულხან-ხაბა ორბელიანმა ასე ჩამოაყალიბა ხელისუფლის მოვალეობანი:

„მეფეთაგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა.

მეფეთაგან სამს დაიმაძღვებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.

მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთსა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა მოუკლებელსა.

...

მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურის მიპყრობასა, სიტყვის გაგონებასა და რჩევის დაჯერებასა...“

\*\*\*

§ 90. ზემოთ მოტანილ ციტატებით საცნაური ხდება ხელისუფალთა ქცევის ნორმები, რომელნიც ტრადიციით იყო საქართველოში დანერგილი.

ეს ნორმა განსაზღვრავდა სამეტყველო ეთიკეტსაც.

ეს ნორმა ქართველი კაცის ბუნებით იყო შეპირობებული და მისეულ მსოფლალქმასთან შეგუებული.

მაგრამ ყოველი ადამიანის სულში ღვთიურ საწყისთან ერთად სატანური ძალაც თვლემს.

საქართველომ შვა ილიაც და ილიას მკვლელობა.

დადგა უამი, როცა ამ სატანურ ძალას წამქეზებელი და გამო-  
მყენებელი უფრო მეტი გამოუჩნდა, ვინემ დამთრგუნველი. მეტიც:  
სატანისადმი მსახურება ერისათვის თავდადებად იქნა გამოცხადე-  
ბული.

სულიერი სწრაფვა ხორციელი ცოდვებით დამძიმდა, გონების  
ამაღლება მიწიერმა საზრუნავმა შეცვალა. **გალაკტიონი** ჩიოდა:  
„ეს ფუსფუსი პატარ-პატარა ხალხის ჩემთვის სრულიად გაუგება-  
რია. რა გამწარებით ებრძვიან ცხოვრებას და ერთიმეორეს. არავი-  
თარი სერიოზული. ჩუმჩუმი ხითხითი და გულიანი ხარხარი (გაი-  
ცინე, საცოდავო, ადამიანურად). მაგრამ ვერავის ვერ გაამტყუნებ,  
მე კარგად ვიცი მიზეზები და სათავე ყველაფრისა“.

§ 91. „ვერავის ვერ გაამტყუნებ!“ დიდი ბუნების შესაფერი შე-  
მწყნარებლობაა.

ერთი რამ კი მართალია: ყველაფერს აქვს თავისი სათავე.

სათავეში კი უნდობლობა, გაუტანლობა, დაუნდობლობა ამ-  
ღვრევდა წყალს.

ეგ იმიტომ, რომ ადამიანის მიზნად, სულიერი აღზევების ნაც-  
ვლად, თანამდებობრივი დაწინაურება იქცა.

თანამდებობრივად კი, ვინ იცის, რა გზით დაწინაურებული  
„ხელმძღვანელი მუშაკი“ ასე მოძღვრავდა მრევლს:

„აღმოჩენილ იქნა ჯაშუშურ-მავნებლური ტერორისტული ცენ-  
ტრი... ჩვენმა პარტიამ ძლიერი ხელით გაანადგურა ფაშიზმის ეს  
დაქირავებული აგენტები... ზოგიერთ პასუხისმგებელ ამხანაგს ზომ  
მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა ხალხის ამჟამად გამომჟღავნებულ  
მტრებთან, ხვდებოდა მათ სამსახურშიც, პირად ცხოვრებაშიც. ამ  
ამხანაგებს რომ ოდნავ მაინც გამოეჩინათ სიფხიზლე, მაშინ პარტი-  
ის, საბჭოთა ხელისუფლების და ხალხის მტრები გაცილებით ადრე  
იქნებოდნენ გამომჟღავნებულნი... ხალხის მტრები ეწეოდნენ საზი-  
ზღარი ცილისმწამებლური სიცრუის ფაბრიკაციასა და გავრცელე-  
ბას საბჭოთა სინამდვილის შესახებ... ისინი ამას იმიტომ სჩადიოდ-  
ნენ, რომ სახელი გაეტეხათ და შეერყიათ ხელმძღვანელობა, დე-  
ზორგანიზაცია შეეტანათ ბოლშევიკთა რიგებში და ამით თავის-  
თვის გაეადვილებინათ თავისი კონტრრევოლუციური, შავი, მტრუ-  
ლი საქმე... ბოლშევიკები მომავალშიაც მთელი დაუნდობლობით და  
შეურიგებლობით გაუსწორდებიან პარტიისა და ხალხის ყველა  
მტერს, მავნებლებს, დივერსანტ-ჯაშუშებს და მათ დამქაშებს... არა-

ვის ნებას არ მივცემთ ითვალთმაქცოს, ხალხი მოატყუოს და საბჭოთა მწერლის ან მხატვრის მაღალი სახელწოდების ამოფარებით აკეთოს თავისი საქმე ხალხის მტრებთან ერთად..."

გამოხატვის ფორმა გამოსახატავი აზრის ადეკვატურია.

**იქმნება ახლებური სიტყვათშეხამებანი:**

„ჩაშუშურ-მავნებლური ტერორისტული ცენტრი“.

„პარტიის ძლიერი ხელი“.

„ფაშიზმის დაქირავებული აგენტების განადგურება“.

„გამომქლავებული მტრები“.

„რევოლუციური სიფხიზლე“.

„საზიზღარი ცილისმწამებლური სიცრუის ფაბრიკაცია და გავრცელება!“

„დეზორგანიზაციის შეტანა ბოლშევიკთა რიგებში“.

„კონტრრევოლუციური, შავი, მტრული საქმე“.

„ბოლშევიკები მთელი დაუნდობლობითა და შეუერიგებლობით გაუსწორდებიან პარტიისა და ხალხის ყველა მტერს...“

იმავდროულად ეს იყო **სიტყვიერი ფორმულებიც**, რომლებიც საყოველთაოდ უნდა დამკვიდრებულიყო.

§ 92. პრიმიტიული აზროვნების ეს ნაცოდვილარი ფრიად მზაკვრულ მიზანს ისახავდა: მმართველი პარტიის მოწინააღმდეგე უნდა გააზრებულიყო როგორც ხალხის მტერი. ანუ: გაიგივდა ხელისუფლება და ხალხი. ამაზე ველური და ვერაგული აზრი ალბათ არ არსებულა ქვის ხანიდან დღემდე: მისი დამკვიდრება გაამართლებდა ხელისუფლების ყოველგვარ მოქმედებას და დაუბრკოლებლად ამოძირკვავდა მცირე წინააღმდეგობასაც კი. ეს იყო სულის დათრგუნვა ხორციელი დამონების მიზნით.

ტრაგედია ისაა, რომ ამ აზრმა მაინც შეძლო ფეხის მოკიდება, და, სამწუხაროდ, კარგა ძლიერადაც გაიღვა ფესვი.

ამიერიდან ყველაფერი ერთი საზომით იზომებოდა.

ამიერიდან არსებობდა მხოლოდ თეთრი და შავი, და ისიც ხელისუფალთაგან განისაზღვრებოდა, ვინ რომელი ფერით უნდა შეფერილიყო.

პარტიულმა უარგონმა მხატვრულ ლიტერატურაში, მეცნიერებასა და ყოფით საუბარშიც შეაღწია.

§ 93. თვით **გალაკტიონის** პოეზიასაც კი შეეპარა ასეთი სტრიქონები:

„პოეტი, ახლა გამდგარი განზე,



დროგადასული და მოხუცია..."

ან:

„მილიარდერი ააგებს ტაძარს,  
რომ შეითრიოს ქალი და ბაღი,  
რომ რელიგია სცხოს ოპიუმში  
და ოპიუმით მოწამლოს ხალხი“.

ანდა:

„გასწი, იდეას მიჰყევი გმირულს!  
გადააბიჯე მტერს გულგანგმირულს!  
გადააბიჯე მოკლულ ამხანაგს!  
ბრძოლის სიმწვავე აღწევს უადრესს...  
ჩვენს მალალ დროშას ვერავინ დახრის —  
იგი მიუძღვის ოქტომბრის ხანას,  
დაღლილო მხარეც,  
ჩვენ გავიმარჯვებთ. აბა, შეხედე —  
როცა მსოფლიოს ერთ მეექვსედზე  
გაშლილ ოქტომბერს შევსძახებთ ვაშას“.

ან თუნდაც:

„მედგარ ბრძოლას გაუმარჯოს,  
კომუნისტურ ბრძოლას!“..  
„ყოველი ლექსის ყოველი პწკარი  
არის გაჭრილი კლასობრივ ომად“...  
„ჩვენ დავაფუძნებთ კოლექტივი, მსოფლიო მთელი  
ერთ უძლიერეს კოლექტივად უნდა შევიქნათ“.

დიახ, თვით გალაკტიონიც ვერ გადაურჩა აზრობრივ და სიტყვიერ შტამებს. აქ მისი სიტყვა იმ გულგანგმირულ ფრთოსანსა ჰგავს, სისხლიანი დროშის ტარზე რომ ჩამოუცვამთ სხვათა სასიცილოდ, საბედნიეროდ, გალაკტიონის გენიამ მალე დაძლია „რევოლუციური გარდაქმნებით“ აღტყინებული ბრბოს ფსიქოზი, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია „საბჭოთა პოეზიის“ უფრო დაბალ და მდარე ფენებში რა ნიაღვარი იბობოქრებდა ლოზუნგებად ქცეული ასეთი მეტყველებისა.

§ 94. სამეცნიერო ნაშრომი აუცილებლად უნდა დახუნძლულიყო ამგვარი ფრაზებით: მავანი პრობლემის შესწავლა „ბურჟუაზიულ მეცნიერებაში მოკლებულია რეალურ საფუძველს, გაუმართლებელია მეცნიერულად და რეაქციულ, მავნე თეორიას წარმოადგენს“; ან: „ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ ჩიხში მოაშწყვდია ამა თუ

იმ პრობლემის მეცნიერული კვლევა"; ანდა: „ი.ბ.სტალინის შრომებ-  
მა უდიდესი გარდატეხა მოახდინეს საზოგადოებრივი მეცნიერების  
ყველა დარგში. მათ საფუძველზე იწყება საზოგადოებრივ-ისტორი-  
ული დისციპლინების მძლავრი აღმავლობის პერიოდი, ახლებურად,  
შემოქმედებითი მარქსიზმის პოზიციებიდან შუქდება ძირითადი სა-  
კითხები. ამ ნაშრომებს ახალ საფეხურზე აპყავს მეცნიერება" და  
სხვა მისთანანი.

ყველგან და ყველაფერში გაჩაღდა ბრძოლა, შრომასაც „შრო-  
მის ფრონტი" დაარქვეს, ეზოებიდან და ქუჩებიდან ნაგვის გატანას  
— „ბრძოლა სისუფთავისათვის", შეჯიბრი კი, რა თქმა უნდა, თავის-  
თავად ბრძოლა იყო — ყველა იბრძოდა მოწინავე მეცნიერის, პოე-  
ტის, სპორტსმენის, ასევე: ბრიგადის, კოლექტივის სახელისათვის.

§ 95. ყველაფერი ის, რაც თეთრად იქნა გამოცხადებული, შე-  
მკული იყო როგორც: „ფოლადი დაუგრეხელი", „კაცი, მართალი  
ყველამდი", „ისტორიულ გამარჯვებათა მეთაური"...

მთელი ქვეყანა, ერი და ბერი, დიდი და პატარა იფიცებოდა:

„რომ საქმით დაამტკიცებს თავის ერთგულებასა და უსაზღვრო  
სიყვარულს ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი";

„რომ გააძლიერებს რევოლუციურ სიფხიზლეს და შეურიგებ-  
ლობას სოციალიზმის საქმის მტრებისადმი";

„რომ პარტიისა და ხალხის მტრების დახვრეტა — ეს არის  
სურვილი და მოთხოვნა მთელი ხალხისა";

„რომ ქვეყანა იწმინდება გარეწრებისა და მზაკვრებისაგან";

„რომ ახსოვს და არასოდეს დაივიწყებს ბელადის ბრძნულ მი-  
თითებებს";

„რომ უდიდესი მიღწევებით, ურყევი შინაგანი მორალური და  
პოლიტიკური ერთიანობით ეგებება საბჭოთა ხალხი ამ ისტორიულ  
ყრილობას (კონფერენციას, სესიას...)";

„რომ ყველა გამარჯვებას უნდა უმადლოდეს ბოლშევიკურ პარ-  
ტიას, ხალხთა საყვარელი ბელადის ბრძნულ ხელმძღვანელობას" და  
ა.შ. და ა.შ.

§ 96. ამის საპირისპიროდ, ყველაფერი ის, რასაც შავის დამლა  
ჰქონდა მიწებებული, სიტყვიერი ლაფისთვის იყო განწირული. მა-  
თი ყოველი ნათქვამი განისაზღვრებოდა როგორც „თვალთმაქცური  
და ყალთაბანდური ცდა თავის მართლებისა", ისინი იყვნენ „მუხა-  
ნათურად შენიღბული და უალრესი თვალთმაქცობით შეიარაღებუ-  
ლი მტრები", „უსაზღვროდ გაცოფებულნი პროლეტარული რევო-

ლუციის მიღწევებისადმი სიძულვილით", ისინი აყალიბებდნენ „კონტრარევოლუციურ-მავნებლურ-დივერსიულ-ჯაშუშურ-ტერორისტულ-სააჯანყებო ორგანიზაციებს" ან აქტიურად მონაწილეობდნენ „გამცემლებისა და მოღალატეების მიერ მოწყობილ დივერსიულ-ტერორისტულ აქტებში". ცდილობდნენ „კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული წყობილების აღდგენას", „სწამლავდნენ საბჭოთა საზოგადოების ატმოსფეროს", დაკავშირებული იყვნენ „საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებთან" და „უშუალოდ მონაწილეობდნენ დივერსანტულ-მავნებლურ მუშაობაში სისხლიანი ფაშიზმის სასარგებლოდ"... ვფიქრობთ, კმარა! ისედაც ნათელია ყველაფერი. მით უმეტეს, რომ ამგვარ სიტყვიერ ფორმულათა მარაგი არცთუ ისე დიდია და მრავალფეროვანი. სხვადასხვა კონტექსტში მხოლოდ მათი ვარირება ხდება.

შერისხული პიროვნების ამხანაგი, მით უფრო — მისი მეგობარი „გაიძვერა კონტრარევოლუციონერის დამქაშად" ცხადდებოდა. მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაუკუღმართება: იმის მიხედვით, თუ ვისთან ჰქონდა ადამიანს ახლობლობა, ის შეიძლებოდა ყოფილიყო „ამხანაგიც" და „დამქაშიც". საცნაური ის არის, რომ ამგვარი სიტყვიერი ტერორის დამნერჯველთ შემდგომ თვით შეუტრიალეს კეხი და ახლა ისინი აღმოჩნდნენ „სტალინის, ბერიას და სხვათა დამქაშები". მისამართი იცვალა, უკუღმართი სიტყვიერი ფორმულები შემოგვრჩა.

§ 97. სრულიად ჩვეულებრივმა სიტყვებმა მოულოდნელად შეზარავი მნიშვნელობა შეიძინეს:

**მუშაობა:** „ჩაბმულ იქნა მავნებლურ-ტერორისტულ-დივერსიულ მუშაობაში".

**საქმიანობა:** „ძირგამომთხრელი საქმიანობა", „შავბნელი საქმიანობა".

**საქმე:** „აჭარის საქმე", „მეგრელთა საქმე".

**სიფხიზლე:** „რევოლუციური სიფხიზლე".

**კავშირი:** „გადასინჯონ თავიანთი კავშირი ხალხის მტრებთან".

**დასკვნა:** „ვერ გამოუტანიათ საჭირო დასკვნები".

და სხვა მრავალი.

თითქმის არ დარჩენილა სიტყვა, ისეთ კონტექსტში არ ყოფილიყო მოქცეული, რომ ურთიერთსაპირისპირო პოლიტიკური მნიშვნელობა არ დაკავშირებოდა მას.

ერთი მხრივ: „თავისი საქმიანობით დაამტკიცა პარტიის ერთგულება", „მადლობა ამხანაგ სტალინს!.."

მეორე მხრივ: „თავისი საქმიანობით დაამტკიცა, რომ არის ხალხის მტერი, პოლიტიკურად და მორალურად გახრწნილი პიროვნება“. „ზოგიერთ პასუხისმგებელ ამხანაგს მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა ხალხის ამჟამად გამოძვლებულ მტრებთან...“

ეს — რაც შეეხება ნეიტრალური მნიშვნელობის მქონე სიტყვების გაუქვლმართებულ გამოყენებას.

§ 98. სიტყვიერი ტერორის არსენალში მრავლად იყო ისეთი სიტყვებიც, რომელთაც იმთავითვე ნეგატიური ელფერი ახლვს:

**ჭაობი:** „ჩაეფლო კონტრევოლუციურ ჭაობში“.

**ხროვა:** „მაგნებელთა ხროვა“ და მისთ.

§ 99. შეიზღუდა გონებრივი ჰორიზონტი, ერთეულთა ხორციელი აღზევება მილიონობით ადამიანის სულიერი ხრწნით მიიღწეოდა.

აკაკის თქმისა არ იყოს:

„ენაც მას ამბობს, რაც სმენას

სხვისაგან გაუგონია,

ან თვალს უნახავს და ჰკუას

გაუზომ-აუწონია!“

ძალით გახენეშებულმა ყლორტმა შხამიანი კვირტები გამოისხა. სიტყვა ფორმაა აზრისა, ანარეკლი სულისა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს იმ პერიოდში მხოლოდ ბრძოლის ყიჟინა და აღტყინება მძვინვარებდა, არა!

იყო ტკივილიც:

„გულო ჩემო მღელვარევე,

სულო ჩემო მყივარო,

ერთი დღეც არ გქონიათ

მშვიდი, უსატყივარო!“

გაურკვეველი მოლოდინიც:

„არის შენს გულში მწარე

განადგურება მკვდარი,

როცა ზიზღია არე,

როცა ვერ სუნთქავს ქნარი.

როსმე მჩქეფარე, ცხელი

გაყინულია სისხლი,

თვალთაც არა აქვთ ცრემლი,

გულს — შებრალება სხვისი.

და შეკითხვაზე: „შენ გულს  
რა დაემართა, რა სურს?“  
ცისკენ აღაპყრობ ხელებს,  
კაცთ კი არ მისცემ პასუხს!“

სასოწარკვეთაც:

„მეტყვი: იგრძენ მუხის ურყოლა  
შორი მინდვრიდანა,  
როგორ მოდის, როგორ მოდის,  
როგორ ლელავს ყანა.  
მაგრამ ეს ხომ სიზმარია,  
აქ ვერ ვხედავ ბალახს.  
ქვის სიმძიმე სანარედ ხდის  
უზარმაზარ ქალაქს“.

იმედით:

„სადღაც კი ჰყვავის ბროწეული,  
ნუში და ვაშლი  
და პოეზიის არ იქნება  
გადავიწყება“.

ანუ: იყო, მაინც იყო ადამიანი, თავისი ხორციით და სულით,  
ადამიანური ტკივილითა და სიხარულით, მოლოდინითა და იმედით,  
ადამიანი, რომელსაც ყოველ გამვლელ-გამომვლელში „ხალხის მტე-  
რი“ არ ელანდებოდა და ძილს მხოლოდ „მავნებელთა გამოსამჟღავ-  
ნებლად“ არ ტენდა:

„აქ ჩემს მესამე სართულს  
მთვარე ანათებს ღამით,  
გათენებამდის ვწუხვარ  
ლიტერატურულ შხამით“.

და ვის, თუ არა ადამიანური სულის უფაქიზეს სიმალღეებს  
ნაზიარევ **გალაკტიონს** შეეძლო სრულყოფილად გამოეხატა ის  
თავდავიწყებული ალტყინებაც და უშორეს სივრცეებს შეხმიანებუ-  
ლი ადამიანური სევდაც.

და მაინც ბედისგან რჩეულ ერთეულთა რუდუნება სულის  
გადარჩენის მიზნით ძნელად შეეწევა გადაგვარებისათვის განწი-  
რულ საზოგადოებას.

§ 100. „ხალხის მტრების“ გამომჟღავნების პრინციპებით აღ-  
ზრდილ ადამიანს ადრე თუ გვიან დაუდგებოდა სიბრძნის ასაკიც.  
ენამ ეს ეპოქაც ზედმიწევნით გამოსახა. ყველაზე უკეთ ეს **თათქა-**

რიქობის სინდრომით გამოვლინდა: კლასობრივი ბრძოლების ვნებათღელვისაგან დაღლილი საზოგადოების ცხოვრებისეულ მიზნად იოლი ცხოვრება და მსუყე ჭამა-სმა იქცა. ახლა უკვე ამ კრიტიკიუმით იზომება ადამიანის არსებობის ყველა სფერო. აბა, გავიხსენოთ: ბავშვის მიფერება რომ გვინდა, „ჩასაყლაპი ბავშვი" ვაბობთ, კაცის კაცურობას რომ ვაფასებთ, „კაი-ყმა" დავივიწყეთ და „გემრიელი კაცია" ვიტყვი, ჩვენთვის არ მოსაწონს „უგემურ კაცს" ვეძახით. სხვას რომ რამეს დავუწუნებთ, „უგემურად იცის საქმის გაკეთებაო", — გამოვუტანთ განაჩენს.

§ 101. გაზრწნილი სხეულის დაფარვა ძვირფასი სამოსით შესაძლებელია, დაცემული სულის შენიღბვაა ძნელი. სხვა თუ არაფერი, ჩვენზე ნათქვამი სიტყვა არ დაგვინდობს და გამოგვააშკარავებს.

ბედისწერასავითაა: დაცემულ სულს მართალ სიტყვას ვერც ათქმევინებ და ვერც გააგონებ.

სიტყვის მზეოსნობას სულის ზეობა განაპირობებს...

\* \* \*

§ 102. ენაა ის თვალსაწიერი, რომლითაც სამყაროს შეცნობა იწყება.

მასშია დაუნჯებული ყოველივე ის, რაც საუკუნეთა მანძილზე ერს შეუქმნია და მემკვიდრეობით გადაუცია თაობიდან თაობისათვის.

თითქოსდა საგანგებო მტკიცება არ უნდა იმას, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის ენა. მაგრამ ეს მხოლოდ გრძნობიერი ცოდნაა, ყოველი გრძნობიერი კი ინტუიციურია, მერყევი და არა — გააზრებულნი. მდგრადი.

თითქოსდა იმთავითვე ვიცით, ვინა ვართ, რომელ ერს ვეკუთვნივით და ესეც ქვეცნობიერი ცოდნაა მხოლოდ.

წარსულის მრავალი ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი და მეცნიერი დამშვრალა იმის გასარკვევად, რა არის ენა და რას უნდა ეწოდოს ერი.

ნათელი პასუხი დღესაც არა ჩანს.

\* \* \*

§ 103. როგორც ენა არ არის ბგერათა უბრალო ჯამი, ასევე ერიც მეტია, ვინემ ადამიანთა უბრალო კრებული. ერი ერ-

თობლიობაა, ხოლო ერთობლიობას თავისი კანონზომიერება ახასიათებს, ზოგი ის ნიშან-თვისება აქვს, რომელიც დამოუკიდებელია მისი ცალკეული შემადგენლებისაგან. ჩვენს შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ ერის არსებობა მის შემადგენელ პიროვნებათა ნება-სურვილზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ, პირიქით, **ეროვნული ერთიანობა, მთლიანობა განსაზღვრავს ცალკეულ პიროვნებათა ნებასა და მოქმედებას.** თუ ეს მიმართება ირღვევა, მაშინ არა მხოლოდ ეროვნულ თვითშეგნებას ემუქრება საფრთხე, არამედ ცალკეული პირის ზედიც ტრაგიკული, საბედისწერო ხდება — მიუხედავად შესაძლებელი დროებითი წარმატებისა, საბოლოოდ იგი მაინც განწირულია დასალუპად, რადგან ეს რღვევა იწვევს მის სულიერ გადაგვარებას, მისი ფსიქიკის ნგრევას, რაც, ჩვეულებრივ, პიროვნების სრული განადგურებით მთავრდება.

ყველა ის ნიშან-თვისება, რომელიც ერის განსაზღვრაში შემოაქვთ ხოლმე, ზედნაშენია ძირითადისა, არსებითისა — ეროვნული თვითშეგნებისა, ეროვნულობის შეგრძნებისა, თუ გნებავთ, ეროვნული მსოფლგაგებისა, რაც მატერიალურად, გარეგნულად ენით ვლინდება.

ამიტომაც აცხადებდა ილია ჭავჭავაძე ერის უპირველეს ნიშნად ენას. ამ შემთხვევაში იგი ვ.ჰუმბოლდტის კონცეფციას ემყარება: „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა. ამიტომაც ტლანჩი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდება“.

უდავო ჭეშმარიტებაა.

ცნობილია: ეროვნულობაზე იერიშის მიტანა ყოველთვის ეროვნული ენის ხელყოფით იწყებოდა, რადგან სწორედ ენის დაკარგვა ხდებოდა საფუძველი ეროვნული გადაგვარებისა.

„ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“, — საგანგებოდ აღნიშნავდა ილია.

### § 104. ენა განაპირობებს კულტურის უწყვეტობას.

თუკი ჩვენ უძველესი ქართული კულტურის მემკვიდრეებად ვგრძნობთ თავს, ამის მიზეზი ერთიანი ენის მქონებლობაა. ამის გარეშე ეს კულტურა სისხლხორცეული კი არ იქნებოდა ჩვენთვის, არამედ — ისევე შექენილი, შემდგომ შეთვისებული. როგორც სხვა ერების სულიერი მონაპოვარი. ენამ განსაზღვრა ჩვენი ერთიანობა, ენამ დააკავშირა ერთმანეთთან წარსული და აწმყო, ენა განაპირობებს სულიერ ნათესაობას მომავალთან.

§ 105. ენა კაცობრიობის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

სწორედ ენით შეძლო კაცობრიობამ ამაღლებულიყო თავის ინსტინქტებზე და აქტიურად ჩაერთო თავის შემოქმედებით განვითარებაში ცნობიერება. ამან კი, თავის მხრივ, საფუძველი დაუდო ყოველივე იმის შექმნას, რასაც ცივილიზაცია მოიცავს.

სამყარო ჩვენ გვეძლევა ისეთად, როგორადაც გვაწვდის მას ჩვენი დედაენა. ყოველი ენა განსხვავებული მსოფლხედვაა, — აღნიშნავდა **გ. ჰუმბოლდტი**; ყოველი ახალი ენის შესწავლა ახალი მსოფლხედვის შექმნას ნიშნავს. ეს იმიტომ, რომ არსებობს ენობრივი სინამდვილე, განსხვავებული მატერიალური სინამდვილისაგან. მარტივი მაგალითები ადვილად წარმოაჩინენ ამას. მატერიალურ სამყაროში არსებობს შვიდედერა რკალი, რომელიც ჩნდება მზის მოპირდაპირე მხარეს წვიმის წვეთებში მზის სხივების გარდატეხით. ესაა ობიექტური მონაცემი, მაგრამ ქართული ენობრივი სინამდვილისათვის იგი ცის სარტყელია, „ცისარტყელია“, ინგლისურისათვის — „წვიმის მშვილდი“ (rainbow) და ა.შ. მატერიალურ სამყაროში დედამიწა ბრუნავს მზისა და თავისი ღერძის გარშემო, მცენარე აღმოცენებულია, ენობრივი სინამდვილის მიხედვით კი მზე ამოდის და ჩადის, ხე დგას, ანუ მზესა და ხეს სულიერის თვისებები აქვს მინიჭებული. რეალურად არ არსებობს მავნე და სასარგებლო მცენარეები, ყველას თავისი დანიშნულება აქვს ბუნებაში, მაგრამ ადამიანის პოზიცია სხვაგვარია და ეს პოზიცია ენობრივი სინამდვილით ვლინდება: ენაში არსებობს მცენარეთა იმგვარი კლასიფიკაცია, რაც ბუნებისათვის არ არის ნიშანდობლივი: სარეველა, კულტურული მცენარე და მისთ.

მთელი ესთეტიკური და ეთიკური სისტემა მხოლოდ ენით ისხამს ხორცს. მხოლოდ ენის საშუალებით არსებობს მშვენიერი, ამაღლებული, ტრაგიკული...

§ 107. აშკარაა, რა ღარიბი, მხოლოდ ბუნებრივ ინსტინქტებს დამორჩილებული იქნებოდა ადამიანის შინაგანი სამყარო ენის გარეშე. მეტიც: ენის გარეშე არ იარსებებდა თვით ადამიანიც, რადგან ერთადერთი რამ, რაც ადამიანს იმთავითვე გამოარჩევს ცხოველთა სამყაროდან, ეს არის ენობრივი აზროვნება. ყველაფერი დანარჩენი, რაც ადამიანის ცხოვრების განუყოფელი თანამდევია აშკამად, მთელი ცივილიზაცია ამის შედეგად არის შექმნილი.



§ 108. ენა, ისევე როგორც ნებისმიერი მოვლენა, ორი ასპექტით განიხილება.

ერთია მისი შინაგანი, იმანენტური რაობა, შეპირობებული მისი ფორმობრივი და სემანტიკური სტრუქტურებით. ამ სტრუქტურათა მათსავე დინამიკაში გამოვლენა, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთდამოკიდებულებათა გარკვევა, მათი ცვლილებებისა და განვითარების კანონზომიერებათა დადგენა არის ენათმეცნიერების ძირითადი ამოცანა.

**მეორეა ენის დანიშნულებითი, გამოყენებითი (პრაგმატული) მხარე.** ენის ამ დანიშნულებითი ასპექტის განსაზღვრა, ენის გამოყენებითი ფუნქციის შესწავლა, ენის საზოგადოებრივი ღირებულების გარკვევა, ენის სოციალურ, საზოგადოებრივ პროცესებთან მიმართების, მასზე ამ პროცესების ზეგავლენისა და მის მიერ ამ პროცესების ასახვის კვლევა, ანუ: ზოგადად, ენის ჩამოყალიბების, არსებობისა და განვითარების სოციალური შეპირობებულობის შესწავლა აქვს მიზნად დასახული ენათმეცნიერების დარგს, რომელსაც სოციალურ ენათმეცნიერებას, ანუ სოციოლინგვისტიკას უწოდებენ. არსებითად, ეს გულისხმობს ენის შესწავლას ეროვნულ კულტურასთან მიმართებაში.

§ 109. ეროვნული ენისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულების კვლევა კარგა ხანია დაიწყო. ამჟამად ამ თვალსაზრისით ორი მიმართულებაა ყველაზე უფრო ცნობილი: **ეგროპული**, რომელსაც სათავე **გ.ჰუმბოლდტმა** დაუდო და რომელსაც დღეს ნეო-ჰუმბოლდტიანელები მისდევენ, და **ამერიკული**, რომელიც **ე.სეპირისა** და მისი თანამოაზრეების კონცეფციას ეფუძნება.

მიუხედავად ზოგი სხვაობისა ამ ორ მიმართულებას შორის (როგორც კვლევის მეთოდების, ასევე მასალის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით), ძირითადი პრინციპი მათთვის საერთოა: **ენა არის არა მხოლოდ ეროვნული კულტურის შედეგი, არამედ მისი განვითარების, წინსვლის უპირველესი ხაშუალეა.**

§ 110. ეს თვალსაზრისი არსებითად უპირისპირდება იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ენა არის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება. ენა რომ მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება იყოს, მაშინ არავითარი სხვაობა არ იქნებოდა ეროვნულ ენას. სარეკლამო ნიშნებსა თუ მათემატიკურ და ქიმიურ სიმბოლოებს შორის. მე-

ტიც: სარეკლამო პირობითი ნიშნები, მათემატიკური და ქიმიური სიმბოლოები ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით უფრო ზუსტია და ცალსახა, ვინემ რომელიმე ეროვნული ენა.

სხვათა შორის, გამოითქვა კიდევაც ასეთი თვალსაზრისი, რომელიც ერთ დროს საკმაოდ გავრცელებულიც იყო: რეალურად ეროვნულ და ხელოვნურ ენებს შორის არავითარი სხვაობა არ არის; ყველაფერი ის, რაც ეროვნულ ენას უკავშირდება, ანუ — ეროვნული მსოფლხედვა, ეროვნული მეობა, თვითშეგნება, სხვა ერებისაგან გამორჩევიობა, ყველაფერი ეს მეორეულია, დანამატია, რომელსაც თავისუფლად შეიძლება შეველიოთო.

§ 111. საფუძველშივე მცდარია ეს მოსაზრება, უმნიშვნელოვანესი პრობლემის ზერელე განხილვის შედეგი.

მცდარია ის მოსაზრებაც, რომელიც სამყაროს, ადამიანთა საზოგადოების უზენაესი ჰარმონიის საფუძველად ყველასთვის ერთი პრინციპის, ერთი შეხედულების, ერთი მისწრაფების მქონებლობას ვარაუდობს.

ამჟამად, თუ რა მოსაწყენი, უფერული, სისხლ-ხორცისაგან დაცლილი იქნებოდა ასეთი სამყარო.

ასეთი საზოგადოება, გარეგნულად ერთფეროვანი, ჰარმონიული, შინაგანად კოლოსალური წინააღმდეგობით იქნებოდა დამუხტული, რაც საბოლოოდ მის ნგრევას გამოიწვევდა.

§ 112. ხაქმე ისაა, რომ ყოველი არსებული არა მხოლოდ ისწრაფვის სხვასთან ერთობისაკენ, არამედ იმაგდროულად მასში მოქმედებს სხვათაგან გამომრჩევი მძლავრი იმპულსიც.

ერთობა ინდივიდუალური ნიშან-თვისების შენარჩუნებით — აი, ესაა ჰუმანიტატი ჰარმონიის პრინციპი.

კაცობრიობის ისტორიაში არა ერთი და ორი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდებოდა ხელოვნურად შეკოწიწებული ერთიანობის დაშლა ბუნებრივ ერთიანობებად. ნიმუშად ენის მაგალითიც გამოგვადგებოდა: ძალმომრეობით გავრცელებული ენა სულ მალე, 4-5 საუკუნეში (ეს კი ენისთვის ძალზე მცირე პერიოდია) დაშლილა ჯერ დიალექტებად, რომელთა საფუძველზე შემდგომ დამოუკიდებელი ენები ყალიბდებოდა. ლათინური, არაბული ენები თვალნათლივი ნიმუშებია ამისა: ლათინურის „დაშლის“ შედეგადაა ჩამოყალიბებული ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, რუმინული ენები; თანამედროვე არაბულის დიალექტებზე მოლაპარაკენი ვერაფერს აგებინებენ ერთმანეთს...

ასე რომ, გონივრული, გააზრებული დამოკიდებულებაა საჭირო ამ საკითხისადმი, სურვილის მიხედვით ეს ურთულესი პრობლემა ვერ გადაწყდება, ობიექტური საფუძვლების გათვალისწინებაა აუცილებელი. სხვა მხრივ გარდაუვალია საბედისწერო შეცდომა.

და აი, მეორე ნიშნში, თუ როგორ შეუძლია გაუძლოს ბუნებრივმა ერთიანობამ საუკუნეების გამოცდას: თითქმის ოთხი საუკუნეა, რაც ფერეიდნელები თავის სამშობლოს მოწყვეტილნი არიან, მაგრამ ეროვნული ერთიანობის თვითშეგნებამ დედაენაც შეუნარჩუნა მათ და „დიდი საქართველოსაკენ“ გაუნელებელი სწრაფვაც.

**§ 113. ენის დათმობა ერის გადაგვარების პირველი ნიშანია. ერის გადაგვარებით იწყება ეროვნული სულისკვეთების კვდომა, ეროვნული მსოფლხედვის წგრევა.**

სამწუხაროდ, ისტორიამ ბევრი იცის გადაშენებული ერების საბედისწერო ხვედრი, რომელთა ალგვა პირისაგან მიწისა ენის დაკარგვით დაიწყო.

ყოველი ასეთი ეროვნული კატასტროფა დიდი დანაკლისია ცივილიზაციისათვის: ყოველი ენის გაქრობა იმას ნიშნავს, რომ კიდევ ერთი სახელი მოაკლდა მზეს, სიყვარულს, დედას, რომ კიდევ ერთი ფერი დაკარგა სამყარომ, კიდევ ერთი ნათელი სხივი — ადამიანის სულმა.

სიძლიერე და სილამაზე მრავალფეროვნების ურთიერთშეხამებასა და ურთიერთშეთავსებულობაშია და არა სიცოცხლედაწრეტილ ერთსახოვნობაში. „სიმტკიცე სახელმწიფოსი, რაც გინდ დიდი და ძლიერი იყოს, უნდა ემყარებოდეს ერთსულოვნებაზე და არა ერთსახეობაზე, ერთფერობაზე“ — ბრძანებდა ილია.

**§ 114. ენის გასაოცარ თვისებას, სიტყვის ზემოქმედების ძალას თავიდანვე გრძნობდა ადამიანი. სიტყვა (ანუ: მეტყველება) სამყაროს საფუძვლად იქნა აღიარებული.**

ეროვნულ მონაპოვართა შორის ენა უმთავრესია, ხოლო ენის დაცვა, დახვეწა და განვითარება უწინარეს პირობად გულისხმობს მართებული ენობრივი პოლიტიკის საფუძველზე ახალგაზრდობის, მომავალი თაობის აღზრდას.

ენა აზროვნების გამოვლინებაა. დახვეწილი ენა უშუალოდ განსაზღვრავს აზროვნების დახვეწილობას.

ქართულ წყაროებს არა ერთი და ორი ფაქტი შემოუნახავთ იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართველთა ცხოვრებაში ენის ფენომენს. ეროვნული ერთიანობის იდეა და

კულტურის აღმავლობა, უპირველესად ყოვლისა, სწორედ ერთიანი ენის ფაქტორით განისაზღვრებოდა.

\* \* \*

§ 115. იყო პერიოდი, როდესაც ხალხი (შემდეგ — ერი) განისაზღვრებოდა სახელმწიფოებრივი ნიშნით. რომის იმპერიაში ყველა რომაელი იყო, თუმცა ეს იმპერია ეთნიკურად სავსებით განსხვავებულ ჯგუფებს მოიცავდა. რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ერი თუ ეროვნება, როგორც წესი, რუსად იწოდებოდა...

ამის პარალელურად გარკვეულ პერიოდში ეროვნულობის ნიშნად რელიგიური ფაქტორიც გამოდიოდა: კათოლიკე ქართველი „ფრანგი“ იყო, გრიგორიანი ქართველი — „სომეხი“ და ა.შ.

ამ ბოლო ხანს კი ერის განმსაზღვრელად სულ უფრო დაბეჭი-თებით გამოიკვეთა ენის ფაქტორი.

რასაკვირველია, ეს ნიშანი ადრეც არსებობდა, საქართველოსათვის კი იმთავითვე არსებით ფაქტორად იყო მიჩნეული, რადგან, გარკვეულ ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებათა გამო, საქართველოს ერთიანობას დვრიტად სწორედ ენობრივი კონსოლიდაცია ედღე

მაშინაც კი, როცა ეროვნულობის ნიშანი არსებითად რელიგიურობის ნიშნით შეიცვალა, საქართველოს კონსოლიდაციის უპირველეს ნიშნად ისევ და ისევ ენა მიიჩნეოდა. ✎

ამ მხრივ ნიშანდობლივია ის დიდი რწმენა, რომელიც X საუკუნის პიმნოგრაფის იოანე ზოსიმეს სიტყვებით არის გამოხატული: „დამარხულ არს ენამ ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად, რადთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა... და ესე ენა შემკული და კურთხეული სახელითა უფლისადათა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა...“

ყველაფერი ეს ნათლად მეტყველებს. თუ იმთავითვე რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ერთიანი საქართველოსათვის ერთიანი ქართული ენის მქონებლობას.

შემთხვევითი არ არის საქართველოში ყურადღების ესოდენ ხაზგასმული გამახვილება ენის, საკუთრივ ენის ფაქტორზე: ენა ერის არსის ერთ-ერთი ძირითადი გამომხატველია.

§ 116. აქ ვახსენებ: „ერთ-ერთი ძირითადი“ და არა: „ერთადერთი“.

ეგ იმიტომ, რომ ეროვნული მეობის საფუძველთ საფუძველი მაინც ეროვნული შეგნებაა, რომელიც გაიაზრება ენისა და კულტურის ერთიანობით. თუ ზედმიწევნით სიზუსტეს დავიცავთ, უნდა ასე განვსაზღვროთ: **ეროვნულ ერთიანობას განაპირობებს ენა, რომელიც ეროვნულ კულტურას უდევს ხაშირკვლად.** ✂

საქმე ისაა, რომ ზანური (მეგრულ-ქანური) და სვანური, წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით, დამოუკიდებელი ენობრივი სისტემებია, თუმცა ძალზე ახლოს მდგომი საკუთრივ ქართულთან. ეროვნული ერთიანობისა და კულტურის ენა კი ქართველთა სამივე შტოს წარმომადგენელთათვის იმთავითვე იყო და არის მრავალსაუკუნოვანი სამწერლობო ტრადიციების მქონე ქართული ენა.

იმავდროულად, ორ ათეულ საუკუნეზე მეტია, რაც ქართველ ებრაელთათვის საურთიერთო ენა ქართულია, მაგრამ ეს არ გამხდარა მათთვის ეროვნულობის შეცვლის მიზეზი.

ასე რომ, ენის თვალსაზრისით ეროვნულობის განსაზღვრისას ყოველთვის იგულისხმება ეროვნული კულტურის ენა, რაშიც წვლილი შესაძლოა სხვა ერის წარმომადგენლებსაც შექონდეს.

✂ **მონათესავე (და ზოგჯერ არამონათესავე) ტომებისაგან ერის ჩამოყალიბებისათვის სახელმწიფოებრივი ერთიანობა უმნიშვნელოვანესი პირობაა, მაგრამ თვით კონსოლიდაციის პროცესი იწყება ერთიანი ენის არსებობის შემთხვევაში.** ✂

ენა, რომელიც პიროვნების სულიერი წყობისა და კულტურის უპირველესი გამომხატველია, იმავდროულად ეროვნული სულისკვეთების ნიშნით აღბეჭდავს ადამიანს.

რა თქმა უნდა, ენობრივი კონსოლიდაციისათვის აუცილებელი ხდება სავალდებულო ენობრივი სტანდარტების გამომუშავება, რადგან ერთიანი ეროვნული ენა ერთნაირად მისაღები უნდა აღმოჩნდეს ერის შემადგენელი სხვადასხვა ეთნიკური თუ სოციალური ჯგუფისათვის.

✂ **იმავდროულად ერთიანი ეროვნული ენის არსებობა არ გამორიცხავს მის ბარალელურად ტომობრივი ენებისა თუ დიალექტების არსებობას.** ✂

\*\*\*

§ 117. **რა თეორიული თუ პრაქტიკული საკითხები უნდა გადაიჭრას მართებული ენობრივი პოლიტიკის განატარებლად?**

რასაკვირველია, არავითარ შედეგს არ გამოიღებს მხოლოდ სასურველი პირობებისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების წამო-

ყენება. ძიება უნდა წარიმართოს არსებული ვითარების შესაბამისი ოპტიმალური საშუალებების გამოყენების გზით ქართული ენის სიწმინდისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

ეს არ ნიშნავს (და არც შეიძლება ნიშნავდეს) ქართული ენის იზოლირებას. პირიქით, იზოლირება აუძლურებს ენას, სხვა ენებთან გონივრული ურთიერთობა კი ამდიდრებს და, იმავედროულად, თვითშენარჩუნებისათვის საჭირო იმუნიტეტს გამოუმუშავებს მას.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის ლინგვისტები ამტკიცებდნენ, რომ შესაძლებელია ენის განვითარების ტენდენციის გონივრული წარმართვა.

1874 წელს, შვედი ენათმეცნიერი **ენტეგერი** აღნიშნავდა: ყველაზე უკეთესია ის ენა, რომლითაც ადვილად გამოიხატება აზრი და ეს გამოხატული აზრი ადვილად გაიგებაო.

შეიძლება დავეთანხმოთ, ან არ დავეთანხმოთ ამ კონკრეტულ მოსაზრებებს, მაგრამ ერთი რამ კი აშკარაა: ენა საჭიროებს გონივრულ ჩარევას, მისი დახვეწისათვის აუცილებელია მართებული ენობრივი პოლიტიკის გამოუმუშავება.

ენათმეცნიერება არა მარტო ენაში არსებულ კანონებს უნდა ეძიებდეს და იკვლევდეს. არამედ აღმოჩენილ კანონთა საფუძველზე წარმართავდეს კიდევ ენის შემდგომი განვითარების გეზს.

ანუ: აუცილებელია ენის განვითარების პროგრამირება.

მაგრამ შეუძლებელია ამ პროგრამირების ძალდატანებით თავზე მოხვევა. ენამ უნდა მიიღოს შემოთავაზებული.

თანამედროვე სოციოლინგვისტიკის პოზიტიური მონაპოვრები შესაძლებლობას იძლევიან წარმატებით იქნეს გადაწყვეტილი ეს რთული და მნიშვნელოვანი ამოცანა

## ბესარიონ ჭორბენაძის საზოგადოებამ გამოსცა:

- ბ. ჭორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1995, 80 გვ.
- ბ. ჭორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995, 448 გვ.
- საენათმეცნიერო ძიებანი, IV, 1995, 180 გვ.
- ი. ჭავჭავაძის, საქართველოს საზღვრები, თბ., 1996, 48 გვ.
- საენათმეცნიერო ძიებანი, V, 1996, 332 გვ.
- ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1997, 52 გვ.
- ბ. ჭორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997, 204 გვ.
  
- ბ. ჭორბენაძის საზოგადოების I სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1994
- ბ. ჭორბენაძის საზოგადოების II სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1995
- ბ. ჭორბენაძის საზოგადოების III სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1996

ყოველთვიური გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“  
(პირველი ნომერი გამოვიდა 1995 წლის ივნისში).

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა  
გამომცემლობაში „ქართული ენა“  
(პ. ინგოროევის ქ. 8)